

დემეტრია

სოცხდალ ღამნვარი

დემეტრია

სოცხდალ ღამნვარი



ნაგლეზილი ანგაპი

სუადი ცოცხლად დაძვარი



სუადი

მარი ტერეზ-კუნისთან ერთად

(ნამდვილი ამბავი)

ფრანგულიდან თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა



მსოფლიოში პირველად, „ღირსების დანაშაულის“ მსხვერპლის მონათხრობი

სუადი ჩვიდმეტი წლისაა და შეყვარებულია. მის სოფელში, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ქორწინებამდელი სიყვარული სიკვდილის ტოლფასია.

„ღირსებაშელახული“ ოჯახი სიძეს განაჩენის აღსრულებას ავალებს.

ყველას თვალში ეს კაცი გმირია. ასეთია ის ადათი, რომელსაც „ღირსების დანაშაული“ ეწოდება. სინამდვილეში, სუადის სიძე ლაჩარი მკვლეელია. მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად ხუთი ათასი ამგვარი დანაშაული აღირიცხება. კიდევ მრავალი შემთხვევის შესახებ ვერავინ ვერასოდეს ვერაფერს იგებს.

საზარლად დამწვარი სუადი სასწაულებრივად გადარჩა. მან გადაწყვიტა იმ ქალების სახელით ილაპარაკოს, რომელთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მისი მიზანია მსოფლიომ გაიგოს ამ ბარბაროსული ადათის შესახებ. სუადი საკუთარ სიცოცხლეს რისკავს, რადგან ოჯახის „ღირსება“ ხელშეუხებელია.

„ცოცხლად დამწვარი“ მხოლოდ ამაღელვებელი ნამდვილი ამბავი არ არის, ის მოწოდებაცაა. ამ წიგნის მიზანია, ერთხელ და სამუდამოდ დაირღვეს ტაბუდადებული დუმილი კაცების მიერ დადგენილი კანონის მსხვერპლად ქცეული ქალების სიკვდილის თაობაზე.

ფრანგულ პრესაში „ცოცხლად დამწვარი“ ასე შეაფასეს: „მოწმის ამაღელვებელი ჩვენება“, „სასწაულებრივად გადარჩენილის მონათხრობი“, „საომარი ყიჟინა“, „მისი სიცოცხლე სასწაულია“, „საშინელებაგამოვლილი სუადი მოგვითხრობს“.

სხეულზე ცეცხლი მომედო

გოგონა ვარ. გოგონამ კი ჩქარა და თავდახრილმა უნდა იაროს, თითქოს საკუთარ ნაბიჯებს ითვლის. მან თავი არ უნდა ასწიოს, თვალეები აქეთ-იქით არ უნდა აცეცოს, რადგან თუ მისი მზერა კაცისას შეხვდა, მთელი სოფელი „შარმუტას“, ანუ მემავს, დაუმახებს.

გოგონაზე „შარმუტას“ იტყვიან მაშინაც, თუ სოფლის ორღობეში გათხოვილმა მეზობელმა, მოხუცმა ქალმა ან ვინმე გამვლელმა მარტო, დედის, უფროსი დის, ცხვრების, ბლუჯა ბალახის ან ლეღვით სავსე კალათის გარეშე დაინახა.

მას მხოლოდ გათხოვების შემდეგ აქვს უფლება, რომ თავაწეულმა იაროს, მოვაჭრის დუქანში შევიდეს, წარბები ამოიქნას და სამკაული ატაროს.

თუ დედაჩემით თხუთმეტი წლისა არ გათხოვდი, სოფლის დასაცინი გახდები. მაგრამ გათხოვების დროს ოჯახში რიგს იცავენ: ჯერ ასაკით უფროს დას აბინავებენ, შემდეგ მის მომდევნოს და ასე.

მამაჩემის ოჯახში გოგონები მეტისმეტად ბევრნი ვართ: ოთხი გასათხოვარი. ორიც ნახევარდა გვყავს მამაჩემის მეორე ქორწინებიდან. ისინი ჯერ პატარები არიან. ოჯახში ერთადერთი ბიჭი ჩვენი ძმა ასადია, რომელსაც ყველა აღმერთებს. ის

გოგონების დაბადებას შორის მოეწვინა ქვეყანას და ბავშვებში მეოთხეა. მე მესამე ვარ.

მამაჩემი, ადნანი, დედაჩემზე, ლეილაზე ბრაზობს, ამდენი გოგონა რომ გაუჩინა. კმაყოფილი არც მეორე ცოლით, აიშათია, რომელთანაც ორი ქალიშვილი შეეძინა.

ნურა, ჩემი უფროსი და, გვიან გათხოვდა, მეც კი უკვე თხუთმეტის უნდა ვყოფილიყავი. მომდევნო დას, კაინატს, მთხოვნელი არ გამოუჩნდა. გავიგე, ერთი კაცი მამაჩემს ჩემ შესახებ რომ ესაუბრა, მაგრამ სანამ კაინატი არ გათხოვდება, ქორწინებაზე არც კი უნდა ვიფიქრო. შეიძლება კაინატი არც ისე ლამაზია ან ნელა მუშაობს... არ ვიცი, რატომ არავინ თხოულობს, მაგრამ თუ შინაბერა დარჩა, სოფელი მასხრად აიგდებს მასაც და მეც.

რაც თავი მახსოვს, არც თამაში ვიცი რა არის და არც გართობა. ჩემს სოფელში გოგოდ დაბადება წყევლაა. მხოლოდ გათხოვებაა თავისუფლება. სამუდამოდ ტოვებ მამის სახლს და თუნდაც მეუღლე გცემდეს, იქ აღარასოდეს ბრუნდები. თუ გათხოვილი ქალი მამის ოჯახში დაბრუნდა, მას სახელს უტეხს; ქმრის ოჯახის გარეთ დახმარების თხოვნის უფლება არა აქვს, ხოლო მშობლების ვალია, ის მეუღლესთან დააბრუნონ.

როცა ჩემს დას ქმარმა სცემა, ნურა ჩვენთან საჩივლელად მოვიდა და ამით ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენა. თუმცა, მას ბედმა გაუღიმა, ქმარი ჰყავს. მე ხომ ამაზე ვოცნებობ.

მას შემდეგ რაც გავიგე, რომ ერთი კაცი მამაჩემს ჩემი გათხოვების შესახებ ესაუბრა, მოსვენება დავკარგე, ცნობისმოყვარეობა მკლავს.

ვიცი, რომ ჩვენთან სულ ახლოს ერთი ბიჭი ცხოვრობს. მას ხანდახან მაშინ მოვკრავ თვალს, როდესაც ტერასაზე სარეცხს ვფენ. ის მანქანით დადის, კოსტიუმს იცვამს, ხელში ყოველთვის პატარა პორტფელი უჭირავს – ქალაქში უნდა მუშაობდეს და კარგი სამსახური ჰქონდეს, რადგან მუშასავით კი არა, ყოველთვის უზადოდ აცვია. ძალიან მიხდა მისი სახე უფრო ახლოს ვნახო, მაგრამ ოჯახის მეშინია, დამინახავენ, რომ ვუთვალთვალებ. ავადმყოფი ცხვრისთვის საჭირო ბალახის მოსატანად აჩქარებით მივაბიჯებ, თან იმედი მაქვს, ახლოდან თვალის შევლებას შევძლებ. მაგრამ ის ძალზე შორს აჩერებს მანქანას.

რამდენჯერმე დავაკვირდი და უკვე ვიცი, დილით დაახლოებით რომელ საათზე გადის სახლიდან. ამიტომ მანქანით ჩავლილს სულ ერთი წამით თვალი რომ მოვკრა, შვიდ საათზე უკვე ტერასაზე ვარ ხოლმე, ხან სარეცხს ვხსნი, ხან მწიფე ლედვს ვემებ, ხან ხალიჩას ვფერთხავ. ყველაფერი სწრაფად უნდა გავაკეთო, ვინმე რამეს რომ არ მიხვდეს.

კიბეზე ავალ, ოთახებს გავივლი და უკვე ტერასაზე ვარ; ხალიჩას ენერგიულად ვფერთხავ და თან ცემენტის კედლის იქით, ოდნავ მარჯვნივ ვიყურები. შორიდან ვინმემ თვალი რომ მომკრას, ვერც მიხვდება, ქუჩას რომ ვუცქერი.

ზოგჯერ მის შესათვალთვარებად საკმარისი დრო მაქვს. ეს კაცი და მისი მანქანა მიყვარს! ტერასაზე მყოფი ათას რამეს წარმოვიდგენ: მისი ცოლი ვარ და გავცქერი, როგორ ეფარება თვალს მანქანა, მაგრამ ის საღამოს, მზის ჩასვლისას დაბრუნდება.

შინ მოსულს ფეხსაცმელს გავხდი და დაჩოქილი ფეხებს დავბან, როგორც ამას დედაჩემი აკეთებს. ჩაის მოვუმზადებ და ვუყურებ, სახლის ზღურბლთან მეფესავით მოკალათებული, როგორ ეწევა დიდ ჩიბუხს, და ვიქნები ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავს!

შემძლება პარფიუმერიის გამოყენება, სახლიდან მარტო გასვლა და სავაჭრო დუქანში მისვლა, ქმართან ერთად მანქანაში ჩაჯდომა და ქალაქში წასვლაც კი. სახლის ზღურბლზე გადაბიჯებისა და პურის საყიდლად მარტო წასვლის უფლების მოსაპოვებლად, ანუ სულ მცირე თავისუფლების საფასურად, ყველაფერს ავიტან! ამიტომ არასოდეს გავხდები „მარმუტა“ – სხვა მამაკაცებს არასოდეს შევხვდავ; გავაგრძელებ სწრაფად, თავაუღებლად, მაგრამ ნაბიჯების დაუთვლელად სიარულს და სოფელი ჩემზე ცუდს ვერაფერს იტყვის – იმიტომ, რომ უნდა გავთხოვდე.

ამ ტერასიდან დაიწყო ჩემი საზარელი ამბავი. ასაკით უკვე იმაზე დიდი ვიყავი, ვიდრე ჩემი უფროსი და იყო, როცა გათხოვდა. იმედს უიმედობა ცვლიდა.

უკვე თვრამეტის ვიქნებოდი. შესაძლოა მეტისაც, არ ვიცი.

ჩემი მეხსიერება კვამლთან ერთად გაუჩინარდა იმ დღეს, როდესაც სხეულზე ცეცხლი მომედო.

ხსოვნა

პაწაწინა სოფელში დავიბადე. მითხრეს, რომ ის ჯერ იორდანის, შემდეგ ტრანსიორდანის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ახლა კი მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზეა. სკოლაში არასოდეს მივლია, ამიტომ ჩემი ქვეყნის ისტორია არ ვიცი. ისიც მითხრეს, რომ სავარაუდოდ, 1958 ან 1957 წელს დავბადებულვარ, მაშასადამე, ახლა 45 წლის უნდა ვიყო. ოცდახუთი წლის განმავლობაში მხოლოდ არაბულად ვლაპარაკობდი, ჩემს სოფელს უკანასკნელი სახლიდან რამდენიმე კილომეტრზე შორს არასოდეს გავცილებივარ. ვიცოდი, რომ სადღაც ქალაქებია, თუმცა არც ერთი არ მენახა. წარმოდგენა არ მქონდა, დედამიწა მრგვალია თუ ბრტყელი, არც სამყაროს შესახებ გამეგებოდა რაიმე! მარტო ის ვიცოდი, რომ უნდა მძულებოდა ებრაელები, მათ ხომ მიწა წაგვართვეს და ამიტომ მამაჩემი „ღორებს“ ეძახდა. მათთან მიახლოება, გასაუბრება და ხელის მიკარებაც კი სარისკო იყო, ჩვენც „ღორებად“ ვიქცეოდით. დედასთან და დებთან ერთად დღეში ორჯერ ვლოცულობდი, თუმცა ყურანის არსი წლების შემდეგ, ევროპაში ყოფნისას გავიგე. სკოლაში მხოლოდ ჩემი ერთადერთი ძმა, ოჯახის უგვირგვინო მეფე, დაიარებოდა, გოგონები კი – არა. გოგოდ დაბადება ხომ წყველია. ცოლმა ერთი ვაჟიშვილი მაინც უნდა გააჩინოს, თუ მხოლოდ ქალიშვილები ჰყავს, სოფელი დასცინებს. სახლის, მიწისა და საქონლის მოსავლელად ორი-სამი გოგონას ყოლა საკმარისია. თუ მეტი გაჩნდა, ეს უკვე უბედურებაა და მათი სასწრაფოდ თავიდან მოცილებაა საჭირო. ძალიან მალე გავიგე, როგორ იცილებდნენ გოგონებს თავიდან. ასე ვიცხოვრე დაახლოებით ჩვიდმეტი წლის ასაკამდე, სამყაროსი არაფერი გამეგებოდა, რადგან გოგონა ვიყავი და ცხოველზე მეტი ფასი არ მედო.

ასეთი იყო ჩემი, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მცხოვრები არაბი ქალის, ცხოვრების პირველი ნაწილი, რომელიც ოც წელიწადს გაგრძელდა; მერე კი იქვე მოვკვდი, მოვკვდი ფიზიკურად და სულიერად, მოვკვდი სამუდამოდ.

ახალი ცხოვრება ევროპაში, 1970-იანი წლების ბოლოს, საერთაშორისო აეროპორტში დავიწყე... საკაცეზე ჩემი ტანჯული სხეულის ნაფლეთებია. სიკვდილის ისეთი სუნი ამდის, რომ თვითმფრინავის მგზავრებმა ჩამოსვლისას აეროპორტში იჩივლეს. ფარდის უკან ვიყავი დამალული, მაგრამ ჩემი იქ ყოფნა მათთვის მაინც აუტანელი იყო. მეუბნებიან, რომ ვიცოცხლებ, თუმცა ვიცი, მოვკვდები... სიკვდილს ველოდები; ვნატობ კიდევ, რომ ბოლო მომიღოს. ამგვარ ტანჯვასა და დამცირებას სიკვდილი მირჩევნია. ჩემი სხეულიდან აღარაფერი დარჩა, რატომ უნდათ მაცოცხლონ მაშინ, როცა მე აღარც სხეულით, აღარც გონებით არსებობა აღარ მსურს?

ამაზე დღესაც ვფიქრობ. მართლაც, მერჩივნა მოვმკვდარიყავი, ვიდრე ასე გულუბვად შემოთავაზებულ, განახლებულ სიცოცხლეს დავთანხმებოდი. მაგრამ ჩემი გადარჩენა სასწაულია. ამიტომ მსურს იმ ქალების სახელით მოვყვე ყველაფერს, ვისაც ბედმა ეს შესაძლებლობა წაართვა, ვინც დღესაც კვდება ერთი მიზეზით: ის ქალია.

ფრანგული სხვების საუბრის მოსმენით ვისწავლე, ვიმეორებდი იმ წინადადებებს, რომელთა მნიშვნელობას ჟესტებით მიხსნიდნენ: „გტკივა? არ გტკივა? შეჭამ? დალევ? დაიძინებ? გაისეირნებ?“ მეც ჟესტებით ვპასუხობდი: „ჰო“ ან „არა“.

დიდი ხნის შემდეგ გაზეთებში სიტყვების ამოკითხვა დავიწყე, მოთმინებით, ნელ-ნელა. ჯერ განცხადებებს, ნეკროლოგებსა და მოკლე წინადადებებს ვკითხულობდი, სიტყვებს დამარცვლით ვიმეორებდი. ხანდახან მეგონა, რომ ცხოველი ვარ, რომელსაც ადამიანების ენაზე საუბარს ასწავლიან. გონებაში არაბულად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, სად, რომელ ქვეყანაში ვიყავი, რატომ არ მოვკვდი იქ, ჩემს სოფელში. მრცხვენოდა, ჯერ კიდევ ცოცხალი რომ ვიყავი, თუმცა ამას ვერავინ ხვდებოდა. ახალი ცხოვრებისაც მეშინოდა და ესეც არავის ესმოდა.

ეს ყველაფერი მანამდე უნდა მეთქვა, ვიდრე ჩემს ხსოვნაში შემორჩენილი ფრაგმენტების გახსენებას დავიწყებ – მე ხომ ასე ძალიან მინდოდა, ჩემი სიტყვები წიგნად ქცეულიყო.

ბევრი რამ აღარ მახსოვს. ჩემი ცხოვრების პირველი ნაწილი სურათების, სატელევიზიო ფილმის მსგავსი უცნაური და ძალადობით აღსავსე სცენებისგან შედგება. მათი ნამდვილობის აღარ მჯერა, თანმიმდევრობითაც კი მიჭირს დალაგება. განა შეიძლება არ გახსოვდეს საკუთარი დის სახელი? ან ძმის ასაკი დაქორწინებისას? მაგრამ არ დამვიწყებია თხები, ცხვრები, ძროხები, პურის საცხობი ღუმელი, სარეცხის რეცხვა ბაღში; კომპოსტოს, ყაბაყისა და პომიდვრის მოსავლის აღება; ლედვის კრეფა; თავლა და სამზარეულო; საკუჭნაო ხორბლით სავსე ტომრებითა და ქვეწარმავლებით; ტერასა, საიდანაც შეყვარებულს ვუთვალთვალებდი და ხორბლის ყანა, სადაც „ცოდვა“ ჩავიდინე.

ამგვარად, ცუდად მახსოვს ბავშვობა. ხანდახან რომელიმე ფერი ან რაიმე საგანი რაღაცას მაგონებს, ერთმანეთში ირევა გამოსახულება, ადამიანი, ხმები, სახეები.

ხშირად, როცა კითხვას მისვამენ და პასუხი უნდა გავცე, სრული სიცარიელე ისადგურებს თავში. მერე უეცრად სხვა რამ ამოტივტივდება და არც კი ვიცი, რას უნდა დავუკავშირო. მაგრამ ყველა ეს გამოსახულება გონებაში მაქვს აღბეჭდილი და მათ ვერასოდეს დავივიწყებ. საკუთარი სიკვდილის დავიწყება შეუძლებელია.

სუადი მქვია, პალესტინელი ვარ, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მცხოვრები ბავშვი, ჩემს დასთან ერთად ცხვრებსა და თხებს ვმწყემსავ – მამაჩემს ფარა და არვე აქვს. ვირსაც კი არ ამუშავებენ ჩემსავით.

მუშაობა რვა-ცხრა წლისას უნდა დამეწყო, ხოლო პირველი მენსტრუაცია ათი წლისას მქონდა. ჩვენში ითვლება, რომ ამ დროიდან გოგონა უკვე „მომწიფებულია“. მე კი სისხლის მრცხვენოდა, ვცდილობდი, არავის გაეგო ეს ამბავი და დედაჩემსაც კი ვუმალავდი. ჩემს სარუალს მალულად ვრეცხავდი, სიქათქათეს ვუბრუნებდი და მზეზე ისე ვაშრობდი, რომ მამაკაცებს ან რომელიმე მეზობელს არ დაენახა. მაშინ მხოლოდ ორი სარუალი მქონდა. მახსენდება ქაღალდი, რომელსაც იმ წყეულ დღეებში, როდესაც თავს შებილწულად ვგრძნობდი, თავდასაცავად ვიყენებდი. ჩემი უწმინდურობის ნიშანს ყველასგან ფარულად სანაგვეში ვაგდებდი. თუ მუცელი ამტკივდებოდა, დედაჩემი სალბის ფოთლების ნახარშს მასმევდა, თავს მაგრად წამიკრავდა და მეორე დილით აღარაფერი მაწუხებდა. მხოლოდ ეს ერთადერთი წამალი მახსოვს და მას დღესაც ვიყენებ, რადგან მართლაც უებარია.

გათენებისთანავე თავლაში შევდივარ, ვუსტვენ, ცხვრები ჩემ გარშემო რომ შეგროვდნენ, შემდეგ ჩემზე ერთი წლით უფროს დასთან, კაინატთან ერთად მინდორში მივდივარ. გოგონა მარტო არ უნდა გავიდეს, უფროსი და მაინც უნდა ახლდეს. უფროსი უმცროსისთვის ზედამხედველია. კაინატი საყვარელი და ცოტათი მსუქანია, მე კი პატარა და გამხდარი ვარ, ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებთ.

სოფლიდან დაახლოებით თხუთმეტი წუთის სავალზეა მინდორი, სადაც ცხვრებსა და თხებს მივერეკებით. ვიდრე სოფლის უკანასკნელ სახლს გავცდებით, სწრაფად და თავდახრილი მივაბიჯებთ. მინდორში კი უკვე შეგვიძლია ერთმანეთს სისულელეებს მოვუყვებთ და ვიცინოთ კიდევ. თუმცა, არ მახსენდება, რომ ერთმანეთთან დიდხანს გველაპარაკოს. ვჭამდით ყველს, გულს ვიჯერებდით საზამთროთი, თან თვალს არ ვაცილებდით ცხვრებსა და თხებს, რომლებსაც ლედვის ფოთლების თვალის დახამხამებაში განადგურება შეუძლიათ. როცა ცხვრები წრიულად დგებოდნენ დასაძინებლად, ჩვენც ჩრდილში მივწვებოდით, თუმცა შეიძლებოდა ცხოველი მეზობლის მინდორში გადასულიყო და ამისთვის შინ მისულეებს დაგვსჯიდნენ. თუ ბოსტანს ააოხრებდნენ ან თავლაში მათ შეყვანას რამდენიმე წუთით დავაგვიანებდით, ქამრით ცემა არ აგვცდებოდა.

ჩემთვის ჩემი სოფელი ძალიან ლამაზი, ერთიანად ამწვანებულია. ბევრი ხეხილი: ლეღვი, ყურძენი, ასევე ლიმონი და უთვალავი ზეთისხილის ხეა. მთელი სოფლის დამუშავებული ნაკვეთების ნახევარი მამაჩემის საკუთრებაა. ძალიან მდიდარი არ არის, მაგრამ ოჯახში ბევრი რამ გვაქვს. ქვითკირის დიდ სახლს დიდი გალავანი და ასევე დიდი, რუხი რკინის ჭიშკარი აქვს. ეს კარი ჩვენი ტყვეობის სიმბოლოა. შესვლისთანავე იკეტება და ჩვენი გარეთ გასვლა წარმოუდგენელია. მაშასადამე,

გარედან მისულს შესვლა შეგვიძლია, მაგრამ მისი გაღება და გარეთ გასვლა – არა. არ ვიცი, გასაღებით კეტავენ თუ ავტომატურად იკეტება. თუმცა, მახსენდება, რომ მამაჩემსა და დედაჩემს გასვლა შეეძლოთ, ჩვენ კი – არა. ჩემი ძმა კი ქარივით თავისუფალია: კინოში მიდის, როცა მოესურვება, ამ ჭიშკრიდან გადის და უკან ბრუნდება. ხშირად ვუცქერდი ამ დაწყევლილ რკინის ჭიშკარს და ჩემთვის ვამბობდი: „აქედან ვერასოდეს გავაღწევ, ვერასოდეს...“

რაკი გარეთ გასვლის უფლება არ მაქვს, სოფელს კარგად არც კი ვიცნობ. თვალებს ვხუჭავ, ნანახი უკეთ რომ აღვიდგინო და დიდი ძალისხმევის შემდეგ შემიძლია ვთქვა, რა დამამახსოვრდა. ჩემი მშობლების სახლის იქით, ქუჩის იმავე მხარეზე, იმ ხალხის სახლია, მე რომ მდიდრებს ვეძახი. მოპირდაპირე მხარეს ჩემი შეყვარებულის სახლია. გზას გადაჭრი და ზუსტად წინ დგას, ჩვენი ტერასიდან ვხედავ. კიდევ რამდენიმე სახლი მახსენდება, აქა-იქ რომ იდგა, თუმცა რამდენი იყო, ზუსტად აღარ მახსოვს. ისინი გალავნით ან რკინის მესრითაა შემოღობილი და მფლობელებს, ისევე როგორც ჩვენ, ბოსტნები აქვთ გაშენებული. მთლიანად სოფელი არასოდეს დამითვალეირებია. სახლიდან მხოლოდ ბაზარში, მამასთან და დედასთან ერთად წასვლისას ან მინდორში, დასთან ერთად ცხვრების სამწყემსავად გავდივარ.

ჩვიდმეტ თუ თვრამეტ წლამდე სხვა არაფერი მინახავს. სახლის ახლოს სოფლის მაღაზია იყო, თუმცა იქ არასოდეს შევსულვარ. როცა მამაჩემის მსუბუქი სატვირთო ავტომობილით ბაზარში წასული ჩავუვლიდით, ვხედავდი გამყიდველს, რომელიც მაღაზიის კართან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. მაღაზიის წინ ორი კიბეა: ერთ მხარეს მხოლოდ კაცები ადიან სიგარეტის, გაზეთებისა და სასმლის საყიდლად, მეორე მხარეს ხილი და ბოსტნეული იყიდება.

გზის იმავე მხარეს კიდევ ერთი სახლია. იქ გათხოვილი ქალი ცხოვრობს, ოთხი შვილი ჰყავს. მას სახლიდან გასვლის უფლება აქვს, მაღაზიაში შესვლაც შეუძლია და ხშირად ვხედავ, როგორ დგას ბოსტნეულის განყოფილებასთან გამჭვირვალე პარკებით ხელში.

ჩვენი სახლის გარშემო მიწის დიდი ნაკვეთი იყო. აქ მოგვყავდა ყაბაყი, გოგრა, კომბოსტო, პომიდორი და კიდევ სხვა მრავალი სახეობის ბოსტნეული. გვერდით მეზობლის ბოსტანია, დაბალი კედლით გამოყოფილი. ამ კედლის გადალახვა ძნელი არ არის, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ უცდია. ჩაკეტილში ყოფნა ჩვეულებრივ მდგომარეობად მიიჩნევა. არც ერთ გოგონას თავში აზრად არ მოუვა ეს კედელი გადალახოს. და გინდაც მოახერხოს, სად წავა? სოფლის შარაზე მარტოდმარტო მიმავალს მალევე ვინმე დაინახავს, მისი და ოჯახის ღირსება და სახელი კი სამუდამოდ შეიბღალება.

სარეცხს ამ ბოსტანში ვრეცხავდი. კუთხეში ჭა იყო და წყალს დიდ ტაშტში, შეშაზე ვაცხელებდი. შეშას საწყობიდან ვიღებდი, ნაფოტებს მუხლზე გადავიმტვრევდი და ცეცხლს ვაჩაღებდი. წყლის გაცხელებას საკმაოდ დიდი ხანი სჭირდებოდა. ამ დროს სხვა რამეს ვაკეთებდი: ვგვიდი, ვრწყავდი, ან ბოსტანში ვსაქმიანობდი. შემდეგ სარეცხს ხელით ვრეცხავდი და ტერასაზე, მზიან მხარეს ვფენდი.

ჩვენი სახლი თანამედროვედ მოწყობილი და საკმაოდ კომფორტულიც იყო, მაგრამ ტუალეტსა და სამზარეულოში თბილი წყალი არ გვქონდა, გარეთ ვაცხელებდით.

მოგვიანებით მამაჩემმა ცხელი წყალი გაიყვანა, აბაზანა და საშხაპეც მოაწყო. გოგონები დასაბანად ერთ ჭურჭელში გაცხელებულ წყალს ვიყენებდით, მხოლოდ ჩემს ძმასა და მამაჩემს ჰქონდათ უფლება დასაბანად თავ-თავიანთთვის გაეცხელებინათ წყალი.

ღამით დების გვერდით, იატაკზე დაგებულ ცხვრის ტყავზე მეძინა. როცა ძალიან ცხელოდა, მთვარით განათებულ ტერასაზე ვიძინებდით, გოგონები ერთ კუთხეში, ჩემი მშობლები და ძმა – მეორეში.

მუშაობას დილით ადრიანად, 4 საათზე, ვიწყებდით; ხანდახან უფრო ადრეც, მზის ამოსვლისთანავე; ჯერ ჩემი მშობლები დგებოდნენ. ხორბლის ალების დროს ყველა: მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი დები და მე, მინდორში მივდიოდით და საჭმელიც მიგვქონდა. ლელვის კრეფასაც დილაადრიანად ვიწყებდით. ნაყოფს სათითაოდ ვწყვეტდით და ყუთებში ვალაგებდით. მამაჩემს ყუთები ქალაქის ბაზარში მიჰქონდა. იქამდე სახედრით ნახევარი საათის სავალი იყო. ქალაქი ძალიან პატარა იყო, მართლაც ერთი ციცქნა. მისი სახელი არ მახსოვს, თუმცა, ალბათ, არც არასოდეს ვიცოდი. ბაზრის ნახევარი, ქალაქის შესასვლელში, სურსათს ჰქონდა დათმობილი და მოვაჭრეებიც მამაჩემის მიტანილ პროდუქციას ყიდდნენ. ტანსაცმლის საყიდლად მოშორებით მდებარე მოზრდილ ქალაქში ავტობუსით წასვლა იყო საჭირო. მაგრამ იქ გოგონებს არ გვიშვებდნენ. მხოლოდ მშობლები მიდიოდნენ. ეს ყოველთვის ასე იყო: დედაჩემი მამაჩემთან ერთად ყიდულობდა კაბას, რომელიც მოგვწონდა თუ არა, მაინც უნდა ჩაგვეცვა; არც ჩემს დებს, არც მე და არც დედაჩემს დაწუნების უფლება არ გვქონდა. ან ის უნდა ჩაგვეცვა, ან არაფერი.

გვეცვა გრძელი, უსახელო, ბამბისმაგვარი რუხი, ზოგჯერ თეთრი, იშვიათად კი შავი ფერის ქსოვილის კაბები. ეს სქელი ქსოვილი იჩხვლიტებოდა. კაბის საყელო მაღალი, დახურული იყო. ვალდებული ვიყავით მის შიგნით წელიწადის დროის მიხედვით გრძელსახელოებიანი თხელი ან ფლანელის პერანგი გვეტარებინა. ზოგჯერ ისე გვეხელოდა, სული გვეხუთებოდა, მაგრამ გრძელი სახელო სავალდებულო იყო. მკლავის ან წვივის ნაწილის გამოჩენა, ან კიდევ უარესი, პაწაწინა დეკოლტეც კი, ჩვენი სირცხვილი იქნებოდა. ფეხსაცმელი არასოდეს გვცმია, მუდამ ფეხშიშველი დავდიოდით. ფეხსაცმელს ზოგჯერ მხოლოდ გათხოვილი ქალები იცვამენ.

გრძელი და კისრამდე ღილებით შეკრული კაბის გარდა სარუალი მეცვა – ერთგვარი შარვალი, რუხი ან თეთრი ფერის, მის შიგნით კი უზარმაზარი საცვალი, მკერდიდან მუხლამდე რომ მწვდებოდა. ასევე ეცვათ ჩემს დებსაც. დედაჩემი უფრო ხშირად შავ სამოსს ატარებდა. მამაჩემს ეცვა თეთრი სარუალი, გრძელი პერანგი, თავზე კი პალესტინურ თეთრ-წითელ კუფიას ატარებდა.

მამაჩემი! ახლაც თვალწინ მიდგას სახლის წინ, ხის ქვეშ როგორ ზის და იქვე ხელჯოხი უდევს. პატარა ტანის არის, ძალიან თეთრი, ჭორფლიანი სახე, მრგვალი თავი და ბოროტი ცისფერი თვალები აქვს. ერთ დღეს ცხენიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. გოგონებს გვიხაროდა, სწრაფად ვეღარ ირბენდა, ქამრით რომ ვეცემეთ. თუმცა, რომ მომკვდარიყო, უფრო ბედნიერები ვიქნებოდით.

მამაჩემი კარგად მახსოვს. მისი დავიწყება შეუძლებელია, მისი გამოსახულება თითქოს ჩემს ტვინშია აღბეჭდილი. სახლის წინ ისე ზის, როგორც მეფე სასახლეში, თეთრ-წითელი კუფია მელოტ და წითურ თავის ქალას უფარავს, ქამარი უკეთია და მოხრილ ფეხზე ხელჯობი უდევს. კარგად ვხედავ, პატარა და ბოროტი, როგორ იხსნის ქამარს... და ყვირის: „ცხვრები მარტონი რატომ დაბრუნდნენ?“

თმაში მწვდება და სამზარეულოსკენ მიმათრევს, იატაკზე მაგდებს. დაჩოქილს მცემს, ნაწნავს ისე მქაჩავს, თითქოს უნდა კანიანად მომაგლიჯოს, შემდეგ მატყლის საკრეჭი უზარმაზარი მაკრატლით ძირში მჭრის. თმის გარეშე ვრჩები. შემოდლია ვიტრო, ვიყვირო, პატიება ვთხოვო, მაგრამ ეს მხოლოდ ზედმეტ დარტყმას მომიტანს. დავაშავე.

ძალიან ცხელოდა, ჩემს დასა და მე მინდორში ჩაგვეძინა, ვერ შევნიშნეთ, როგორ წამოვიდნენ ცხვრები. ზოგჯერ ხელჯობს ისე გამეტებით გვირტყამდა, რომ ვერც ერთ გვერდზე ვერ ვწვებოდი, ტკივილისგან გადაბრუნებასაც ვერ ვახერხებდი. ყოველდღე გვცემდა, ხელჯობით ან ქამრით. თუ რომელიმე დღე ამის გარეშე ჩაივლიდა, ეს ნამდვილად უჩვეულო რამ იყო. ალბათ, სწორედ ამ დღეს იყო, ორივეს, მე და კაინატს, ხელები ზურგს უკან რომ გაგვიკრა, ფეხები შეგვიკრა და პირში ქსოვილი ჩაგვჩარა, რომ არ გვეყვირა. მთელი ღამე თავლაში, ბაგაზე მიბმულებმა, ცხოველებთან ერთად გავატარეთ. თუმცა, ჩვენ პირუტყვზე უარეს მდგომარეობაში ვიყავით.

ამ სოფელში ეს ჩვეულებრივი ამბავი, მამაკაცების შემოღებული კანონი იყო. სხვა სახლებშიც ცოლებსა და ქალიშვილებს ყოველდღიურად სცემდნენ. ყოველი მხრიდან ყვირილი ისმოდა. ამიტომ, ცემა, თმის შეჭრა, თავლაში ან ბაგაში დაბმა არავის უკვირდა. სხვაგვარად ცხოვრება თუ შეიძლებოდა, ვერც კი წარმოგვედგინა.

მამაჩემი მეფეა, ყოვლისშემძლე მამაკაცი, რომელიც ფლობს, გადაწყვეტილებას იღებს, გვცემს და გვაწამებს. სახლის წინ მჯომი მშვიდად ეწევა თავის ყალიონს, სახლში გამოკეტილ ქალებს კი პირუტყვზე უარესად ეპყრობა. კაცი ცოლს იმიტომ ირთავს, რომ ვაჟიშვილები ჰყავდეს, ხოლო თუ ქალმა მისდა საუბედუროდ, გოგონები გააჩინა, მათთან ერთად მონასავით უნდა ემსახუროს.

ხშირად ვუყურებდი ჩემს ძმას, რომელსაც მთელ ოჯახთან ერთად მეც ვადმერთებდი: „რითი მჯობია? ჩვენ ხომ ერთმა სხეულმა გვშვა...“ პასუხი ამ კითხვაზე არ მქონდა. ასე იყო და ვერაფერს შევცვლიდი. თავდახრილი, უსიტყვოდ უნდა მოვმსახურებოდით მამასა და ძმას.

თვალწინ ჩაის ლანგარი მიდგას. ეს ლანგარიც კი ოჯახის მამაკაცებისთვის მდუმარედ, ფრთხილად და წელში მოხრილს უნდა მიმერთმია. ხმის ამოდების უფლება არ მქონდა. მხოლოდ კითხვაზე უნდა გამეცა პასუხი. ნაშუადღევს ტკბილ ბრინჯს, ასევე ბოსტნეულსა და ქათმის ან ცხვრის ხორცს პურთან ერთად შევექცეოდით. საჭმელი ყოველთვის იყო, ოჯახს არაფერი აკლდა.

ხილი ბევრი გვქონდა. ტერასაზე ყურძენს ვკრეფდი. გვქონდა ფორთოხალი, ბანანი, განსაკუთრებით უხვად კი შავი და მწვანე ლეღვი. არასოდეს დამავიწყდება, დილით ადრე როგორ მივდიოდით მის მოსაკრეფად. ლეღვი ღამიდან

გამოყოლილი სიგრილის გამო ოდნავ გახლეჩილია და პირში თაფლივით, საუკეთესო ტკბილეულის დარად დნება.

ცხვარი ყველაზე მძიმე მოსავლეელია. საჭიროა სამოვარზე წაყვანა, მინდორში მათთვის თვალყურის დევნება, ფარის სახლში მიყვანა, მატყლის კრეჭა, რომელსაც მამაჩემი ბაზარში ყიდის. ცხვარს ფეხებში ვავლებ ხელს, მიწაზე ვაწვენ და ვაბამ. შემდეგ დიდ საკრეჭს ვიღებ. მაკრატელი ჩემთვის მეტისმეტად დიდია და მცირე ხანში ორივე ხელი ტკივილისგან მტეხს.

მიწაზე დამჯდარი ვწველი თხებს. ფეხებით ვაკავებ მათ, რძეს ყველის ამოსაყვანად ვავროვებ. შემთბარ რძეს განელეებას ვაცდით და ვსვამთ, ცხიმინსა და მაწიერს.

ოჯახში საკვებად რაც გვჭირდება, თითქმის ყველაფერი ბოსტანში მოგვყავს. ყველაფერს თავად ვამზადებთ. მამაჩემი მხოლოდ შაქარს, მარილსა და ჩაის ყიდულობს.

დილაობით ჩემი დებისთვის ჩაის ვადუღებ. თეფშზე ცოტაოდენ ზეთისხილის ზეთს ვასხამ და გვერდით ზეთისხილს ვაწყობ. შემდეგ ნალვერდალზე წყალს ვაცხელებ. მწვანე ჩაის გამშრალი ფოთლებით სავსე ქსოვილის ტომარა სამზარეულოს კუთხეში დევს. ტომრიდან ფოთოლს მუჭით ვიღებ, პატარა ჩაიდანში ვყრი, შაქარს ვამატებ და ეზოში გავდივარ მდულარე წყლის შემოსატანად. წყლის ჭურჭელი მეტად მძიმეა, დაწვისაც მეშინია, ფრთხილად შემეძვს სამზარეულოში და პატარა ჩაიდანში ნელა ვასხამ ჩაის ფოთოლსა და შაქარს. შაქარი ძვირი ღირს და ვუფრთხილდებით. რამდენიმე ნამცეცვიც კი მიწაზე რომ დაცვივდეს, მცემენ. ამიტომ, ყურადღებით ვარ. თუ მაინც დამიცვივდა, არ უნდა მოვგავო, სათითაოდ უნდა ავკრიფო და ჩაიდანში ჩავაბრუნო. ჩემი დები სასაუზმოდ გამოდიან, მაგრამ მამაჩემი, დედაჩემი და ჩემი ძმა ჩვენთან ერთად არასოდეს საუზმობენ. თვალწინ მიდგას დილის საუზმე, სამზარეულოს იატაკზე მხოლოდ დებთან ერთად ვხედავ საკუთარ თავს. ვცდილობ დავადგინო, რამდენი წლის ვარ, მაგრამ მიძნელდება. იყო თუ არა ამ დროს უფროსი და, ნურა უკვე გათხოვილი?

მოგონებებს წლების მიხედვით ვერ ვალაგებ, ასე მგონია, ერთი ან ორი წელი საერთოდ წაიშალა ჩემი მეხსიერებიდან. ნურას ქორწილი მეტ-ნაკლებად ცხადად მახსოვს. მაშინ დაახლოებით თხუთმეტი წლის ვიქნებოდი.

შინ ვიყავით მე, ჩემზე ერთი წლით უფროსი და, კაინატი, და ჩემი უმცროსი და, რომლის სახელსაც ვერაფრით ვიხსენებ. პირობითად ჰანანს დავუძახებ. მინდა შემინდოს, ვიცი, რომ ეს მისი ნამდვილი სახელი არ არის. ის უვლიდა ჩვენს ორ მცირეწლოვან ნახევარდას, რომლებიც მამაჩემმა მეორე ცოლის, აიშას მიტოვების შემდეგ შინ მოიყვანა. აიშა ნანახი მყავდა და ეს ქალი სრულებით არ მძულდა. მამაჩემი რომ მეორედ დაქორწინდა, ამაში უჩვეულო არაფერია – მას ვაჟების ყოლა სურდა, მაგრამ აიშამ არ გაუძარტლა და მანაც ორი ქალიშვილი გაუჩინა. კიდევ გოგონები! ამიტომ მამაჩემმა ის მიატოვა და ბავშვები ჩვენთან მოიყვანა. ესეც ჩვეულებრივი ამბავია. ყველაფერი ჩვეულებრივია ამ ცხოვრებაში, ჯოხით ცემაც და სხვა დანარჩენიც. სხვაგვარად არსებობა ვერც კი წარმომედგინა. უფრო სწორად, არაფერიც არ წარმომედგინა. ასე მგონია, არც ოცნება მქონია და არც რაიმეზე

მიფიქრია. არც ერთი სათამაშო არ გვექონდა, არც ერთი თამაში არ ვიცოდით; მხოლოდ უსიტყვოდ გაგება და მორჩილება იყო ჩვენი ხვედრი.

ორი პატარა გოგონა ჩვენთან ცხოვრობდა. დარწმუნებული ვარ, მათ ჰანანი უვლის და ამიტომ მუდამ შინაა. სამწუხაროდ, არც მათი სახელები მახსოვს, ყოველთვის „პატარა დაიკოებად“ მოვიხსენიებ... ჩემი პირველი მოგონებების მიხედვით, ისინი ხუთი-ექვსი წლისანი არიან და ჯერ არ მუშაობენ. მათი მოვლა ჰანანს ევალება და ის სახლიდან იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის დროს გადის, მაგალითად, როცა ბოსტნეულია ასადები.

ჩვენს ოჯახში ბავშვები ყოველ წელს ჩნდებოდნენ. დედაჩემი თოთხმეტი წლისა გათხოვდა, მამაჩემი მასზე ბევრად უფროსი იყო. დედაჩემს ბევრი შვილი ჰყავდა, საერთო ჯამში – თოთხმეტი. მათგან ხუთნი დავრჩით. დიდხანს ვერც კი ვხვდებოდი, რას ნიშნავდა თოთხმეტი შვილი... ერთ დღეს დედაჩემის მამა ამაზე საუბრობდა, როცა მისთვის ჩაის ვაწყობდი. თითქოს ახლაც ჩამესმის მისი ნათქვამი: „საბედნიეროდ, ახალგაზრდა გათხოვდი და თოთხმეტი შვილის გაჩენა შეძელი... ერთი ვაჟი მაინც რომ გყავს, კარგია!“

სკოლაში არ მივლია, მაგრამ ცხვრების დათვლა არასოდეს შემშლია. ხელის თითების დახმარებით დავთვალე, რომ დედაჩემმა მხოლოდ ხუთი გაგვაჩინა: ნურა, კაინატი, მე – სუადი, ასადი და ჰანანი. დანარჩენები სადღა იყვნენ? დედაჩემს არასოდეს უთქვამს, რომ ისინი დაიღუპნენ, ჩვეულებრივ, ის ამბობდა: „თოთხმეტი შვილი მყავდა, ცოცხალი შვიდი დამრჩა“. ამ შვიდში ჩვენი ნახევარდებიც ითვლებოდნენ, ჩვენ მათ „დებს“ ვუწოდებდით... მართლაც შვიდნი ვიყავით... მაშ, კიდევ შვიდი გვაკლდა? თუ უმცროს დებს არ ჩავთვლით, სულაც ცხრა?

თუმცა, ერთ დღეს გავიგე, რატომ ვიყავით ოჯახში მხოლოდ შვიდნი, ან ხუთნი...

არ ვიცი, მაშინ რამდენი წლის ვიყავი, სავარაუდოდ, ათზე ნაკლების. ჩემთან ერთად იყო უფროსი და, ნურა. ბევრი რამ დამავიწყდა, მაგრამ არა ის, რაც ჩემი თვალით, შიშისგან დაზაფრულმა დავინახე. მაშინ ვერც კი მივხვდი, რომ ეს დანაშაული იყო.

თვალწინ მიდგას მიწაზე დაფენილ ცხვრის ტყავზე მწოლიარე დედაჩემი. ის მშობიარობს. მის გვერდით, ბალიშზე დედაჩემი, სალიმა ზის. დედაჩემისა და ახალშობილის ყვირილის ხმა მესმის. მერე დედაჩემი ბავშვს ტყავში ახვევს და მას ახრჩობს. ის დაჩოქილია. ვხედავ, როგორ სხმარტალებს ბავშვი, შემდეგ – აღარაფერი. არ ვიცი, მერე რა მოხდა, მაგრამ პატარა აღარ არის. საზარელმა შიშმა გამაოგნა.

მამასადამე, ის გოგონა იყო და დედაჩემმა დაბადებისთანავე დაახრჩო. მაშინ ეს პირველად ვნახე, შემდეგ კიდევ ერთხელ შევესწარი. არ ვარ დარწმუნებული, რომ მესამეც ვნახე, მაგრამ ამის შესახებ ნათქვამს ყური მოვკარი. ისიც გავიგონე, როგორ უთხრა ნურამ დედაჩემს: „გოგო თუ გამიჩნდა, ისევე მოვიქცევი, როგორც შენ...“

ესე იგი დედაჩემმა ასე მოიშორა თავიდან დანარჩენი ხუთი თუ შვიდი გოგონა, რომლებიც ჰანანის, ბოლო ცოცხლად დარჩენილი შვილის შემდეგ ეყოლა. ეს ჩვეულებრივი, საყოველთაოდ მიღებული რამ იყო და პრობლემას არავის უქმნიდა,

მათ შორის – არც მე. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი მაშინ, თუმცა თავიდან ძალიან შევშინდი.

ის პატარა გოგონები, რომლებსაც დედაჩემი ხოცავდა, ცოტათი ჩემი ნაწილი გახდნენ. ყოველთვის, როცა მამაჩემი ცხვარს ან ქათამს კლავდა, მალულად ვტიროდი, რადგან სიცოცხლის დაკარგვის მეშინოდა. ცხოველისა თუ ჩვილის სიკვდილი, ჩემი მშობლებისთვის ასეთი მარტივი და ჩვეულებრივი რამ, ჩემში გადაულახავ შიშს აღძრავდა: ერთხელაც ასე უბრალოდ და სწრაფად მეც სიცოცხლეს გამომასალმებდნენ. ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ერთ დღესაც ჩემი, ან ჩემი რომელიმე დის ჯერი დადგება. მაშინ შეუძლიათ მოგვკლან, როცა მოესურვებათ; მათ გაგვაჩინეს და ჩვენი მოკვლის უფლებაც აქვთ“.

როცა სოფელში, მშობლების სახლში ცხოვრობ, სიკვდილის შიში მუდამ თან გდევს. თუ მამაჩემი სადმე ახლოსაა, კიბეზე ასვლის მეშინია. მეშინია ნაჯახის, მეშინია ჭის, როცა წყლის მოსატანად გავდივარ. მეშინია მაშინაც, როცა მამაჩემი თავლაში ცხვრების დაბრუნებას ჩვენთან ერთად უთვალთვალეს. მაშინებს კარის ჭრიალი ღამით; ხანდახან მგონია, ცხვრის ტყავი, საბნად რომ მახურავს, სადაცაა გამგუდავს.

ზოგჯერ, როცა ცხოველებთან ერთად მინდვრიდან ვბრუნდებით, მე და კაინატი ამის შესახებ ცოტას ვსაუბრობთ: „სახლში დაბრუნებულებს ყველა მკვდარი რომ დაგვხვდეს? მამამ რომ დედა მოკლას? ამისთვის ქვის ერთი მოქნევაც საკმარისია! მაშინ რა გვეშველება?“

– მე ყოველთვის მეშინია, როცა ჭიდან წყალია მოსატანი, იმიტომ, რომ ჭა ძალიან ღრმაა. შიგ რომ ვინმემ ჩამაგდოს, ვერავინ გაიგებს ჩემს ადგილსამყოფელს! მის ფსკერზე ისე ამომხდება სული, ძებნასაც არავინ დამიწყებს.“

ყველაზე მეტად ამ ჭის მეშინოდა. ვგრძნობდი, რომ ჭის დედაჩემსაც ეშინოდა. მინდვრიდან თხებსა და ცხვრებს შინ რომ მივერეკებოდი, თავს ვარიდებდი ხრამებს, ასე მეგონა სადმე მამაჩემი იყო ჩასაფრებული, ელოდებოდა როდის ჩავივლიდი, რომ თავს დამხმობდა. ეს მისთვის იოლი იქნებოდა, მე კი მკვდარი ვეგდებოდი სადმე, გზის პირას. შეეძლო რამდენიმე ქვა ესროლა, მომხვდებოდა და გზაშივე გარდავიცვლებოდი.

მაგრამ რომელიმე დის სიკვდილზე მეტად დედაჩვენის შესაძლო სიკვდილი გვაშინებდა. თუ ერთი და მოკვდებოდა, სხვები ხომ იყვნენ... დედასაც ისევე ხშირად სცემდა, როგორც ჩვენ. ზოგჯერ, როცა მამაჩვენი ძალიან გვცემდა და დედა ჩვენს დაცვას ცდილობდა, ახლა მას მივარდებოდა, იატაკზე დააგდებდა და თმით ათრევდა... ჩვენს ცხოვრებაში ყოველდღე სიკვდილი იყო ჩასაფრებული. შეიძლებოდა უეცრად, გაუფრთხილებლად გვწვეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე გადაწყვიტა მამაჩვენმა, ისევე, როგორც დედაჩემი წყვეტდა ახალშობილი გოგონების ბედს.

ის ფეხმძიმედ იყო, შემდეგ – აღარ, და არავინ სვამდა შეკითხვას. სოფლის სხვა გოგონებთან ურთიერთობა არ გვქონდა. დილა-საღამოს მხოლოდ ვესალმებოდით ერთმანეთს. ერთად მარტო ქორწილებზე ვიყრიდით თავს, მაშინაც სასაუბრო თემები ჩვეულებრივი იყო: საკვები, კომენტარები პატარძლის ან სხვა, ლამაზად ან

მახინჯად მიჩნეული გოგონების შესახებ... ვსაუბრობდით იმ ქალზეც, რომელსაც ბედმა გაუღიმა, რადგან პარფიუმერიის გამოყენების უფლება ჰქონდა.

„შეხედე, აი იმას წარბები ამოქნილი აქვს...

– ამ ქალს ლამაზი ვარცხნილობა აქვს.

– ოჰ, შეხედეთ, ფეხსაცმელი აცვია!“

ამას სოფლის ყველაზე მდიდარი გოგონას შესახებ ვამბობდით. ის მოქარგულ ქოშებს ატარებდა. ჩვენ ფეხშიშველი დავდიოდით, მინდორშიც კი, გზად ხშირად ვჩერდებოდით და, მიწაზე ჩამომსხდარნი, ეკლებს ვიცილებდით. ფეხსაცმელი არც დედაჩემს ჰქონდა, ჩემი და ნურა ქორწილში ფეხშიშველი იყო. ეს იყო ის ორი-სამი უმნიშვნელო წინადადება, რომელსაც ერთმანეთს ქორწილში ვეუბნებოდით. მე სულ ორ თუ სამ ქორწილს დავესწარი.

ცემის გამო დაწუწუნება წარმოუდგენელი იყო, რადგან ყველას სცემდნენ. არც ცოცხალი ან მკვდარი ახალშობილი აინტერესებდა ვინმეს, თუ ის ბიჭი არ იყო. თუ ვაჟი გაჩნდებოდა, მაშინ დედას და მის ოჯახს ხოტბას ასხამდნენ. თუ ვაჟი მკვდარი იბადებოდა, ოჯახის წყევლის გამო მოთქვამდნენ. სათვალავში მარტო ვაჟებს იღებდნენ, გოგონები არავის აინტერესებდა.

არ ვიცი, სად ქრებოდნენ დედაჩემის მიერ დამხრჩვალნი ჩვილები. სადმე მარხავდნენ? თუ მათ სხეულებს ძაღლებს უგდებდნენ შესაჭმელად?.. დედაჩემი და მამაჩემი შავებში გამოეწყობოდნენ. ყოველი გოგონას დაბადება ოჯახში გლოვის ტოლფასი იყო. თუ დედა გოგონებს აჩენს, ეს მხოლოდ მისი ბრალია – ასე ფიქრობდა მამაჩემი და მთელი სოფელიც.

აქ მამაკაცებისთვის არჩევანი რომ შეეთავაზებინათ, ქალიშვილის დაბადება თუ ძროხა, ისინი ძროხას აირჩევდნენ. მამაჩემს არაერთხელ უთქვამს, რომ ჩვენ სრულიად უსარგებლონი ვიყავით: „ძროხა რძეს იძლევა, მას ხბოები ჰყავს. რისთვის ვიყენებთ რძესა და ხბოს? ვყიდით და ოჯახში ფული შემოდის, ესე იგი, ძროხას ოჯახისთვის სარგებლობა მოაქვს. ქალიშვილი? მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა ოჯახისთვის? არავითარი. ახლა ცხვარი ავიღოთ. რას გვამღვეს ცხვარი? მატყლს. მატყლს ვყიდით და ოჯახში ფული შემოდის. ცხვარი იზრდება, ბატკნები ჰყავს, რძეს იძლევა და ყველი ამოგვყავს, ამ ყველაფერს ვყიდით და ოჯახში ისევ ფული შემოდის. ძროხა და ცხვარი ქალიშვილზე ბევრად უკეთესია“.

ასე ვფიქრობდით ჩვენც, გოგონები. ამას გარდა, ძროხას, ცხვარსა და თხას ჩვენზე უკეთ ეპყრობოდნენ – მათ არასოდეს სცემდნენ!

დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ქალიშვილი მამისთვის პრობლემაა, მას სულ ეშინია, რომ ქალიშვილს ვერ გაათხოვებს. თუ გათხოვდა, ქმარი ცუდად მოექცა და ამიტომ მამის ოჯახში დაბრუნდა, ეს სამუდამო სირცხვილი და სახელის გატეხაა. თუ ჯერ გათხოვილი არ არის, ეშინია, შინაბერა არ დარჩეს, სოფელი არ აალაპარაკოს, რაც ოჯახისთვის მძიმე გადასატანია. თუ შინაბერას სოფლის გზაზე მშობლებთან ერთად ხედავენ, მას ყველა დასცინის. თუ ქალიშვილი ოც წელზე მეტი ხნისაა და ისევ დედ-მამასთან ცხოვრობს, ეს ნორმალური მოვლენა არაა. ყველა ემორჩილება დადგენილ წესს: ჯერ უფროსი და თხოვდება, შემდეგ

დანარჩენი დები, ასაკის მიხედვით. მაგრამ თუ უფროსი და ოც წლამდე არ გათხოვდა, მაშინ დანარჩენებს ყურადღებასაც აღარავინ მიაქცევს. არ ვიცი, ასევე ხდებოდა თუ არა ჩემი ქვეყნის სხვა ქალაქებში, მაგრამ ასე იყო ჩემს სოფელში.

როდესაც სოფლიდან გავუჩინარდი, დედაჩემი ორმოციოდე წლის იქნებოდა. მან თორმეტი თუ თოთხმეტი ბავშვი გააჩინა. ცოცხალი ხუთი თუ შვიდი შვილი დარჩა. დანარჩენები თავადვე დაახრჩო? ამას რა მნიშვნელობა აქვს, ეს ყველაფერი „ჩვეულებრივი“ ამბავი იყო.

ჰანანი?

ჩვენს, ცოცხლად გადარჩენილი და დამორჩილებული გოგონების, ცხოვრებას სიკვდილის შიში და დაკეტილი რკინის ჭიშკარი განსაზღვრავდა. ჩემი ძმა ასადი სკოლაში ზურგჩანთით მიდიოდა; ჩემი ძმა ასადი ცხენზე ამხედრებული სეირნობდა; ჩემი ძმა ასადი ჩვენთან ერთად არასოდეს სადილობდა. ის ისე იზრდებოდა, როგორც უნდა იზრდებოდეს მამაკაცი, თავისუფალი და ამაყი. მას უფლისწულივით უნდა ემსახურებოდნენ შინ მყოფი გოგონები. მეც უფლისწულივით ვაღმერთებდი. პატარა როცა იყო, დასაბანად წყალს ვუცხელებდი, თავს ვბანდი და ისე ვეველებოდი, როგორც ფასდაუდებელ საგანძურს. არაფერი ვიცოდი სახლის გარეთ მისი ცხოვრების შესახებ, არც ის, რას ასწავლიდნენ სკოლაში, ან რას ნახულობდა და რას აკეთებდა ქალაქში. ველოდებოდით, როდის გახდებოდა დასაქორწინებელი ასაკის: ქორწინება, ბიჭის დაბადებასთან ერთად, ერთადერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ოჯახის ცხოვრებაში!

ასადი ლამაზი იყო. პატარაობისას ერთმანეთისთვის ისეთი ახლობლები ვიყავით, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო ჩემი ოჯახის პირობებში. ერთწლიანი ასაკობრივი სხვაობა, ის რომ მასზე უფროსი ვიყავი, რაღაც ხნის განმავლობაში მის გვერდით ყოფნის შესაძლებლობას მამლევდა. არ მახსოვს, ევროპელი ბავშვებივით ოდესმე ერთად გვეთამაშოს. თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლის ასაკში ის უკვე მამაკაცი იყო და ისიც ხელიდან გამისხლტა. ვფიქრობ, ძალიან ახალგაზრდა დაქორწინდა, დაახლოებით ჩვიდმეტის იქნებოდა. მოძალადე გახდა. მამაჩემს ის სძულდა. მიზეზი არ ვიცი... შეიძლება ვაჟიშვილი მას ძალიან ჰგავდა. ვფიქრობ, ეშინოდა, ვაჟი მისი ძალაუფლების მოწილე არ გამხდარიყო. არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს მრისხანება მათ ურთიერთობაში, მაგრამ ერთ დღეს დავინახე, როგორ დაცალა მამაჩემმა კალათა, შემდეგ ქვებით აავსო, ტერასაზე ავიდა და ასადის თავზე დააპირქვავა, თითქოს მისი მოკვლა სურდა.

ცოლის მოყვანის შემდეგ ასადი ჩვენი სახლის მეორე ნახევარში გადავიდა. მამაჩემი რომ არ შესულიყო მის ნახევარზე, შემაერთებელი კარი კარადით ჩახერგა. მალევე მივხვდი, რომ ჩემი სოფლის მამაკაცებში ძალადობა უხსოვარი დროიდანაა შემორჩენილი. მამა მას ვაჟიშვილს გადასცემს, ის კიდევ თავის ვაჟს და ასე დაუსრულებლად.

უკვე ოცდახუთი წელია, ჩემი ოჯახის წევრებს არ შევხვედრივარ, მაგრამ შემთხვევით, ჩემი ძმის ნახვის საშუალება რომ მომეცეს, მას მხოლოდ ერთ კითხვას დავუსვამდი: „სად გაქრა ჩემი და, რომელსაც მე ჰანანს ვეძახი?“

ჰანანი... მახსოვს, შავგვრემანი იყო; ლამაზი, ჩემზე ბევრად ლამაზი, გრძელი თმითა და ფიზიკურად უფრო მომწიფებული. მახსენდება, რომ კაინატი საყვარელი, ალერსიანი და ცოტათი მსუქანი იყო, ჰანანს კი განსხვავებული ხასიათი ჰქონდა, უფრო უკმეხი იყო, ჩვენზე გაცილებით დაუმორჩილებელი. მისი ძალიან სქელი წარბები ერთმანეთს უერთდებოდა. მსუქანი არ იყო, მაგრამ ჩანდა, რომ მოგვიანებით შეიძლებოდა გასუქებულიყო. ჩემსავით გამხდარი გოგონა არ იყო. როდესაც ზეთისხილის საკრეფად მოდიოდა, ნელა მუშაობდა, ზანტად გადაადგილდებოდა. ამას ოჯახში არ ვიყავით შეჩვეულნი: ყველა სწრაფად დავდიოდით, სწრაფად ვმუშაობდით, სწრაფად დავრბოდით, სირბილით მიგვყავდა და მოგვყავდა საქონელი. საკმარისად აქტიური არასოდეს ყოფილა, სულ ფიქრებში იყო და არასოდეს უგდებდა ყურს, რას ეუბნებოდნენ. ზეთისხილის კრეფისას, როცა მე კალათა უკვე სავსე მქონდა და მისი სიმძიმისგან ხელები მტკიოდა, მას ჯერ კალათის ძირიც კი არ ჰქონდა დაფარული. ამიტომ ვბრუნდებოდი და ვეხმარებოდი. ასე რომ გაეგრძელებინა, ცემას ვერ ასცდებოდა.

ვხედავ, როგორ ვდგავართ მწკრივში და ზეთისხილს ვკრეფთ. წელში მოხრილები ნელ-ნელა მივიწევთ წინ. სწრაფად უნდა ვკრიფოთ. ავსებულ მუქს კალათში ვყრით და მომდევნო ტოტის ჩამოკრეფას ვიწყებთ. სავსე კალათებს ტილოს დიდ ტომრებში ვცვლით. ყოველთვის, როცა ჩემს ადგილს ვუბრუნდები, ვხედავ ჰანანს – ის მუდამ მწკრივის ბოლოსაა, ზანტად და ნელა მუშაობს.

ის მართლაც ყველასგან განსხვავებული იყო და არ მახსენდება, მასთან მესაუბროს, მისთვის დახმარება გამეწიოს, თუ არ ჩავთვლით ზეთისხილის კრეფას. მაშინაც კი არ ვლაპარაკობდით, როცა ერთმანეთს თმას ვუწნავდით. არასოდეს უმუშავია ჩვენთან ერთად თავლაში, არც ძროხა მოუწველია და არც ცხვარი გაუკრეკია... უფრო სამზარეულოში იყო, დედას ეხმარებოდა. იქნებ ამიტომაც სრულიად ამომივარდა მისი სახე მეხსიერებიდან. თუმცა, დაუსრულებლად, რამდენჯერმე ვითვლიდი სახელებს ასაკის მიხედვით: ნურა, კაინატი, სუადი, ასადი და ...? ჩემი მეოთხე და აღარ არსებობდა, მისი სახელიც კი დამავიწყდა. ზოგჯერ ისიც კი მერეოდა, ვინ ვის შემდეგ დაიბადა. არასოდეს მიჭოჭმანია ნურასა და ასადის შესახებ, მაგრამ მე და კაინატი? ხშირად ეჭვი მიპყრობდა, კაინატი იყო უფროსი თუ მე. რაც შეეხება მას, ვისაც ჰანანს ვეძახი, ყველაზე უარესი ის არის, რომ წლების განმავლობაში მისი გაქრობის შესახებ კითხვაც კი არ გამჩენია.

მისი არსებობა „დამავიწყდა“, თანაც ისე საფუძვლიანად, თითქოს რკინის ჭიშკარი მიიხურა და ჩემი და, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი ისედაც დაბინდული ხსოვნისთვის სრულიად მიეფარა თვალს.

მაგრამ ერთხელაც ერთმა გამოსახულებამ ჩემს გონებაში საზარელი მოგონება გამოაღვიძა. ქალთა ერთ-ერთ შეკრებაზე ვიღაცამ იატაკზე მწოლიარე, ტელეფონის სადენით გაგუდული გოგონას სურათი მაჩვენა. თითქოს მსგავსი რამ სადღაც უკვე მენახა. ამ ფოტომ თავგზა ამიბნია, არა მხოლოდ იმ საბრალო გარდაცვლილი გოგონას გამო, თითქოს ნისლში ისეთი რამის „გარჩევას“ ვცდილობდი, მეც რომ მეხებოდა. და მართლაც, მეორე დღით ჩემმა ხსოვნამ ხელის ერთი დაკვრით გამოიღვიძა! იქ ვიყავი! მე ის დავინახე! კარგად ვიცოდი, როდის გაქრა ჩემი და ჰანანი!

მას შემდეგ თავში ეს ახალი კომმარი მიტრიალებს და ასე ვცხოვრობ. ეს ავადმყოფობასავითაა. ყოველი ზუსტი მოგონება, ყველაფერი, რაც გადამიტანია და მოულოდნელად მახსენდება, ავად მხდის. მინდოდა ეს საზარელი მოგონებები სამუდამოდ დამევიწყებინა, მთელი ოცი წელი ქვეცნობიერად ამას კიდევ ვახერხებდი. მაგრამ ჩემს ქვეყანაში გოგონასა და ქალის ცხოვრება რომ აღვწერო, საკუთარ თავში ღრმად უნდა ჩავიძირო, ისე, თითქოს იმ ჭაში ვეშვები, ბავშვობისას ძრწოლას რომ მგვრიდა. ჩემი წარსულის ყველა ეს ნაგლეჯი, რომელიც ზედაპირზე ამოდის, ისეთი საზარელია, რომ დაჯერება მიჭირს. ხშირად ჩემს თავს ხმამაღლა ვეკითხები: „ნუთუ ეს ყველაფერი მე გადამხდა?“

მე ვარსებობ, მე შევძელი ეს ყველაფერი გადამეტანა. სხვა ქალებმაც გამოიარეს და ცოცხლობენ მთელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ყველაფრის დავიწყება მსურდა, მაგრამ ცოცხლად გადარჩენილები მეტისმეტად ცოტანი ვართ, ვისაც შეგვიძლია ვისაუბროთ და ვალდებულნი ვართ, ყველას ვუამბოთ გადატანილი კომმარის შესახებ.

შინ ვარ და ყვირილი მესმის, შემდეგ ჩემს დას ვხედავ, იატაკზე ზის, ხელებს იქნევს და თავზე ჩემი ძმა, ასადი ადგას. ასადი მას ტელეფონის სადენით ახრჩობს. ისე კარგად მახსოვს ეს, თითქოს გუშინ მოხდა. კედელზე ვარ აკრული, მიწა კედელი გაიხსნას, შიგ შევიდე, რომ გავქრე. ჩემ უკან ორი პატარა და დგას, მათი დაცვა მსურს, მათთვის თმაში მიკიდია ხელი, რომ არ გაინძრნენ. ასადი გვხედავს, ან ჩვენი ფეხის ხმა ესმის და ღრიალებს: „ლოუპი! ლოუპი! გაეთრიე! გაეთრიე!“

ზემო სართულზე ამავე კიბეზე ავრბივარ, გოგონებსაც მივათრევ. ერთი ისეა შემინებული, წაიქცა და მუხლი გადაიტყავა, მაგრამ ვაიძულე, გამომყვეს. მთელი სხეულით ვკანკალებ. ოთახში ვიკეტებით და პატარას ვაწყნარებ. ვცდილობ, მუხლი დავუამო. სამივენი დიდხანს ვსხედვართ ამ ოთახში, ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავთ. ამ საზარელი სცენის დანახვის შემდეგ მხოლოდ ერთი რამ შემიძლია – ჩუმად ვიჯდე.

ჩემმა ძმამ ჩემი და დაახრჩო... ალბათ, ტელეფონზე საუბრისას უკნიდან მიეპარა... ის მკვდარია, დარწმუნებული ვარ, რომ მკვდარია.

იმ დღეს ჰანანს თეთრი შარვალი და გრძელი, მუხლებამდე დაშვებული პერანგი ეცვა. ფეხშიშველი იყო. მახსოვს, მისი ფეხების მოძრაობა, როგორ გაართყა ჩემს ძმას სახეში, როცა ის ღრიალებდა: „გაეთრიე!“

როგორც მახსოვს, შავი ტელეფონი იყო. მისაღებ ოთახში იატაკზე იდო და გრძელი სადენი ჰქონდა. ჰანანი ვიღაცას ურეკავდა, მაგრამ არ ვიცი ვის ან რა მიზეზით. აღარ მახსოვს, იქამდე რას ვაკეთებდი, ან ჰანანი რას აკეთებდა, მაგრამ მის ქმედებაში არაფერი უნდა ყოფილიყო ისეთი, რაც ჩემი ძმის საქციელს გაამართლებდა. ვერ ვხვდები, რა მოხდა.

პატარებთან ერთად ოთახში დედაჩემის დაბრუნებამდე დავრჩი. ის და მამაჩემი შინ არ იყვნენ. სახლში მარტო ასადი და ჩვენ ვიყავით. სულ ვფიქრობ, სხვა რატომ არავინ იყო, რატომ დავრჩით მხოლოდ ასადი და ჩვენ. შემდეგ მოგონებები ერთმანეთს გადაეხება.

იმ დღეს ჩემი მშობლები ასადის ცოლთან წავიდნენ, მისი მშობლების სახლში რომ იმყოფებოდა, რადგან ფეხმძიმე ცოლი ასადმა სასტიკად სცემა. ამიტომაც იყო ასადი შინ ჩვენთან ერთად. და მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენილი სხვა მამაკაცებივით, გაცოფებული იქნებოდა. ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდი, რაც მოხდა, ოჯახურ თათბირზე, კონფლიქტის დროს, გოგონას არ ასწრებენ. ეს მას არ ეხება. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემს რძალს მუცელი მოეშალა და მისი მშობლები ჩემს ძმას ადანაშაულებდნენ. მაგრამ იმ დღეს ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებული არ იყო. რა ესაქმებოდა ჰანანს ტელეფონთან? მას იშვიათად ვიყენებდით. მე მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ ვესაუბრე ტელეფონით ჩემს უფროს დას, დეიდაჩემს ან ჩემი ძმის ცოლს. თუ ჰანანი ვინმეს ურეკავდა, ის აუცილებლად ოჯახის წევრი იქნებოდა.

როდის გაჩნდა სახლში ტელეფონი? იმ დროს სოფელში ცოტას თუ ჰქონდა... მამაჩემმა სახლის გათანამედროვეება გადაწყვიტა, სააბაზანო გააკეთებინა და ცხელი წყალი შემოაყვანინა, ალბათ, ტელეფონიც მაშინ დადგეს...

ვიცი, რომ, როცა ჩემი მშობლები დაბრუნდნენ, დედაჩემი ასადს ელაპარაკა. მას მტირალს ვხედავდი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეს მოჩვენებითი ტირილი იყო. უკვე კარგად მესმის, როგორ წყდება ასეთი ამბები ჩემს ქვეყანაში. ვიცი, რატომ და როგორ კლავენ გოგონებს. ეს ოჯახის შეკრებაზე წყდება და დათქმულ დღეს მშობლები შინიდან მიდიან. სახლში მხოლოდ ის რჩება, ვისაც გოგონას მოკვლა დაავალეს.

დედაჩემს გულით არ უტირია. არ ტიროდა! ეს თვალთმაქცობა იყო. შესანიშნავად იცოდა, ჩემმა ძმამ და რომ დაახრჩო. მაშ, რატომ წავიდნენ სახლიდან ის, მამაჩემი და ჩემი უფროსი და, ნურა? რატომ დაგვტოვეს შინ ასადთან ერთად? მხოლოდ ის არ ვიცი, რისთვის მოკლეს ჰანანი. მან, ალბათ, რაღაც ცოდვა ჩაიდინა, თუმცა არ ვიცი, რა. შინიდან მარტო გავიდა? მამაკაცს დაელაპარაკა? მეზობელმა დააბეზლა? სულ მცირე მიზეზია საკმარისი იმისთვის, რომ გოგონას მეძავი უწოდონ და ოჯახი შერცხვენილი დარჩეს. მან თავისი სიკვდილით უნდა ჩამორეცხოს ეს ლაქა არა მხოლოდ მშობლებსა და ძმებს, არამედ მთელ სოფელსაც!

ჩემი და ასაკით ჩემზე უმცროსი იყო, თუმცა ბევრად უფრო დაკვირვებული. როგორც ჩანს, გაუფრთხილებლად მოიქცა. არაფერი ვიცოდი ამის შესახებ, რადგან გოგონები ერთმანეთს არაფერს უზიარებენ. დებიც კი ისეთი დაშინებული არიან, ერთმანეთს არც კი ესაუბრებიან. ეს კარგად ვიცი, მეც ხომ არასოდეს ვიღებდი ხმას...

ჩემი ძმა ძალიან მიყვარდა. ყველას გვიყვარდა, რადგან ოჯახის ერთადერთი ვაჟი იყო, ერთადერთი მფარველი, მამაჩემის შემცვლელი. მამის გარდაცვალების შემდეგ მას უნდა ემართა ოჯახი, ისიც თუ მოკვდებოდა და მხოლოდ ქალები დარჩებოდნენ, ის ოჯახი დაქცეული იყო. აღარც ცხვრები იქნებოდა, აღარც მიწები, არც აღარაფერი. ერთადერთი ძმის დაკარგვა ყველაზე საზარელი რამ არის. როგორ უნდა იცხოვრო მამაკაცის გარეშე? კაცი ადგენს კანონს და გვიცავს, ძმა იკავებს მამის ადგილს და ათხოვებს დებს.

ასადი მამაჩემივით მოძალადე იყო. ის მკვლელია, თუმცა ჩემს ქვეყანაში ამ სიტყვას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ საქმე ქალის მოკვლას ეხება. ძმა,

სიმე, ბიძა, ნებისმიერი სხვა მამაკაცი ნათესავი ვალდებულია, ოჯახის ღირსება დაიცვას. თუ მამა ან დედა ვაჟიშვილს ეუბნება: „შენმა დამ შესცოდა, ის უნდა მოკლა...“ ისიც ამას ჩაიდენს ოჯახის ღირსების დასაცავად, რადგან ასეთია წესი.

ასადს ჩვენ, დები, ვაღმერთებდით. ერთხელ ცხენიდან გადმოვარდა – მას ძალიან უყვარდა ცხენით ჯირითი. ცხენს ფეხი დაუცდა და ის გადმოვარდა. კარგად მახსოვს, როგორ ვტიროდით! მწუხარებისგან კაბა შემოვიხიე და თმა დავიგლიჯე.

საბედნიეროდ, მძიმედ არ დაშავებულა, ვუმკურნალეთ და მალე გამოჯანმრთელდა. მაგრამ როცა მამაჩემმა მოიტება ფეხი, ისეთი ბედნიერები ვიყავით, სიხარულისგან ცეკვა გვინდოდა. დღემდე ვერ ვაცნობიერებ, რომ ასადი მკვლეელია. ჩემი დამხრჩვალის და თვალწინ მიდგას და ეს კომმარია. მაგრამ მაშინ მასზე არ გავბრაზებულვარ. რაც მან ჩაიდინა, ოჯახის დავალება იყო და ამგვარად მოქცევა ევალებოდა. მე ის ისევ მიყვარდა.

არ ვიცი, ჰანანის სხეულს რა უყვეს. ყოველ შემთხვევაში, ის სახლიდან გაქრა. მეც დავივიწყე. კარგად არც კი მესმის, რატომ. იმ დროს ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამდევნი შიში, ჩვეულება და კანონი უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მსგავსი ქმედებები „ჩვეულებრივ ამბად“ მიგვეჩნია. მხოლოდ დასავლეთში, სხვა კანონების მქონე ქვეყნებშია ეს დანაშაული. მეც უნდა მოვმკვდარიყავი და ჩემი სასწაულებრივი გადარჩენა მეც კი დიდი ხნის განმავლობაში მაცბუნებდა. ახლა ვხვდები, შოკი გადავიტანე, რომელმაც სრულიად გადამავიწყა წარსულის ზოგიერთი მოვლენა. ასე ამიხსნა ერთმა ფსიქიატრმა.

ასე გაქრა ჰანანი ჩემი ცხოვრებიდან და მოგონებებიდან. შესაძლოა მოკლული ჩვილების გვერდით დაკრძალეს, ან დაწვეს, ან სადმე მინდორში მარხია. იქნებ სხეული ძაღლებს მიუგდეს საჯიჯგნად? არ ვიცი. როცა აქ ადამიანებს ჩემი ცხოვრების შესახებ ვუყვები, ვხვდები, რომ ჩემი ძნელად ესმით. ისინი მათთვის ლოგიკურ კითხვებს სვამენ: „პოლიცია არ მოვიდა?“ „არავინ დაინტერესდა გამქრალი ადამიანით?“ „სოფელში რას ამბობდნენ?“

სოფელში ცხოვრებისას პოლიციელი თვალთ არ მინახავს. თუ ქალი გაქრა, ეს არავის ანაღვლებს. სოფელი კაცების კანონს ემორჩილება. თუ ოჯახის შემარცხვენელ გოგონას არ მოკლავენ, სოფელი ასეთ ოჯახს აითვალწუნებს, მასთან ვაჭრობასაც არავინ მოისურვებს, ის ადგილიდან უნდა აიყაროს და სხვაგან გადასახლდეს! ასეა...

ახლა მგონია, ჩემს დას ჩემზე უკეთესი ბედი ჰქონია. ის მოკვდა. ყოველ შემთხვევაში, არ იტანჯება მაინც.

დღესაც ჩამესმის ყურში ჩემი დის ყვირილი, როგორ ღრიალებდა! კაინატსა და მე ერთხანს ძალიან გვემინოდა. მამაჩემის, ჩემი ძმის, ჩემი სიძის დანახვისას შიში ამიტანდა. ღამითაც ვერ ვიძინებდი, ხშირად მეღვიძებოდა, რადგან მუდმივად საფრთხეს ვგრძნობდი. ასადი სულ განრისხებული იყო. მას ცოლის ნახვის უფლება არ ჰქონდა: საავადმყოფოდან გამოსული, ის მშობლებთან დაბრუნდა, რადგან ასადმა ძალიან სცემა. თუმცა, ბოლოს წესს დაემორჩილა, ისევ ქმართან დაბრუნდა და შვილებიც გაუჩინა, საბედნიეროდ, ვაჟები. ჩვენი ძმით ვამაყობდით, ისევ გვიყვარდა, თუმცა გვემინოდა კიდევ. ვერ გამიგია, რატომ მძულდა ასე ძალიან

მამაჩემი და რატომ მიყვარდა ასე ძალიან ჩემი ძმა, ისინი ხომ ასე ჰგავდნენ ერთმანეთს.

ჩემს სოფელში რომ გავთხოვილიყავი, გოგონები გამეჩინა და ერთი მათგანის მოკვლა ასადისტოვის დაევალებინათ, წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი, სხვა ქალებივით ბედს უნდა შევგუებოდი.

ახლა უკვე ყველაფერი სხვაგვარადაა, ჩემს სოფელში მოკვდი და ხელახლა დავიბადე ევროპაში. ახლა განსხვავებულად ვფიქრობ.

თუმცა, ჩემი ძმა წინანდებურად მიყვარს. ეს სიყვარული ზეთისხილის ხის ფესვს ჰგავს, ხის წაქცევის შემდეგაც რომ ვერ ამოგიძირკვავს.

მკვახე პომიდორი

ყოველ დილით თავლას ვასუფთავებდი. ძალიან დიდი იყო და შიგ მუდამ მძაფრი სუნი იდგა. როცა დასუფთავებას დავამთავრებდი, გასანიავებლად კარს ღიას ვტოვებდი. ნესტისა და სიცხის გამო შენობაში ორთქლი იდგა. ნაკელით ვედროებს ვავსებდი და თავზე შემოდგმული ბოსტანში მიმქონდა გამოსაშრობად. ცხენის ნაკელს ბოსტნის მიწის გასაპატივებლად ვიყენებდით. მამაჩემი ამბობდა, რომ ეს საუკეთესო სასუქია. ცხვრის ნაკელი პურის საცხობი ღუმლის გასახურებლად იყო განკუთვნილი. მიწაზე ვჯდებოდი და უკვე კარგად გამხმარ ნაკელს ხელით იქამდე ვზელდი, ვიდრე პატარა ნაჭრებს არ მივიღებდი. მათ ღუმლის ახლოს გროვებდა ვაწყობდი.

ცხვარი მინდორში დილით ადრინად გაგვყავდა; დაახლოებით დილის თერთმეტი საათისთვის, როცა სიცხე იმატებდა, ვაკითხავდით და უკან, თავლაში ვაბრუნებდით. ცხვრები ჭამდნენ და ეძინათ. მეც შინ საჭმელად ვბრუნდებოდი. ცხელი პური, ზეთუნის ზეთი, ჩაი, ზეთისხილი და ხილი – ასე წავიხემსებდი. საღამოს ქათმის, ცხვრის ან ბოცვრის ხორცი გვქონდა. ხორცს თითქმის ყოველდღე მივირთმევდით ბრინჯთან ან თავნაფქვ ბურღულთან ერთად. ყველა სახეობის ბოსტნეული ჩვენი ბოსტნიდან იყო

დღისით, როცა ძალიან ცხელოდა, შინ ვმუშაობდი. პურის გამოსაცხობად ცომს ვზელდი. ბატკნებსაც მე ვაჭმევდი. კნუტებივით კისერში ჩავავლებდი ხელს და დედებთან მიმყავდა, ძუძუ რომ მოეწოვათ. ბატკანი ყოველთვის რამდენიმე იყო, ამიტომ ცალ-ცალკე მიმყავდა. როცა ერთი დანაყრდებოდა, მეორე მიმყავდა და ასე მანამდე, სანამ ყველა არ მოწოვდა. შემდეგ თხებისთვის უნდა მიმეხედა, მათ თავლაში ცალკე ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი. იქ ადგილი ორი ცხენისთვის და ოთხი ძროხისთვისაც იყო. ამ უზარმაზარ შენობაში კიდევ სამოცამდე ცხვარი და სულ მცირე, ორმოცი თხა ეტეოდა. ცხენები მთელი დღე გარეთ, მინდორში იყვნენ და მხოლოდ ღამით ბრუნდებოდნენ. ცხენებით მხოლოდ მამაჩემი და ჩემი ძმა დაჯირითობდნენ. თავლაში საქმიანობას რომ მოვრჩებოდი, კარს ღიას ვტოვებდი, მხოლოდ ხის მძიმე ბარიერს მივაფარებდი, პირუტყვი გარეთ რომ არ გამოსულიყო.

მზე რომ გადაიწვერებოდა, ბოსტნისთვის უნდა მიმეხედა. თითქმის ყოველდღე ძალიან ბევრი დამწიფებული პომიდორი იყო მოსაკრეფი. ერთხელ შეცდომით

მკვახე პომიდორი მოწვევით. მას ვერასოდეს დავივიწყებ! სამზარეულოში ფუსფუსისას ყოველთვის მახსენდება. ნახევრად ყვითელი იყო, ნახევრად წითელი, დამწიფებას იწყებდა. შინ შესულს მისი დამალვა მინდოდა, მაგრამ დავაგვიანე – მამაჩემი დაბრუნებულიყო. ვიცოდი, არ უნდა მომეწვევია, მაგრამ ორივე ხელით ძალიან სწრაფად ვმუშაობდი. ყოველთვის ისე სწრაფად ვმუშაობდი, რომ მოძრაობები თითქმის მექანიკური იყო, თითები პომიდორს გარს შემოხვეოდა, მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ, ასე გრძელდებოდა სარის ბოლომდე...

და ის, რომელსაც ცოტა მზე შეხვდა, უკვე ჩემს ხელისგულზე იდო, თუმცა მისი მოწვევით სრულებითაც არ მსურდა. მოკრეფილ გროვაში აშკარად ჩანდა. მამაჩემმა დაიღრიალა: „შენ რა, გაგიჟდი? ხედავ, რა გააკეთე? მკვახე პომიდორი მოწვევით! არანორმალური!“

დამარტყა, შემდეგ პომიდორი თავზე დამაჭყლიტა, წვენი სახეზე ჩამომდიოდა. „ახლა შეჭამ!“ პირი ძალით გამაღებინა და დარჩენილი პომიდორი მთელ სახეზე წამისვა. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ პომიდორი ასეთი, საწამლავით მწარე იქნებოდა. ძლივს გადავკლაპე. მეტი აღარაფრის ჭამა აღარ შემეძლო, ვტიროდი, ტკივილისგან მთელი კუჭი თითქოს ამომიტრიალდა. მაგრამ მამაჩემმა თავი თეფშში ჩამადებინა და ძალღვივით მაიძულა საჭმელიმელოკა. განძრევა არ შემეძლო, თმით მაგრად ვეჭირე და ძალიან მტკიოდა. ჩემი პატარა ნახევარდა მიყურებდა და დამცინოდა. მამაჩემმა ისეთი სილა გააწნა, რომ ბავშვს ლუკმა გადმოუვარდა და შეშინებულმა ტირილი მორთო. რაც უფრო მეტად ვყვიროდი, რომ თავი მტკივა, მით მეტად მიჭერდა ხელს, მთელი სახე ბურღულეულის ფაფაში ჩამაყოფინა. ფაფისგან ბურთულები გააკეთა და პირში მიტენიდა. როცა თეფში დაცარიელდა, ხელები ტილოზე გაიწმინდა და ის ტილო სახეში მესროლა. შემდეგ ვერანდაზე გავიდა და დასასვენებლად ჩრდილში წამოწვა.

ტირილით ავალაგე მაგიდა. სახე, თმა და თვალები საჭმლით მქონდა მოთხვრილი. სამზარეულოს იატაკი, როგორც ყოველთვის საგულდაგულოდ მოვგავე, რომ ფაფის არც ერთი ნამცეცი არ დარჩენილიყო.

დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი მოვლენები გადამავიწყდა, მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი დის გაქრობის ამბავი, მაგრამ ეს მკვახე პომიდორი მუდამ მახსოვდა, ისე როგორც ჩემი დამცირება, ძალღვივით უარესად რომ მომექცა. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ვხედავდი, ჩემი ყოველდღიური წამების შემდეგ როგორ უდრტვინველად, მეფესავით ისვენებდა ჩრდილში. ეს მონობის ჩვეულებრივი სიმბოლო იყო, რომელიც უნდა ამეტანა თავდახრილს, ცემით აჭრელებული ზურგით, ჩემი დებისა და დედაჩემის დარად. ძალიან მინდოდა მისივე ყელსახვევით მომეხრჩო.

ასეთი იყო ყოველდღიური ცხოვრება. შუადღის ოთხ საათზე ცხვრები და თხები კიდევ ერთხელ, ამჯერად დაღამებამდე გაგვყავდა მინდორში. ჩემი და ყოველთვის წინ მიდიოდა, მე პირუტყვს უკან მივყვებოდი კომბლით ხელში, სვლა რომ არ შეგვენელებინა და გზიდან გადასვლის მოსურნე პირუტყვი დამეშინებინა. განსაკუთრებით მოუსვენრები ცხვრები იყვნენ, სულ სადღაც სურდათ გაქცევა. მინდორში ჩვენც ცოტათი ვწყნარდებოდით და პირუტყვიც. სახლიდან წამოღებულ საზამთროს ქვით ვხეთქავდი. შინ დაბრუნებულებს გვეშინოდა, ვინმეს არ

დავენახეთ, რადგან კაბა საზამთროს ტკბილი წვენიტ გვექონდა დასვრილი. თავლაში შესულები ტანზევე ვირეცხავდით კაბებს – მათი გამოცვლა წარმოუდგენელი იყო. საბედნიეროდ, სიცხეში ქსოვილი მალე შრებოდა.

უცნაური ყვითელი ფერის მზე ჰორიზონტზე ჩადიოდა, მანამდე ცისფერი ცა ახლარუხდებოდა და შინ დაღამებამდე უნდა დავბრუნებულიყავით. ჩვენთან თვალის დახამხამებაში ღამდება. სწრაფად უნდა გვემოქმედა, ნაბიჯების თვლით გვევლო სოფლის გზებზე, გვერდი აგვექცია სახლების კედლებისთვის და აი, ჩვენს ზურგს უკან რკინის ჭიშკარი იკეტებოდა.

ახლა ძროხებისა და თხების მოწველის დრო დგებოდა. კარგად მახსოვს, მკლავები როგორ მტკიოდა. ძროხას ქვეშ დიდ ვედროს ვუდგამდი, პატარა სკამზე ჩამოვჯდებოდი, ფეხებით ვიჭერდი პირუტყვს, რომ არ განძრეულიყო და წველას ვიწყებდი. მიწაზე რამდენიმე წვეთი რძე რომ დაღვრილიყო, ცემა არ ამცდებოდა! მამაჩემი მირტყამდა და თან ღრიალებდა, რომ ყველს ვეღარ ამოიყვანდა! ძროხას დიდი ცური ჰქონდა, რძით დატენილი და მაგარი, მე კი – პატარა და სუსტი ხელები. მკლავები მტკივდებოდა, წველას დიდ დროს ვანდომებდი და ვიღლებოდი. ერთხელ, როცა თავლაში ექვსი ძროხა გვყავდა, მოწველის შემდეგ ვედროზე თავი ჩამოვდე და ჩამეძინა. საუბედუროდ მამაჩემი მოვიდა და აყვირდა: „მარმუტა! მეძავო!“. თავლამდე თმით მათრია, შემდეგ ქამრით მცემა. ვწყევლიდი ამ ფართო ქამარს, რომელსაც მეორე, ვიწროსთან ერთად, მუდამ ატარებდა. წვრილი ქამარი ღრმა იარებს ტოვებდა. მისი ცალი ბოლო თოკივით ჰქონდა ხელზე დახვეული და ისე მირტყამდა. ფართო ქამარი ძალიან მძიმე იყო და დარტყმისას ორად კეცავდა. ტკივილისგან ვტიროდი და ვევედრებოდი, გაჩერებულიყო, მაგრამ რაც მეტად ვთხოვდი, უფრო ძლიერად მირტყამდა და თან განუწყვეტლივ „მეძავს“ მეძახდა.

იმ დღეს საღამოს, ვახშამზეც ვტიროდი. დედაჩემმა ჩემი გამოკითხვა სცადა, ხედავდა, სასტიკად რომ ვიყავი ნაცემი, მაგრამ მამაჩემი ახლა მას მიუბრუნდა, ურტყამდა და უყვიროდა, რომ არ უნდა ჩარეულიყო, არაფერი ესაქმებოდა, მე თავადაც კარგად ვიცოდი, რატომ მცემა.

ყოველდღიურად ერთი სილა ან წიხლი ცხოვრების ჩვეულებრივი წესი იყო. ამის მიზეზი შეიძლება იყოს გამხდარიყო, რომ საკმარისად სწრაფად არ ვმუშაობ, ჩაისთვის წყალი ძალიან დიდხანს ცხელდებოდა... ხანდახან ვახერხებდი თავში დამიზნებული დარტყმა ამეცილებინა, მაგრამ არა ყოველთვის. არ მახსოვს, კაინატს ჩემსავით ხშირად თუ სცემდნენ, ალბათ კი, რადგან ისიც მუდამ დაშინებული იყო. სწრაფად მუშაობისა და სიარულის ეს რეფლექსი დღემდე შემომრჩა, თითქოს სადმე ქამარია ჩასაფრებული. ვირი გზას სახრის მოქნევის შემდეგ აგრძელებს. თუ არ დაარტყი, ჩერდება. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო. მამაჩემი ჩვენ უფრო სასტიკად გვცემდა, ვიდრე სახედარს. მეორე დღესაც მცემა, წინა დღის ცემა-ტყევა რომ არ დამვიწყებოდა და მუშაობა შეუსვენებლად გამეგრძელებინა, როგორც სახედარს, რომელიც გზას ადგას.

სახედარმა დედაჩემთან დაკავშირებული ამბავი გამახსენა. ჩვეულებრივ ფარა მინდორში გავრეკე და შინ მალევე დავბრუნდი თავლის დასალაგებლად. დედაჩემი ჩემთან ერთადაა და მაჩქარებს, რადგან ლელვის დაკრეფაც უნდა მოვასწროთ.

ყუთები სახედარს უნდა ავკიდოთ და სოფლიდან საკმაოდ შორს წავიდეთ. ვერ ვიხსენებ, ზუსტად როდის მოხდა ეს ამბავი, მაგრამ მკვახე პომიდვრის ამბავს დიდი დრო არ უნდა ამორებდეს. კრეფის სეზონი იწურება, რადგან როცა ადგილზე მივდივართ, ხე შიშველია. სახედარს ხესთან ისე ვაბამ, რომ ძირს ჩამოცვენილი ხილი და ფოთლები ვერ ჭამოს.

ლელვის აკრეფას ვიწყებ, დედაჩემი კი მეუბნება: „ყური დამიგდე, სუად, აქ, სახედართან დარჩი და გზის სიახლოვეს ყველა ლელვი აკრიფე, მაგრამ ამ ხეს არ მოსცილდე. აქედან ფეხი არ მოიცვალო. თუ თეთრ ცხენზე მამაშენს ან შენს ძმას აქეთკენ მომავალს დაინახავ, დაუსტვინე და მალევე დავბრუნდები.“ ის გზაზე გადადის, სადაც მოშორებით მხედარი ელოდება. მას ვცნობ, ფადელია. მრგვალი თავი აქვს, პატარაა და ღონიერი. კარგად მოვლილი თეთრი ცხენი ჰყავს, რომელსაც ერთადერთი შავი ლაქა და დაწნული ძუა აქვს. არ ვიცი, ფადელი ცოლიანია თუ არა.

დედაჩემი მამაჩემს მასთან ღალატობს. ამას მაშინვე მივხვდი, როგორც კი მითხრა: „თუ ვინმე გამოჩნდა, დაუსტვინე“. მხედარი და დედაჩემი თვალს ეფარებიან.

გზის გასწვრივ ყველა ლელვი აკრიფე. ამ ადგილზე მეტი აღარაფერია, მაგრამ მოშორებით წასვლის უფლება არ მაქვს, მაშინ გზაზე მომავალ მამაჩემს ან ვინმე სხვას ვეღარ დავინახავ.

უცნაური ის იყო, რომ ამ ამბავს არ გავუოცებივარ. როგორც მახსოვს, დიდად არც შემშინებია. ალბათ იმიტომ, რომ დედაჩემმა ყველაფერი რიგიანად მოიფიქრა. სახედარი ხეზეა მიბმული, ის ვერც ფოთლებს შეჭამს და ვერც ხილს, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე. მისი მეთვალყურეობა არ დამჭირდება, ამიტომ მარტოც შემეძლება მუშაობა. ერთ მხარეს ათი ნაბიჯი უნდა გადავდგა, კიდევ ათი მეორე მხარეს, აკრეფილი ლელვი ყუთებში ჩავალაგო. სოფლიდან მომავალ გზას კარგად ვხედავ, როგორც კი ვინმეს თვალს მოვკრავ, დავუსტვენ. აღარც ფადელი ჩანს და აღარც დედაჩემი, მაგრამ ვხვდები, რომ ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით, მინდორში უნდა იყვნენ. თუ რამე მოხდა, დედაჩემს შეუძლია თქვას, რომ გადაუდებელი საჭიროების გამო გადავიდა გზის მეორე მხარეს. ამისთვის მამაკაცი, ვერც მამაჩემი და ვერც ჩემი ძმა, ვერ უსაყვედურებს, ეს სირცხვილია.

მარტო დიდხანს არ დავრჩენილვარ: ყუთი ჯერ მხოლოდ ცოტათი იყო სავსე, როცა ორივენი გამოჩნდნენ, ცალ-ცალკე მოდიოდნენ. დედაჩემმა მინდორი გადმოჭრა. ვხედავ ფადელს, ცხენზე რომ უნდა შეჯდეს. პირველ ცდაზე ვერც კი მოახერხა, რადგან მისი ცხენი ძალიან მაღალია. ფადელს ხელში ხისტარიანი ლამაზი მათრახი უჭირავს, დედაჩემს უღიმის და უჩინარდება.

მე თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ვერაფერი დავინახე.

ყველაფერი სწრაფად მოხდა. ერთმანეთს ეალერსებოდნენ ბალახში თუ მხოლოდ სალაპარაკოდ შეხვდნენ, არ ვიცი. არც მაქვს უფლება შევითხვა დავსვა ან გაკვირვებული სახე მივიღო, ეს მე არ მეხება. დედაჩემი არც არაფერს მეტყვის. მან ისიც შესანიშნავად იცის, რომ ხმას არ ამოვიღებ, რადგან მეც მისი თანამზრახველი ვარ და მამაჩემი ცემით ისევე მომკლავს, როგორც დედაჩემს. მამაჩემმა მხოლოდ ქალების ცემა და მათი იძულებით მუშაობა იცის, რომ ფული ჰქონდეს. ამიტომ,

თუ დედაჩემი ლელვის კრეფას იმიზეზებს და ამ დროს სხვა მამაკაცს ხვდება, ძალიანაც კარგი. საამისოდ საკმაოზე მეტი მიზეზი აქვს.

ახლა ლელვი ძალზე სწრაფად უნდა აკვრიფოთ და ყუთები ბოლომდე გავავსოთ, რათა დაგვიანება გავამართლოთ. თორემ მამაჩემი იკითხავს: „ყუთები არ აგივსია, ამდენ ხანს სად იყავი?“ და ქამრით ცემა არ ამცდება.

სოფლისგან საკმაოდ შორს ვართ. დედაჩემი სახედარზე მის კისერთან ახლოს ჯდება, ფეხები ცოტათი გაჩაჩხული აქვს, ხილი რომ არ დაჭყლიტოს. მე წინ მივდივარ და სახედარი მიმყავს. პირუტყვი ძალიან დატვირთულია.

მოშორებით გზად მოხუცი ქალი გვხვდება. ისიც სახედრითაა და მანაც ლელვი აკრიფა. მაგრამ ის მოხუცია და არავის თანხმობას არ საჭიროებს. ჩვენზე წინ მიდის. დედაჩემი ესალმება და გზას ერთად მივუყვებით. ეს გზა მეტად ვიწრო და უცნაურია, სავსეა ორმოებით, ბორცვებითა და ქვებით. ერთგან მაღლდება და დატვირთულ სახედარს გადაადგილება უჭირს. გორაკის წვერზე სულაც გაჩერდა, რადგან გზაზე უზარმაზარი ქვეწარმავალი გაწოლილა. დედაჩემი ურტყამს, უნდა ნაბიჯი გადაადგმევინოს, მაგრამ ამაოდ. პირიქით, პირუტყვი უკან იხევს, ცხვირი ჩემსავით შიშისგან უთრთის. მეზიზღება ქვეწარმავლები. გორაკის დაქანება ციცაბოა, ყუთები მის ზურგზე ამოდრავდა და შეიძლება გადმობრუნდეს. საბედნიეროდ, ქალს, ჩვენ წინ რომ მიდის, ქვეწარმავლის არ ეშინია. ზუსტად არ ვიცი, რას აკეთებს, წინ იხრება. სავარაუდოდ, თავისი კომბლით აშინებს. დიდი ქვეწარმავალი გზის გადაღმა მიცოცავს და სახედარიც გზას აგრძელებს.

სოფლის გარშემო დიდი თუ პატარა ქვეწარმავალი მრავლად იყო. ყოველდღე ვხედავდით და მაინც გვეშინოდა, ისე როგორც ნალმების. ებრაელებთან ომის შემდეგ ნალმები თითქმის ყველგან იყო. არასოდეს იცოდი, როდის დაადგამდი ფეხს და აფეთქდებოდი. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ხანდახან სტუმრად მოსული მამაჩემის მამა ან ბიძაჩემი საუბრობდა. დედაჩემი ყოველთვის გვაფრთხილებდა, ყურადღებით ვყოფილიყავით, ნალმები ძალიან ჰგავდა ქვეებს. სიარულისას სულ ძირს ვიყურებოდი, იმის შიშით, სადმე არ წავწყდომოდი. არ მახსოვს, ოდესმე მენახოს, მაგრამ მუდმივ შიშში ვიყავით. უმჯობესი იყო ქვისთვის ხელი არ გვეხლო და კარგად მოგვეთვალიერებინა ფეხის დასადგმელი ადგილი. გველებს რაც შეეხება, მათ სახლშიც გადავაწყდებოდით ხოლმე – საკუჭნაოში, ბრინჯის ტომრებს შორის ან თავლაში, თივაში მოკალათებულს.

შინ დაბრუნებულებს მამაჩემი არ დაგვხვდა. შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან დიდი დრო დავკარგეთ: უკვე ათი საათი იყო. ამ დროს მზე მაღლაა ცაზე და ძალიან ცხელა, ხოლო მწიფე ლელვი შეიძლება დარბილდეს და გაფუჭდეს. საჭირო იყო მათი კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება და ბაზარში გასაყიდად მომზადება.

ძალიან მიყვარდა ყუთების მომზადება ლელვის ჩასალაგებლად. ჯერ დიდ, ხასხასა ფოთლებს ვკრეფდი და ყუთის ძირში ვაფენდი. შემდეგ ფრთხილად, ერთმანეთის გვერდზე ვდებდი მწიფე ნაყოფს, თითქოს ძვირფას სამკაულს ვალაგებდი. ლელვებს ზემოდან ისევ ფოთლებს ვაფარებდი, მზის მცხუნვარებისგან დაცული რომ ყოფილიყო. ასევე ვალაგებდი ყურძენსაც: მას მაკრატლით ვკრეფდით და თითოეულ მტევანს გულდასმით ვასუფთავებდით, არც ერთი დამპალი მარცვალი ან დამჭკნარი ფოთოლი არ უნდა შეჰყოლოდა. ყუთის ძირში ჯერ ვაზის ფოთლებს

ვაწყობდი, შემდეგ მტევნებს ვალაგებდი, ზემოდან კი ისევ ფოთლებს ვაფარებდი, ნაყოფს სიგრილე რომ შეენარჩუნებინა.

ერთმანეთის მიყოლებით ყვავილოვანი კომბოსტოს, ყაბაყის, ბადრიჯნის, პომიდვრისა და გოგრის კრეფის დროც დგებოდა. გარდა ამისა, მამაჩემი ბაზარში ყველს ყიდდა, რომლის ამოყვანაც მე მევალეობოდა. რძეს ლითონის დიდ ვედროში ვასხამდი. გვერდებზე მოკიდებული ცხიმი და ნალები ცალკე გადამქონდა. მათ „ლაბანის“ მოსამზადებლად ვიყენებდი, რომელსაც პაკეტებში დაფასოებულს რამადანის დროს ვყიდდით. „ლაბანი“ დიდ ქურჭლებში გროვდებოდა და მამაჩემი პლასტმასის მოზრდილ პაკეტებს რომ გაავსებდა, ზედ არაბულად აწერდა „ლაბან“.

ჰალიბის ანუ რძისგან იოგურტსა და ყველს ვამზადებდი. ამისათვის გამჭვირვალე თეთრი ქსოვილი და რკინის ჯამი მქონდა. ჯამს რძით პირთამდე ვავსებდი, ყველის თავები თანაბარი ზომის რომ ყოფილიყო, შემდეგ ქსოვილში ვასხამდი, მაგრად ვკვანძავდი და ვწურავდი იქამდე, სანამ სითხე ქვემოთ შედგმულ ქურჭელში არ ჩაიცლებოდა. როცა ყველის თავი სითხისგან დაიცლებოდა, დიდ მოოქრულ ლანგარზე ვდებდი, ხოლო მზისა და აბეზარი ბუზებისგან დასაცავად ტილოს ვაფარებდი. შემდეგ ყველის თავებს თეთრ პაკეტებში ვაწყობდი, რომლებსაც მამაჩემი სათანადო წარწერას უკეთებდა. შეფუთული ყველის თავები ძალიან ლამაზი იყო. ხილისა და ბოსტნეულის შემოსვლის დროს მამაჩემი ბაზარში ყოველდღე მიდიოდა, ყველი და რძე კი კვირაში ორჯერ მიჰქონდა.

მანქანის საჭესთან მამაჩემი მხოლოდ მაშინ დაჯდებოდა, როცა ძარას სულ დავტვირთავდით. მანამდე ყველაფრის ჩალაგება უნდა მოგვესწრო. წინ ის და დედაჩემი სხდებოდნენ, ჩემი ადგილი უკან, ყუთებს შორის იყო. გზას დაახლოებით ნახევარი საათი სჭირდებოდა. ქალაქში შესული მაღალ შენობებს ვხედავდი. ასეთი იყო ეს ქალაქი, ლამაზი და სუფთა. გზად შუქნიშნის წითელ ფერზე ყველა მანქანა ჩერდებოდა. ლამაზი მაღაზიები მოჩანდა. ახლაც მახსოვს ერთი ვიტრინა: მანეკენს პატარძლის კაბა ეცვა. მაგრამ გასეირნების ან მაღაზიების დათვალიერების უფლება არ მქონდა. პირდაღებული, გაფაციცებული ვათვალიერებდი ყველაფერს, რისი დანახვაც შემემლო. სოფელში მსგავსი რამ არასოდეს მენახა.

ძალიან მინდოდა ქალაქის დათვალიერება. მაგრამ ქუჩაში მიმავალ გოგონებს ვხედავდი, რომლებსაც მოკლე კაბები ეცვათ და წვივები მოუჩანდათ, მე კი მათ ნაცვლად მრცხვენოდა. ახლოს რომ ჩამევილო, მიწაზე დავაფურთხებდი, როგორც მემავთან შეხვედრისას... ასე ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი ამაზრზენი იყო. ეს გოგონები მარტონი, მშობლების გარეშე დადიოდნენ ქუჩაში. ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ისინი ვერასოდეს გათხოვდებოდნენ. არც ერთი მამაკაცი მათ არ ითხოვდა, რადგან წვივები გამოაჩინეს და ტუჩებზეც წითელი პომადა ესვათ. ვერ ვხვდებოდი, მათ სახლებში რატომ არ კეტავდნენ.

ახლა უკვე ვხვდები, რომ ჩემი სოფლის ცხოვრება დიდად არ შეცვლილიყო იმ დროისგან, დედაჩემი, დედამისი ან კიდევ მისი შორეული წინაპარი რომ დაიბადა. ამ გოგონებსაც ჩემსავით სცემდნენ? ისინიც ჩემსავით მუშაობდნენ? ჩემსავით ჩაკეტილი ჰყავდათ? ისინიც ჩემსავით მონებად თვლიდნენ თავს? მამაჩემის მანქანას ერთი სანტიმეტრითაც არ უნდა დავცილებოდი. ის თვალს ადვნიებდა

ყუთების გადმოტვირთვას, ფულს მიითვლიდა და მის ერთ ნიშანზე, როგორც სახედარი, მანქანაში უნდა დავმალულიყავი. ვიჯექი და იმით ვტკბებოდი, რომ ცოტა ხნით სამუშაო არაფერი იყო, ხილისა და ბოსტნეულის დახლებს მიღმა შორეული მაღაზიების ვიტრინებს ვათვალიერებდი.

ბაზარი დიდი იყო. ერთგან, ვაზის დაბურული ფანჩატურის ქვეშ, ხილის დახლები იყო გამართული. ძალიან ლამაზად იყო მოწყობილი. ყველაფერს რომ გაყიდდა, მამაჩემი კმაყოფილი იყო. ბაზრის დაკეტვამდე გამყიდველთან მარტო მიდიოდა და უკან ხელში ფულით ბრუნდებოდა. რამდენჯერმე გადაითვლიდა, შემდეგ ნაჭრის საბაზრო ჩანთაში ჩადებდა. ჩანთას ზონარს მოუჭერდა და კისერზე ჩამოიკიდებდა. ბაზარში გამომუშავებული ფულით სახლის გათანამედროვეება შეძლო.

მიყვარდა მანქანაში ყოფნა, რადგან ეს დასვენების იშვიათი საათები იყო. გზად არაფერს ვაკეთებდი, წყნარად ვიჯექი. მაგრამ ბაზარში მისვლისას ყუთები სწრაფად უნდა გადმომეცალა. მამაჩემს სურდა ეჩვენებინა, როგორ ბევრს შრომობენ მისი ცოლი და ქალიშვილი. ყოველთვის დედაჩემთან ერთად ვიყავი, ორი და ერთად არასოდეს მივყავდით.

თუ ჩემი და მიჰყავდათ, მე შინ ვრჩებოდი. წყალი მომქონდა, ეზოს ვგვიდი და ვრწყავდი, თუმცა მიწა მალევე შრებოდა. შემდეგ სადილს ვამზადებდი და პურს ვაცხობდი. მიწაზე დავჯდებოდი და დიდ ვარცლში ფქვილს წყალსა და მარილთან ერთად ვზელდი. ცომს თეთრ ტილოს ვაფარებდი, რომ ამოსულიყო. იქამდე ღუმლის გახურება იყო საჭირო. პურის საცხობი ღუმელი დიდი იყო, პატარა სახლს ჰგავდა და ხის სახურავიც ჰქონდა. მის შიგნით მუდმივად იყო ნაკვერჩხალი. ის ღვიოდა, თუმცა გახურებას მაინც დიდი ხანი სჭირდებოდა, მაგრამ ცომის ამოსვლის დროისთვის უკვე კარგად გახურებული იყო.

ამოსული ცომი არაჩვეულებრივია... ძალიან მიყვარდა პურის ცხობა. ვიდრე ცომს ღუმელში მოვათავსებდი, პური ლამაზი რომ ყოფილიყო, ცომს შუაში ჩავჭყლეტდი ხოლმე. ხელებზე რომ არ ამკვროდა, დროდადრო ფქვილიან ტომარაში ვყოფდი. ცომს ხელებით იქამდე ვეალერსებოდი, სანამ ქათქათა და ფაფუკი არ გახდებოდა. დიდ, ლამაზ, მრგვალ და ბრტყელ ფორმას ვაძლევდი. ყველა პური ერთი ზომისა და ფორმის უნდა ყოფილიყო, თორემ მამაჩემი მას სახეში მესროდა.

პურის გამოცხობის შემდეგ ღუმელს ვწმენდდი და ნაცარი გამომქონდა. ამას რომ ვამთავრებდი, თმა, სახე, წარბები და წამწამები მტვრისგან მთლიანად ნაცრისფერი მქონდა და ქეციანი ძალივით ვიქექებოდი.

ერთხელ შინ ვიყავი და დავინახე, როგორ ამოვიდა კვამლი ღუმლიდან. ჩემ დასთან ერთად გავიქეცი, რომ მენახა, რა მოხდა. დავიწყეთ ყვირილი: „ხანძარია“! მამაჩემი წყლიანი ჭურჭლით მოვიდა. ყოველი მხრიდან ცეცხლის ენები ამოდიოდა და ყველაფერი იწვოდა. ღუმლის შიგნით ცომის გაჭვარტლული გორგლები ეგდო. როგორც ჩანს, ერთი პურის ამოღება დამავიწყდა და ნაცარიც ბოლომდე არ გამოვწმინდე. ნაკვერჩხალი კი გაღვივდა და ცეცხლი ააღდა. ეს ჩემი ბრალი იყო. არ უნდა დამვიწყებოდა პური, განსაკუთრებით კი ხის ნიჩბით ნაცრის კარგად გამოსუფთავება იყო საჭირო და ნაკვერჩხლების მოცილება.

მე ვიყავი პურის ღუმლის დაწვაში დამნაშავე, რაც სოფელში ყველაზე დიდი უბედურებაა.

მამაჩემს ასე სასტიკად არასოდეს ვუცემივარ. ზურგზე წიხლებსა და ხელჯოხს მირტყამდა. თმაში ხელი ჩამავლო, მუხლებზე დამაყენა და სახე ჯერ კიდევ თბილ ნაცარში ჩამაყოფინა. ვიხრჩობოდი, ვიფურთხებოდი, სახე და ცხვირი ნაცრით ამევსო, თვალები დამიწითლდა. დასასჯელად ნაცრის ჭამა მაიძულა. როცა გამიშვა, ვტიროდი, მთლიანად შავი და რუხი ვიყავი, პომიდორივით დაწითლებული თვალებით. ეს ჩემი ძალიან დიდი დანაშაული იყო და დედაჩემი და ჩემი და შინ რომ არ ყოფილიყვნენ, ვფიქრობ, მამაჩემი აალებულ ცეცხლშიც სიამოვნებით შემავლებდა.

ღუმლის აგურით ამოშენება გახდა საჭირო, რაც დიდ დროს მოითხოვდა. ვიდრე სამუშაო დასრულდებოდა, ყოველდღე ვისმენდი ჩემი მისამართით ნათქვამ შეურაცხმყოფელ სიტყვებს. თავლაში გავრბოდი და წელში მოხრილი იქ ვიმალებოდი, ეზოს თავდახრილი ვგვიდი. ვფიქრობ, მამაჩემს მთელი გულით ვეზიზღებოდი, თუმცა, ამ შეცდომას თუ არ ჩავთვლით, ყოველთვის კარგად ვმუშაობდი.

ნაშუადღევს, დაბნელებამდე, სარეცხს ვრეცხავდი. მთელი ოჯახის თეთრეული მე უნდა გამერეცხა, ვბერტყავდი ცხვრის ტყავებს, ვგვიდი, სადილს ვამზადებდი, პირუტყვს ვაპურებდი და თავლას ვწმენდი. დასვენებისთვის დრო ძალზე იშვიათად მქონდა.

სალამოს შინიდან არასოდეს გავდიოდი. მამაჩემი და დედაჩემი კი პირიქით, ხშირად სტუმრობდნენ მეზობლებს ან მეგობრებს. ჩემი ძმაც გადიოდა სახლიდან, ჩვენ – არასოდეს. მეგობრები არ გვყავდა, ჩემი უფროსი და არასოდეს მოდიოდა ჩვენ სანახავად. ერთადერთი უცხო ადამიანი, რომელსაც ხანდახან ვხედავდი, ჩვენი მეზობელი ქალი, ენამი, იყო. მას ცალ თავალში ლაქა ჰქონდა, რის გამოც მთელი სოფელი დასცინოდა და ყველამ იცოდა, ვერასოდეს გათხოვდებოდა.

ტერასიდან მდიდრების ვილას ვუყურებდი. გვიან სალამოს განათებულ ტერასაზე ვახშობდნენ და მათი სიცილის ხმა მესმოდა. ჩვენთან ყველანი ოთახებში ვიყავით ჩაკეტილი. სოფლელებიდან მხოლოდ მდიდრების ეს ოჯახი მახსოვს და კიდევ ენამი, მოხუცი შინაბერა, რომელიც მუდამ თავისი სახლის წინ იჯდა. ერთადერთი გასართობი მანქანით ბაზარში წასვლა იყო.

დასვენებისთვის დრო ძალიან იშვიათად მქონდა... თუ შინ საქმე არაფერი იყო, მეზობლებთან გვიშვებდნენ მისახმარებლად, რადგან ისინიც საჭიროების დროს გვეხმარებოდნენ.

სოფელში ერთი ასაკის რამდენიმე გოგონა ვიყავით და როცა ყვავილოვანი კომბოსტოს ალების დრო მოვიდოდა, მანქანით ყველანი მინდორში მივყავდით. ეს მინდორი კარგად მახსოვს! უზარმაზარი იყო, თავლას ვერ მიაწვდენდი მის კიდეს და ასე გვეგონა, მოსავალს მთლიანად ვერასოდეს ავიღებდით! მძლოლი ისეთი დაბალი იყო, საჭეს რომ მისწვდომოდა, ბალიში ედო. უცნაურად მომრგვალებული, პატარა თავი ჰქონდა და მთლიანად გაპარსული თმა.

მთელი დღე ოთხზე ვიდევით და კომბოსტოს ვჭრიდით. ჩამწკრივებულები ვიყავით და მოხუცი ჯოხიანი ზედამხედველი ქალბატონი გვადგა თავს. საქმის გაჯანჯლების უფლება არ გვქონდა. მოჭრილ კომბოსტოს დიდი მანქანის ძარაზე ვახვავებდით, რომელსაც ღამით მინდორშივე ტოვებდნენ. იმ დღის ბოლოს ჩვენი მანქანის ძარაზე მოვეწყვეთ, სოფელში რომ დავბრუნებულიყავით. გზის პირას ბევრი ფორთოხლის ხე იყო. ძალიან გვწყუროდა, ამიტომ მძლოლმა მათ სიახლოვეს გააჩერა და ნება დაგვრთო, ფორთოხალი მოგვეწყვიტა და უკან სწრაფად დავბრუნებულიყავით.

„ერთი ფორთოხალი და ჰალას!“ ანუ მხოლოდ თითო მოწყვიტეთ, მეტი არაო.

როცა ყველა ადგილს დაუბრუნდა, მძლოლმა გაჩერებული მანქანა დაძრა და უკან დასწია. შემდეგ ძრავა უეცრად გამორთო და ყვირილით მანქანიდან გადმოვიდა. ჩვენ ისე შევშინდით, მაშინვე ძირს ჩავედით.

მანქანას ერთ-ერთი გოგონა გაეჭყლიტა. მისი თავი ბორბლის ქვეშიდან მოჩანდა. რაკი წინ ვიდევით, დავინახარე, მინდოდა მისთვის სახეზე ჩამოშლილი თმა გადამეწია, მეგონა ცოცხალი იყო. მაგრამ ხელი შევახე თუ არა, თავი მიწაზე გაგორდა და მე შიშისგან გულწასული წავიქეცი.

როცა მოვსულიერდი, დავინახე, რომ ისევ მანქანის ძარაზე ვიყავი და თავი ზედამხედველი ქალის კალთაში მედო. მძლოლი ყოველი სახლის წინ აჩერებდა მანქანას, რადგან სოფელში გოგონას მარტო დაბრუნება არ შეიძლებოდა. როცა სახლთან ჩამომსვეს, ზედამხედველმა დედაჩემი გააფრთხილა, რომ შეუძლოდ ვიყავი. დედაჩემმა საწოლში ჩამაწვინა და რაღაც დამალევინა. მთელი საღამო გულისხმიერად მექცეოდა, რადგან ზედამხედველი ყველაფერს მოუყვა. ასე უყვებოდა ყველა დედას და მძლოლი ელოდებოდა. იქნებ ამის მიზეზი ის იყო, რომ შემდეგ მთელ სოფელს ერთი და იგივე რამ სცოდნოდა?

უცნაურია, რომ ეს ამბავი დაემართა სწორედ იმ გოგონას, რომელიც კომბოსტოს კრეფის დროს მწკრივის შუაში იდგა, ბოლოში არასოდეს დაუყენებიათ. ჩვენში თვლიან, რომ თუ გოგონას სხვა გოგონები აქეთ-იქით უდგანან, მას გაქცევა უნდა და ეშინიათ, არ გაიპაროს. შევნიშნე, რომ ის ყოველთვის ვიღაცების შუაში იყო მოქცეული, აკრძალული ჰქონდა მწკრივში ადგილის შეცვლა. კიდევ იმან გამაოცა, რომ ხმას არავინ სცემდა. მისი შეხედვაც კი არ შეიძლებოდა, რადგან ის მეძავად ითვლებოდა. მას თუ ვინმე ხმას გასცემდა, ისიც მეძავად ჩათვლებოდა. მძლოლმა განგებ გადაუარა მანქანით? ჭორები დიდხანს არ შემწყდარა სოფელში. პოლიციაც მოვიდა დასაკითხად, ყველანი მინდორში გაგვიყვანეს. სამი პოლიციელი იყო და სამივე მამაკაცი. მათთვის თვალებში არ უნდა გვეცქირა, პატივისცემით გვეპასუხა კითხვებზე, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზუსტად ვუჩვენეთ ადგილი, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა. ისევ დავინახარე. მიწაზე მანეკენის თავი იდო. ხელით შევებე და ავწიე. მათ მითხრეს: „ჰალას, ჰალას, ჰალას...“. ასე დასრულდა ეს ამბავი.

უკან, მანქანაში აგვიყვანეს. მძლოლი ტიროდა! სწრაფად და უცნაურად დაჰყავდა. მანქანა ხტუნვა-ხტუნვით მიიკვლევდა გზას. ზედამხედველ ქალს მკერდი ისე აუღ-ჩაუდიოდა, იძულებული გახდა, ორივე ხელით დაეჭირა. მძლოლი ციხეში ჩასვეს. ჩვენთვის და ჩვენი სოფლისთვის კი ეს არც იყო უბედური შემთხვევა.

დიდხანს ვიავადმყოფე. კიდევ და კიდევ ვხედავდი, როგორ ვიღებ ხელში გაჭყლეტილი გოგონას თავს. ჩემი მშობლებისაც მეშინოდა, რადგან გოგონას შესახებ ათასგვარი ჭორი მესმოდა. რაღაც ძალიან ცუდი უნდა ჩაედინა, მაგრამ არ ვიცი, რა. ასე იყო თუ ისე, ყველა „მეძავს“ ეძახდა. ღამით არ მეძინა, თვალწინ მისი გაჭყლეტილი თავი მედგა და მანქანის ღრჭიალის ხმა ჩამესმოდა, როცა სხეულს გადაუარა. ამ გოგონას ვერასოდეს დავივიწყებ. იმ ტანჯვის მიუხედავად, რაც თავად გადავიტანე, მისი სახე სამუდამოდ აღმებეჭდა გონებაში. ჩემი ხნის იყო, მოკლედ შეჭრილი თმა და ძალიან ლამაზი ვარცხნილობა ჰქონდა. უცნაურია, მოკლედ შეჭრილი თმით რომ იყო. სოფლის გოგონები თმას არსოდეს ვიჭრიდით. მან რატომ შეიჭრა? ჩვენგან განსხვავდებოდა, ლამაზად ეცვა. რატომ ეძახდნენ „მეძავს“? ვერასოდეს გავიგე მისი ამბავი. სამაგიეროდ, ჩემთვის რატომ შეიძლებოდა დაეძახათ „მეძავი“, ეს კი კარგად ვიცი.

ასაკის მატებასთან ერთად იმედით ველოდი, რომ ვინმე მითხოვდა. მაგრამ კაინატის ხელის სათხოვნელად არავინ მოდიოდა და ეს მას დიდად არც აწუხებდა. თითქოს უკვე შეგუებული იყო, რომ შინაბერად დარჩებოდა. ასეთი მომავალი მზარავდა, თუ კაინატი ვერ გათხოვდებოდა, მეც შინაბერა ვრჩებოდი.

უკვე მრცხვენოდა ქორწილებში წასვლა იმის შიშით, რომ დამცინებდნენ. გათხოვებით მცირეოდენი თავისუფლების მოპოვების იმედი მქონდა. თუმცა გათხოვილი ქალის ცხოვრებაც საშიში იყო. კარგად მახსოვს მეზობლად მცხოვრები ქალი, რომელსაც ოთხი შვილი ჰყავდა. მისი ქმარი ქალაქში მსახურობდა, რადგან მუდამ კოსტიუმი ჰქონდა მხარზე მოგდებული და როცა კი უნდა მომეკრა თვალი, ისე სწრაფად დადიოდა, მტვრის კორიანტელს აყენებდა.

მის ცოლს სუეილა ერქვა. ერთ დღეს დედაჩემისგან შევიტყვე, რას ჭორობდა მის შესახებ სოფელი. ხალხი დუქნის მეპატრონესთან ურთიერთობას აბრალებდა, რადგან ხშირად დადიოდა ბოსტნეულისა და ხილის საყიდლად. მაგრამ იქნებ ჩვენსავით დიდი ბოსტანი არ ჰქონდა? იქნებ ამ კაცს მართლაც ფარულად ხვდებოდა, როგორც დედაჩემი ფადელს? ერთხელაც დედაჩემმა მითხრა, რომ ამ ქალის ორი ძმა ჩამოვიდა და მას თავი მოაჭრეს. სხეული სახლში დატოვეს, მოჭრილ თავს კი მთელ სოფელში დაატარებდნენ. ისიც მითხრა, როცა ქმარი შინ დაბრუნდა, დიდად არ უნაღვლია, ბედნიერიც კი იყო, ცოლი რომ მოკვდა, რადგან დუქნის მეპატრონესთან მის ურთიერთობაზე ხმები დადიოდა. ეს ქალი ლამაზი სრულებითაც არ იყო, ოთხი შვილი კი უკვე ჰყავდა.

არ დამინახავს სოფლის ორღობეებში დის მოკვეთილი თავით მოსეირნე მამაკაცები, ცალი ყურით ვუსმენდი დედაჩემის ნაამბობს. საკმარისად დიდი ვიყავი, ყველაფერი რომ გამეგო, მაგრამ არ შემშინებია. ვფიქრობდი, რომ ჩემს ოჯახში მეძავი არავინაა და ასეთი რამ ჩვენთან არასოდეს მოხდებოდა. ის ქალი დასაჯეს და ასეც უნდა ყოფილიყო. ეს უფრო მისაღები იყო, ვიდრე მანქანით ჩემი ასაკის გოგონას გაჭყლეტა.

მაშინ არ დავფიქრებულვარ, რომ უწყინარ ჭორობას, მეზობლების აზრსა და ტყუილსაც კი ნებისმიერი ქალისთვის სავალალო შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა: მას „მეძავს“ დაუძახებდნენ და ეს სასიკვდილო განაჩენი იყო სხვათა ღირსების გადასარჩენად.

ამას ეწოდება ღირსების დანაშაული, „ძარიმათ ალ შჰარაფ“ და ჩემს ქვეყანაში მამაკაცებს ის დანაშაულად არც მიაჩნიათ.

პატარძლის სისხლი

ჰუსეინის მშობლები ნურას ხელის სათხოვნელად მოვიდნენ. ისინი რამდენჯერმე იყვნენ სალაპარაკოდ მოსული, რადგან ჩვენთან მიღებული წესის თანახმად, ქალიშვილის გათხოვებისას მისმა მშობლებმა სასიძოსგან ოქრო უნდა მიიღონ. ჰუსეინის მშობლებმა ოქრო მოიტანეს, რომელიც ლამაზ ოქროს ლანგარზე იდო. ჰუსეინის მამამ თქვა: „ეს ნახევარი მამას, ადნანს ეკუთვნის, ეს კი მის ქალიშვილს, ნურას“.

თუ ოქრო არ არის საკმარისი, მაშინ მოლაპარაკება თავიდან იწყება. ორივე წილის რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქორწილის დღეს პატარძალმა ყველას უნდა აჩვენოს, რა რაოდენობის ოქრო აიღო მამამისმა ქალიშვილის გათხოვებისთვის.

სამკაული, რომელსაც ნურა ატარებს ქორწილის დღეს, მას არ ეკუთვნის. სამაჯურები, ყელსაბამები და დიადემა პატარძლისა და მისი მშობლების ღირსების საფასურია. ეს ოქრო ნურასთვის ან მისი მომავალი ცხოვრებისთვის არ არის განკუთვნილი; პატარძალმა სოფელში უნდა გაიაროს და ყველამ დაინახოს, რამდენი ოქრო მოუტანა მან მშობლებს. თუ ქორწილის დღეს ქალიშვილს სამკაული არ უკეთია, ეს მისი ოჯახის სირცხვილია. მამაჩემს რატომღაც ეს არასოდეს გახსენებია, როცა გვიყვიროდა, რომ ჩვენ ცხვარზე ნაკლები სარგებლობა მოგვექონდა ოჯახისთვის.

როცა ქალიშვილს ყიდის, მამას გადახდილი ოქროს ნახევარი ეკუთვნის! ამიტომ, მას ვაჭრობის უფლება აქვს. მოლაპარაკებაში მხოლოდ მშობლები მონაწილეობენ. საქმე რომ დასრულდება, არც ხელმოწერილი ქაღალდია საჭირო, ფასი მხოლოდ კაცების სიტყვას აქვს, მხოლოდ და მხოლოდ კაცებისას.

ქალები ვერაფერს იტყვიან, ვერც დედაჩემი და ვერც ჰუსეინის დედა, პატარძალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ოქრო ჯერ არ ჩანს, მაგრამ უკვე ყველამ იცის, რომ ქორწილი შედგება, იმიტომ რომ ჰუსეინის ოჯახი მოვიდა. მაგრამ არ არის საჭირო მამაკაცების მოლაპარაკებისთვის ხელის შეშლა, მათ უცხო არავინ უნდა დაენახოს.

ჩემმა დამ, ნურამ, მხოლოდ ის იცის, რომ სახლში ახალგაზრდა კაცი მშობლებთან ერთად მოვიდა, ესე იგი, აუცილებლად გათხოვდება. ის ძალიან კმაყოფილია. მეუბნება, რომ უნდა უკეთ ეცვას, წარბები ამოიქნას, საკუთარი ოჯახი და შვილები ჰყავდეს. ნურა მორცხვია და ლამაზი სახე აქვს. მაინც ღელავს, ვიდრე მშობლები ვაჭრობენ. უნდა გაიგოს, რამდენი ოქრო მოიტანეს და ღმერთს ევედრება, რომ ყველაფერი კარგად დასრულდეს.

მას საქმრო თვალითაც არ უნახავს, არც მისი წლოვანება იცის, კითხვებსაც არ სვამს, რადგან ეს სირცხვილია. მეც კი არ მთხოვს სადმე დავიძალო და შევხედო მის საქმროს. შეიძლება შიშობს, რომ ამის შესახებ მშობლებს ვეტყვი.

რამდენიმე დღის შემდეგ მამაჩემი ნურას ოთახში იხმობს და დედაჩემის თანდასწრებით ეუბნება: „ამა და ამ დღეს გათხოვდები“. მე მაშინ იქ არ ვყოფილვარ, მათთან ყოფნის უფლება არ მაქვს.

არც კი უნდა ვამბობდე „უფლება არ მაქვს“, რადგან უფლება – ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. არსებობს ჩვეულება, ის რაც დადგენილია, ასეა და მორჩა, არასოდეს შეიცვლება. თუ მამაშენი გეტყვის: „სიკვდილამდე ამ კუთხეში იდგები“, მთელი ცხოვრება მართლაც მითითებულ კუთხეში იდგები. თუ მამაშენი თეფშზე მხოლოდ ერთ ზეთისხილს დადებს და გეტყვის: „დღეს ეს იქნება შენი საჭმელი“, მეტს ნამდვილად ველარაფერს შეჭამ. მონის ამ ტყავიდან თავის დაღწევა მეტად რთულია, რაკი გოგოდ დაიბადე. ბავშვობიდან მოყოლებული მხოლოდ არსებობ, ემორჩილები კაცსა და მის მიერ დაწესებულ კანონს, რომელსაც იცავს მამა, დედა, ძმა და რომელიც ქმარს გადაეცემა.

როცა ჩემი და, ნურა ქორწილისთვის ემზადებოდა, მე სულ მცირე, თხუთმეტი წლის უნდა ვყოფილიყავი. თუმცა, შეიძლება ვცდები კიდევ, რადგან ხელჩასაჭიდი არაფერია, რაც თარიღებისა და მოვლენების ქრონოლოგიის დადგენაში დამეხმარება. ის, რაც ევროპაშია მიღებული: დაბადების დღეების აღნიშვნა, ფოტოების გადაღება – ასეთი არაფერი ვიცოდით. ჩვენ პირუტყვის ცხოვრებით ვცხოვრობდით, რომელიც მხოლოდ იკვებება, რაც შეიძლება სწრაფად მუშაობს, სძინავს და სცემენ. შემდეგ დგება „მომწიფების“ ხანა და უმნიშვნელო, არასწორ ნაბიჯს საზოგადოების რისხვა შეუძლია გამოიწვიოს. მისი მომდევნო ეტაპი ქორწინებაა. როგორც წესი, გოგონას „მომწიფება“ ათი წლის ასაკში ხდება, თოთხმეტი წლიდან მისი გათხოვება უკვე შესაძლებელია, ყველაზე დიდი ასაკი ჩვიდმეტი წელია. ნურა ამ ზედა ზღვარზეა.

ოჯახმა ქორწილისთვის მომზადება დაიწყო და მეზობლები გააფრთხილა. სახლი არ არის დიდი, ამიტომ სტუმრების მისაღებად საერთო ეზოს დაქირავება გახდა საჭირო. ლამაზი ადგილია, სადაც აყვავებული ბაღია და ვენახი იზრდება, საცეკვაო ადგილიც არის. დახურული ვერანდა ჩრდილისთვის თავის შეფარების საშუალებას იძლევა და აქვე მოეწყობა ფანჩატური პატარძლისთვის.

მამაჩემმა ცხვარი აარჩია. ქორწილის დღისთვის აუცილებლად ბატკანი უნდა დაიკლას, რომელსაც ნაზი ხორცი აქვს და დიდხანს ხარშვა არ სჭირდება. თუ ხორცი დიდხანს იხარშება, ხალხი იტყვის: მამა არ არის საკმარისად მდიდარი, რომ სტუმრებს სათანადოდ გაუმასპინძლდეს. მისი და ქალიშვილის სახელი შეილახება.

ამიტომაც მამაჩემი ბატკანს ირჩევს. ის თავლაში შედის, აკვირდება, ხელს სტაცებს იმას, რომელიც შეარჩია და ბაღში მიათრევს. ფეხებს უკრავს, რომ არ გაინძრეს, ყელში ერთი ხელის მოსმით დანას უსვამს. შემდეგ თავს დიდი ლანგრის ზემოთ იჭერს და სისხლს აგროვებს. ზიზღით ვუყურებ, როგორ მოედინება ეს სისხლი. ბატკნის ფეხები ჯერ ისევ ტოკავს. მამაჩემის სამუშაო დასრულებულია, ახლა ხორცს ქალებმა უნდა მიხედონ. შიგნეულის გასარეცხად წყალს აცხელებენ. შიგნეული სადილის მოსამზადებლად არ გამოიყენება, თუმცა როგორც ჩანს, რაღაცისთვის მაინც არის საჭირო, რადგან გასუფთავებულს საგულდაგულოდ ინახავენ. ახლა გატყავება საჭირო და ამ რთულ საქმეს დედაჩემი იღებს თავის

თავზე. ტყავი არ უნდა დაზიანდეს. ბატკანი მიწაზე გასუფთავებული და შიგნეულობა ამოცლილი დევს. დიდი დანით დედაჩემი ხორცსა და ტყავს ერთმანეთისგან აცალკევებს, ხელის მტკიცე მოძრაობით, ნაჭერ-ნაჭერ აცლის ტყავს და გასაშრობად კიდებს. ტყავი გაიყიდება ან სახლისთვის შევინახავთ. ჩვენი ცხვრის ტყავების უმეტესობა გაიყიდა. მაგრამ ბაზარში მარტო ერთი ტყავის წაღება სირცხვილია. თუ გსურს მდიდრად ჩავთვალონ, რამდენიმე მაინც უნდა მიიტანო.

ქორწილამდე ერთი დღით ადრე, დაღამებისას, დედაჩემი ძველ ტაფაზე ადნობს ერთი ლიმონის წვენს, ზეითუნის ზეთს, კვერცხის გულსა და შაქარს. შემდეგ ნურასთან ერთად ოთახში იკეტება. შემთბარი ნაზავი საშოს არეში თმის მოსაცილებლად განკუთვნილი. თმის ყველა ღერი უნდა მოშორდეს. როგორც დედაჩემი ამბობს, საუბედუროდ, ერთიც რომ დარჩეს, მამაკაცი ქალს ზედაც აღარ შეხედავს და იტყვის, რომ ის ბინძურია!

ძალიან მაფიქრებს თმის ამბავი. ფეხებსა და ილიებიდან თმას არ იცილებენ, მხოლოდ საშოდან. სილამაზისთვის წარბების ამოქნაც შეიძლება. როცა გოგონას სხეულზე თმა ამოსდის, მკერდის ზრდასთან ერთად, ეს მისი ქალად ქცევის პირველი ნიშნებია. და ის ამავე თმით მოკვდება, რადგან ღმერთმა როგორც შეგვქმნა, ისეთივეს მიგვიღებს. და მაინც, გოგონებს ეამაყებათ ეპილაცია... ეს იმის ნიშანია, რომ მამას აღარ ეკუთვნი, სხვა მამაკაცის საკუთრება ხდები. უთმოდ სხვა ადამიანი ხდები. თუმცა, ჩემი აზრით, ეს სასჯელი უფროა, რადგან მესმის სიმწრით როგორ ყვირის ჩემი და. როცა ის ოთახიდან გამოდის, კართან შეკრებილი ქალების ჯგუფი პირზე ხელის დარტყმით სარიტუალო ყვირილს იწყებს. ეს დიდი სიხარულია: ჩემი და უკვე მზადაა ქორწინებისთვის, საკუთარი ქალწულობის მსხვერპლად გასაღებად.

თმის მოცილების შემდეგ საპატარძლოს შეუძლია დასაძინებლად წავიდეს. შეკრებილი ქალებიც სახლებში ბრუნდებიან, რადგან ნახეს, რომ ყველაფერი წესების დაცვით შესრულდა.

მეორე დღით, მზის ამოსვლისთანავე ეზოში, სადაც სუფრა უნდა გაიშალოს, საჭმლის მომზადება იწყება. მთელმა სოფელმა უნდა დაინახოს რა მზადდება, რამდენი თავი კერძი იქნება. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ბრინჯის მოხარშვას ექცევა, ერთი მუჭაც კი არ უნდა წახდეს, რადგან მთელი სოფელი ამაზე ილაპარაკებს. ეზოს ნახევარი მხოლოდ ამ კერძის მომზადებას ეთმობა. სუფრაზე იქნება ხორცი, კუსკუსი, ბოსტნეული, ბრინჯი, ქათამი და ბევრი ტკბილეული, ნამცხვრები, რომლებიც დედაჩემმა მეზობელი ქალების დახმარებით მოამზადა, რადგან მარტო საქმეს თავს ვერ გაართმევდა.

საჭმელი ყველას დასანახად თეფშებზეა ჩამორიგებული, ახლა დედაჩემმა კიდევ ერთ ქალთან ერთად ჩემი და უნდა გამოაწყოს. პატარძლის კაბა წინ ნაქარგებითაა გაწყობილი, გრძელია და ნაჭრისავე ღილები აქვს. ოქროს სამკაულებით დაფარული, კაბაში გამოწყობილი, ოთახიდან გამოსული ნურა ულამაზესია. მას სამაჯურები და ყელსაბამები უკეთია და, რაც პატარძლისთვის უმნიშვნელოვანესია, თავზე დიადემა ადგას! დიადემა ერთმანეთზე გადაბმული ოქროს ფირფიტების წყებისგან შედგება. გაშლილ თმაზე ბზინვარებისთვის ზეითუნის ზეთი უსვია. მას ტახტრევანზე სვამენ. ეს არის მაგიდაზე დადგმული სკამი და მასზე თეთრი

ტილოა გადაფარებული. ნურა მაგიდაზე ადის და სკამზე ჯდება. ყველას უნდა შეეძლოს მისი შეთვალერება, სანამ სასიძო მოვა. ქალები ეზოში შეკრებილან, ერთმანეთს ხელს კრავენ, წინ რომ წაიწიონ და პატარძალი უკეთ დაინახონ, სარიტუალო შეძახილებიც არ ავიწყდებათ.

ეზოს გარეთ კაცები ცეკვავენ. ისინი ეზოში, ქალებთან არ შემოდიან. ქალებს კი გარეთ გახედვის უფლება არა აქვთ, რომ დაინახონ, კაცები როგორ ცეკვავენ.

სასიძო შემოდის. პატარძალი თავს მორცხვად ხრის. მას ჯერ არ აქვს მისთვის სახეში შეხედვის უფლება, მაგრამ დღეს პირველად დაინახავს, ვის მიჰყვება ცოლად. ასე მგონია, დედაჩემმა ცოტა რამ უკვე უთხრა მისი გარეგნობის, ოჯახის, სამუშაოს, ასაკის შესახებ... მაგრამ საკუთარი თვალთ ნახვა ჯობს. თუმცა, შეიძლება მხოლოდ ის უთხრა, რომ მისმა მშობლებმა საკმარისი რაოდენობის ოქრო მოიტანეს.

დედაჩემი ჩემს დას თეთრ ჩადრს ახურავს და პირისახეს უფარავს. უფლისწულივით გამოწყობილი სასიძო შემოდის. ის პატარძალს უახლოვდება. ნურას ხელები მუხლებზე უწყვია, თავდახრილია, რაც მის კარგ აღზრდას მოწმობს. ეს წუთები გადამწყვეტია ჩემი დის ცხოვრებაში.

სხვებთან ერთად ვუმზერ და მისი მშურს. ყოველთვის მინდოდა უფროსი ვყოფილიყავი, დედაჩემთან ერთად მევლო ყველგან და თავლა არ მელაგებინა კაინატთან ერთად. მინდოდა, პირველს დამეტოვებინა ეს სახლი. თეთრ კაბაში გამოწყობილ და ოქროთი დაფარულ პატარძალს სოფლის ყველა გოგონა შურით შესცქერის. ის ძალიან ლამაზია, მაგრამ გული მწყდება, რომ ნურას ფეხსაცმელი არ აცვია. ჩემი აზრით, ფეხსაცმლის არქონა სიღარიბის ნიშანია. ბაზარში მიმავალს მანქანიდან დამინახავს ქუჩაში მიმავალი ფეხსაცმლიანი ქალები. შეიძლება იმიტომ, რომ კაცები მუდამ ატარებენ ფეხსაცმელს, ჩემთვის ის თავისუფლების სიმბოლო იყო. რა კარგია ისე იარო, რომ ყოველ ნაბიჯზე ქვა ან ეკალი არ გტკენდეს ფეხს... ნურა ფეხშიშველია, ჰუსეინს კი ლამაზი გაპრიალებული ფეხსაცმელი აცვია და მას თვალს ვერ ვაცილებ.

ჰუსეინი ჩემი დისკენ მიდის. მისთვისაც მაგიდაზე თეთრტილოგადაფარებულ სკამს დგამენ. ის ჯდება, ჩემს დას თეთრ ჩადრს ხდის და მთელ ეზოს სიხარულის შეძახილები აყრუებს. ცერემონიალი დასრულდა. ქმარმა დაინახა იმის სახე, ვინც მისთვის უმწიკვლობა შეინახა და ვაჟებს გაუჩინს.

ორივე ტახტრევანზე მანეკენივით გაშემებული ზის. სტუმრები ცეკვავენ, მღერიან, ქეიფობენ, ისინი კი არ ინძრევიან. მათთვის საკვები ადგილზე მიაქვთ და სამოსზე თეთრ პირსახოცებს აფარებენ.

საქმრო საცოლეს არ ეხება, არ კოცნის, ხელსაც არ აკარებს. მათ შორის არაფერი ხდება, რაც ურთიერთსიყვარულსა და სინაზეს გამოხატავს. ორივე ერთად ქორწინების გაშემებული გამოსახულებაა და მეტი არაფერი. ასე დიდხანს გრძელდება.

ამ ადამიანის შესახებ არაფერი ვიცი – რამდენი წლისაა, ჰყავს თუ არა და-ძმა, სად მუშაობს, სად ცხოვრობს. თუმცა, ის ამავე სოფლიდანაა. ცოლის მოსამებნად შორს არ მიდიან, სოფელშივე პოულობენ. ჰუსეინს მეც პირველად ვხედავ. აქამდე არ

ვიცოდი, ლამაზი იყო თუ მახინჯი, დაბალი თუ მაღალი, მსუქანი, ბრმა, ცალხელა, პირმოღრეცილი, ორი ყური ჰქონდა თუ მხოლოდ ერთი, დიდი თუ პატარა ცხვირი... ჰუსეინი ლამაზი მამაკაცია. ძალიან მაღალი არ არის, მეტრი და სამოცდაათი სანტიმეტრია, მოკლედ შეჭრილი ხვეული თმა აქვს და ჩასკვნილია. მზემოკიდებულ შავგვრემან სახეზე ეტყობა, რომ კარგად იკვებება. წარმოსადგე შეხედულებას აძლევს პატარა ცხვირი დიდი ნესტოებით. ამაყად თავაწეული დადის. თითქოს ბოროტი არ უნდა იყოს, მაგრამ დროდადრო მისი ნერვიული საუბარი მაფიქრებინებს, რომ სავარაუდოდ, ვცდები.

დღესასწაული რომ დასრულდეს და სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, ქალები სიმღერას იწყებენ და პირდაპირ სასიძოს მიმართავენ. სიმღერაში ასეთი სიტყვებია: „ახლა შენ უნდა დამიცვა. თუ არ დამიცავ, კაცი არ ყოფილხარ...“ და ბოლოს აუცილებლად ამთავრებენ ამ სიმღერით: „აქედან არ გავალთ, თუ არ იცეკვებთ“.

ახლა ნეფე-პატარძალმა უნდა იცეკვოს და ქორწილიც დასრულდება.

ქმარი ცოლს ჩამოსვლაში ეხმარება – მხოლოდ თითოთ ეხება, ამიერიდან ის მას ეკუთვნის და ისინი ერთად ცეკვავენ. ზოგიერთი მორიდებული წყვილი ცეკვას თავს არიდებს. ჩემი და კი დიდხანს ცეკვავს ქმართან და მთელი სოფლისთვის ეს ულამაზესი სანახაობაა.

დაღამდა და ახლა ქმარს ცოლი შინ მიჰყავს. ჰუსეინი უკვე მოწიფული მამაკაცია და მამამისმა სახლი აჩუქა. ჰუსეინის სახლი მისი მშობლების სახლის ახლოსაა, სოფელშივე. ცოლ-ქმარი მარტო, ფეხით მიდის. ყველანი თვალცრემლიანი გავცქერით. ჩემს ძმასაც კი მოადგა თვალზე ცრემლი. ვტირით, რადგან ნურამ დაგვტოვა; რადგან არ ვიცით, რა ელის, თუ ქალწული არ აღმოჩნდა. გულდამშვიდებული არავინ არის. იმ წუთს უნდა დაველოდოთ, როდესაც ქმარი გასისხლიანებულ ზეწარს აივანზე გადმოფენს ან ფანჯარაში გადმოკიდებს მთელი სოფლის დასანახად, რომ ყველამ დაინახოს ქალწულის სისხლი. რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა უნდა დაინახოს ეს ზეწარი, ერთი და ორი ადამიანი არ არის საკმარისი. ეჭვის შეტანა ყოველთვის შეიძლება.

მათი სახლი და ეზო კარგად მახსოვს. სახლს გარშემო ქვის გალავანი ჰქონდა. ყველა ელოდა. უეცრად ჩემი სიძე ხელში ზეწრით გამოჩნდა და საზეიმო შეძახილებიც გაისმა. კაცები უსტვენენ, ქალები მღერიან და ტაშს უკრავენ, რადგან მან ზეწარი გაშალა. ეს სპეციალური ზეწარია, რომელსაც საწოლზე პირველ ღამეს აფენენ. ჰუსეინი მას თეთრი სარჭებით აივნის თოვზე ამაგრებს. ქორწილის დროს ყველაფერი თეთრია, თეთრია ზეწარი და სარჭებიც კი. მხოლოდ სისხლია წითელი.

ჰუსეინი მის სახლთან შეყრილ სოფლელებს ხელს უქნევს და ოთახში შედის. ეს გამარჯვებაა.

დაკლული ბატკნის სისხლი, ქალწულის სისხლი, ისევ და ისევ სისხლი. კარგად მახსოვს, ყოველ მსხვერპლშეწირვის დღესასწაულზე როგორ კლავდა მამაჩემი ცხვარს, შემდეგ მის სისხლში ნაჭერს ასველებდა და სახლის ზღურბლსა და ქვის იატაკს უსვამდა. ამ სისხლიან ზღურბლზე უნდა გადაგვებიჯებინა. პატარაობისას გვაიძულებდნენ გვეყურებინა, როგორ კლავდა მამაჩვენი ქათამს, ბოცვერს, ცხვარს

და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენთვისაც ისევე შეეძლო კისერი მოეგრინა, როგორც ქათმისთვის; სისხლი გამოედინა, როგორც ცხვრისთვის. თავდაპირველად ისე შემეშინდა, რომ თავი დედაჩემის კალთაში ჩავრგე, მაგრამ მან მაიძულა მეყურებინა. მას სურდა მენახა, როგორ კლავს მამაჩემი. უნდა შემშინებოდა და ასე გავმხდარიყავი ოჯახის წევრი. მეც ყოველთვის მეშინოდა, რადგან სისხლი მამაჩემს განასახიერებდა.

ქორწილის მეორე დღეს სხვებთან ერთად ზეწარზე აღბეჭდილ ჩემი დის სისხლს ვუყურებდი. მე და დედაჩემი, ორივენი ვტიროდით. ბევრი ვიტირეთ, რათა ჩვენი სიხარული გამოგვეხატა და მივსალმებოდით მამის ღირსებას, რომელმაც ქალიშვილი ქალწულად გაათხოვა. ვტიროდით შვებითაც, რადგან ნურამ უმძიმეს განსაცდელს გაართვა თავი. ეს მისი ცხოვრების უმთავრესი გამოცდა იყო. ახლა ისღა უნდა დაემტკიცებინა, რომ ბიჭის გაჩენა ძალუმს.

საკუთარი თავისთვისაც იგივე მსურდა და არაფერი უჩვეულო ამაში არ იყო. ძალიან მინდოდა გათხოვება და ვფიქრობდი, რომ ახლა ჩემი რიგია. საოცარია, მაგრამ სრულიად მიმავიწყდა ჩემზე ერთი წლით უფროსი კაინატი. არადა, ჯერ ის უნდა გათხოვილიყო!

შინ დავბრუნდით. ეზო ასალაგებელი და ჭურჭელი დასარეცხი იყო. ეს ყველაფერი პატარძლის ოჯახს ევალებოდა. მეზობლებსაც შეეძლოთ დახმარება, თუმცა სრულებით არ იყვნენ ვალდებული.

გათხოვების შემდეგ ნურა ჩვენთან იშვიათად მოდიოდა, მოსვლის მიზეზიც არ ჰქონდა – მას თავისი ოჯახი ებარა. მაგრამ ქორწილიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ დედაჩემთან საჩივრულად მოვიდა, თან მწარედ ტიროდა. რაკი არ შემეძლო მეკითხა რა მოხდა, კიბის თავზე დავიმალე, მათი საუბრისთვის ყური რომ მომეკრა.

ნურამ ნაცემის კვალი უჩვენა. ჰუსეინს ის მაგრად ეცემა, სახეზეც ეტყობოდა. შარვალი ჩაიწია, დედაჩემს დალილავებული ბარძაყები აჩვენა და დედაც ატირდა. როგორც ჩანს, დანარჩენი მამაკაცების მსგავსად, მიწაზე თმით ათრია. მაგრამ მიზეზი, რატომ ცემა ჰუსეინმა, ვერ გავიგე. ზოგჯერ ამისთვის ისიც კმაროდა, რომ ახალგაზრდა დიასახლისმა გემრიელი სადილი ვერ მოამზადა, მარილის ჩაყრა ან სოუსში წყლის ჩამატება დაავიწყდა... ეს ცემისთვის საკმარისი მიზეზი იყო. ნურამ დედაჩემს შესჩივლა და არა მამას, რომელიც სასტიკი იყო და არც კი მოუსმენდა, ისე გააბრუნებდა უკან. დედამ მოუსმინა, მაგრამ არ დაუწყნარებია: „ის შენი ქმარია, არა უშავს, შინ უნდა დაბრუნდე“.

ნურაც დაბრუნდა. ნაცემი, როგორც მოვიდა. ქმარს დაუბრუნდა, რომელიც მის გამოსასწორებლად ჯოხს არ იშურებდა.

სხვა არჩევანი არც არსებობდა. ჩვენთვის ყელიც რომ გამოეჭრათ, ვერაფერს მოვიმოქმედებდით. ჩემს დას ასეთ მდგომარეობაში რომ ვხედავდი, ვფიქრობდი, ქორწინება ბევრს არაფერს ცვლის – ისევ გცემენ, როგორც დაოჯახებამდე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ქმარს შეეძლო ვეცემე, გათხოვება ამქვეყნად ყველაზე მეტად მინდოდა. ჩემი სოფლის არაბი ქალების ბედი უცნაურია. ყველაფერს ეგუებიან. წინააღმდეგობის გაწევა აზრადაც არ მოსდით. არც კი იციან,

ეს რას ნიშნავს. შეიძლება იტირონ, დაიმალონ, მოიტყუონ, ცემა რომ თავიდან აიცილონ, მაგრამ წინააღმდეგობას არასოდეს გაწევნენ. ეს იმიტომ, რომ ან მამასთან უნდა იცხოვრო, ან ქმართან. ქალის მარტო ცხოვრება სრულიად გაუგონარი რამ არის.

ჰუსეინი არც კი მოსულა ცოლის წასაყვანად. ნურა დიდხანს არც დარჩენილა. დედაჩემი მისმა მოსვლამ ძალიან შეაშინა! მოგვიანებით, როცა ნურა დაორსულდა და ყველა იმედით ელოდა ბიჭის გაჩენას, დედამთილ-მამამთილი, ქმარი და ჩვენი ოჯახი ისე ეპყრობოდა, როგორც დედოფალს. ზოგჯერ ვეჭვიანობდი კიდეც. ოჯახისთვის ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მე. ქორწინებამდეც ბევრს ესაუბრებოდა დედაჩემს, შემდეგ უფრო დაახლოვდნენ. როცა თივის მოსატანად ერთად მიდიოდნენ, დიდ დროს ანდომებდნენ, რადგან ერთმანეთისთვის ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი. მწვანეკარიან ოთახში იკეტებოდნენ და იქ საუბრობდნენ. მე კარის წინ ჩავივლიდი ხოლმე. თავს მარტოსულად და მიტოვებულად ვგრძნობდი, რადგან ჩემი და დედაჩემთან ერთად ამ კარის მიღმა იყო. მწვანეკარიანი ოთახი საკუჭნაო იყო – აქვე ჩაიკეტნენ ისინი, როცა ქორწილის წინ ჩემს დას დედაჩემი თმას აცლიდა. იქ ხორბალს, ზეთისხილსა და ფქვილს ვინახავდით.

არ ვიცი, ეს მწვანე კარი ასე მოულოდნელად რატომ გამახსენდა. ყოველდღე შევდიოდი იმ ოთახში, ტომრებით დატვირთული. ამ კარის მიღმა ცუდი რაღაც მოხდა, მაგრამ რა? ასე მგონია, ტომრებს შორის შეშინებული ვიმალებოდი. საკუთარ თავს ვხედავ, სიბნელეში მაიმუნივით ჩაცვუცქულს. ოთახში ბნელა. აქ ვიმალები, თავი მიწაზე მიდევს. იატაკი ყავისფერი ფილებითაა მოპირკეთებული. მამაჩემმა ფილებს შორის თეთრი საღებავი წაუსვა. რაღაცის მეშინია. დედაჩემს ვხედავ, სახეზე ტომარა აქვს ჩამოცმული. ტომარა მამაჩემმა ჩამოაცვა. ამ ოთახში მოხდა ეს თუ სხვაგან? მისი დასჯა სურდა? დახრჩობა? ყვირილი არ შემიძლია. მამაჩემი ტომარას მაგრად უჭერს, ქსოვილთან ახლოს მის პროფილს ვხედავ. ცალი ხელით ტომარა უჭირავს, მეორით დედაჩემი თმით ჰყავს ჩაბლუჯული.

დედას შავები აცვია. რამდენიმე საათის წინ რამე მოხდა? რა? ჩემი და შინ მოვიდა და დედაჩემს მოუყვა, ქმარმა როგორ სცემა. დედაჩემმა მოუსმინა, განა დედას უფლება არ აქვს ქალიშვილს მოუსმინოს? არ იტიროს და არ დაიცვას მამამისის წინაშე? მოგონებები ამ მწვანე კარს უკავშირდება. ჩემი დის მოსვლა, ხორბლით სავსე ტომრების უკან ჩემი დამალვა, მამაჩემი, დედაჩემის მოხრჩობა რომ სურს... იქ დასამალად შევედი. დამალვა ჩვევად მქონდა გადაქცეული. ვიმალებოდი თავლაში, საწოლ ოთახში ან დერეფანში მდგარ კარადაში, სადაც გასაყიდად გამზადებულ ცხვრის ტყავებს ინახავდნენ. ისინი კარადაში ეკიდა, მათ ქვეშ შევძვრებოდი და ვიმალებოდი; თუმცა უჰაერობა მახრჩობდა, მაგრამ აქ ყოფნა მერჩივნა ცემას. საკუჭნაოში ტომრებს უკან იშვიათად ვიმალებოდი – ძალიან მეშინოდა ქვეწარმავლების. თუ იქ დავიმალე, მაშასადამე მეც რაღაც მემუქრებოდა.

შეიძლება ის დღე იყო, მამაჩემმა ცხვრის ტყავით ჩემი გაგუდვა რომ დააპირა. ეს მეორე სართულზე, საწოლ ოთახში მოხდა. სურდა ჩემგან შეეტყო, ღალატობდა თუ არა დედაჩემი. ტყავი ორად მოკეცა და სახეზე დამაფარა. უმალ მოგვკვდებოდი, ვიდრე დედას გავამხელდი, იმის მიუხედავად, რომ საკუთარი თვალით ვნახე სხვა კაცთან ერთად გაუჩინარებული. სიმართლე რომ ვუთხრა, ორივეს მოგვკლავს.

დანის მუქართაც კი ვერ მაიძულებს დალატს. ვეღარ ვსუნთქავ. თავად გამიშვა ხელი თუ მე მოვახერხე დავსხლტომოდი? უკვე ქვემო სართულზე ჩავრბივარ და ამ მწვანე კარის უკან, სიბნელეში, მოჩვენებების მსგავსი ტომრების უკან ვიმალები. ღამით მესიზმრა, მამაჩემი ტომრებიდან როგორ ყრიდა ხორბალს და მათ ქვეწარმავლებით ავსებდა!

აი ასე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამომიტივტივდება გონებაში წარსულის მოგონებები. მწვანე კარი, ტომარა, მამაჩემი, რომელიც დედაჩემს ახრჩობს, და მე ჩემი შიშით – ხმის ამოდების, სიბნელის, ქვეწარმავლების.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ნაგვის პარკს ვავსებდი. შესაფუთი ქაღალდის ნაწილი პარკის თავში გაეჩხირა. შემდეგ ნელ-ნელა ძირს დაეშვა და უცნაური ხმა გამოსცა. შიშისგან შევხტი, ასე მეგონა, პარკიდან სადაცაა ქვეწარმავალი ამოყოფდა თავს. ავკანკალდი და პატარა ბავშვივით ავტირდი.

მამაჩემმა იცოდა, გველი როგორ უნდა მოეკლა. ამისთვის ორკაუჭიან სპეციალურ ჯოხს იყენებდა. ქვეწარმავალს კაუჭებს შორის მოაქცევდა და მას განძრევა აღარ შეეძლო. შემდეგ ჯოხს ურტყამდა. თუ მოსაკლავად ქვეწარმავლის დაჭერა შეეძლო, მას ტომარაშიც ადვილად ჩასვამდა. ყოველთვის მეშინოდა, როცა ტომრიდან ფქვილი უნდა ამომეღო. ამიტომ მზარავდა მწვანეკარიანი ოთახი. თან მიზიდავდა, რადგან დედაჩემმა ჩემს დას თმა იმ ოთახში მოაცილა. და კიდევ, ჩემი ხელის სათხოვნელად ჯერ არავინ მოსულიყო.

თუმცა თორმეტი-ცამეტი წლის რომ ვიყავი, ჩემამდე ჭორმა მოაღწია... ერთი ოჯახი ჩემს მშობლებს ესაუბრა ჩემი გათხოვების შესახებ. სოფელში ვიღაც მელოდა. მაგრამ უნდა მომეცადა. ჯერ კაინატი უნდა გათხოვილიყო.

ასადი

მარტო გავრბოდი და ვყვიროდი, როცა მის ცხენს ფეხი დაუცდა და ის ცხენიდან გადმოვარდა. ჩემი ძმა თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას: ხასხასა მწვანე პერანგი ეცვა და რაკი ქარი იყო, ჭენებისას პერანგი მის ზურგუკან ფრიალებდა. ცხენზე ამხედრებული ულამაზესი იყო. ასადი ძალიან მიყვარდა, ვერასოდეს დავივიწყებ.

ასე მეგონია, ჰანანის გაქრობის შემდეგ უფრო შემიყვარდა. მის ფერხით ვიყავი, მისი არ მეშინოდა, დარწმუნებული ვიყავი, არაფერს დამიშავებდა... იქნებ იმიტომ მეგონა ასე, რომ მასზე ერთი წლით უფროსი გახლდით? თუ ერთმანეთს უფრო ვუგებდით? თუმცა, როცა მამაჩვენი შინ არ იყო, მასაც ვუცემივართ. ერთხელ დედაჩემსაც სცემა. ისინი წაკამათდნენ, ჩემი ძმა თმაში სწვდა, დედაჩემი ტიროდა... ეს კარგად მახსოვს, თუმცა კამათის მიზეზს ვერ ვიხსენებ. ყოველთვის ძალიან მიძნელდება გონებაში წამოტივტივებული გამოსახულებები ერთმანეთს დავუკავშირო და მნიშვნელობა მოვუძებნო. თითქოს ჩემი პალესტინური ცხოვრების მოგონებები მცირე ნაკუწებად შეიჭრა ევროპაში ჩემ მიერ დაწყებულ ახალ ცხოვრებაში.

დღეს ამის გაგება მიჭირს, მაგრამ მაშინ, როცა შიშმა გადამიარა, ვერც კი გავიაზრე, რომ ჰანანი მოკვდა. ახლა რომ მახსენდება მისი მოკვლის სცენა, მხოლოდ ამაზე

ვფიქრობ. მოვლენებს ერთმანეთთან ვაკავშირებ და წარსულის აღდგენას ვცდილობ. ერთი მხრივ, ჩემი მშობლები შინ არ იყვნენ. ჩვეულებრივ, როცა გოგონასთვის განაჩენი გამოტანილია, შინ მხოლოდ მსხვერპლი და ის ადამიანია, ვისაც მისი მოკვლა დაავალეს. ჰანანი იმ დღის შემდეგ სახლში აღარ მინახავს, აღარასოდეს. იმ საღამოს ასადი გაცოფებული იყო. სავარაუდოდ, თავს დამცირებულად გრძნობდა – მისი ცოლი მშობიარობდა და მას კი სიდედრ-სიმამრმა არაფერი შეატყობინა. ახალშობილის სიკვდილის ამბავი ტელეფონის საშუალებით გახდა ცნობილი? ჰანანი უხეშად ელაპარაკა? არ ვიცი. ძალადობა ჩემი მშობლების ურთიერთობაში, და საერთოდ სოფელში ქალების ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მის გარეშე დღევ არ გადიოდა! მე კი ძალიან მიყვარდა ასადი. რაც უფრო მეტად იძულებდა მამაჩემი თავის ვაჟს, მით მეტად მიყვარდებოდა ჩემი ერთადერთი ძმა.

მისი დაქორწინება არაჩვეულებრივ დღესასწაულად მახსოვს. ჩემს გიჟურ წარსულში ეს ნამდვილი სიხარულის ერთადერთი მოგონებაა. მაშინ თვრამეტი წლის უნდა ვყოფილიყავი და შინაბერად ვითვლებოდი. სხვის ქორწილში წასვლაზე უარიც კი ვთქვი, რადგან სოფლის გოგონები მოურიდებლად დამცინოდნენ. რომ ჩავივლიდი, ჩემზე ერთმანეთს ანიშნებდნენ, რაღაცას გადაულაპარაკებდნენ, ერთმანეთს იდაყვს გაჰკრავდნენ და ჩაიხითხითებდნენ. სულ ვტიროდი. პირუტყვის სამოვარზე გაყვანის დროს სოფელში გავლის მრცხვენოდა, სხვისი მზერა მაშინებდა. არაფრით ვჯობდი მეზობლის ქალს, თვალში ლაქა რომ ჰქონდა და ცოლად არავის უნდოდა. დედაჩემს კარგად ესმოდა ჩემი და ნება დამართო, მეზობლის ქორწილში არ წავსულიყავი. ერთხელ მამაჩემსაც კი გავუბედე თქმა: „შენი ბრალია ყველაფერი! გამათხოვე!“ ის ისევ უარზე იდგა და პასუხად თავში ჩამარტყა: „ჯერ შენი და უნდა გათხოვდეს! გაეთრიე!“ ამის მეტად ხმა აღარ ამომიღია.

ჩემი ძმის ქორწილის დღეს მთელი ოჯახი ბედნიერია და ყველაზე მეტად – მე. მის რჩეულს ფატმა ჰქვია და სხვა სოფლიდან, უცხო ოჯახიდან არის. იქნებ ასადმა ის იმიტომ აირჩია, რომ ჩვენს სოფელში გასათხოვარი გოგონა არ იყო? მამაჩემმა ქორწილში წასასვლელად ორი მანქანა დაიქირავა, კაცებისა და ქალებისთვის. კაცებისა, რა თქმა უნდა, წინ მიდის.

მთები უნდა გადავიაროთ, უასფალტო გზა ზოგან ისეთი მიხვეულ-მოხვეულია, რომ ქალები ღმერთს მადლობას სწირავენ, ხევში რომ არ გადავიჩხეთ. გარშემო ყველაფერი უდაბნოს მოგვაგონებს. წინა მანქანა მტვრის კორიანტელს აყენებს. მაგრამ ყველა ცეკვავს. მუხლებს შორის დოლი მიდევს და ქალების მოძახილს ვუწყობ. ჩემი ყელსახვევით ხელში მეც ცეკვავ, ძალიან კარგად გამომდის. მძღოლის გარდა ყველა ცეკვავს და მხიარულობს!

ძმის დაქორწინება დის გათხოვებაზე მნიშვნელოვანია; მისი ცოლი ახალგაზრდა, ლამაზი, პატარა ტანის, ძალიან შავგვრემანი ქალია. გოგონა არ არის, თითქმის ასადის ტოლია. ჩვენს სოფელში დედაჩემსა და მამაჩემს დასცინოდნენ კიდევ, რომ ჩემი ძმა „იძულებული გახდა“ თავისი ასაკის, უცხო ქალი შეერთო. არ არის მიღებული თანატოლზე დაქორწინება, ცოლი ქმარზე ასაკით უმცროსი უნდა იყოს! და რა საჭიროა საცოლის ასე შორს ძებნა? მაგრამ ფატმა ლამაზია და ბედი სწყალობს, რომ ბევრი ძმა ჰყავს. მამაჩემმა მისი ხელის სათხოვნელად ბევრი ოქრო დახარჯა. ფატმას უამრავი სამკაული ეკეთა.

ქორწილში ცეკვა და სიმღერა სამ დღეს გრძელდება. უკანა გზაზე მძღოლმა მანქანა გააჩერა და კიდევ ვიცეკვით. მეც ვცეკვავ ჩემი ყელსახვევით, დოღზე ვუკრავ, გული სიხარულით მაქვს სავსე და ვამაყობ ჩემი ძმით. ის ჩვენთვის მოწყალე ღმერთივით იყო. მეტად უცნაურია ეს სიყვარული, რომელიც არ ნელდება. ის ერთადერთია, ვისი შებუღებაც არ შემიძლია იმის მიუხედავად, რომ ვუცემივარ, სცემდა თავის ცოლსაც, მკვლელობაც ჩაიდინა.

ჩემთვის ასადი იყო აუჰია, ასადი, ჩემი ძმა – „სსად აუჰია. გამარჯობა, ჩემო ძმაო, ასად. ყოველ დილით, ვიდრე მუშაობას დავიწყებდი, აუცილებლად ვესალმებოდი: „გამარჯობა, ჩემო ძმაო ასად!“ ნამდვილად მისი ერთგული ვიყავი. იმის მიუხედავად, რომ ცოლი მოიყვანა და მასთან ერთად ჩვენს სახლში ცხოვრობს, ისევ ვემსახურები. თუ დასაბანი წყალი დააკლდა, მე ვუცხელებ, აბაზანასაც მე ვასუფთავებ, მის საცვლებს ვრეცხავ და ადგილზე დალაგებამდე, თუ საჭიროა, ვკემსავ კიდევ.

წესით, ასე არ უნდა მყვარებოდა და ასეთი ერთგულებით არ უნდა მოვმსახურებოდი, რადგან არაფრით სჯობდა სხვა მამაკაცებს. დაქორწინებიდან სულ მცირე ხანში ფატმას სცემა და ისიც მშობლებთან დაბრუნდა. ჩვეულების საწინააღმდეგოდ, დედამისსა და მამამისს იმ დღესვე იძულებით უკან არ მოუყვანიათ. იქნებ ისინი უფრო მდიდრები და ჩვენზე განათლებულები იყვნენ, ან უფრო მეტად უყვარდათ ერთადერთი ქალიშვილი? არ ვიცი. ასე მგონია, მამაჩემისა და ასადის კინკლაობა ამის შემდეგ დაიწყო. ჩემს ძმას ძალიან უნდოდა სხვა სოფლიდან ქალის შერთვა, მან მამაჩემს ბევრი ოქროს გადახდა აიძულა. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ვაჟიშვილის გაჩენის ნაცვლად მკვდარი ბავშვი დაიბადა, ხოლო რძალმა შეურაცხყოფა მოგვაყენა და მშობლებთან დაბრუნდა! რასაკვირველია, ოჯახურ თათბირებს არ დავსწრებივარ და არაფერი მაგონდება ისეთი, რაც ამჟამინდელი დასკვნების საფუძველს მაძლევს, მაგრამ კარგად მახსოვს ქვით სავსე კალათით ხელში ტერასაზე ასული მამაჩემი როგორ ესროდა სათითაოდ ქვებს ტერასის ქვემოთ მდგარ ასადს. და კიდევ კარადა მახსოვს, რომლითაც ასადმა სახლის მის ნახევარზე შესასვლელი კარი ჩაკეტა. შესაძლოა, ასადს მთელი სახლის დასაკუთრება სურდა. ის ისე იქცეოდა, თითქოს ყველაფერი მას ეკუთვნის. ასე მგონია, მამაჩემს არ სურდა მისთვის სახლის დათმობა, არც ძალაუფლება და ფული ემეტებოდა.

ის ხშირად ეუბნებოდა ჩემს ძმას: „ჯერ კიდევ ბავშვი ხარ!“

ასადი სულ უფრო ხშირად უმხედრდებოდა, რადგან ჩვენ გავათამამეთ და თავის თავში დარწმუნებული იყო. ბავშვობიდანვე უფლისწულად მიიჩნეოდა. ეს კი არ არის ჩვენში მიღებული, კაცს ბავშვი უწოდო, დიდი დამცირებაა! ისიც ყვიროდა: „ეს ჩემი სახლია!“ მამაჩემი ასე მოქცევას ვერ იტანდა. სოფელში ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა ჩაიდინა ფატმამ, რატომ მიდიოდა ასე ხშირად მშობლების სახლში. იქნებ სხვა მამაკაცთან ჰქონდა კავშირი? ცუდ ჭორებს ავრცელებდნენ, მაგრამ უსაფუძვლოდ, სინამდვილეში საყვარელი გოგონა იყო. საუბედუროდ, ერთხელ ვიღაცამ თქვა: „ცუდია“ და ყველამ ალმაცერად დაუწყო ცქერა.

დედაჩემი ძალიან დარდობდა. ზოგჯერ ასადზე განრისხებული მამაჩემის დაწყნარებას ცდილობდა: „ასე რატომ იქცევი? თავი დაანებე!“

– მისი მოკვლა მინდა! თუ მის დაცვას გაბედავ, შენც იგივე გელის!“

ნანახი მაქვს, იატაკზე მწოლიარე ფატმას ასადი წიხლებს როგორ ურტყამდა ზურგში. ერთ დღეს ჩაწითლებული თვალი და ჩალურჯებული სახე ჰქონდა. მაგრამ არც რაიმეს თქმა შეგვეძლო და ვერც ვერაფერს მოვიმოქმედებდით. მამისა და ვაჟის ძალადობას დამალვით ვპასუხობდით, თორემ ჩვენც იგივე გველოდა.

ჩემს ძმას თავისი ცოლი თუ უყვარდა? მაშინ სიყვარული უდიდეს საიდუმლოდ მიმაჩნდა. ჩვენთან ქორწინებაზე ლაპარაკობდნენ და არა სიყვარულზე. მამაკაცსა და ქალს სასიყვარულო ურთიერთობა კი არ ჰქონდათ, არამედ ეს სრული დამყოლობა და მორჩილება იყო. არსებობდა მხოლოდ სავალდებულო სექსუალური აქტი ქმარსა და მის მიერ ნაყიდ ქალიშვილს შორის. მაშ სიყვარული სადღაა?

თუმცა მახსენდება სოფელში მცხოვრები ერთი ქალი, რომელიც ყველაზე ლამაზ სახლში ქმართან და შვილებთან ერთად ცხოვრობდა. ოჯახი სიმდიდრითა და ფუფუნებით იყო ცნობილი. მათი შვილები სკოლაში დადიოდნენ. მრავალრიცხოვანი ოჯახი იყო, რადგან ბიძაშვილ-დეიდაშვილები მხოლოდ ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ. მათ სახლში ყველგან ფილები იყო, ეზომიც კი. სოფლის სხვა ეზოებში კენჭები და ქვიშა ეყარა, მხოლოდ ზოგიერთში იყო ასფალტი დაგებული. მათ კი ლამაზი ხეივანი ჰქონდათ. ოქროსფრად მოელვარე რკინის გისოსით გარშემოვლებულ ბაღსა და ეზოს მეზაღე უვლიდა. ამ სახლს შორიდანვე შეამჩნევდი. ჩვენს სოფელში უყვართ ყველაფერი, რაც ბრწყინავს. თუ კაცს ოქროს კბილი აქვს, ის მდიდარია! თუ მდიდარია, თავის სიმდიდრე სხვასაც უნდა აჩვენოს. ეს იყო თანამედროვე, სულ ახალი, არაჩვეულებრივი სახლი. მის წინ ყოველთვის ორი ან სამი ავტომანქანა იდგა. რასაკვირველია, იქ არასოდეს შეესულვარ, მაგრამ როცა ცხვრების ფარასთან ერთად ჩავივლიდი, თვალი სახლისა და ეზოსკენ გამექცეოდა ხოლმე. მფლობელს ჰასანი ერქვა. ტანმაღალი, მზემოკიდებული და ძალიან ელეგანტური ბატონი იყო. მას მუდამ ცოლთან ერთად ხედავდნენ, მეტად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ქალი ტყუპზე იყო ფეხმძიმედ და ძაღვს უნდა ემშობიარა. საუბედუროდ, მშობიარობამ ცუდად ჩაიარა, ბავშვები გადარჩნენ, დედა კი დაიღუპა. ნათელში განისვენოს მისმა სულმა, ძალიან ახალგაზრდა იყო. ეს იყო ერთადერთი დაკრძალვა, რომელიც სოფელში ვნახე. ყველაზე მეტად რამაც ამაღელვა და შემძრა, ოჯახის წევრთა მწუხარება იყო. ისინი ცხედარს უკან მიჰყვებოდნენ, განსაკუთრებით კი ქმარი დამამახსოვრდა. მწუხარებისგან კაცის ტრადიციულ თეთრ პერანგს იგლეჯდა, როცა ცოლის ცხედრის უკან მიაბიჯებდა. დედამთილიც კაბას იგლეჯდა. სამოსის ნაფლეთებში მოხუცი ქალს მუცლამდე დაშვებული შიშველი ძუძუები მოუჩანდა. მსგავსი უიმედობა არასოდეს მენახა. ქალი, რომელსაც მარხავდნენ, უყვარდათ, მისმა სიკვდილმა შეძრა ოჯახი და მთელი სოფელი.

ამ დაკრძალვას ვესწრებოდი თუ ტერასიდან ვადევნებდი თვალს? ალბათ, უფრო ტერასიდან ვუყურებდი, რადგან პატარა ვიყავი. ამის მიუხედავად, მეც ვტიროდი. ბევრი ხალხი იყო. მათ ნელა ჩაიარეს მთელი სოფელი. არასოდეს დამავიწყდება ქმარი, რომელიც თავის ტკივილის შესახებ ხმამაღლა ყვიროდა და თეთრ პერანგს იგლეჯდა. ის ისეთი ლამაზი იყო, როცა საყვარელ ცოლს გლოვობდა. ეს კაცი თავისი იერით წარმოსადეგი და ღირსეული მამაკაცი იყო.

დედაჩემის მშობლები და ბიძაჩემი ჩვენს სოფელში ცხოვრობდნენ. პაპაჩემი, მუნთერი, ყოველთვის ელეგანტურად გამოიყურებოდა. ვაჟიშვილივით მაღალი იყო, ყოველთვის სუფთად გაპარსული და კარგად ჩაცმული დადიოდა, თუმცა ტრადიციულ სამოსს ატარებდა. ხელში მუდამ კრიალოსანი ეჭირა და მარგალიტის მარცვლებს ერთიმეორის მიყოლებით მარცვლავდა თავისი გრძელი თითებით; ზოგჯერ ჩიბუხის გასაბოლებლად მამაჩემს ესტუმრებოდა, ვფიქრობ, ერთმანეთს ეწყობოდნენ. მაგრამ ერთ დღეს დედა სახლიდან წავიდა, რადგან მამაჩემმა სასტიკად სცემა. ბავშვები მამასთან დაგვტოვა. ჩვეულების თანახმად, ქალს უფლება არ აქვს შვილები თან წაიყვანოს. ბიჭებიცა და გოგონებიც მამასთან რჩებიან. რაც უფრო მემატებოდა ასაკი, მით მეტად სცემდა და ისიც სულ უფრო ხშირად მიდიოდა მშობლების სახლში. პაპაჩემი, მუნთერი იძულებით აბრუნებდა დედაჩემს შინ. ხან ერთი კვირით მიდიოდა, ხან ერთი დღით ან ერთი ღამით. ერთხელ თვეზე მეტხანს არ დაბრუნებულა და პაპაჩემს მამაჩემისთვის ხმის გაცემაც კი აღარ სურდა.

ასე მგონია, დედაჩემი რომ მომკვდარიყო, არასოდეს დაასაფლავებდნენ იმ ქალივით, არც მამაჩემი იტირებდა და იყვირებდა ბატონი ჰასანივით სიმწრით, რადგან მას დედაჩემი არ უყვარდა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ოჯახისთვის სიყვარული უცხო იყო. მე მხოლოდ ჩემი ძმა მიყვარდა, მისი ძალადობისა და ხანგამოშვებითი მძვინვარების მიუხედავად. ჩემს დებსაც უყვარდათ. ნურა ჩვენთან აღარ ცხოვრობდა, მაგრამ კაინატი ჩემსავით იცავდა მას და ცხენზე შემომჯდარს რომ დაინახავდა, გახარებული ტაშსაც კი შემოჰკრავდა.

თუ პატარა დებს არ ჩავთვლით, რომელთა გათხოვებაზე საუბარი ნაადრევი იყო, შინ მხოლოდ ჩვენ დავრჩით, ორი შინაბერა. ჩემი აზრით, კაინატი ამ ამბავს შეეგუა. მახინჯი არ იყო, მაგრამ... არც ლამაზი ეთქმოდა და გაღიმებულიც არავის უნახავს. კაინატი ჩემგან განსხვავებული იყო. მაგრამ ორივენი ცუდად ჩაცმული და თმდაუფარცხნელი გლეხის ქალები ვიყავით... მე – უფრო ტანდაბალი და გამხდარი, ის – ტანსრული, დიდი მკერდით. ჩვენი სოფლის მამაკაცებს უყვართ ფერხორციანი ქალები, მაგრამ არა დიდმკერდიანები. კაინატი არ მოსწონდათ. ის სულ მოწყენილი იყო და ვერ ახერხებდა, რომ უფრო ლამაზად წარმოეჩინა თავი. კაინატი სუქდებოდა, თუმცა ეს არ იყო მისი ბრალი, საჭმელს ერთნაირად ვჭამდით. არც ერთს არ გვქონდა იმის საშუალება, უფრო ლამაზებად წარმოგვეჩინა ჩვენი თავი, ვიდრე ღმერთმა შეგვქმნა. ლამაზი კაბა არასოდეს გვიტარებია, მუდამ ერთნაირი თეთრი ან რუხი შარვალი გვეცვა; არც მაკიაჟი, არც სამკაულები გამოგვიყენებია არასოდეს. ქათმებივით სახლში ვიყავით გამომწყვდეული, კედლებს ვაწყდებოდით, ხოლო ცხვრის სამწყემსად შინიდან გასულები თავდახრილები მივდიოდით და ნაბიჯებს ვითვლიდით.

კაინატს იმედი გადაწურული აქვს, არც მე მამლევს დაქორწინების საშუალებას, მაგრამ ვიცი, რომ ერთმა კაცმა ჩემი ხელი სთხოვა მშობლებს. დედაჩემმა მითხრა: „ფაიეხის მამამ თავისი ვაჟისთვის მამაშენს შენი ხელი სთხოვა. მაგრამ ახლა შენი დაქორწინება შეუძლებელია, ჯერ შენი დის რიგია“.

მას შემდეგ ვფიქრობდი, რომ ის მელოდა და მეშინოდა, ჩემი მშობლების უარის გამო მოთმინება არ დაეკარგა.

ჩემი ძმა ასადი ფაიფს იცნობდა. ის მეზობლად ცხოვრობდა – მისი სახლი გზის გადაღმა იყო. მისი მშობლები ჩვენსავით გლეხები არ იყვნენ, არც ბოსტანში მუშაობდნენ. მშობლებს სამი ვაჟი ჰყავდათ და მათგან უცოლო მხოლოდ ფაიფი იყო. სახლში გოგონები არ იყვნენ და ამიტომ გალავნის ნაცვლად ლამაზი მესერი ჰქონდათ, ხოლო კარს გასაღებით არასოდეს კეტავდნენ. სახლის კედლები ვარდისფრად იყო შეღებილი, ხოლო ჭიშკრის წინ მუდამ რუხი მანქანა იდგა.

ფაიფი ქალაქში მუშაობს. არ ვიცი, რას აკეთებს, მაგრამ ის ბიძაჩემით ოფისში მომუშავე წარმომიდგენია. ყოველ შემთხვევაში, მას უკეთესი სამუშაო აქვს, ვიდრე ჰუსეინს, ჩემს სიძეს, უფროსი დის ქმარს. ჰუსეინს ყოველთვის მუშის ჭუჭყიანი სამოსი აცვია, მუდამ ყარს.

ფაიფი ელეგანტურია, ლამაზი ოთხადგილიანი მანქანა აქვს, რომლითაც ყოველ დილით სამსახურში მიდის.

მისი მანქანის თვალთვალი დავიწყე. ამისათვის საუკეთესო ადგილი ტერასაა, სადაც შალის ხალიჩებს ვბერტყავ, ყურძენს ვაგროვებ ან სარეცხს ვფენ. თუ ყურადღებით ვარ, ტერასაზე ასასვლელად საბაბს ყოველთვის ვპოულობ.

თავდაპირველად დავადგინე, რომ მანქანას სახლის წინ მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე, ჭიშკრის სიახლოვეს აჩერებდა. რაკი ტერასაზე დიდხანს დარჩენა არ შემეძლო, რამდენიმე დღე მოვანდომე იმის დადგენას, რომ დილაობით სახლიდან შვიდ საათზე გადიოდა. ეს ის დრო იყო, როცა ტერასაზე ასვლის საბაბის პოვნა არ გამიჭირდებოდა.

პირველად თვალი შემთხვევით მოვკარი. თავლა სწრაფად დავასუფთავე, რადგან თივა უნდა მომეტანა ავადმყოფი ცხვრისთვის, რომელსაც მალე უნდა ემშობიარა. ილიაში ამოდებული თივის ორი-სამი ბლუჯით სახლამდე რამდენიმე ნაბიჯი მქონდა დარჩენილი, როცა ისიც გამოვიდა. ბიძაჩემით ელეგანტური იყო, კოსტიუმი და თასმებიანი შავი ფეხსაცმელი ეცვა, ხელში პატარა პორტფელი ეჭირა. ძალიან შავი თმა, მზემოკიდებული კანი და ამაყი შესახედაობა ჰქონდა.

თავი დაგხარე და ცხვირი თივაში ჩავრგე. მანქანასთან მისვლამდე მისი ნაბიჯების ხმა მესმოდა, გავიგონე მანქანის კარის გაღების, ძრავის დაქოქვისა და საბურავების ხმა. მხოლოდ მაშინ ავწიე თავი და მანქანას იქამდე ვუყურებდი, სანამ თვალს არ მიეფარა. გული ამოვარდნაზე მქონდა და ფეხები მიკანკალებდა. გავიფიქრე: „მისი ცოლობა მინდა, მიყვარს. მასთან მინდა, მინდა...“

რა მოვიმოქმედო? როგორ შევევედრო, მამაჩემთან მივიდეს და ჩემ გათხოვებაზე დაითანხმოს? საერთოდაც, როგორ დაველაპარაკო? ჩვენი ჩვეულების მიხედვით, ქალს აკრძალული აქვს კაცთან დალაპარაკება. სახეშიც კი არ უნდა შეხედოს. ის ჩემთვის მიუწვდომელია და გინდაც ჩემი ცოლად შერთვა სურდეს, ამას მარტო ვერ გადაწყვეტს. ეს მამაჩემის საქმეა და ყოველთვის ასე იქნება. მან რომ გაიგოს, ფაიფის ყურადღების მისაქცევად თივაში თავჩარგული ქუჩაში ვიდექი, მაშინვე მომკლავს.

ასეთი დღის დადგომის იმედი არ მქონდა, მხოლოდ მინდოდა, დავენახე და მიმხვდარიყო, რომ მეც ველოდები. ამიტომ გადავწყვიტე, მარტო შევხვედროდი და დავლაპარაკებოდი. თუნდაც ამის შემდეგ ქვით ჩავექოლე ან ჯოხით ვეცემე. აღარ მსურდა თვეები და წლები გამეტარებინა კაინატის გათხოვების ლოდინში, ეს უსამართლობად მიმაჩნდა. შინაბერობა და სოფლის დასაცინად გახდომა არ მსურდა. არ მინდოდა საბოლოოდ გადამწუროდა მამაკაცთან ერთად სხვაგან წასვლის, მამაჩემის მხეცობისგან თავის დაღწევის იმედი.

ტერასიდან ჩემს შეყვარებულს ყოველ დილა-სადამოს ვუთვალთვალებდი. ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ერთხელაც, ფაიეზმა თავი არ ასწია და ნიშანი არ მომცა. ეს ღიმილი იყო. უკვე მეგონა, რომ სხვა გოგონას ითხოვდა, ჩვენს სოფელს ან სადმე სხვაგან მოძებნიდა. უკვე ველოდი, რომ ერთ დღეს ეს უცხო ქალი მანქანაში მის გვერდით დაჯდებოდა. ის ფაიეზს წამართმევდა.

საიდუმლო

მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მდებარე ამ სოფელში ოცდახუთი წლის წინ დაწყებული სიყვარულით საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებდი. პაწაწინა სოფელი ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. სოფლის სახელის გამხელა არ შემიძლია, რადგან დღესაც, მისგან ათასობით კილომეტრით დაშორებულს, სიკვდილი მემუქრება. ჩემი სოფლისთვის დიდი ხანია ოფიციალურად მკვდარი ვარ, ჩემი არსებობაც დაივიწყეს, მაგრამ საკმარისია ერთ დღეს ჩავიდე და ცოცხალი დამინახონ, ოჯახის ღირსების დასაცავად ხელმეორედ მომკლავენ, რადგან ასეთია ადათი და ჩვეულებითი სამართალი.

ტერასიდან ჩემს შეყვარებულს რომ ვუთვალთვალებ და მის გამოჩენას ველოდები, სასიკვდილო საფრთხეში ვარ. მაგრამ მე მხოლოდ ქორწინებაზე ვფიქრობ.

გაზაფხულია. თვე ზუსტად არ მახსოვს, სავარაუდოდ, აპრილი. ჩვენ ევროპელებისგან განსხვავებული კალენდარი გვაქვს. არავინ იცის მშობლების ზუსტი ასაკი, საკუთარი დაბადების წელი. დროის ათვლა რამადანის, მოსავლის აღების ან ლეღვის კრეფის სეზონის მიხედვით ხდება. დღის განმავლობაში მთელი ჩვენი საქმიანობა მზის ამოსვლითა და ჩასვლით განისაზღვრება.

ვფიქრობდი, რომ მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, მოგვიანებით საბუთიდან შევიტყვე, რომ ცხრამეტისა ვყოფილვარ. მაგრამ არაფერი ვიცი ამ საბუთის შესახებ; არც ის, როგორ შეადგინეს. სავსებით შესაძლებელია, როდესაც ჩემი დაბადების მოწმობის აღება აიძულეს, დედაჩემს ჩემი დაბადების წელი რომელიმე ჩემი დის დაბადების თარიღში არეოდა. პირველი მენსტრუაციის წამოსვლისთანავე „მომწიფებულად“ ვითვლებოდი, ხოლო რამადანის სამი ან ოთხი პერიოდი რომ ჩავლიდა, ჩემი გათხოვების დროც უნდა დამდგარიყო. ქალი ქორწინების დღეს გავხდებოდი. დედაჩემი ასაკით ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე მოხუცს ჰგავს, მამაჩემი კი ნამდვილად ასაკოვანია, რამდენიმე კბილია აქვს შერჩენილი.

ფაიეზი რასაკვირველია, ჩემზე უფროსია, მაგრამ ეს კარგია. ის ჩემი მფარველი უნდა იყოს. ჩემი ძმა ასადი ძალიან ახალგაზრდა დაქორწინდა თავისი ასაკის

გოგონაზე და თუ ის, თავისდა საუბედუროდ, ვაჟებს ვერ გაუჩენს, მან მეორე ცოლი უნდა მოიყვანოს.

ხრეშზე ფაიეზის ნაბიჯების ხმა მესმის. ტერასაზე შალის ხალიჩას ვბერტყავ, ის მაღლა იხედება. ყურადღებით მიყურებს და ვხვდები, რომ გამიგო. არავითარი მინიშნება, სიტყვის თქმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მანქანაში ჯდება და მიდის. ჩემი პირველი პაემანი უფრო ცოტა ხანს გაგრძელდა, ვიდრე ერთი ცალი ზეთისხილის შექმას სჭირდება, მაგრამ დაუვიწყარია.

მეორე დილით გამბედაობა მემატება, გაქცეულ თხას გავეკიდე, რომ მისი სახლის წინ ჩავიარო. ფაიეზი მილიმის და რაკი მანქანის ხმა მაშინვე არ ისმის, ვიცი, რომ დგას და მინდვრისკენ მიმავალს მიყურებს. დილით სიგრილვა, ამიტომ საბაბი მაქვს შალის წითელი მოსაცმელი მეცვას, ჩემი ერთადერთი საგარეო სამოსი, რომელიც ჭიპიდან ნიკაპამდე ღილებზე იკვრება და ძალიან მიხდება. ფარის შუაგულში ცეკვა რომ შეიძლებოდეს, ბედნიერებისგან ვიცეკვებდი. მეორე პაემანი უფრო დიდხანს გაგრძელდა. სოფელს ცოტათი რომ გავცდი, შევბრუნდი და დავინახე, მანქანა ისევ ჭიშკართან იდგა.

ამგვარი მინიშნებებით უფრო შორს წასვლა აღარ შეიძლება. ახლა მან უნდა გადაწყვიტოს, ფარულად სად შევხვდეთ, უკვე იცის, სად და როდის მივდივარ.

მეორე დღეს დედაჩემი შინ არ არის, მამაჩემთან ერთად ქალაქშია წასული, ჩემი ძმა თავის ცოლთანაა, ხოლო კაინატი თავლას ალაგებს და პატარა დებს უვლის. მარტო მივდივარ ბოცვრებისთვის ბალახის მოსატანად. თხუთმეტი წუთის გზა გავიარე და ვხედავ, ფაიეზი იქაა, ჩემ წინ. ის უჩუმრად ამედევნა და ახლა მესალმება. მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ დამაბნია. გარშემო ვიყურები, მეშინია, ჩემი ძმა ან რომელიმე თანასოფლელი არ გამოჩნდეს. არავინ ჩანს, მაგრამ თავის შესაფარებლად მინდვრის ბოლოში საკმარისად მაღალ დამრეც ფერდობს ვარჩევ. ფაიეზი უკან მომყვება. დარცხვენილი ვარ, მიწას დავცქერი, კაბას ვჭმუჭნი და ჩემი მოსაცმელის ღილებს ვაწვალე, არ ვიცი, რა ვუთხრა. ის თავდაჯერებულია, კბილებით ხორბლის თავთავის მწვანე ღერო უჭირავს და მათვალაიერებს: „რატომ არ თხოვდები?“

- ჩემი ცხოვრების მამაკაცი უნდა ვიპოვო, თანაც, ჯერ ჩემი და უნდა გათხოვდეს.
- მამაშენი გელაპარაკა?
- მითხრა, რომ დიდი ხნის წინ მამაშენი იყო მასთან ჩემი ხელის სათხოვნელად.
- ოჯახში კარგად გექცევიან?
- მამაჩემმა შენთან რომ დამინახოს, მცემს.
- გინდა, დავქორწინდეთ?
- მაგრამ ჯერ ჩემი და უნდა გათხოვდეს...
- გეშინია?

– ჰო, მეშინია. მამაჩემი ავია. ეს შენთვისაც საშიშია. მან შეიძლება მცემოს, მერე კი შენც გცემს.“

ვიდრე მე ბალახს ვაგროვებ, ის ფერდობის ძირში მშვიდად ზის, თითქოს მე მელოდება და არ იცის, რომ მასთან ერთად სოფელში დაბრუნება შეუძლებელია.

„აქ დარჩი, მარტო დავბრუნდები“, – ვეუბნები და სწრაფი ნაბიჯით შინ მივდივარ, თან ჩემი თავით ვამაყობ. მინდა, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დარჩეს და მიხვდეს, რომ გონიერი გოგონა ვარ. მასთან ურთიერთობის დროს ჩემს ღირსებას უნდა გავუფრთხილდე, რადგან მისი ყურადღება მე მივიქციე.

ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. მასთან ასე ახლოს თუნდაც რამდენიმე წუთით ყოფნა არაჩვეულებრივია. ამ გრძნობას სახელს ვერ ვარქმევ, თუმცა მთელი სხეულით შევიგრძნობ. ძალიან გულუბრყვილო ვიყავი და პირუტყვზე მეტი განათლება არ მქონია, მაგრამ ეს გრძნობა, გულისა და სხეულის თავისუფლების შეგრძნება, არაჩვეულებრივი იყო. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი საკუთარი თავი ადამიანად, რომელიც თავად წყვეტს, როგორ უნდა მოიქცეს. ვცოცხლობ! არც მამაჩემს ვემორჩილები, არც ვინმე სხვას. პირიქით, ვეურჩები და არ ვემორჩილები.

საკმაოდ კარგად მახსოვს ეს და შემდგომი წუთები. იქამდე თითქოს არც მიცხოვრია. ჩემი გარეგნობა არ მაინტერესებდა, არც კი ვიცოდი, სხვები როგორს მხედავდნენ, ლამაზი ვიყავი თუ უშნო. ანგარიში არ გამიწევია იმ ფაქტისთვის, რომ მეც ადამიანი ვარ, ფიქრი შემიძლია, გრძნობები მაქვს. ვიცოდი მხოლოდ შიში, წყურვილი სიცხისას, ტანჯვა და შეურაცხყოფა, როცა თავლაში პირუტყვივით მბამდნენ და ზურგზე ისე მირტყამდნენ, რომ ველარაფერს ვგრძნობდი. კიდეც ვიცოდი გაგუდვის ან ჭაში ჩაგდების შიში. ცემას მორჩილად ვიტანდი. მართალია, მამაჩემი ძველებურად სწრაფად ვეღარ დარბის, მაგრამ ჩვენს დაჭერას მაინც ახერხებს. მისთვის იოლია, თავი აბაზანის კიდეზე მიმარტყმევინოს, თუკი წყალს დავღვრი; ან ფეხებზე ხელჯოხი შემომარტყას, როცა ჩაისთვის წყალი ზედმეტად ცხელია. როცა ასე ცხოვრობ, საკუთარ თავზე ფიქრი შეუძლებელია. მინდორში ფაიეზთან ჩემმა პირველმა ნამდვილმა პაემანმა კი დამაფიქრა: ვინ ვარ? მოუთმენლობით შეპყრობილი ქალი, რომელიც შეყვარებულია და გადაწყვეტილი აქვს ნებისმიერ ფასად თავისი რჩეულის ცოლი გახდეს.

მეორე დღეს კვლავ გზაზე დგას, ელოდება როდის წავალ მინდორში, რომ უკან გამომყვეს.

„სხვა ბიჭებსაც უყურებ?“

– არა, არასოდეს.

– გინდა, მამაშენს ჩვენი ქორწინების შესახებ დაველაპარაკო?“

მზად ვიყავი, მისთვის ფეხები დამეკოცნა. მინდოდა, ამ წუთს გაქცეულიყო და მამამისისთვის ეთქვა, რომ მას, ფაიეზს, მეტი ლოდინი აღარ შეუძლია; რომ ჩემს ოჯახთან დალაპარაკება, ოქროსა და სამკაულების მიტანა, დიდი დღესასწაულის მოწყობა სურს.

„შემდეგი შეხვედრის შესახებ ნიშანს მე მოგცემ. როცა უკან გამოგყვები, შენი წითელი მოსაცმელი აღარ ჩაიცვა, ძალიან ხვდება თვალში და ეს სახიფათოა“.

დღეები გადის, მზე ამოდის და ჩადის, დილით და საღამოს ტერასაზე ვდგავარ და მისგან ნიშანს ველოდები. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ვუყვარვარ. ერთ-ერთ ბოლო პაემანზე არ მოვიდა, თხუთმეტ წუთზე მეტი ველოდე, თუმცა შეიძლებოდა შინ დამგვიანებოდა და საძებნელად წამოსულ მამაჩემს გადავყროდი. შეწუხებული და უბედური ვიყავი, მაგრამ მომდევნო პაემანზე მოვიდა. შორიდან მომავალი დავინახე, მანიშნა, მინდვრის ბოლოს, ფერდობის ძირში დავმალულიყავი, სადაც მაღალი ბალახი იზრდება და სოფლიდან მომავალი ვერავინ შეგვამჩნევდა.

„გუშინ რატომ არ მოხვედი?“

– მოვედი, მაგრამ მოშორებით ვიმალებოდი, მაინტერესებდა, ვინმე სხვასაც ხომ არ ხვდება.

– მე არავის ვუყურებ..

– როცა ჩაივლი, ბიჭები უსტვენენ ხოლმე.

– მე იქით-აქეთ არ ვიხედები, პატიოსანი გოგო ვარ.

– ახლა უკვე ვიცი. მამაშენს შეგხვდი. მალე ვიქორწინებთ“.

ჩვენი მეორე პაემნის შემდეგ ის მართლაც იყო მამაჩემთან მოსული. ქორწილის თარიღი არ დაუთქვამთ, მაგრამ წლის ბოლომდე აუცილებლად უნდა გამართულიყო.

იმ დღეს კარგი ამინდი იყო და ცხელოდა, ლეღვი ჯერ არ დამწიფებულიყო, თუმცა დარწმუნებული ვარ, დედაჩემი ჩემს ოთახში თმის მოსაშორებლად ზაფხულის დადგომამდე შემოვა. ფაიეზი ძალიან, ძალიან ახლოს მოდის. ცოტათი მეშინია და თვალებს ვხუჭავ. მის ხელს კისერზე ვგრძნობ და ტუჩებზე მკოცნის. მაშინვე უსიტყვოდ ვიშორებ, მაგრამ ჩემი შესტი ამას ნიშნავს: „ფრთხილად, უფრო შორს ნუ წახვალ!“

„ხვალამდე. დამელოდე, მაგრამ გზაზე არა, ეს ძალიან სახიფათოა. აქ, ფერდობის ქვეშ დაიმალე. სამსახურიდან რომ დავბრუნდები, შეგხვდები“.

ის პირველი მიდის. ველოდები, როდის წავა საკმარისად შორს, რომ მეც ჩვეულებისამებრ სახლის გზას გავუდგე, მაგრამ ახლა უკვე აღელვებული. ჩემმა პირველმა კოცნამ დამაბნია. მეორე დღეს, როცა მას ჩემკენ მალულად მომავალს ვხედავ, შიშით ვკანკალებ. შინ ვერავინ ხვდება ჩემი საიდუმლო შეხვედრების შესახებ. დილით ჩემი და მომყვება ცხვრებისა და თხების მინდორში გასაყვანად, მაგრამ ის თითქმის ყოველთვის უკან მალევე ბრუნდება, რადგან თავლა და სახლი უნდა დააღაგოს, მე კი ნაშუადღევს მარტო ვრჩები, გაზაფხულზე ბალახი მაღალი იზრდება, ცხვრებმაც ამით უნდა ისარგებლონ და კარგად ჭამონ. მათი წყალობით მიადვილდება თავისუფლად წასვლა-წამოსვლა. მაგრამ ჩემი ოჯახის მიერ ბოძებული ეს თავისუფლება სინამდვილეში ყალბია, რადგან მამაჩემს ისევ თვალი უჭირავს ჩემი წასვლისა და დაბრუნების დროზე. მთელი სოფელი, მეზობლები უფლებას არ მამლევენ რაიმე შემემალოს. ფაიეზთან ტერასიდან უსიტყვოდ,

ნიშნებით მაქვს ურთიერთობა. თავის ერთი მოძრაობა და უკვე ვიცი, რომ სადამოს პაემანზე მოვა. მაგრამ თუ მანქანაში თავაუღებლად ჩაჯდა, იმ დღეს პაემანი არ შედგება. უკვე ვიცი, რომ შევხვდებით, მანიშნა. წინასწარ ვგრძნობ, რაღაც უნდა მოხდეს.

მეშინია, რომ ფაიეზი კოცნით არ დაკმაყოფილდება, იმავდროულად, რაღაც ახალი მეც მინდა მოხდეს, თუმცა ზუსტად არ ვიცი, რა მელის. მეშინია, რომ თუ ხელს ვკრავ, გაბრაზდება. თან ვენდობი, მან ხომ იცის, არ შემიძლია, ქორწინებამდე შეხების უფლება მივცე. შესანიშნავად იცის, რომ მეძავი არ ვარ. დაქორწინებასაც დამპირდა, მაგრამ აქ, მინდორში, მხოლოდ ცხვრის ფარასთან ერთად დარჩენილს, მეშინია. მაღალ ბალახებში ვიძალეები, პირუტყვს ვადევნებ თვალს და თან გზას გავცქერი. არავინ ჩანს. მინდორი ულამაზესია, უთვალავი ყვავილი გაშლილა. წელიწადის ამ დროს ცხვრები მშვიდად ჭამენ და გაქცევას არ ცდილობენ, როგორც ზაფხულში, როცა ბალახი თითქმის აღარ არის.

მარჯვენა მხრიდან ველოდებოდი, ფაიეზი კი მოულოდნელად მეორე მხრიდან გამოჩნდა. კარგია, ასე რომ ფრთხილობს და ჩემს დაცვას ცდილობს. ძალიან ლამაზია, მუხლამდე ვიწრო და ქვემოთ გაშლილი შარვალი აცვია. ასე იმოსებიან თანამედროვე, დასავლური მოდის მიმდევარი მამაკაცები. თეთრი გრძელსახელოებიანი, სამკუთხედად ჩაჭრილი პულოვერი აცვია და მკერდი მოუჩანს. ჩემი აზრით, ძალიან ელეგანტურია, ისეთი დახვეწილია და თანაც ჩემ გვერდით. დავუჯერე და წითელი მოსაცმელი აღარ ჩავიცვი, შორიდან რომ არ მომკრან თვალი. ნაცრისფერი კაბა და იმავე ფერის სარუალი მაცვია. ტანსაცმელი კარგად გავრეცხე, რადგან შინ მუშაობისას ხშირად ისვრება. თავზე თეთრი ხილაბანი მაქვს წაკრული, მაგრამ ჩემი წითელი მოსაცმელი მინდა მეცვას, უფრო ლამაზად რომ გამოვიყურებოდე.

მიწაზე ვსხდებით, ის მკოცნის. შემდეგ ხელს ბარძაყზე მადებს, მაგრამ მის ხელს ვიშორებ. ბრაზდება, განრისხებული თვალებით შემომყურებს: „რატომ არ გინდა? ნება მომეცი, შეგეხო“.

ძალიან მეშინია, რომ წავა, სხვას მოძებნის. მოფერება მაშინ შეუძლია, როცა მოისურვებს, ის ლამაზი მამაკაცი და ჩემი მომავალი ქმარია. მიყვარს, მაგრამ არც დანებება მინდა, მეშინია, თუმცა უფრო იმის მეშინია, რომ დავკარგავ. ის ჩემი ერთადერთი იმედია. ამიტომ აღარ ვდარდობ, რა დამემართება და ის რის უფლებას მისცემს თავს. ის აქ, ჩემ თვალწინაა, სურს შემეხოს და სხვა არც არაფერი მაინტერესებს. მზე მალე ჩავა, ძალიან აღარ ცხელა და პირუტყვი უკვე შინ უნდა დავაბრუნო. ბალახზე მაწვენს და იმას აკეთებს, რაც სურს. ხმას არ ვიღებ, აღარც მის თავიდან მოშორებას ვცდილობ. უხეში არ არის, არც არაფერს მაიძულებს, კარგად იცის, რასაც აკეთებს. ტკივილი უეცრად მატყდება თავს. ამას არ ველოდი, ვტირი, თუმცა ამის გამო არა. არც მანამდე იღებს ხმას, არც შემდეგ, არც ტირილის მიზეზს მეკითხება, რომც მეკითხოს, ვერ ვუპასუხებ, ამდენ ცრემლს რატომ ვღვრი. მიზეზს ვერ ვეტყობი. არც მინდოდა რაიმეს თქმა. ქალიშვილი ვარ, წარმოდგენა არ მაქვს მამაკაცისა და ქალის სიყვარული რა არის, ჩემთვის არავის არაფერი უსწავლებია. ქალმა ქალწულობა ქმართან უნდა დაკარგოს – ასე ვიცი ბავშვობიდან. ყველაფერი მდუმარედ გააკეთა იქამდე, ვიდრე სისხლი წამომივიდოდა და მხოლოდ მაშინ მიიღო გაოგნებული სახე, თითქოს ამას არ

ელოდა. ეგონა სხვა მამაკაცებთან უკვე მქონდა ურთიერთობა? იმიტომ, რომ მარტოს მიმყავდა მინდორში ცხვარი? თავად ამბობდა, რომ მითვალთვალედა და დარწმუნდა, რომ სერიოზული გოგონა ვარ. თვალეში ვერ ვუყურებ. ის ნიკაპზე ხელს მავლებს, თავს მაღლა მიწევს და ამბობს: „მიყვარხარ.“

– მეც მიყვარხარ“.

იმ დროს ვერ მივხვდი, როგორ ამაყობდა საკუთარი თავით. მხოლოდ მოგვიანებით გავბრაზდი იმაზე, რომ ჩემს ღირსებაში ეჭვი ეპარებოდა და თუმცა შესანიშნავად იცოდა, რას ვრისკავდი, გამომიყენა. სრულებით არ მსურდა მასთან სასიყვარულო ურთიერთობა მალულად, ბალახებში ჩამალულს მქონოდა; ჩემი სოფლის სხვა გოგონებზე ვოცნებობდი გათხოვებაზე, რომ სათანადოდ მომაცილებდნენ თმას, მექნებოდა ლამაზი კაბა და ქმრის სახლში დავიძინებდი; ხოლო დილით, მთელ სოფელს სისხლით მოსვრილ ზეწარს აჩვენებდა. მინდოდა სოფლის ქალების მხიარული შემახილები გამეგონა. მან კი ისარგებლა ჩემი შიშით, მე ხომ ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ ის არ დამეკარგა.

გავიქეცი, მოშორებით დავიძალე, რომ სისხლი მომეწმინდა და თავი მომეწესრიგებინა, ვიდრე ის მშვიდად ისწორებდა სამოსს. შემდეგ კი შევხვებოდი, არ მივეტოვებინე, ჩვენი დაქორწინება დაეჩქარებინა. თუ გოგონა ქალიშვილი აღარ არის, ეს ძალიან სახიფათოა მისთვის, შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

„არასოდეს მიგატოვებ.“

– მიყვარხარ.

– მეც მიყვარხარ. ახლა სახლში დაბრუნდი, ტანსაცმელი გამოიცვალე და ისე მოიქეცი, თითქოს არაფერი მომხდარა. რაც მთავარია, შინ არ იტურო“.

ჯერ ის წავიდა. აღარ ვტიროდი, მაგრამ თავს ცუდად ვგრძნობდი. ეს სისხლი გულს მირევდა. მამაკაცის სიყვარული სრულებით არ აღმოჩნდა დღესასწაული. ცუდად ვიყავი, თავი წაბილწული მეგონა, დასაბანად წყალიც კი არ მქონდა და სისხლი ბალახით გავიწმინდე. მთელი მუცელი მეწვოდა, თან ცხვრისთვის თავი უნდა მომეყარა და ჩემი დასვრილი სამოსით შინ დავბრუნებულიყავი. ყველაფერი მალულად უნდა გამერეცხა. შარაზე სწრაფად მივაბიჯებდი, ვფიქრობდი, რომ ასე სისხლი აღარ წამომივიდოდა, თან თავს ვეკითხებოდი, ყოველთვის ასე ცუდად ვიქნებოდი თუ არა ქმართან ურთიერთობის შემდეგ და ეს ურთიერთობა მუდამ ასეთი გულსამრევი უნდა ყოფილიყო?

შინ დაბრუნებული ნეტავ ჩვეულებრივად გამოვიყურები? აღარ ვტირი, მაგრამ შინაგანად ვიტანჯები და თან მეშინია. ახლალა ვხვდები, რა ჩავიდინე. ქალიშვილი აღარ ვარ. მხოლოდ გათხოვების შემთხვევაში ვიქნები უსაფრთხოდ. პირველ ღამეს ქალიშვილი აღარ ვიქნები. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მე ხომ მასთან ქალიშვილი ვიყავი. რამეს მოვახერხებ, თითოს დანით გავიჭრი და ასე მოვსვრი ზეწარს სისხლით, და მეც ყველა დანარჩენ ქალს დავემსგავსები.

სამი დღე გადის. ტერასიდან ვუთვალთვალე, ნიშანს როდის მომცემს. ამჯერად მინდვრის მეორე ბოლოში, ქვებისგან აგებულ ფანჩატურში მივდივართ. აქ თავს ჩვეულებრივ, წვიმის დროს აფარებენ ხოლმე. ამჯერად სისხლი აღარ მომდის,

მცირე ტკივილს ვგრძნობ, მაგრამ აღარ მეშინია. არ მადარდებს, ჩემს სხეულს როგორ ეპყრობა; არ მადარდებს, მე ხომ გონებით მიყვარს. ის ჩემი ცხოვრებაა, ჩემი იმედი, რომ ოდესმე მშობლების სახლს დავტოვებ, ქმართან ერთად ქუჩაში გავლას შევძლებ, მანქანაში მის გვერდით დავჯდები, რომ მასთან ერთად მაღაზიაში ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ვიყიდო, ბაზარში წავიდე.

მასთან ყოფნით, იმით, რომ მას ვეკუთვნი, კმაყოფილი ვარ. ის ნამდვილი მამაკაცია. ვხვდები, რომ ქალთან პირველად არ არის, იცის რა როგორ უნდა გააკეთოს. ექვიც არ მეპარება, რომ დავქორწინდებით. ზუსტი თარიღი არც მან იცის და არც მე, მაგრამ ზედმეტ კითხვებს არ ვსვამ. ვთვლი, რომ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

იქამდე კი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო, ვინმემ არ დამაბეზლოს. მომდევნო პაემანზე მოსასვლელად სხვა გზას ავირჩევ. იმ დამატებით დროს ვანგარიშობ, რაც დამჭირდება, მაგრამ იქამდე, რკინის ჭიშკრიდან მარტო არ გავალ. სახლიდან აუცილებლად დედასთან ან დასთან ერთად გამოვალ. ყოველ დილით ველოდები, როდის წავა ფაიეზი სამსახურში. ხრეშზე მისი ფეხის ხმის გაგონებისთანავე ტერასის კედელთან მივდივარ. თუ გარეთ კიდევ ვინმეა, ზურგს ვაქცევ; თუ არავინაა, ნიშანს ველოდები. უკვე ორი პაემანი გვქონდა მას შემდეგ, რაც ქალიშვილი აღარ ვარ. ყოველდღე შეხვედრა შეუძლებელია, ეს ძალიან დიდი გაუფრთხილებლობა იქნებოდა. მხოლოდ მეექვსე დღეს მანიშნა, რომ პაემანი გვექნებოდა. ისევ მეშინია, თან მაინც ვენდობი. სოფელში ყოველი ჩქამის გაღებას ყურს ვუგდებ, გზის სიახლოვეს არ ვრჩები. ხევის პირას, ხელში ჯოხით ვზივარ. ვუმზერ, ყვავილიდან ყვავილზე როგორ დაფრინავენ ფუტკრები და ვოცნებობ, მალე დადგეს დღე, როდესაც ცხვრებისა და თხების მწყემსვა აღარ მომიწევს, არც თავლიდან ნაკელის გაზიდვა. ის მოვა, მას ვუყვარვარ და სანამ წავა, კიდევ ვეტყვი, როგორც ორჯერ უკვე ვუთხარი: „არ მიმატოვო“.

მესამედ გვაქვს სასიყვარულო ურთიერთობა. ყვითელი მზე ფერმკრთალდება და სადაცაა ჩავა, შინ უნდა მივიყვანო ცხვრები და ძროხები. ვეუბნები: „მიყვარხარ, არ მიმატოვო. როდის მოხვალ?“

– ასე მალე არ შეიძლება. ცოტა მოვიცადოთ.

– როდემდე?

– ვიდრე ნიშანს არ მოგცემ“.

ჩვენი სიყვარული თხუთმეტი დღეა გრძელდება, სამი პაემანი გვქონდა მინდორში. ფაიეზი ფრთხილობს და ასეც უნდა იყოს, მეც უნდა მოვითმინო, ვიდრე ჩემი მშობლები დამელაპარაკებიან, როგორც ეს ნურას გათხოვებისას მოხდა. მამაჩემი აღარ უნდა დაელოდოს კაინატის გათხოვებას! ფაიეზმა ჩემი ხელი სთხოვა, ის კი უკვე ოცი წლისაა, შინაბერაა. მამაჩემს შეუძლია თავიდან მომიშოროს, კიდევ ორი გოგონა ჰყავს! პატარები, ხადიჯა და სალიმა დაეხმარებიან დედას, მიხედავენ პირუტყვსა და მოსავალს. ფატმა, ჩემი რძალი, ისევ ფეხმძიმედაა, მალე იმშობიარებს. მასაც შეეძლება მუშაობა. ჩემი მომავალი მაშინებს, რადგან მისი გადაწყვეტა ჩემზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ ძალიან დიდხანს ველოდები.

მანც, ყოველ სადამოს, იმედი მაქვს, რომ ფაიეზი იმ ხევის მარცხენა ან მარჯვენა მხრიდან გამოჩნდება, სადაც ვიმალები.

ერთ დილით თავლის დალაგებისას თავს უცნაურად ვგრძნობ, ნაკელის სუნი თავბრუს მახვევს. როცა სადილისთვის ცხვრის ხორცს ვამზადებ, გულისრევის შეგრძნება მაქვს. ნერვიული გავხდები, მხოლოდ უმიზეზოდ ტირილი და სულ ძილი მინდა. ყოველ დილით, როცა ფაიეზი შინიდან გადის, არ მიყურებს და არაფერს მანიშნებს. დრო გადის, ძალიან დიდი დრო და უკვე აღარ მახსოვს, მენსტრუაცია როდის მქონდა, არც ის, როდის უნდა მომივიდეს. მახსენდება, დედაჩემი როგორ ეკითხებოდა ნურას: „ციკლი გაქვს?“

– დიახ, დედა.

– მაშ ჯერ ფეხმძიმედ არ ხარ“.

ან კიდევ: „არ მოგსვლია? კარგია, ესე იგი ფეხმძიმედ ხარ!“

მე კი მენსტრუაცია აღარ მაქვს. დღეში რამდენჯერმე ვამოწმებ, ყოველთვის, როცა ტუალეტში შევდივარ და თვალს მოფარებული ვარ. ზოგჯერ თავს ისე უცნაურად ვგრძნობ, იმედი მიბრუნდება. მაგრამ ამოდ. ძალიან მეშინია და ეს შიში ყელში ისე მიჭერს, თითქოს გული მერევა. თავს წინანდებურად აღარ ვგრძნობ, არც მუშაობა მინდა და აღარც დილით ადგომა. ჩემი ბუნება გამოიცვალა.

ყველაზე უარესზე რომ არ ვიფიქრო, ათას მიზეზს ვეძებ. იქნებ ქალიშვილობის დაკარგვით გამოწვეული შოკი ასე ცვლის გოგონას? იქნებ ამის შემდეგ მენსტრუაციაც ცოტა ხანს იგვიანებს? ამ გულუბრყვილო კითხვებზე პასუხს ვერავისგან მივიღებ. ყველა ღვთის რისხვას დამატებს.

განუწყვეტლივ, დღისა და განსაკუთრებით, ღამის ყოველ წამს ამაზე ვფიქრობ, ვფიქრობ მაშინაც, როცა ჩემი დების გვერდით ვიძინებ. თუ ფეხმძიმედ ვარ, მამაჩემი ცხვრის ტყავის საგებით გამგუდავს. დილით გაღვიძებული ბედნიერი ვარ, რომ ისევ ვცოცხლობ. მეშინია, რომ ოჯახის რომელიმე წევრი ჩემს უცნაურობას შენიშნავს. გულს მირევს სადილად მომზადებული ტკბილი ბრინჯი, დალაგების ნაცვლად მინდა თავლაში დავიძინო. მუდმივად დაღლილობას ვგრძნობ, სახე გაფითრებული მაქვს და იმის მეშინია, დედაჩემი ჩემს ავადმყოფობას იეჭვებს. მე ხომ ავად არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ ვცდილობ, თვალში არ მოვხვდე, ვიმალები, თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო რთული ხდება. ფაიეზი კი არ ჩანს. მანქანაში თავისი ლამაზი კოსტიუმით, ფეხსაცმლითა და პორტფელით ხელში ჯდება და ისე სწრაფად მიქრის, რომ უკან მტვრის კორიანტელს ტოვებს. ზაფხული მოდის. დილიდანვე ძალიან ცხელა. პირუტყვი გამთენიისას უნდა გავიყვანო მინდორში და მანამდე დავაბრუნო, ვიდრე მზე ძალიან დააჭერს. ტერასიდან თვალთვალს ვეღარ ვახერხებ, თუმცა აუცილებლად უნდა დაველაპარაკო ქორწინების შესახებ, რადგან ცხვირზე უცნაური ლაქა გამიჩნდა. ეს პატარა ყავისფერი ლაქაა, მის დამალვას ყველანაირად ვცდილობ, რადგან ვიცი, ეს რასაც ნიშნავს. ფეხმძიმე ნურასაც ჰქონდა მსგავსი ლაქა. ერთხელ გაოცებულმა დედაჩემმა შემომხედა: „რა დაგემართა?“

– არ მივაქციე ყურადღება და ინით დასვრილი ხელი მომიხვდა“.

ლაქა რომ დამეფარა, ცხვირზე განგებ მოვისვი ცოტა ინა. მაგრამ ასე დიდხანს ვერ მოვიტყუები, ფეხმძიმედ ვარ, ფაიეზი კი უკვე ერთი თვეა, არ მინახავს.

აუცილებლად უნდა შევხვდე. ერთ საღამოს, როცა მზე კიდევ არ არის ჩასული, ეზოში წყალს ვაცხელებ, სარეცხის გასარეცხად. მერე, როცა დაახლოებით ვიცი, რომ ფაიეზი სამსახურიდან უნდა დაბრუნდეს, თეთრეული ტერასაზე გასაფენად ამაქვს. ახლა თავითა და ჟესტებით დაჟინებით ვანიშნებ: „უნდა განახო, მინდორში მივდივარ და გამომყევი...“

მან დამინახა. მშობლებს ვეუბნები, რომ ავადმყოფ ცხვართან უნდა ვიყო თავლაში, თუმცა გარეთ გავდივარ. ცხვარი მართლაც ავად არის, სადაცაა იმშობიარებს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მასთან ვრჩები, წინა ღამეც მის გვერდით, თავლაში მაქვს გატარებული, მშობიარობის დაწყება რომ არ გამომრჩენოდა.

ჩვენი შეხვედრის ადგილზე ჯერ მე მივდივარ, მალე ისიც მოდის. მაშინვე ჩემს გახდას იწყებს, ჰგონია, ამისთვის დავუძახე. უკან ვიხევი: „არა, ამისთვის არ მინდოდა შენი ნახვა.“

– მაშ, რისთვის?

– უნდა ვილაპარაკოთ.

– ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ... მოდი!

– არ გიყვარვარ. არ შეიძლება, მხოლოდ ვილაპარაკოთ?

– პირიქით, ძალიან მიყვარხარ, ისე ძალიან, რომ ყოველთვის, როცა გხედავ, შენი მოფერება მინდა.

– ფაიეზ, პირველ შეხვედრაზე არაფერი მინდოდა, შენ მაკოცე, შემდეგ სამჯერ დავყევი შენს სურვილს, ახლა კი მენსტრუაცია აღარ მაქვს.

– იქნებ გადაგიცდა?

– არა, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, და კიდევ, თავს უცნაურად ვგრძნობ...“

მოფერების სურვილი გაუქრა. სახეზე ვატყობ, გაფითრდა.

„ახლა რა უნდა ვქნათ?“

–სასწრაფოდ უნდა დავქორწინდე! მეტს ვეღარ მოვიცდით, მამაჩემი უნდა ნახო. ნუ იქნება ქორწილი, ჩემთვის სულერთია!

– მთელი სოფელი ალაპარაკდება, დაქორწინება ასე არ ხდება!

– ზეწარს როგორ გადაფენ აივნებიდან?

– ეს ნუ გადადარდებს, ამას მე მოვაგვარებ. პატარა ქორწილი არ არის საკმარისი, ჩვენ დიდ ქორწილს ვგეგმავდით და რაც ითქვა იმას ვერ შევცვლით. მამაშენს დაველაპარაკები. ხვალ ისევ ამ დროს აქვე მოდი.

– აქ მოსვლა ყოველთვის შეუძლებელია, შენ კაცი ხარ, იმას აკეთებ, რაც მოგესურვება... ჩემს ნიშანს უნდა დაელოდო. თუ მოსვლა შემიძლია, ტერასაზე ვიდგები და ნაწნავს დავიწნი. თუ ხილაბანდი არ მოვიხადე, ესე იგი მოსვლას ვერ შევძლებ“.

მეორე დღეს გამბედაობას ვიკრებ, ავადმყოფი ცხვრისთვის ბალახის მოტანას ვიმიზეზებ. ფაიუსს ვანიშნებ და მინდორში აკანკალებული მივრბივარ. მამაჩემს არაფერი უთქვამს, არც მე გამიგია რაიმე. ძლივს ვსუნთქავ. ნახევარი საათის დაგვიანებით მოდის. ვფრთხილობ, მაგრამ მაშინვე მოურიდებლად ვეკითხები: „რატომ არ მოხვედი მამაჩემთან სალაპარაკოდ?“

– ვერ ვბედავ მამაშენს სახეში შევხედო. მისი ძალიან მეშინია.

– კი მაგრამ, უნდა იჩქარო, უკვე ორი თვე გავიდა, მალე მუცელიც გამეზრდება. რა უნდა ვქნა?“

ტირილი დავიწყე. მაშინ მეუბნება: „ნუ ტირი, შინაც არ იტირო. ხვალ მოვალ მამაშენის სანახავად“.

ძალიან მინდოდა მისთვის დამეჯერებინა და დავუჯერე. დავუჯერე იმიტომაც, რომ მიყვარდა და ადრე უკვე იყო მამაჩემთან ჩემი ხელის სათხოვნელად. კარგად მესმოდა მისი, მამაჩემის რომ ეშინოდა. როგორ აუხსნიდა, ასე რატომ უნდა დაჩქარებულიყო ქორწილი? განა რა მიზეზს მოიფიქრებდა მამაჩემის ეჭვისა და სიბოროტის საწინააღმდეგოდ ისე, რომ ჩვენი საიდუმლო არ გაეთქვა, ჩემი და საკუთარი ღირსებისთვის ზიანი არ მიეყენებინა?

იმ საღამოს ჩვეულებისამებრ ვილოცე. ჩემი მშობლები ძალიან რელიგიურები იყვნენ, დედაჩემი საკმაოდ ხშირად დადიოდა მეჩეთში. გოგონებს დღეში ორჯერ შინ უნდა გველოცა. მეორე დღეს კი, გაღვიძებისთანავე ალაჰს მადლობა შევწირე, ისევ ცოცხალი რომ ვიყავი.

ტერასაზე რომ ავედი, ფაიუსის მანქანა უკვე წასული იყო. ვიმუშავე, ცხვარს მოვუარე, თავლა დავალაგე, პირუტყვი მინდორში გავიყვანე, პომიდორი დავკრიფე.

საღამოს დადგომას ველოდებოდი. ისე ძალიან შემეშინდა, რომ უზარმაზარი ქვა მოვძებნე, შემდეგ მუცელში ჩავირტყი. ვიმედოვნებდი, სისხლი წამომივიდოდა და ყველაფერი მოგვარდებოდა.

უკანასკნელი პაემანი

მოსაღამოვდა. სასოწარკვეთილი ველოდები, რომ ფაიუსი ან მარტო მოვა, ან მშობლებთან ერთად, თუმცა კარგად ვხვდები, ეს არ მოხდება. უკვე ძალიან გვიანაა. მისი მანქანა სახლის წინ ჩვეულ ადგილას არ დგას, სახლის დარაბები ისევ დახურულია.

მესმის, რომ ჩემთვის ეს უკვე კატასტროფაა. ღამით არ მძინავს და ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორ შეხვდა ჩემს ოჯახს სადმე სხვაგან, ხოლო სახლის დარაბები იმიტომ დახურეს, რომ ძალიან ცხელა.

უჩვეულოა, რომ მეხსიერებამ ჩემი ცხოვრების ეს რამდენიმე კვირა ასე ცხადად შემოინახა. მე ხომ ძალიან მიჭირს ჩემი ბავშვობის გახსენება, რადგან მასში ბედნიერებასა და სიმშვიდეს ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ ძალადობის ამსახველი სცენები მახსოვს. თუმცა, არასოდეს დამვიწყებია მოპარული თავისუფლების, შიშისა და იმედის ის წუთები. მახსენდება, იმ ღამეს როგორ ვიწექი მოკუნტული ცხვრის ტყავის ქვეშ, მუცელი ორივე ხელით მეჭირა, ღამის უმცირეს ჩქამსაც კი სულგანაბული ვუსმენდი. ხვალ მოვა, ხვალ არ მოვა. გადამარჩენს, მიმატოვებს... თითქოს ჩემს თავში მუსიკა ხმიანობდა.

დილით სახლთან მისი მანქანა დავინახე. გავიფიქრე: „ცოცხალია!“ იმედი კიდევ არის. მის წასვლას ვერ დაველოდებოდი, მაგრამ საღამოს, სამსახურიდან დაბრუნების დროისთვის, ტერასაზე ვარ, ვანიშნე მეორე საღამოს, მზის ჩასვლისთვის შემხვედროდა.

მეორე დღეს მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც ცხვრებისთვის ბალახის მოსატანად წავედი. ათი, თხუთმეტი წუთი ველოდე, ვიმედოვნებდი, რომ მოშორებით იყო დამალული. მარცვლეულის მოსავალი უკვე აღებული იყო, თუმცა ალაგ-ალაგ მაინც შეიძლება ნედლი ბალახის შეგროვება და პატარა კონებს ვკრავ. შეკრულ კონებს გზის პირზე ვაწყობ. სწრაფად ვმუშაობ, მაგრამ კიდევ სამ კონას შესაკრავად ვიტოვებ – თუ ვინმე გაივლის, ეჭვი რომ არ აიღოს, რადგან მოშიშვლებული ადგილია და კარგად ვჩანვარ. ძირს დავიხრები და თავს ისე მოვაჩვენებ, რომ ძალიან დაკავებული ვარ კონების შეკვრით. კიდევ თხუთმეტი წუთი მრჩება დაბრუნებამდე. დედაჩემი გავაფრთხილე, რომ ნახევარი საათი დამჭირდებოდა. ამ დროს პირუტყვი უკვე დაბინავებულია, მოწველა და ხვალისთვის ყველის ამოყვანა მრჩება. პაემანზე წასასვლელად ბევრ რამეს ვიმიზეზებდი. ხან ჭიდან პირუტყვისთვის წყალი მიმქონდა – რამდენიმე გზას ვაკეთებდი თავზე შემოდგმული სათლით; ბოცვრებისთვის ლორთქო ბალახი იყო საჭირო, ქათმებისთვის – ახალდაფქული მარცვალი... ვამოწმებდი, ლეღვი უკვე დამწიფდა თუ არა, ხან სამზარეულოში ლიმონი მჭირდებოდა, ან პურის საცხობი ღუმლის გახურება.

არ უნდა ენდო მშობლებს, ისინი, თავის მხრივ, ქალიშვილს არ ენდობიან. გოგონამ ბევრი რამ შეიძლება ჩაიდინოს. ეზოში მიდის? რატომ? იქნებ პურის საცხობი ღუმლის უკან საიდუმლო პაემანი აქვს? წყალზე წავიდა? სათლი წაიღო? საქონელს წყალი ნამდვილად გამოელია? თივის მოსატანად იყო? რამდენი კონა მოიტანა?

იმ საღამოს ტომარა კონიდან კონამდე გადამაქვს. სწრაფად ვავსებ, თან ველოდები, ისევ ველოდები. ვიცი, მამაჩემი ჩვეულებისამებრ სახლის წინ, ნათურის ქვეშ ზის, ფაშასავით ჩიბუხს ეწევა და თავისი ქამრით ელოდება, დაბრუნდება თუ არა მისი ქალიშვილი იმ დროისთვის, როცა თქვა. წუთებს ითვლის, საათს დაჰყურებს და თუ ვთქვი, რომ ნახევარ საათში დავბრუნდები, ოცდაცხრა წუთის გასვლის შემდეგ ჭიშკარი უნდა შევალო, თორემ ქამრით ცემას ვერ გადავურჩები.

სამი კონაღა დამრჩა შესაკვრელი. ცა ნაცრისფრია, მზის ყვითელი ლაქაც გაფერმკრთალდა. საათი არ მაქვს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთი რჩება დაღამებამდე. ჩემს ქვეყანაში სწრაფად ღამდება. გეგონება, მთელი დღე ნათებით დაღლილი მზე ქვასავით ვარდება ძირს და სრულ სიბნელეში გვტოვებს.

იმედი გადამეწურა. ყველაფერი დასრულდა, მიმატოვა. შინ მივდივარ.

მეორე დილით ვიხედები და მანქანის ადგილი ისევ ცარიელია.

ეს ნამდვილად დასასრულს ნიშნავს. უკვე ვხვდები, რომ სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. მან ისარგებლა და გამომიყენა. ეს მისთვის ხელსაყრელი შემთხვევა იყო, მაგრამ ჩემთვის – არა.

სიმწრით თითებს ვიჭამ, მაგრამ უკვე გვიანაა. ვეღარასოდეს შევხვდები. ერთი კვირის შემდეგ ტერასაზეც კი აღარ ავდივარ. ვარდისფერი სახლის დარაბები ისევ დახურულია, მანქანაში ჩაჯდა და ლაჩრულად გაიქცა. ვეღარავინ დამეხმარება.

სამი-ოთხი თვის შემდეგ მუცელი ზრდას იწყებს. ჯერ კიდევ შემიძლია მისი დამალვა განიერი კაბით, მაგრამ თუ თავზე წყლით სავსე ვედრო ან რამე სხვა ტვირთი მიმაქვს, მოხრილსა და ხელეზაწეულს მნიშვნელოვანი ძალისხმევა მჭირდება მუცელი რომ არ გამოჩნდეს. არც ცხვირიდან მშორდება ლაქა, მისი მოცილება ამოდ ვცადე. ისევ ინას ვეღარ მოვიმიზეზებ, დედაჩემი აღარ დამიჯერებს.

ლამით უფრო სასოწარკვეთილი ვარ. სულ უფრო ხშირად ვიძინებ ცხვრებთან ერთად. საბაზი ადვილად მოვიფიქრე: როცა ცხვარი მშობიარობს, ადამიანისთვის დახმარება სჭირდება, რომ ბატკანი დედის მუცელშივე არ დაიღუპოს.

ხშირად მახსენდება ის ცხვარი, რომლის ბატკანი დაბადებას ვერ ახერხებდა. ხელი შევყავი, თავი გავუსწორე და ძალიან ფრთხილად გამოვწიე. მეშინოდა, მისთვის რამე არ დამეშავებინა, ბევრი ვიწვალე მისი სიცოცხლის გადასარჩენად. დედამისს აღარ შეეძლო მშობიარობა და ვეხმარებოდი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დაიღუპა.

პატარა ბატკანი დედალი იყო და ბავშვივით მუდამ უკან დამდევდა. სახლიდან გასულს მეძახდა. ჯერ ცხვრებს ვწველიდი, შემდეგ მას საწოვართი ვაჭმევდი. მაშინ თხუთმეტიოდე წლის ვიქნებოდი. ბევრ ცხვარს დავხმარებივარ მშობიარობაში, მაგრამ მხოლოდ ეს შემთხვევა დამამახსოვრდა. პატარა დამდევდა ბოსტანში, ამოდიოდა სახლის კიბეზე. სადაც წავიდოდი, ისიც იქ მომყვებოდა – დედა მოკვდა, ბატკანი კი ცოცხლობდა...

უცნაურია ასეთი ზრუნვა ცხვრის მშობიარობაზე, მაშინ როცა დედაჩემი ახალშობილებს გუდავდა. მაშინ ამაზე არ მიფიქრია. ეს საყოველთაოდ მიღებული ჩვეულება იყო. ახლა, როცა ეს საზარელი სურათები გონებაში ამომიტივტივდა, აღშფოთებული ვარ. მაშინ კარგად რომ გამეაზრებინა ყველაფერი, უმალ დედაჩემს დავახრჩობდი თუნდაც მხოლოდ ერთი პაწაწინა გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად.

უკიდურესი მორჩილების მდგომარეობაში მყოფი ქალი რომ გოგონებს ხოცავს, სავსებით ნორმალურია. ასევე ნორმალურია, როცა მაგალითად, მამაჩემი საკუთარ ქალიშვილებს ცხვრის საკრეჭი მაკრატლით გადაჰპარსავს თავს. ქამრებით ან ხელჯოხით ცემაც ჩვეულებრივი მოვლენაა, ისე როგორც თავლაში ბაგაზე მთელი ღამით მათი მიბმა. მამაჩემს რომ შეეტყო ჩემი ფეხმძიმობა, რას მოიმოქმედებდა? მე და ჩემი და კაინატი ვფიქრობდით, რომ თავლაში ბაგაზე მიბმა ყველაზე

უარესი რამ არის, რაც კი შეიძლება დაგვემართოს. ხელები ზურგს უკან დაგვიბა, რომ არ გვეყვირა პირი ჩვენივე თავშელებით აგვიკრა, ფეხები იმ თოკით შეგვიკრა, რომლითაც მანამდე გვცემა. დამუნჯებულებს მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, ერთმანეთს ვუყურებდით, ერთსა და იმავეს ვფიქრობდით: „რაკი დაბმულები ვართ, ვცოცხლობთ“.

სწორედ მამაჩემი მოვიდა ჩემთან სარეცხის რეცხვის დღეს. ზურგს უკან კოჭლობისა და მიწაზე მისი ხელჯოხის კაკუნი გავიგონე. ჩემ უკან დადგა, განძრევა ვერ გავბედე: „დარწმუნებული ვარ, ფეხმძიმედ ხარ“.

ზეწარი ტაშტში ჩამივარდა, თვალის გასწორებას ვერ ვბედავდი. არ შემეძლო გაკვირვებულის ან დამცირებულის იერით მომეტყუებინა.

„არა, მამა, რას ამბობ!“

– როგორ თუ არა! შენს თავს შეხედე! გასუქდი! ამ ლაქაზე თქვი, რომ მზისგან დაიწვი, მერე თითქოს ინა წაისვი. დედაშენი მოვა და მკერდს შეგიმოწმებს“

მაშასადამე დედაჩემმა რაღაც იეჭვა. მამაჩემმა კი შემოწმება უბრძანა.

„დედაშენს მკერდს აჩვენებ“.

მეტს აღარაფერს ამბობს, ტრიალდება და მიდის.

არ დაურტყამს. მე არ გამიპროტესტებია, ხმის ამოღება არ შემეძლია. ვფიქრობ, რომ ახლა მართლაც ყველაფერი დასრულდა, სიკვდილი გარდაუვალია. ახლა დედაჩემის რიგია. დოინჯშემოყრილმა შემოუარა ტაშტს.

„ახლავე შეწყვიტე რეცხვა! მკერდი მაჩვენე!“

– არ შემეძლია, დედა. გემუდარები, მრცხვენია.

– შენ თვითონ მაჩვენებ თუ ტანსაცმელი შემოგახიო?“

ღილებს მკერდამდე ვიხსნი და ნაჭერს ვწევ.

„ფეხმძიმედ ხარ?“

– რა თქმა უნდა, არა!

– მენსტრუაცია თუ გაქვს?

– დიახ!

– როცა გექნება, ჩვარს აუცილებლად მაჩვენებ!“

რომ დაწყნარდეს, ასევე ჩემივე უსაფრთხოებისთვის, თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. კარგად ვიცი, ახალ მთვარეზე რამეს გავიჭრი, ჩვარს იმით დავსვრი და ვაჩვენებ.

რეცხვას ვწყვეტ, უნებართვოდ გავდივარ ეზოში და ძველი ლიმონის ხის ტოტებს ვაფარებ თავს. სისულელეა აქ თავის შეფარება, ტოტები ვერ დამიცავს, მაგრამ ისეთი შეშინებული ვარ, თავადაც არ ვიცი რას ჩავდივარ. მამაჩემმა მალე მიპოვა,

თხასავით ტოტებში აცოცებული და ფოთლებში ჩამალული. ფეხებზე მომქაჩა და ძირს ჩამაგდო.

დაცემისას მუხლი გადამიტყავდა. სახლში შევეყავარ. სალბის ფოთლებს ღეჭავს და იმ მასას ნატკენ მუხლზე მადებს. უცნაურია. ვერ ვხვდები, მას შემდეგ, რაც ასე უხეშად ჩამომაგდო, ახლა რატომ ზრუნავს, ეს ხომ არასოდეს გაუკეთებია. მაშინ გავიფიქრე, ალბათ, ბოროტი არ არის. დაიჯერა, რაც ვუთხარი. თუმცა, რაც დრო გადის, ვფიქრობ, რომ არ სურდა ამ სისხლის გამოყენებით მომეტყუებინა, ვითომ ციკლი ისევ მაქვს...

ტოტიდან ჩამოვარდნის დროს მუცელი მეტკინა და იმედი მაქვს, რომ მენსტრუაცია წამომივა.

მოგვიანებით ოჯახური თათბირი შედგა, თუმცა მე მასზე დასწრების უფლება არ მაქვს. ნურა და ჰუსეინიც მოიწვიეს. კედელთან აკრული ვუსმენ. ჯერ ყველა ერთად ლაპარაკობს, მერე მამაჩემის ხმა მესმის: „დარწმუნებული ვარ, ფეხმძიმეა. ჩვენ არაფერს გვეუბნება, დაველოდოთ, როდის ექნება მენსტრუაცია“.

როგორც კი თათბირი მთავრდება, მეორე სართულზე ავდივარ, ვითომ მძინავს.

მეორე დღეს მშობლები ქალაქში მიდიან. გარეთ გასვლა აკრძალული მაქვს. ჭიშკარი ჩაკეტილია, მაგრამ ბოსტნის გავლით მინდორში გავდივარ. დიდი ქვა რამდენჯერმე ჩავირტყი მუცელში, იქნებ სისხლი წამომივიდეს. ჩემთვის არავის აუხსნია, როგორ იზრდება ბავშვი დედის მუცელში. ვიცი, რომ გარკვეული ხნის შემდეგ მუცელში მოძრაობას იწყებს. ფეხმძიმე დედაჩემი მინახავს, ვიცი, დაახლოებით რამდენ ხანში იბადება, სხვა დანარჩენის შესახებ კი წარმოდგენაც არ მაქვს. რა მომენტიდან არის ბავშვი ცოცხალი არსება? ჩემი აზრით, დაბადებიდან, რადგან დედაჩემი ამ დროს წყვეტდა, უნდა ეცოცხლა თუ არა ახალშობილს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამ-ნახევრის თუ ოთხი თვის ფეხმძიმე ვარ, გულმხურვალედ ვნატრობ ციკლის აღდგენას. მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. ვერც კი წარმომიდგენია, რომ ჩემს მუცელში მყოფი ეს ბავშვი უკვე ცოცხალი არსებაა.

სისხლი რომ არ მომდის, სიმწრითა და შიშით ტირილს ვიწყებ. მალე ჩემი მშობლები დაბრუნდებიან, მე კი შინ უნდა ვიყო.

ეს მოგონება ახლა ძალიან დიდ ტკივილს მგვრის... და თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ჩემს თავს ვაწყენარებ, მაშინ არაფერი ვიცოდი, ჩემი მომავალი სასოწარკვეთაში მაგდებდა და ახლა რომ ვფიქრობ, ეს კომმარია, როგორ ვცდილობდი მუცელზე ქვის დარტყმით არ დამეშვა ამ ბავშვის ქვეყნად მოვლინება.

მეორე დღეს იგივე მეორდება – რაც ხელში მომხვდება და როცა კი შესაძლებლობა მაქვს, ყველაფერს მუცელში ვირტყამ. დედაჩემი მელოდება. იმ დღიდან, რაც მკერდი დამითვალიერა, ერთი თვის ვადა მაქვს. ვიცი, გონებაში დღეებს ითვლის. შინიდან გასვლა ამიკრძალა, მხოლოდ სახლში უნდა ვიმუშაო. ასე მითხრა: „გარეთ ფეხი არ გაადგა! არც ცხვრების სამწყემსად წახვალ და არც ახალი ბალახის მოსაგროვებლად“.

ბაღებისა და ეზოების გავლით გაქცევა შემძლეა, მაგრამ სად წავიდე? ავტობუსში მარტო არასოდეს ჩავმჯდარვარ, ფული არ მაქვს, თანაც არც ერთი მძღოლი მარტოს არ ამიშვებს.

ხუთი თვის ფეხმძიმე უნდა ვიყო. მუცელში უცნაურ მოძრაობა ვიგრძენი და სახლის კედელს გიჟივით მივეხეთქე. ვეღარ დავმალავ მუცელსა და მკერდს, ვეღარ ვიცრუებ, აღარ მაქვს გამოსავალი.

ერთადერთი რამ მოვისაზრე, ერთადერთი, რაც შეიძლება შესაძლებელი იყოს: სახლიდან უნდა გავიპარო და თავი დეიდაჩემთან შევაფარო. ის ჩვენს სოფელში ცხოვრობს. ვიცი, სად არის მისი სახლი.

ერთ დილით, როცა ჩემი მშობლები ბაზარში არიან, ბოსტანში მივდივარ, ჭას ჩავუვლი, კედელზე ვძვრები და მისი სახლისკენ გავრბივარ. დიდი იმედი კი არ მაქვს, რადგან დეიდაჩემი ბოროტი ქალია და ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო დედაჩემის შურს. მაგრამ იქნებ სწორედ ამის გამო ნება დამართოს, მასთან დავრჩე და თავს ვუშველო. მისულს რომ მხედავს, მაშინვე ჩემი მშობლების შესახებ მეკითხება, რატომ არ არიან ისინი ჩემთან ერთად?

„უნდა დამეხმარო, დეიდა!“

ყველაფერს ვუყვები, დაგეგმილი და გადადებული ქორწილის, მინდორში პაემნების შესახებ.

„რა ჰქვია?“

– ფაიეზი ჰქვია, მაგრამ ახლა სოფელში აღარ არის, დამპირდა...

– კარგი, დაგეხმარები“.

იცვამს, თავშალს იხვევს და ხელს მკიდებს: „წამოდი, ერთად წავიდეთ.“

– კი მაგრამ, სად? რას აპირებ?

– მოდი, ხელი მომეცი, მარტო არ უნდა იარო ქუჩაში“.

ასე მგონია, სხვა ქალთან, რომელიმე მეზობელთან მიმიყვანს, რომელსაც შეუძლია მენსტრუაცია აღმიდგინოს და ჩემს მუცელში მყოფი ბავშვის ზრდა შეწყვიტოს, ან სადმე დამმალავს, ვიდრე ბავშვს მოვიშორებ.

მაგრამ დეიდაჩემს სახლში მივყავარ. ისე მექაჩება, როგორც გაჯიუტებულ ვირს.

„სახლში რატომ მამბრუნებ? დამეხმარე, დეიდა, გემუდარები!“

– იმიტომ, რომ შენი ადგილი აქ არის. შენმა მშობლებმა უნდა იზრუნონ შენზე და არა მე.

– გევედრები, ჩემთან დარჩი. ხომ იცი, რაც მელოდება!

– შენი ადგილი აქ არის! გასაგებია? შინიდან აღარასოდეს გამოდგა ფეხი!“

მაიპულებს ჭიშკარში შევიდნენ, შემდეგ ჩემს მშობლებს ეძახის, ტრიალდება და უკანმოუხედავად მიდის. კარგად დავინახე, როგორი ღვარძლი და ზიზღი ეხატა სახეზე. ალბათ, ფიქრობდა: „ჩემს დას შინ გველი ჰყავს. ამ გოგომ ოჯახი შეარცხვინა“.

მამაჩემი ჭიშკარს კეტავს, დედაჩემი სიძულვილით მიყურებს, ნიკაპითა და ხელით ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს ამბობს: „ბოზო... ბინძურო... ჩემს დასთან მისვლა გაბედე!..“ მათ ერთმანეთი ეზიზღებათ. ერთს რომ რაიმე ცუდი დაემართოს, მეორე გაიხარებს.

„ჰო, მასთან ვიყავი, მეგონა დამეხმარებოდა, დამმალავდა...“

– შინ შემოდი და ოთახში ადი“.

მთელი სხეული მიკანკალებს, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ოთახში ჩაკეტილს რა მელის არ ვიცი. ნაბიჯის გადადგმას ვერ ვახერხებ.

„სუად! შემოდი!“

ჩემი და აღარ მელაპარაკება. მასაც ჩემ გამო რცხვენია და ვეღარც ის გადის სახლიდან. დედაჩემი წინანდებურად მუშაობს, დანარჩენი დები პირუტყვს უვლიან, მე კი კეთროვანივით ოთახში ჩაკეტილს მტოვებენ. ხანდახან მესმის, ერთმანეთს როგორ ელაპარაკებიან. იმის ეშინიათ, ვაითუ სოფელში ვიღაცამ გარეთ მარტო გასული დამინახა და ამის შესახებ იჭორავებენ. თავის გადარჩენა და დედაჩემთან შეფარება რომ დავაპირე, ამით დედაჩემს მივაყენე შეურაცხყოფა, მეზობლები ყველაფერს გაიგებენ, ერთი მეორეს გადასცემს, ყველა ყველაფერს გაიგებს.

იმ დღის შემდეგ გარეთ აღარ გავდივარ, ჩემი საძინებელი ოთახის კარზე მამაჩემმა ახალი საკეტი დაადო, რომელიც ყოველ საღამოს თოფის გასროლასავით ხმას გამოსცემს. ბოსტნის კარსაც იგივე ხმა აქვს.

ეზოს მორწყვისას ხანდახან ამ კარს შევცქერი და სუნთქვა მიჭირს. აქედან ვერასოდეს გავალწევ. იმასაც კი ვიაზრებ, რომ ამ კარის არსებობა სისულელეა, რადგან ბოსტანი და მისი დამცავი კედელი გადაულახავი ბარიერი სრულიადაც არ არის. ამ გზით ხომ ერთხელ უკვე გავედი. მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფი გოგოსთვის ჩაკეტილში ყოფნა უსაფრთხოა. გარეთ შერცხვენა, ზიზღი, ქვების სროლა და მეზობლებისგან სახეში შემოფურთხება მელოდება. ისინი თმით მითრევენ და შინ დამაბრუნებენ. გარეთ გასვლაზე არც კი უნდა ვიფიქრო. კვირები გადის. არავინ არაფერს მეკითხება, არავის აინტერესებს ვისი მიზეზით, როგორ და რატომ მოხდა ეს ყველაფერი. ფაიფუს ბრალიც რომ დავდო, მამაჩემი მის მოსამძებნად თავს არ შეიწუხებს და არც ჩემს ცოლად შერთვას აიძულებს. ეს მისი შეცდომა არ არის. მამაკაცი, რომელმაც ქალიშვილობა დააკარგვინა, არ არის დამნაშავე, ეს ქალის სურვილით მოხდა. უფრო უარესი ის არის, რომ ის ქალმა გამოიწვია! ქალი უღირსი მეძავია, რომელმაც კაცი აცდუნა. თავს ვერაფრით გავიმართლებ. ჩემი გულუბრყვილობა, ჩემი მისდამი სიყვარული, დაქორწინების პირობა, მისი პირველი შეხვედრა მამაჩემისთვის ჩემი ხელის სათხოვნელად არაფერს ნიშნავს. ჩვენს სოფელში კაცი, რომელიც საკუთარ სახელს უფრთხილდება, არასოდეს შეირთავს ქალს, რომელთანაც ურთიერთობა ქორწინებამდე ჰქონდა.

ვუყვარდი? არა. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მეგონა, თუ ყველაფრის უფლებას არ მივცემდი, დავკარგავდი. მიყვარდა? თუ მხოლოდ იმის მეშინოდა, რომ სხვაში გამცვლიდა? თავის გამართლებას აზრი აღარ აქვს... ყოველ შემთხვევაში ჩემთვის აღარაფერი შეიცვლება.

ერთ საღამოს მორიგ ოჯახურ თათბირზე ჩემი მშობლები, ჩემი უფროსი და და მისი ქმარი, ჰუსეინი იკრიბებიან. ჩემი ძმა შინ არ არის, მისმა ცოლმა უნდა იმშობიაროს და ორივენი მისი მშობლების სახლში არიან.

შეშინებული კედელს ვაყურადებ. ჰუსეინს დედაჩემი ელაპარაკება: „ჩვენს ვაჟს ვერ ვთხოვთ, ვერ შეძლებს და თანაც ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდაა.“

– მე შემიძლია, ამ საქმეს მე მოვუვლი“.

ახლა მამაჩემის ხმა მესმის: „თუ შენ მოჰკიდებ ხელს, ისე უნდა გააკეთო, როგორც საჭიროა. რას ფიქრობ, შეძლებ?“

– ნუ დარდობ, რამეს მოვიფიქრებ“.

ისევ დედაჩემი განაგრძობს: „ეს საქმე შენ უნდა მოაგვარო, მაგრამ ყველაფერი სწრაფადვე უნდა დამთავრდეს“.

მესმის, როგორ ტირის ჩემი და, მას მეტის მოსმენა აღარ უნდა და შინ დაბრუნება სურს. ჰუსეინი ეუბნება, მოითმინოს, შემდეგ ჩემს მშობლებს პასუხობს: „თქვენ აქ არ იქნებით. სახლიდან წადით, თქვენი შინ ყოფნა საჭირო არ არის. როცა დაბრუნდებით, ყველაფერი დამთავრებული იქნება“.

საკუთარი ყურით მოვისმინე ჩემი სასიკვდილო განაჩენი. მაშინვე ზემო სართულზე ავირბინე, რადგან ჩემი და ოთახიდან გამოდიოდა. დანარჩენი აღარაფერი გამიგია. მოგვიანებით მამაჩემმა მთელი სახლი დაიარა და ჩვენი, გოგონების ოთახის კარზე, საკეტმა გაიჩხაკუნა.

არ მიძინია. ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი, რაც მოვისმინე. ჩემთვის ვამბობდი: ყველაფერი მესიზმრება? იქნებ ეს კოშმარია? მართლაც მიპირებენ მოკვლას? იქნებ მხოლოდ უნდა შემაშინონ? თუ ნამდვილად უნდა მომკლან, როდის? რა საშუალებით? თავს მომაჭრიან?

თუ ბავშვის დაბადებას დაელოდებიან და მერე მომკლავენ? თუ ბიჭი იქნა, თავად გაზრდიან? თუ გოგონა გაჩნდა, დედაჩემი დაახრჩობს? თუ მანამდე მომკლავენ?

მეორე დღეს ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფერი გამიგონია. ვფრთხილობდი, თუმცა მაინც არ მჯეროდა, რომ სასიკვდილოდ გამიმეტეს. მერე ისევ ამაკანკალებდა და უკვე დარწმუნებული ვიყავი, მოკვდებოდი. საკითხავი მხოლოდ ის დარჩა, როდის და სად? ახლავე ეს ვერ მოხდებოდა... ჰუსეინიც არ იყო აქ. ვერც ის წარმომედგინა, რომ ჰუსეინს ჩემი მოკვლა სურდა!

იმ დღეს დედაჩემმა ჩვეულებისამებრ მითხრა: „დღეს სარეცხს მიხედე, მე და მამაშენი ქალაქში მივდივართ“.

მაშინვე მივხვდი, რაც უნდა მომხდარიყო. როგორც ჰუსეინმა ურჩია, სახლიდან მიდიოდნენ.

როცა ცოტა ხნის წინ ჰანანის გაუჩინარებას ვიხსენებდი, შევნიშნე, რომ მაშინაც იგივე მოხდა. მშობლები წავიდნენ, გოგონები შინ დაგვტოვეს, ჩემს ძმასთან. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ჰუსეინი ჯერ არ მოსულიყო. ეზოს გავხედე, ის დიდი იყო, ერთ ნაწილში ფილებით მოკირწყლული, დანარჩენი – ქვიშით დაფარული. მას კედელი და მასზე აღმართული მახვილწვეტებიანი მესერი ჰქონდა შემოვლებული. კუთხეში, ბოსტანში გამავალ ნაცრისფერ კარს არც ბოქლომი ედო, საკეტში არც გასაღები იყო, გარედან სახელურის ჩამოწევითაც გაიღებოდა.

კაინატი ჩემთან ერთად არასოდეს რეცხავდა, ამ საქმეს ორი ადამიანი არ სჭირდებოდა.

არ ვიცი, იმ დღეს რას საქმიანობდა, ან პატარა დებთან ერთად სად იყო. აღარ მელაპარაკებოდა. ჩემ გვერდით, ზურგშექცეულს ეძინა იმ დღიდან, რაც დეიდაჩემთან გავიქეცი. დედაჩემი ელოდება, როდის შევაგროვებ გასარეცხ თეთრეულს. რაკი კვირაში მხოლოდ ერთხელ ვრეცხავთ, სარეცხი ყოველთვის ბევრია. ნაშუადღევს ორ-სამ საათზე თუ დავიწყე, საღამოს ექვსამდე ვერ დავამთავრებ.

ჯერ ეზოს სიღრმეში არსებული ჭიდან წყალი უნდა მოვზიდო; შემდეგ შემა სათანადოდ დავაწყო, ზემოდან უზარმაზარი სარეცხის ქვაბი შემოვდგა და ნახევრამდე წყლით გავავსო. წყლის გაცხელებას ქვაზე ჩამომჯდარი ველოდები.

მშობლები გადიან და ეზოს ჭიშკარს გასაღებით კეტავენ, რომელიც ყოველთვის თან მიაქვთ.

მე მეორე მხარეს ვარ, ეზოში. ნაკვერჩხლებს მუდმივად ვჩხრეკ. ცეცხლმა არ უნდა მოიკლოს, წყალი ძალიან უნდა გაცხელდეს, რომ შიგ თეთრეული ჩავალბო. ზეთისხილის ლაქები საპნის დახმარებით უნდა ამოვიყვანო. მერე ჭიდან გასავლებად საჭირო წყალი იქნება მოსატანი.

უკვე წლებია ამ დამღლეულ და შრომატევად სამუშაოს ვასრულებ, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მიჭირს.

ფეხშიშველი ვარ, ნაცრისფერი ტილოს კაბა მაცვია და ქვაზე ვზივარ. შიშმა უკვე დამღალა. ისიც არ ვიცი, რამდენი ხნის ფეხმძიმე ვარ. უკვე აღარ ვიცი, რამდენი ხანია, ეს შიში ჩემს მუცელში სუნთქავს. ექვს თვეზე მეტი უნდა იყოს გასული. დროდადრო ეზოს სიღრმეში არსებული კარისკენ ვიყურები. მას მოჯადოებულებით შევცქერი.

თუ მოვა, ამ კარით უნდა შემოვიდეს.

ცეცხლი

უეცრად კარის ჭრილის ხმა მესმის. ის აქ არის, ჩემკენ მოდის.

ოცდახუთი წლის წინანდელი ეს სცენები ისე მახსოვს, თითქოს დრო არც კი გასულა. ეს იქ, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მდებარე ჩემს სოფელში, სიცოცხლის უკანასკნელი კადრებია. ისინი შენელებულად ენაცვლება ერთმანეთს, თითქოს სატელევიზიო ფილმს ვუყურებ. ეს სცენები დაუსრულებლად მიდგას თვალწინ. ძალიან მინდა პირველი კადრის გამოჩენისთანავე ყველა წავშალო ჩემი მეხსიერებიდან, მაგრამ შეუძლებელია, ერთს მეორე მოსდევს და მთელ ფილმს თავიდან ვუცქერი. როცა კარის ჭრიალის ხმა ისმის, უკვე ძალიან დაგვიანებულია მისი შეჩერება, კიდევ უნდა ვნახო ეს, იქნებ რამე გავიგო: როგორ მოახერხა ეს? დროზე რომ მივმხვდარიყავი, შევძლებდი თუ არა გაქცევას?

ჩემკენ მოდის. ჩემი სიძეა, ჰუსეინი, სამუშაო ტანსაცმელი – ძველი შარვალი და მოკლესახელოებიანი მაისური – აცვია. ჩემ წინ დგება და ღიმილით მეკითხება: „გამარჯობა, როგორ ხარ?“ ბალახის ღერს ღეჭავს და ისევ ღიმილით ამბობს: „მე ვიზრუნებ შენზე“.

ეს ღიმილი... მისი სიტყვები, რომ ჩემზე იზრუნებს, ჩემთვის მოულოდნელია. გაჭირვებით ვიღიმი, თითქოს მადლობელი ვარ და იმიტომ, მაგრამ სიტყვის თქმასაც ვერ ვბედავ.

„დიდი მუცელი გაქვს, არა?“

მისი მრცხვენია და თავს ვხრი, შემდეგ კიდევ და შუბლით მუხლებს ვეხები.

„აი, აქ ლაქა გაქვს, ინა განგებ წაისვი?“

– არა, ინა თმაზე წავისვი, ხელი კი ცხვირზე მომიხვდა, განგებ არ წამისვამს.

– არა, განგებ წაისვი, ლაქა რომ დაგეფარა“.

სარეცხს დავყურებ, რომელსაც საპონი წავუსვი და ვხედავ, როგორ მიკანკალებს ხელები.

ეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი კადრია, ზუსტად და გარკვევით ვხედავ სარეცხს, ჩემს ორ აკანკალებულ ხელს. მისი უკანასკნელი სიტყვები ეს იყო: „არა, განგებ წაისვი, ლაქა რომ დაგეფარა“.

მეტს აღარაფერს ამბობს, ისევ თავდახრილი ვდგავარ, რაკი არაფერს მეკითხება, გულზე ცოტათი მომეშვა.

უეცრად ვგრძნობ, რომ თავზე რაღაც ცივი მევლება. და ჩემს სხეულს მაშინვე ცეცხლი ედება. ცეცხლი ვიგრძენი და კადრებიც აჩქარებით მისდევს ერთმანეთს. ფეხშიშველი ეზოში სირბილს ვიწყებ, თავში ხელებს ვიშენ, ვყვირი და ვგრძნობ კაბას, რომელიც სირბილისას ფრიალებს. კაბასაც ცეცხლი უკიდია?

ნავთის სუნი მცემს, სირბილში გრძელი კაბა ხელს მიშლის, ფეხებში მედება. შიში ინსტინქტურად ეზოს გარეთ მიბიძგებს. სხვა გამოსავალი არ არის და ბალისკენ გავრბივარ. მეტი თითქმის აღარაფერი მახსოვს. ვიცი, რომ ცეცხლმოკიდებული გავრბივარ და ვღრიალებ. როგორ დავაღწიე თავი? გამომეკიდა? თუ ელოდა, როდის წავიქცეოდი და ცეცხლი გამანადგურებდა?

როგორც ჩანს, ბაღის კედელზე ავბვერი, შემდეგ ან მეზობლების ბაღში აღმოვჩნდი, ან ქუჩაში. იქ ქალები იყვნენ, როგორც მახსოვს ორნი, ესე იგი ნამდვილად ქუჩაში მოვხვდი. ისინი სავარაუდოდ, თავიანთი თავშელებით ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას.

სოფლის შადრევნამდე მიმართიეს და წყალი ისე უეცრად მოხვდა სხეულს, რომ შიშისგან ვიყვირე. მათი, ქალების ყვირილიც მესმის, მაგრამ მეტს ველარაფერს ვხედავ. თავი მკერდამდე მაქვს დახრილი, ვგრძნობ, დაუსრულებლად როგორ მევლება ცივი წყალი და გამწარებული ყვირი, რადგან ეს ცივი წყალი მთელ სხეულს მიწვავს. მოვიკრუნჩხე, შემწვარი ხორცისა და კვამლის სუნს ვგრძნობ. ალბათ, გონება დავკარგე. ბევრს ველარაფერს ვხედავ. კიდეც რამდენიმე გაურკვეველი კადრია, ისეთი ხმები ისმის, თითქოს მამაჩემის მანქანაში ვიყო. მაგრამ ეს არ არის მამაჩემის მანქანა. ქალები დამტირიან: „საწყალი გოგო“; „საცოდავი“. მამშვიდებენ. მანქანაში ვწევარ. მის ჯაყჯაყს ვგრძნობ. სიმწრით ვკვნესი.

მერე აღარაფერია, შემდეგ ისევ მანქანისა და ქალების ხმა მესმის. სხეული ისე მეწვის, თითქოს ისევ ცეცხლი მიკიდია. არც თავის აწევა შემიძლია, ვერც სხეულსა და ხელებს ვამოდრავებ, ისევ ცეცხლში ვარ... ბენზინის სუნით ვყარვარ, ვერაფერს ვუგებ მანქანის ძრავის ხმას, ქალების მოთქმას, არც ის ვიცი, სად მივყავარ, თვალს ძლივს ვახელ და ჩემი კაბის ან კანის ნაგლეჯს ვხედავ. შავია და ყარს. ისევ ვიწვი, თუმცა ცეცხლი აღარ მიკიდია. მაინც ვიწვი. გონებაში ისევ ცეცხლმოკიდებული გავრბივარ.

მალე მოგვკვდები. ძალიან კარგი. იქნებ უკვე მოგვკვდი. როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა.

სიკვდილი

საავადმყოფოს საწოლზე ძალივით მოკუნტული ვწევარ და ზეწარი მახურავს. ექთანმა კაბა შემომახია. ქსოვილს ისეთი ძალით ექაჩებოდა, ტკივილმა გამახევა. თითქმის ვერაფერს ვხედავ, ნიკაპი ისევ მკერდზე მაქვს მიკრული და თავის აწევა არ შემიძლია. ხელებსაც ვერ ვამოდრავებ. თავი, მხრები, ზურგი და ტორსი მტკივა. ვყარვარ. ის ექთანი ისეთი უხეშია, რომ მისი დანახვისთანავე შიში მიპყრობს. ხმას არ მცემს. სხეულიდან დამწვარი კანის ნაფლეთებს მახევს, კომპრესს მადებს და მიდის. დარწმუნებული ვარ, რომ შეეძლოს მომკლავდა. მისთვის ერთი ბინძური ბოზი ვარ, რომელმაც ცოცხლად დაწვა დაიმსახურა, რადგან დაქორწინებული არ არის და ისე დაორსულდა. კარგად ვიცი, რასაც ფიქრობს.

ბნელა. კომაში ვარ. არ ვიცი, რამდენ ხანს, დღესა და ღამეს გრძელდება.

არავინ მეხება, არავინ ზრუნავს ჩემზე, არც საჭმელი მოაქვთ, არც წყალი, ჩემს სიკვდილს ელოდებიან.

ისე მრცხვენია, ისევ ცოცხალი რომ ვარ, თავადაც სიკვდილი მინდა. ძალიან ვიტანჯები. განძრევა არ შემიძლია, ის ბოროტი ქალი თუ გადამაბრუნებს კანის ასახევად. სხვას არაფერს აკეთებს. ძალიან მინდა დამწვრობის დასაამებლად ვინმემ

ზეთი წამისვას, ეს ზეწარი გადამხადოს, იქნებ ჰაერმა სხეული გამიგრელოს. ექიმი აქ არის. მის შარვალსა და თეთრ პერანგს ვხედავ. მან რაღაც თქვა, თუმცა ვერაფერი გავიგე. ისევ ის ბოროტი ექთანი მიდი-მოდის. ფეხების განძრევა შემძლია და მათი დახმარებით დროდადრო ზეწარს მაღლა ვწევ. ზურგიც მტკივა და გვერდებიც. ისევ ისე ვიძინებ – ნიკაპით მკერდზე მიკრული, ისევე თავდახრილი, როგორც მაშინ ვიყავი, ცეცხლი რომ მომედო.

მკლავები უცნაურ მდგომარეობაში მაქვს, ორივე პარალიზებულია. ხელებს ვგრძნობ, თუმცა მათ ვერ ვამოძრავებ. ძალიან მინდა ტანი მოვიფხანო და ეს ნაფლეთები მოვიცილო, რომ ჩემი ტანჯვა დასრულდეს.

მაიძულებენ ფეხზე ავდგე. იმ ექთანთან ერთად მივაბიჯებ. თვალები მტკივა. ვხედავ ჩემს ფეხებს, სხეულის ორივე მხარეს უსიცოცხლოდ ჩამოკიდებულ ხელებს, იატაკის ფილებს. მძულს ეს ქალი. ერთ დარბაზში შევეყავარ, წყლის ონკანს უშვებ და ამბობს, რომ უნდა დამბანოს. მისი თქმით, ისე ვყარვარ, გული ერევა. მართლაც ვყარვარ, ვტირი, საზიზღარი, გახრწნილი ნაგვის გროვა ვარ, რომელიც წყლით უნდა ჩარეცხო, როგორც ტუალეტში, ღილაკზე თითის დაჭერით ასუფთავებ უნიტაზს. ვკვდები. წყალი კანს მაგლეჯს, ვყვირი, ვტირი, ვემუდარები, თითებიდან სისხლი წვეთავს. მაიძულებს, წყლის ქვეშ ვიდგე. ჭავლის ქვეშ დამწვარ კანს, ჩემი დამწვარი კაბის ნარჩენებს, დანახშირებული ხორცის ნაფლეთებს მაცლის და ეს ყველაფერი საშხაპის ძირზე მყარალ ბორცვად დაგროვილი წყლის გასვლას აფერხებს. ისეთი საზიზღარი სუნი ამდის, რომ თუმცა ექთანს ნიღაბი უკეთია, დროდადრო დარბაზიდან ხველებით გადის და თან მწყევლის.

გულს ვურევ, მისი აზრით, მისგან შორს, უპატრონო ძალივით უნდა მოვკვდე. რა იქნება მომკლას? ჩემს საწოლში ვბრუნდები, ერთსა და იმავე დროს ვიწვი და ვიყინები, ხოლო ექთანი ზეწარს მაფარებს, რომ აღარ დამინახოს. მოკვდი, ამას ამბობს მისი მზერა; მოკვდი, რომ გადაგადონ.

მამაჩემია მოსული თავისი ხელჯოხით. გაცოფებული მთელი ძალით ურტყამს იატაკს, აინტერესებს, ვისგან ვარ ფეხმძიმედ, აქ ვინ მომიყვანა, როგორ გადავრჩი. ჩასისხლიანებული თვალები აქვს, ტირის. ის უკვე მოხუცია, მაგრამ მაინც მაშინებს მისი ხელჯოხი და ხმას ვერ ვიღებ. ჩამემინა ან გონება დავკარგე. როცა თვალი გავახილე, მამაჩემი აღარ ჩანს. მაგრამ ვიცი, არ დამსიზმრებია, ჯერ კიდევ ხმიანობს ჩემს თავში მისი ხმა: „თქვი!“

წამოჯდომას ვახერხებ, ასე ზეწარზე დაკრული მკლავები და თავი ნაკლებად მტკივა. არაფერი მიყუჩებს ტკივილს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ოდნავ შეღებული კარიდან ვხედავ, რა ხდება დერეფანში. ვიღაცის ხმა ისმის, შემდეგ შიშველ ფეხებს, გრძელ შავ კაბას, ჩემსავით პატარა და გამხდარ სილუეტს ვხედავ. ეს არ არის ექთანი, დედაჩემია.

ზეითუნის ზეთწასმული ორი ნაწნავი, შავი თავშალი, წარბებს შორის გამობერილი ეს უცნაური შუბლი, რომელიც ცხვირს უერთდება, მას მტაცებელ ფრინველს ამსგავსებს. მაშინებს. თავისი შავი ჩანთით ხელში ტაბურეტზე ჯდება. შემდეგ ტირილსა და სლუკუნს იწყებს, ცრემლებს ცხვირსახოციით იწმენდს და თავს აქეთ-იქით აქნევს.

სირცხვილისგან დამწუხრებული ტირის. საკუთარ თავსა და ოჯახს დასტირის. და მის თვალეზში სიმულვილს ვხედავ.

ჩანთა ისევ ჩაბლუჯული აქვს და ჩემს გამოკითხვას იწყებს. კარგად ვიცნობ ამ ჩანთას, როცა სახლიდან გადის, ბაზარში ან მინდორში, ყოველთვის თან დააქვს. შიგ კურის ნატეხი, წყლით ან რძით სავსე ბოთლი უდევს ხოლმე. მეშინია, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე მამაჩემის. მამაჩემს ჩემი სიკვდილი სურს, დედაჩემს – არა. ის ხვნიშით მისვამს კითხვებს, მე ჩურჩულით ვპასუხობ.

„შემომხედე, შვილო... სახლში ვეღარასოდეს დაგაბრუნებ, იქ ვეღარ იცხოვრებ, ნახე შენი თავი?“

– ვერ ვახერხებ თავის აწევას.

– დამწვარი ხარ. ჩვენი ოჯახი შერცხვენილია. ახლა უკვე აღარ შემოდის შენი სახლში წაყვანა. მითხარი, როგორ დაფხმდები? ვისგან?

– ფაიეზისგან. მამამისის სახელი არ ვიცი.

– ეს ჩვენი მეზობელი ფაიეზია?“

ისევ ტირილს იწყებს და თვალეზზე ისეთი ძალით იჭერს დაგორგლილ ცხვირსახოცს, თითქოს მათი თავის ქალაში ჩაბრუნება სურს.

„სად მოხდა? სად?“

– მინდორში“.

სახე ემანჭება, ტუჩებს იკვნიტს და ისევ ქვითინებს.

„მისმინე, შვილო. ყური დამიგდე, მინდა, რომ მოკვდე, ასე უკეთესი იქნება. შენი ძმა ძალიან ახალგაზრდაა, შენ თუ არ მოკვდი, მას ბევრი პრობლემა ექნება“.

ჩემს ძმას პრობლემები შეექმნება. რა პრობლემები? არაფერი მესმის.

„სახლში ჩვენთან შესახვედრად პოლიცია მოვიდა. ყველანი დაგვკითხეს. მამაშენი და შენი ძმა, დედაშენი და შენი სიმე, ყველანი. თუ არ მოკვდები, პოლიცია შენს ძმას პრობლემებს შეუქმნის“.

ჩემ გარშემო არაფერია, საწოლთან მაგიდაც კი არ დგას. ალბათ, ჩანთიდან ამოიღო ჭიქა. არა, არ შემიმჩნევია, ჩანთა გაეხსნას, მან ფანჯრის რაფიდან აიღო საავადმყოფოს ჭიქა. მაგრამ რითი აავსო, ეს არ დამინახავს.

„ეს უნდა დალიო, თორემ შენს ძმას პრობლემები ექნება. პოლიციამ მოგვაკითხა...“

სირცხვილის, ტკივილისა და შიშისგან როცა ვტიროდი, ალბათ, მაშინ აავსო ჭიქა. თავდახრილი და თვალეზდახუჭული ბევრი სხვა რამის გამოც ვიცრემლებოდი.

„დალიე ეს სითხე... მე გასმევ მას.“

ეს დიდი, წყალივით გამჭვირვალე სითხით სავსე ჭიქა არასოდეს დამავიწყდება.

„ამას დალევ და შენს ძმასაც აღარ ექნება პრობლემები. ეს შენთვის, ჩემთვისა და შენი ძმისთვისაა უკეთესი“.

ისევ ატირდა. მეც ვტიროდი. მახსოვს, ცრემლები დამწვარ ნიკაპსა და კისერზე ჩამდიოდა და კანს მწვავდა.

ხელების აწევა არ შემეძლო. მან მომხვია თავზე ხელი, ჭიქა ახლოს მომიტანა. ამ დრომდე არაფერი დამელია. ჭიქა ჩემს ტუჩებს ნელ-ნელა უახლოვდებოდა. ისე მწყუროდა, თუნდაც ტუჩების გასველებაზე თანახმა ვიყავი. ნიკაპის მკერდისთვის მოშორება ვცადე, მაგრამ ამაოდ.

უეცრად პალატაში ექიმი შემოვიდა, დედაჩემი მოულოდნელობისგან შეხტა. მან ჭიქა ხელიდან გამოსტაცა, რაფაზე დაახეთქა და იღრიალა: „არა!“

სითხე რაფაზე დაიქცა, ვხედავდი, როგორ მიედინებოდა ფანჯრის გასწვრივ ეს წყალივით გამჭვირვალე სითხე.

ექიმმა დედაჩემს მკლავში ხელი მოჰკიდა და ოთახიდან ძალით გაიყვანა. ისევ ჭიქას ვუყურებდი. რომ შემძლებოდა, იატაკიდან ძალღვივით ენითაც ავლოკავდი. მწყუროდა და სიკვდილიც მინდოდა.

ექიმი დაბრუნდა და მითხრა: „იღბალი გქონია, რომ სწორედ დროზე შემოვედი. ჯერ მამაშენი, ახლა დედაშენი! შენი ოჯახის ვერც ერთი წევრი აქ ფეხს ველარ შემოდგამს“.

ისევ ჭიქას მოჰკიდა ხელი და გამიმეორა: „იღბალი გქონია... შენი ოჯახის არც ერთი წევრი აქ თვალით არ დამენახოს!“

– ჩემი ძმა ასადი, მისი ნახვა მინდა, ის კეთილია“.

აღარ მახსოვს, რა მიპასუხა. თავს უცნაურად ვგრძნობდი, ყველაფერი აირია. დედაჩემი პოლიციასა და ჩემი ძმის გასაჭირზე მელაპარაკა. მას რა უნდა გასჭირვებოდა, ცეცხლი ხომ ჰუსეინმა წამიკიდა? იმ სითხეს უნდა მოვეკალი. რაფაზე მისი კვალი ისევ ჩანდა. დედაჩემს სურდა, მომკვდარიყავი და ეს მეც მინდოდა. ექიმმა კი თქვა, რომ იღბალი მქონია, უფერული საწამლავის დალევას გადავურჩი. თავს თავისუფლად ვგრძნობდი, თითქოს ჩასაფრებული სიკვდილი ექიმმა ერთ წამში მომაშორა. დედაჩემი არაჩვეულებრივი, საუკეთესო დედა იყო, მის მოვალეობას ჩემი მოკვლა წარმოადგენდა. ეს ჩემთვის იყო უკეთესი. რა საჭირო იყო ჩემი ცეცხლისგან დახსნა, ამ საავადმყოფოში დასატანჯავად მოყვანა, ამდენი ხანი ჩემი სიკვდილის ლოდინი, ჩემი და ოჯახის სირცხვილი ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ჩამორეცხილიყო.

ჩემი ძმა სამი თუ ოთხი დღის შემდეგ მოვიდა. არასოდეს დამავიწყდება ის გამჭვირვალე ცელოფანის პარკი, რომელშიც რამდენიმე ფორთოხალი და ბანანი ჩანდა. საავადმყოფოში მოყვანის დღიდან არაფერი მეჭამა და დამელია. დამოუკიდებლად არ შემეძლო, დახმარებით კი არავინ მეხმარებოდა. ექიმიც კი ვერ ბედავდა. მივხვდი, რომ ჩემს სიკვდილს ელოდნენ, ჩარევა არავის სურდა. ყველა დამნაშავედ მთვლიდა. იმ ქალების ბედს ვიზიარებდი, მამაკაცების ღირსება რომ შელახეს. მხოლოდ იმიტომ დამბანეს, რომ საშინლად ვყარდი, და არა ჩემს

განსაკურნავად. აქ, საავადმყოფოში იმიტომ დამტოვეს, რომ აქვე მოვმკვდარიყავი და ჩემს ოჯახს, მთელ სოფელს ზედმეტი პრობლემები არ შეჰქმნოდა.

ჰუსეინმა თავისი საქმე ცუდად შეასრულა, მან ცეცხლმოკიდებულს გაქცევის საშუალება მომცა.

ასადს არაფერი უკითხავს. ეშინოდა და სოფელში მალე დაბრუნება სურდა. „მინდვრებზე გადმოვიარე, არავის რომ არ დავენახე. მშობლებმა თუ გაიგეს აქ ვიყავი, პრობლემები მექნება“.

ძალიან მინდოდა მოსულიყო, მაგრამ როცა ჩემს სხეულზე იყო დახრილი, შემეშინდა. მის თვალებში დავინახე, როგორ ეზიზღებოდა ჩემი დამწვრობა. არავის, მასაც კი არ ესმოდა, როგორ მტანჯავდა ეს დახეთქილი, დამპალი, მყრალი ხორცი; თითქოს მთელ სხეულზე გველის შხამი მომდებოდა – თითქმის უთმო თავის ქალაზე, მხრებზე, ზურგზე, მკლავებსა და მკერდზე.

ბევრი ვიტირე. იქნებ იმიტომ, რომ ვიცოდი, მას უკანასკნელად ვხედავდი? ან იქნებ იმიტომ, რომ ასე ძალიან მინდოდა მისი შვილების ნახვა? ასადის ცოლს მალე უნდა ემშობიარა. მოგვიანებით გავიგე, რომ ორი ბიჭი გააჩინა. მთელი ოჯახი ულოცავდა და მისით აღტაცებული იყო.

ხილი ვერ შევჭამე. დამოუკიდებლად არ შემეძლო, პარკი კი გაქრა.

ჩემი ოჯახის წევრები აღარასოდეს მინახავს. უკანასკნელი, რაც გონებაში ჩამრჩა, არის დედაჩემი, რომელიც საწამლავიან ჭიქას მიწვდის; მამაჩემი, გააფთრებული რომ ურტყამს ხელჯოხს იატაკს და ჩემი მმა ხილიანი პარკით.

ჩემი ტანჯვის სიღრმეში ჩაძირული კიდევ ვცდილობდი გამეგო, რატომ ვერაფერი დავინახე ცეცხლის წაკიდებამდე. საწვავით სავსე ბიდონი ჩემ გვერდით იდგა, მაგრამ მას სახურავი ეხურა. არ დამინახავს, ჰუსეინს მისთვის ხელი მოეკიდოს. თავი მაშინ დავხარე, როცა მითხრა, რომ „ჩემზე იზრუნებდა“ და რამდენიმე წამს ისიც კი მეგონა, რომ გადავრჩი – მისი ღიმილისა და იმ ბალახის ღეროს გამო, მშვიდად რომ ღეჭავდა. სინამდვილეში კი სურდა ჩემი ნდობა მოეპოვებინა, რათა არ გავქცეულიყავი. მან ხომ მშობლებთან ერთად ყველაფერი მანამდე დაგეგმა. მაგრამ ასანთი საიდან მოიტანა? ნაკვერჩხლით ანთო? არაფერი დამინახავს. ასე სწრაფად როგორ ანთო ასანთი? ერთი კოლოფი რეცხვის დროს ყოველთვის გვერდით მედო, მაგრამ თვალი არ მომიკრავს, აელოს... ესე იგი, ჯიბეში სანთებელი ედო... თავზე ცივი სითხის გადავლებისთანავე ცეცხლი მომედო. ძალიან მინდა ვიცოდე, რატომ ვერაფერი დავინახე.

ღამით ამ საწოლზე გამოტოლი წოლა უსასრულო კომმარია. სრულ სიბნელეში ვარ, ჩემ გარშემო მხოლოდ ფარდებია, ფანჯარა გაქრა, უეცრად მუცელში ტკივილმა დანასავით დამიარა და ფეხები ამიკანკალდა... სადაცაა მოვკვდები. წამოჯდომას უშედეგოდ ვცდილობ. ორივე მკლავი გაშემებული მაქვს, ეს ორი პირღია ჭრილობაა და არ მემორჩილება. გარშემო არავინაა, მარტო ვარ, მაშ, ვინ ჩამარტყა მუცელში დანა?

ბარდაყებს შორის რაღაც უცნაურს ვგრძნობ. ჯერ ერთ ფეხს ვხრი, მერე მეორეს, ვცდილობ, მინდა, მარტომ მოვიშორო ის, რაც ასე ძალიან მაშინებს. ვერც კი

ვხვდები, რომ ვმშობიარობ. ორივე ფეხით სიბნელეში ვეძებ. დაუფიქრებლად ჩემი ბავშვის სხეულს ვაგდებ. შემდეგ ძალისხმევისგან დაოსებული, გაუნძრევლად ვწევარ.

ორივე ფეხს სხეულს ვუახლოებ და კანით შევიგრძნობ ჩვილს. ცოტათი მოძრაობს. სუნთქვა მეკვრის. ასე სწრაფად როგორ გამოვიდა? ერთი მწვავე, დანის ჩარტყმისმაგვარი ტკივილი მუცელში და უკვე აქ არის? ძილი უნდა გავაგრძელო, შეუძლებელია, ბავშვი თავისით გამოსულიყო, ალბათ, კოშმარი მესიზმრება.

მაგრამ არ მძინავს. მას იქ, მუხლებს შორის ჩემი კანით შევიგრძნობ. ფეხები არ დამწვია, ამიტომ ყველაფერს ვგრძნობ. განძრევის მეშინია, შემდეგ ცალ ფეხს ვწევ და თითქოს ხელი იყოს, მის პაწაწინა თავსა და სუსტად მოძრავ ხელებს ვეხები.

როგორც ჩანს, ვიყვირე. კარგად არ მახსოვს. პალატაში ექიმი შემოვიდა, ფარდები გადასწია, თუმცა მე ისევ სიბნელეში ვიყავი. ალბათ, ღამე იყო. შეღებული კარიდან მხოლოდ სინათლის სუსტი ზოლი მოჩანს. ექიმი იხრება, ზეწარს მხდის და ბავშვი ისე მიჰყავს, შეხედვასაც ვერ ვახერხებ.

ფეხებს შორის აღარაფერია. ვიღაცამ ფარდა ჩამოაფარა. მეტი აღარაფერი მახსოვს. ალბათ, გონება დავკარგე, ან ძალიან დიდი ხანი უნდა მძინებოდა, არ ვიცი. მეორე დილით და მომდევნო დღეებში მხოლოდ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: ბავშვი ჩემს მუცელში აღარ არის.

ცოცხალია თუ მოკვდა, არ ვიცოდი, გამბედაობაც არ მყოფნიდა, ვინმესთან მის შესახებ მელაპარაკა; თუნდაც იმ ბოროტი ექთანისთვის მეკითხა, იმ ბავშვს რა დაემართა.

ჩემს შვილს პატიებას ვთხოვ, რადგან მაშინ მის არსებობას ვერ აღვიქვამდი. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ვიმშობიარე, მაგრამ ბავშვი არ მინახავს, ხელში არ მოუწოდებიათ, არ ვიცოდი, გოგო იყო თუ ბიჭი. მაშინ დედა კი არა სასიკვდილოდ განწირული არსების ნარჩენი ვიყავი. სირცხვილის გრძნობა უფრო ძლიერი იყო.

ექიმმა მოგვიანებით მითხრა, რომ შვიდი თვისამ ვიმშობიარე, მაგრამ პატარა გადარჩა და უსაფრთხოდ იყო. თითქმის არ მესმოდა ექიმის სიტყვები, ჩემი დამწვარი ყურები ისე მტკიოდა! სხეულის ზედა ნაწილი აუწერელ ტანჯვას მაყენებდა, უგონობა და ძილ-ღვიძილი ერთმანეთს ცვლიდა, დღესა და ღამეს ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი. ყველანი იმედოვნებდნენ, რომ ერთ დღესაც მკვდარს მნახავდნენ და ამ დღეს ელოდნენ.

მე კი ვთვლიდი, რომ ღმერთი ჩემს მოკვლას ახანგრძლივებდა. დღეები და ღამეები ერთნაირად კოშმარული იყო და როცა დროდადრო გონებაზე ვიყავი, ერთი სურვილი არ მასვენებდა, ფრჩხილებით ამომეგლიჯა ეს საზიზღარი, მყრალი კანი. საუბედუროდ, ხელები არ მემორჩილებოდა.

ერთხელ, ისევ კოშმარში მყოფმა, გავიგონე, ვიღაც როგორ შემოვიდა პალატაში. მისი ყოფნა ვიგრძენი, რადგან ვერაფერს ვხედავდი. ქალის ხელის ჩრდილმა ჩემს სახეზე ისე გადაიარა, რომ არ შემხებია, ქალის ხმამ, უცნაური აქცენტით, არაბულად მითხრა: „დაგეხმარები... მენდე, დაგეხმარები, გესმის?“

არაფრის მჯეროდა, მაგრამ მაინც დავეთანხმე, რადგან იმ საწოლში, ყველასგან მოძულეებული, თავს ცუდად ვგრძნობდი. არ მესმოდა, ვინმე როგორ უნდა დამხმარებოდა, ან რისი გაკეთება შეეძლო. შინ დამაბრუნებდა? ოჯახს ჩემი დანახვაც არ სურდა. მისი ღირსებისთვის დამწვარი ქალი ბოლომდე უნდა დაიწვას. ტანჯვის შეწყვეტა, სიკვდილში დახმარება მჭირდებოდა. მაგრამ ქალის ამ ხმას ვუპასუხე „ჰო“, თუმცა არც კი ვიცოდი, ვინ იყო.

ჟაკლინი

ჟაკლინი მქვია. ეს ის პერიოდია, როცა ახლო აღმოსავლეთში ვარ და ჰუმანიტარული ორგანიზაციისთვის – „ადამიანთა მიწა“ (ტერრე დეს ჰომმეს) – ვმუშაობ. საავადმყოფოებში ვემუმიტოვებულ, მშიერ ან ინვალიდ ბავშვებს. ვთანამშრომლობ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც პალესტინელებსა და ებრაელებს ეხმარებიან. ორივე თემთან ვმუშაობ და ორივე ქვეყანაში ბევრ ადამიანს ვიცნობ, მათთან ერთად ვცხოვრობ.

მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ჩემი მოღვაწეობიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გავიგე პირველად, ღირსების დაცვის ადათის სახელით მოკლული გოგონების შესახებ. ოჯახები მათ არ აპატიებენ თანატოლ ბიჭთან შეხვედრას ან მასთან საუბარს. საბაბი ხშირად მხოლოდ უსაფუძვლო ჭორებია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გოგონას ნამდვილად ჰყავს შეყვარებული, რაც სრულიად წარმოუდგენელი რამ არის ისეთ საზოგადოებაში, სადაც დაქორწინების საკითხს მხოლოდ მამები წყვეტენ. ასეთი ამბები სხვებისგან გაგონილი მქონდა... თავადაც რამდენიმე მოვისმინე... მაგრამ ამ შემთხვევამდე ასეთ რამეს არასოდეს შევხვედრივარ.

დასავლური გონებისთვის, განსაკუთრებით დღეს, დაუჯერებელია, რომ ძმას ან ძმას და ქალიშვილი შეუძლია იმიტომ მოკლას, რომ ის შეყვარებულია. დასავლეთში ქალები თავისუფლები არიან, ისინი არჩევნებში ხმას აძლევენ, სურვილის შემთხვევაში მარტოხელა დედები ხდებიან...

მაგრამ აქ უკვე შვიდი წელია ვცხოვრობ და როცა ასეთ რამეს მიყვებიან, მაშინვე ვიჯერებ, იმის მიუხედავად, რომ თავად ასეთ შემთხვევას არასოდეს წავეწყდომივარ. მსგავს ტაბუდადებულ თემაზე რომ მოგიყვინ, დიდი ნდობის მოპოვებაა საჭირო, რადგან ასეთი ამბები უცხოელებს არ ეხებათ. ერთმა ქალბატონმა გადაწყვიტა ამგვარი შემთხვევის შესახებ ჩემთვის მოეყოლა. ის ჩემი მეგობარია, ქრისტიანი, ხშირად ვეკონტაქტები, რადგან ბავშვებზე ზრუნავს. ის მრავალ დედას შეხვედრია ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და სოფლიდან. თავისი ნაცნობებისთვის ერთგვარი მუხტარია (არაბულად ეს სიტყვა „რჩეულს“ ნიშნავს. ასე უწოდებენ სოფელსა და სამეზობლოში გამორჩეულ ადამიანს, ლიდერს), ჩაიზე ან ყავაზე იწვევს ქალებს და ყველანი საუბრობენ თავიანთი სოფლის ამბებზე. აქ, აღმოსავლეთში, ეს ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმაა. ყავას ან ჩაის ყოველდღე სვამენ და საუბარში ჩემი მეგობარი არკვევს, სად უნდა ეძებოს გასაჭირში მყოფი ბავშვები.

ერთ დღეს რამდენიმე ქალისგან მან ასეთი რამ მოისმინა: „სოფელში ერთი გოგონაა, ძალიან ცუდად მოიქცა, ამიტომ მშობლებმა მისი ცოცხლად დაწვა სცადეს. ამბობენ, რომ ახლა სადღაც, რომელიღაც საავადმყოფოშია.“

ჩემს მეგობარს გარკვეული ქარიზმა აქვს, მას პატივს სცემენ და როგორც შემდეგში არაერთხელ დავრწმუნდი, არაჩვეულებრივად მამაცია. ჩვეულებრივ, ის მხოლოდ ბავშვებზე ზრუნავს, მაგრამ რამ გაყო დედა და ბავშვი! ასე რომ, იმ წლის 15 სექტემბერს ჩემმა მეგობარმა მითხრა: „მისმინე, ჟაკლინ, ერთ-ერთ საავადმყოფოში ერთი გოგონა სიკვდილის პირასაა. სოციალურმა აგენტმა დამიდასტურა, რომ მისი ოჯახის რომელიღაც წევრმა გოგონას ცოცხლად დაწვა სცადა. როგორ ფიქრობ, შეძლებ მისთვის რაიმე გააკეთო?“

– კიდევ რა იცი მის შესახებ?

– მხოლოდ ის, რომ ფეხმძიმედ იყო და მთელი სოფელი ასე ამბობს: „კარგად მოიქცნენ, რომ დასაჯეს, დაე, ახლა საავადმყოფოში მოკვდეს“.

– რა შემზარავია!

– ჰო, ასეა, მაგრამ აქ ჩვეულებრივი ამბავია. ფეხმძიმედაა და, ალბათ, მალე მოკვდება. სულ ეს არის. ეს ნორმალურად ითვლება. ასე იტყვიან: „საწყალი მშობლები!“ ისინი ეცოდებათ და არა გოგონა. გარდა ამისა, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რასაც მომიყვანენ, ნამდვილად მოკვდება“.

ასეთ ისტორიას რომ ვისმენ, ჩემს გონებაში განგაშის ზარი იწყებს რეკვას. როგორც უკვე აღვნიშნე, მაშინ ჰუმანიტარული ორგანიზაციისთვის – „ადამიანთა მიწა“ – ვმუშაობდი, რომლის დამფუძნებელი გასაოცარი ადამიანი, ედმუნდ კაიზერია. ჩემი უმთავრესი მოვალეობა ბავშვებზე ზრუნვაა. ასეთ შემთხვევებზე არასოდეს მიმუშავია, მაგრამ თავს ვუთხარი: „ჟაკლინ, მეგობარო, საკუთარი თვალით უნდა ნახო, რა ხდება“.

იმ საავადმყოფოს ვეძებ. ზუსტად არ ვიცი, სად არის, რადგან იქ მხოლოდ რამდენჯერმე ვყოფილვარ. შესვლის პრობლემა არ მაქვს, იმიტომ, რომ ქვეყანასა და ტრადიციებს კარგად ვიცნობ, არაბული ლაპარაკი შემიძლია და საავადმყოფოებშიც დიდი დრო მაქვს გატარებული. ვთხოვ, იმ გოგონასთან მიმიყვანონ, რომელიც დაწვეს. უპრობლემოდ მიმაცილებენ და შევდივარ დიდ დარბაზში, სადაც ორი საწოლი დგას და ორი გოგონა წევს. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ კოლონიის საკანში ვარ, სადაც სამუდამოდ გადასახლებულებს განათავსებენ ხოლმე. აქ მყოფნი არავინ უნდა დაინახოს.

ჩაბნელებული ოთახია, ფანჯრებზე ლითონის ბადეებია, მხოლოდ ორი საწოლი დგას, სხვა არაფერი.

რაკი გოგონა ორია, ექთანს ვეუბნები: „იმ გოგონას ვეძებ, ახლახან რომ იმშობიარა“.

– დიახ, აი, ესაა!“

ეს არის და ეს. ექთანი მიდის. დერეფანშიც კი არ ჩერდება, არც კი მეკითხება, ვინ ვარ, არაფერი! მხოლოდ გულგრილი ჟესტი საწოლის მხარეს: „აი, ესაა!“

ერთ გოგონას ხვეული, მაგრამ ძალიან მოკლედ შეჭრილი, თითქმის გადაპარსული თმა აქვს, მეორეს – საშუალო სიგრძის, მეჩხერი. ორივეს შავი, ჭვარტლით დაფარული სახე აქვს, სხეულებზე ზეწრები აფარიათ. უკვე ვიცი, რამდენი ხანია აქ არიან. როგორც მითხრეს, დაახლოებით თხუთმეტი დღე უნდა იყოს გასული. საუბარი არც ერთს არ შეუძლია. ორი მომაკვდავია. მეჩხერთმიანი გოგონა კომაშია. მეორე, რომელსაც ბავშვი შეეძინა, დროდადრო ძლივძლივობით ახელს ქუთუთოებს.

ამ ოთახში არავინ შემოდის, არც ექთანი, არც ექიმი. ხმის ამოღებას ვერ ვბედავ, მით უმეტეს – შეხებას. ოთახში მყრალი სუნი დგას. მეგონა, ერთი იქნებოდა, აქ კი საზარლად დამწვარი და უპატრონოდ მიგდებული ორი სხეული მხვდება. დერეფანში სხვა ექთანს ვეძებ, არა იმას, ვისაც ეს განწირულთა პალატა აბარია. როგორც იქნა, ერთს გადავაწყდი: „საავადმყოფოს მთავარი ექიმის ნახვა მინდა“.

უკვე კარგად ვიცნობ ამგვარ ადგილებში მიღებულ სტუმართმოყვარეობის წესებს, ჩემთვის ახალი არაფერია. მთავარი ექიმი თავაზიანია, სიმპათიურიც კი.

„თქვენთან ორი დამწვარი გოგონაა. როგორც იცით, ჰუმანიტარული ორგანიზაციისთვის ვმუშაობ, რით შემიძლია მათი დახმარება?“

– მისმინეთ... არ გირჩევთ. მათგან ერთი ცეცხლში შემთხვევით ჩავარდა, მეორეს რაც შეეხება, ეს ოჯახის საქმეა. გულწრფელად გირჩევთ, ნუ ჩაერევით.

– ექიმო, ჩემი საქმე დახმარებაა, განსაკუთრებით იმ ხალხის, ვისაც უკვე აღარავინ ეხმარება. კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?

– არა, არა, არა. ფრთხილად იყავით. ასეთი ამბებისგან თავი რაც შეიძლება შორს დაიჭირეთ!“

ასეთ დროს დაძალებას აზრი არა აქვს. საავადმყოფოს არ ვტოვებ, ისევ იმ პალატაში ვბრუნდები და ცოტა ხნით ვჯდები. ველოდები და ვიმედოვნებ, რომ იმ გოგონას, რომელსაც თვალის გახელა შეუძლია, დაველაპარაკები. მეორის მდგომარეობა უფრო შემაშფოთებელია.

დერეფანში ექთანმა გაიარა, ვეკითხები: „იმ გოგონას, მეჩხერი თმა რომ აქვს და გაუნძრევლად წევს, რა დაემართა?“

„– ჰო, ეგ ცეცხლში ჩავარდა, ძალიან ცუდად არის, მალე მოკვდება“.

ამ დიაგნოზში იოტის ოდენა სიბრალულიც კი არ იგრძნობა. მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა. მაგრამ სიტყვები „ცეცხლში ჩავარდა“ ვერ მომატყუებს.

მეორე გოგონა ოდნავ გატოკდა. მის საწოლს ვუახლოვდები, ცოტა ხნით ჩუმი ვდგავარ და ვაკვირდები; ვცდილობ მის შესახებ რამე გავიგო, დერეფნიდან შემოსულ ხმაურს ვაყურადებ, იქნებ ვინმე შემოვიდეს და მისთვის კითხვების დასმა შევძლო. მაგრამ ექთანები დერეფანში ჩაიქროლებენ, ამ ორ გოგონას კი ყურადღებას არავინ აქცევს. ნათელია, მათ მოსავლელად აქ არაფერი კეთდება, უფრო სწორად, იმდენად მცირე რამ, რომ შედეგი არ აქვს. ჩემთან არავინ მოდის და არაფერს მეკითხება; არადა მე ხომ უცხოელი ვარ, ევროპულად მაცვია, თუმცა პატივს ვცემ იმ ქვეყნის ტრადიციებს, სადაც ვმუშაობ და ჩემი სამოსი არასოდეს

არის გამომწვევი; თავსაბურავსაც ვატარებ, იმისთვის, რომ ყველგან დაუბრკოლებლად შევიდე. შეეძლოთ ეკითხათ მაინც, აქ რატომ ვარ, მაგრამ ამის ნაცვლად თითქოს ვერც კი ამჩნევენ ჩემს არსებობას.

რაღაც მომენტში მეჩვენება, რომ გოგონას შეუძლია ჩემი ხმის გაგება, ამიტომ მისკენ ვიხრები, თუმცა არ ვიცი, სად შევეხო. ზეწარი ხელს მიშლის დავინახო, სად დაიწვა. ვხედავ, რომ ნიკაპი მკერდზე აქვს მიკრული, ერთიან წარმონაქმნად ქცეულა. ასევე დამწვარ ყურებს ვხედავ – მათგან ბევრი არაფერია დარჩენილი. თვალბთან მიმაქვს ხელი, მაგრამ არ რეაგირებს. ვერც ხელებს ვხედავ, ვერც მკლავებს, ზეწრის გადამრობის გამბედაობა კი არ მყოფნის. აღარ ვიცი, როგორ მივახვედრო, რომ აქ ვარ. სადღაც აუცილებლად უნდა შევეხო – ისე როგორც მომაკვდავს, როცა სურთ მას ადამიანური კონტაქტი, ახლობლის იქ ყოფნა აგრძნობინონ. ფეხები მოხრილი და გადაჯვარედინებული აქვს ისე, როგორც აღმოსავლეთში ქალებს სჩვევიათ დაჯდომა. ხელს მუხლზე ვადებ და ის თვალებს ახელს.

„რა გქვია?“

ხმას არ იღებს.

„ყური მიგდე, დაგეხმარები, მენდე, დაგეხმარები, გესმის?“

– „იოუა“.

„ჰო“, მითხრა არაბულად, ეს იყო და ეს. თვალები ისევ დახუჭა. ისიც კი არ ვიცი, დამინახა თუ არა.

ასე შევხვდი პირველად სუადს.

აღელვებული წავედი. ნათელი იყო, რაღაც უნდა მეღონა! ყოველთვის, როცა რაღაცას ვაკეთებდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც მიხმობდა დასახმარებლად. ვიღაცის გასაჭირზე მესაუბრებოდნენ, მივდიოდი იმ მიზნით, რომ რაიმეთი შემემსუბუქებინა მდგომარეობა. არ ვიცი როგორ, მაგრამ გამოსავალს ამ შემთხვევაშიც ვიპოვი.

პირველ რიგში, ჩემს მეგობართან ვბრუნდები, რომ კიდევ დამატებითი, ჩემთვის ძვირფასი ინფორმაცია მოვიპოვო ამ გოგონას შესახებ.

„ბავშვი, რომელიც გააჩინა, პოლიციის ბრძანებით სოციალურმა სამსახურმა წაიყვანა. ვერაფერს გააწყობ. ის ძალიან ახალგაზრდაა, საავადმყოფოში არავინ დაგეხმარება. ჟაკლინ, დამიჯერე, ვერაფერს გახდები.“

– კარგი, ვნახოთ“.

მეორე დღეს ისევ საავადმყოფოში ვარ. ის კვლავ უგონოდაა, მის მეზობლად მწოლიარე გოგონა კი – კომაში. ოთახში ისევ ეს აუტანელი, მყრალი სუნის დეგას. არ ვიცი, რამდენად მძიმე ხარისხის დამწვრობაა, მაგრამ იგი არავის დაუმუშავებია. ორი დღის შემდეგ ერთი საწოლი ცარიელია – კომაში მყოფი გოგონა გონს მოუსვლელად ღამით გარდაიცვალა. უდიდესი გულისტკივილით ვუყურებ ამ ცარიელ საწოლს, რომელიც ჯერ არც კი აულაგებიათ. ყოველთვის ვწუხვარ, როცა

ვერაფრით ვახერხებ დახმარებას. და სწორედ მაშინ ჩემთვის ვამბობ: „ახლა მეორეს უნდა მივხედო“. მაგრამ ის სანახევროდ უგონო მდგომარეობაშია, ბევრს ბოდავს და ვერ ვხვდები, რას მპასუხობს შეკითხვებზე.

და სწორედ ამ დროს მოდის ის, ვისაც სასწაულად მივიჩნევ. ეს ახალგაზრდა პალესტინელი ექიმა, რომელსაც პირველად ვხედავ. საავადმყოფოს დირექტორმა უკვე მითხრა: „აცადე, მოკვდეს“. ამ ახალგაზრდა ექიმს ვკითხე აზრი: „რას ფიქრობთ? აქამდე სახე მაინც რატომ არ გაუწმინდეს?“

– როგორც შეგვიძლია, ვცდილობთ, მაგრამ არ არის ადვილი საქმე. ამგვარი შემთხვევები ჩვენთვის ძნელი და რთული მოსავლელია ადგილობრივი ადათ-წესების გამო... თქვენ, ალბათ, გესმით, რისი თქმაც მინდა...

– თქვენი აზრით, მისი გადარჩენა შესაძლებელია? შეიძლება რამე მოვიმოქმედო?

– რაკი ჯერ არ მომკვდარა, შესაძლოა შანსი კიდევ არის. მაგრამ ძალიან, ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ ასეთ შემთხვევებში.“

მომდევნო დღეებში გოგონას სახე უფრო მოსუფთავებულია და აქ-იქ ანტისეპტიკის კვალიც ატყვია. ახალგაზრდა ექიმს უნდა მიეცა მითითება ექთანისთვის, თუმცა მას დიდად არ გამოუდვია თავი. მოგვიანებით სუადი მომიყვა, რომ თმით ეჭირათ და აბაზანაში ჩააწინეს, რათა გაეწმინდათ. შეხება არავის სურდა. არ მინდა საავადმყოფოს პერსონალი გავაკრიტიკო, სამომავლოდ მათთან მუშაობაში ხელი რომ არ შემეშალოს. მხოლოდ ახალგაზრდა არაბ ექიმს ვესაუბრები, ერთადერთს, ვისთვისაც, ჩემი აზრით, რაიმეს თქმას აზრი აქვს.

„ჰუმანიტარული ორგანიზაციისთვის ვმუშაობ და რაღაცის გაკეთება ნამდვილად შემიძლია. მინდა გავიგო, გადარჩენის უმცირესი შანსი მაინც თუ აქვს.“

– ჩემი აზრით, ასეთი შანსი არსებობს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა რაიმე გვეცადა, მაგრამ ჩვენს საავადმყოფოში ეს შეუძლებელია.

– საავადმყოფო რომ შევუცვალოთ?

– კი მაგრამ, მას ოჯახი და მშობლები ჰყავს, თავად არასრულწლოვანია და ეს შეუძლებელია! ვერ ჩავერევით... მშობლებმა იციან, რომ აქ არის. დედამისი სანახავადაც იყო მოსული, თუმცა ამის შემდეგ მისი ოჯახის წევრებს აქ მოსვლა აკრძალული აქვთ... მერწმუნეთ, ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა.

– მისმინეთ, ექიმო, რაღაც უნდა ვიღონო. მე არ ვიცი რა სახის აკრძალვებია, მაგრამ თუ ამბობთ, რომ გადარჩენის მინიმალური, სულ უმცირესი იმედი არსებობს, ამ გოგონას ასე ვერ მივანებებ თავს“.

ახალგაზრდა ექიმი, ჩემი სიჯიუტით გაოცებული, მიყურებს. სავარაუდოდ იმ ერთ-ერთ „ჰუმანიტარად“ მთვლის, ამ ქვეყნის ადათ-წესების რომ არაფერი გაეგება. ოცდაათიოდე წლის უნდა იყოს, საკმაოდ სიმპათიურია: მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი და შესანიშნავად იცის ინგლისური. არ ჰგავს თავის კოლეგებს, ევროპელების თხოვნას ცივად რომ ეკიდებიან.

„თუ დახმარება შემიძლია, აუცილებლად, დაგეხმარებით“.

გადავიბირე. მომდევნო დღეებში დაუფარავად მესაუბრება პაციენტის მდგომარეობის შესახებ. განათლება დიდ ბრიტანეთში აქვს მიღებული, კარგად აღზრდილია და მასთან ურთიერთობა მიაღვივდება. სუადის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვებაში ცოტათი წინ მივიწევ და ვიგებ, რომ მასზე მართლაც არავინ ზრუნავს.

„ის მცირეწლოვანია, მას ვერ შევეხებით, თუ მშობლებმა თანხმობა არ განაცხადეს. მათთვის კი ის უკვე მკვდარია, ყოველ შემთხვევაში, ამას მოუთმენლად ელიან.

– არ დამრთავენ ნებას სხვა საავადმყოფოში გადავიყვანო, სადაც უკეთ მოუვლიან?

– არა, ამას მხოლოდ მშობლების ნებართვა სჭირდება, მათგან კი ასეთ ნებართვას ვერ მიიღებთ!“

ისევ ჩემს მეგობართან ვბრუნდები და ჩემს აზრს ვაცნობ: „მინდა სხვაგან გადავიყვანო. შენი აზრით, ეს შესაძლებელია?“

– როგორც მიხვდი, თუ მშობლებს მისი სიკვდილი სურთ, ვერაფერს გახდები! სოფელში მათთვის ეს ხომ ღირსების საკითხია.“

ამგვარ სიტუაციაში გაჯიუტება მჩვევია. ყოველთვის ვცდილობ უარყოფით გარემოებებში პოზიტიური გამოსავალი მოვძებნო, თუნდაც უმნიშვნელო. ერთხელ დასახულ გეზს ბოლომდე მივყვები.

„რას ფიქრობ, სოფელში რომ ჩავიდე?“

– რისკი ძალიან დიდია. ყური კარგად დამიგდე. შენ არაფერი იცი ღირსების დაცვის ადათის შესახებ. მისი სიკვდილი იმიტომ სურთ, რომ ასე მათი ღირსება აღდგება და სოფელი ოჯახს აღარ მოიკვეთს. თუ არა და, სამუდამოდ შერცხვენილები იქნებიან, გესმის? ყოველთვის შეგიძლია მგლის ყბაში ჩავარდე, მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან სარისკოა და ვერც ვერაფერს მიაღწევ. ის განწირულია. ამდენი ხნის განმავლობაში მოუვლელი, ასეთი მძიმე დამწვრობებით დიდხანს ვერ იცოცხლებს ის საბრალო.“

მაგრამ როცა მის სანახავად ისევ მივდივარ, პატარა სუადი ცოტათი უკვე ახელს თვალებს, მისმენს და საზარელი ტანჯვის მიუხედავად, მპასუხობს კიდევ.

„ვიცი, რომ იმშობიარე, ბავშვი სად არის?“

– არ ვიცი. წაიყვანეს. არაფერი ვიცი...“

მას შემდეგ, რაც გადაიტანა და რაც ელის, წინასწარ გამოცხადებული სიკვდილის სახით, კარგად მესმის, ბავშვი არ არის მისი უმთავრესი პრობლემა.

„სუად, პასუხი უნდა გამცე, იმიტომ, რომ რაღაცის გაკეთებას ვაპირებ. აქედან რომ სხვაგან წაგიყვანო, წამომყვები?“

– დიხ, დიახ, დიახ. შენთან ერთად წამოვალ. სად უნდა წავიდე?

– სხვა ქვეყანაში, ჯერ არ ვიცი, სად, მაგრამ იქ აღარასოდეს მოისმენ იმას, რაც მოხდა.

– კი მაგრამ, იცი, ჩემი მშობლები...

– შენს მშობლებს შევხვდები. შენ თანახმა ხარ? მენდობი?“

– დიახ... გმადლობ...“

ამ ნდობით აღჭურვილი ახალგაზრდა ექიმს ვეკითხები, თუ იცის, სად არის ის საზარელი სოფელი, სადაც შეყვარებულ გოგონებს ჩირაღდნებით ცეცხლს უკიდებენ.

„ის წარმოშობით პატარა დაბიდანაა, რომელიც აქედან დაახლოებით ორმოც კილომეტრზეა. საკმაოდ შორსაა და იქამდე სამანქანო გზაც არ მიდის. თანაც საშიშია, არავინ იცის, რა ხდება ამ დაბაში, ასეთ მიკარგულ კუთხეებში პოლიციაც კი არ არის.“

– არ ვიცი, იქ მარტო წასვლას შევძლებ თუ არა...

– ოჰ, არა! ნამდვილად არ გირჩევთ. სანამ ამ დაბას იპოვით, ათჯერ მაინც დაიკარგებით. გარდა ამისა, დეტალური რუკებიც კი არ არსებობს...“

გულუბრყვილო ვარ, მაგრამ არა უსაზღვროდ. კარგად ვიცი, ასეთ ადგილებში დაკარგულ უცხოელს გზას არავინ მიასწავლის. გარდა ამისა, ის დაბა ოფიციალურად ისრაელის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა. მე, ჟაკლინი, „ადამიანთა მიწის“, ჰუმანიტარული ორგანიზაციის წევრი ვარ თუ არ ვარ, ქრისტიანი ვარ თუ არ ვარ, მნიშვნელობა არ აქვს – ყოველთვის შეიძლება მიმამსგავსონ პალესტინელებში შეგზავნილ ისრაელის ჯაშუშს, ან პირიქით – გააჩნია, გზის რომელ მონაკვეთზე ვარ.

„შეგიძლიათ დამეხმაროთ და ჩემთან ერთად წამოხვიდეთ?“

– ეს სიგიჟეა.

– ყური დამიგდეთ, ექიმო, შეგვიძლია სიცოცხლე გადავარჩინოთ... თავად მითხარით, თუ სხვაგან გადავიყვანთ, კიდევ არის გადარჩენის იმედი...“

სიცოცხლის გადარჩენა. ის ნამდვილი ექიმია და ამ სიტყვებს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ის ამ ქვეყნის შვილია, ისე როგორც ექთანები, რომელთათვისაც სუადი, მეორე გოგონას მსგავსად, უნდა მოკვდეს...

ერთი უკვე გარდაიცვალა. არ ვიცი, გადარჩენის შანსი ჰქონდა თუ არა, მაგრამ მასზე არავის უზრუნია. ძალიან მინდა ამ სიმპათიურ ექიმს ვუთხრა, რომ ჩემთვის აუტანელია „ვაცადო, მოკვდეს“, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთია ჩვეულება! მაგრამ ამას არ ვიზამ, რადგან მესმის, ისიც ამ სისტემის ნაწილია, ის ვერ დაუპირისპირდება საავადმყოფოს, მის მთავარ ექიმს, ექთანებს, მთელ მოსახლეობას. ღირსების დასაცავად ჩადენილი დანაშაული ტაბუდადებული თემია და ამის შესახებ რომ ჩემთან ილაპარაკა, მისი მხრიდან უკვე დიდი სიმამაცაა.

სანახევროდ დავიყოლიე. ის ძალიან კეთილი, პატიოსანი ადამიანია, თუმცა შემძრა მისმა ყოყმანით ნათქვამმა სიტყვებმა: „არ ვიცი, მეყოფა თუ არა სიმამაცე...“

– მაინც ვცადოთ, თუ არაფერი გამოვა, უკან დავბრუნდებით.

– თანახმა ვარ, მაგრამ როგორც კი სირთულეს წავაწყდებით, ნება უნდა მომცეთ, ამ საქმეს ჩამოვცილდე“.

შევპირდი. ეს ადამიანი, მას ჰასანს დავარქმევ, ჩემი მეგობარი იქნება.

ახალგაზრდა ევროპელი ქალი ვარ და ახლო აღმოსავლეთში „ადამიანთა მიწისთვის“ ვმუშაობ, გასაჭირში მყოფ მაჰმადიან, ქრისტიან ან ებრაელ ბავშვებს რომ დავეხმარო. ეს რთული სამუშაოა, რომელსაც მუდმივად სჭირდება დიპლომატიურობის დაცვა. მაგრამ იმ დილით, როდესაც მამაც ექიმთან ერთად მანქანაში ჩავჯექი, მოსალოდნელ რისკს სრულად მაინც ვერ ვაცნობიერებდი. გზები არასანდოა, მოსახლეობა ეჭვის თვალით გიყურებს, მე კი ინგლისის უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებულ არაბ ექიმს სრულიად წარმოუდგენელ თავგადასავალში ვითრევ. მეტად სერიოზული მიზანი დავისახე და ის, ალბათ, სრულიად შეურაცხადად მთვლის.

გამგზავრების დილით ჰასანს შიშისგან მწვანე ფერი ადევს სახეზე. რომ გითხრათ, მშვიდად ვიყავი, ნამდვილად მოგატყუებთ, მაგრამ ჩემმა ახალგაზრდობამ და სხვების დახმარების სურვილმა გამაბედვინა. რასაკვირველია, იარაღი არ გვაქვს. მე ვამბობ: „ღმერთო, დაგვიფარე!“, მისთვის ეს ასე ჟღერს: „ინშ ალაჰ!“ („ღმერთმა ინებოს!“).

ქალაქიდან გასვლის შემდეგ ტიპური პალესტინური პეიზაჟი გვხვდება – ღარიბი გლეხების კუთვნილი მიწის პატარა ნაკვეთები. ისინი ალიზის კედლებითაა შემოღობილი და ამ კედლებზე ბევრი ხვლიკი და გველი დამკრება. ნიადაგი ჟანგმიწაა, ალაგ-ალად ინდური ლელვისებრი ოპუნცია ხარობს.

ქალაქის გარეთ გზა უასფალტოა, თუმცა მანქანის სავალად ვარგისი. იგი ერთმანეთთან აკავშირებს სოფლებს, დაბებსა და ბაზრებს. ისრაელის ტანკებმა ის მეტ-ნაკლებად დატკეპნა, მაგრამ მაინც საკმარისად გვხვდება ორმოები და ჩემი პატარა მანქანაც ჭრიალებს. რაც უფრო ვშორდებით ქალაქს, მატულობს დამუშავებული მიწები. თუ ნაკვეთი დიდია, იქ ხორბალი მოჰყავთ, პატარას კი სამოვრად იყენებენ რამდენიმე ცხვრის ან თხისთვის. მდიდარ გლეხებს მეტი პირუტყვი ჰყავთ.

გოგონები მიწაზე მუშაობენ. მათგან ცოტა თუ დადის სკოლაში, უმეტესობას იქ არასოდეს უვლია. სკოლაში მიბარებულებსაც მალე შინ აბრუნებენ, უმცროს დამძებს რომ მოუარონ. ახლა ვხვდები, რომ სუადმა წერა-კითხვა არ იცის.

ჰასანი ამ გზას იცნობს, მაგრამ იმ დაბის მოსამებნად მივდივართ, რომლის სახელი არასოდეს გაუგონია. დროდადრო შემხვედრთ გზას ვეკითხებით, მაგრამ მანქანას ისრაელის ნომერი აქვს და საფრთხეში ვიგდებთ თავს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვართ და მოწოდებული ინფორმაცია სრულიად სანდო ნამდვილად არ არის.

უეცრად ჰასანი მეუბნება: „მაინც არ არის გონივრული ნაბიჯი. იმ დაბაში სრულიად მარტონი ვიქნებით, ოჯახს დავურეკე და შეხვედრაზე შევუთანხმდი, მაგრამ ვინ იცის, ვინ დაგვხვდება? მხოლოდ მამა? მთელი ოჯახი? თუ მთელი სოფელი? თქვენს საქციელს ისინი ვერ გაიგებენ!“

– უკვე უთხარით, რომ გოგონა სადაცაა მოკვდება და ამის გამო მივდივართ მათთან სალაპარაკოდ?

– სწორედ ამიტომ ვერ გაგვიგებენ. ის მათ დაწვეს, ადვილი შესაძლებელია, მკვლელი ჩვენც სადმე გველის. იტყვიან, რომ კაბაზე ცეცხლი უეცრად მოედო, ან თავით დაეცა ნაკვერჩხლებს! ოჯახებთან საუბარი რთულია...“

ეს ყველაფერი კარგად ვიცი. თავიდანვე, ათიოდე დღის წინ უკვე მითხრეს, რომ დამწვარი ქალის პრობლემა ძალიან რთულია და არ უნდა ჩავერიო. მაგრამ უკვე ჩარეული ვარ.

„გარწმუნებთ, უმჯობესი იქნება უკან დავბრუნდეთ...“

ჩემი ძვირფასი მეგობრის გამხნევებას ვცდილობ. მის გარეშე, მარტოც წავიდოდი იმ დაბაში, მაგრამ აქ ქალი მარტო არ დადის.

ბოლოს, როგორც იქნა, საჭირო დაბას მივაგენით. მამამისი სახლის წინ, უზარმაზარი ხის ჩრდილში გვხვდება. მიწაზე ვჯდები. ჰასანი მარჯვნივ მიზის. მამა ხეზე ზურგმიბჯენილი, ჩვეულ პოზაში ზის – მოკეცილ ფეხზე ხელჯოხი უდევს. პატარა ტანისაა, წითური, ფერმკრთალ სახეზე ჭორფლით, ცოტათი ალბინოსია. დედა ფეხზე დგას, წელგამართული, გრძელი შავი კაბა აცვია და თავზეც იმავე ფერის თავშალი ახურავს. თუმცა, სახე უჩანს. სახეზე ასაკი არ ამჩნევია, მაგრამ უხეში ნაკვთები და პირქუში გამოხედვა აქვს. პალესტინელი გლეხი ქალების უმრავლესობას ასეთი მზერა აქვს, რაც არ არის გასაკვირი – მუშაობა, ბავშვების მოვლა, მონობა თავის კვალს ტოვებს.

საშუალო ზომის სახლი სხვა სახლებისგან არაფრით გამოირჩევა, თუმცა ჩვენ ბევრს ვერაფერს ვამჩნევთ. გარედან დაკეტილი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ეს კაცი ღარიბი არ არის.

ჰასანი ზრდილობიანი მოკითხვის შემდეგ ჩემს თავს აცნობს.

„ეს ქალბატონი ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში მუშაობს...“

შემდეგ კაცები პალესტინურ ენაზე საუბრობენ: „როგორ გყავთ პირუტყვი?... მოსავალი როგორია?... კარგად ვაჭრობთ?“

– ცუდი ამინდია... ზამთარი მოდის, ისრაელი კი პრობლემებს გვიქმნის...“

ჩვენი სტუმრობის მიზეზამდე დიდხანს საუბრობენ წვიმასა და კარგ ამინდზე, მასზე ლაპარაკს კი ერიდებიან. ეს ბუნებრივიცაა. ის თავის ქალიშვილს არ ახსენებს, არც ჰასანი და მე ვამბობთ რაიმეს მის შესახებ. ჩაის გვთავაზობენ – უცხოელი ვარ და ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას პატივი უნდა ვცე – შემდეგ ვემშვიდობებით: „კიდევ გინახულებთ, აუცილებლად...“

მეტს არაფერს ვამბობთ, ვდგებით და მივდივართ. იმიტომ, რომ ორივემ ვიცით, ასე უნდა იყოს. ჯერ ერთმანეთის გაცნობაა საჭირო, მტრები ან დასაკითხად მისულები არ უნდა ვეგონოთ. დასაბრუნებლად დრო უნდა გავიდეს.

ორმოციოდე კილომეტრით დაშორებული ქალაქისკენ მიმავალ გზაზე ვართ. მახსოვს, შვებით ამოვისუნთქე.

„არც ისე ცუდად ჩაიარა, არა? რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დავბრუნდეთ.“

– თქვენ რა, მართლა გინდათ დაბრუნება?

– რა თქმა უნდა, ჯერ ხომ არაფრისთვის მიგვიღწევია.

– კი მაგრამ, რას შესთავაზებთ? ფულს აზრი არა აქვს, ამაზე არც კი იფიქროთ. ღირსება ღირსებაა.

– იმ ფაქტს გამოვიყენებ, რომ სუადი სიკვდილის პირასაა. სამწუხაროდ, ეს სიმართლეა და თავადაც დამიდასტურეთ.

– დაუყოვნებლივ თუ არ დაიწყო მკურნალობა, რაც აქამდეც უნდა მომხდარიყო, მას მართლაც შანსი აღარ ექნება.

– რაკი ასეა, მშობლებს ვეტყვი, რომ სხვაგან მიმყავს, სადაც მოკვდება... ეს მათ პრობლემებს თავიდან ააცილებს, ასე არ არის?

– მაგრამ ის არასრულწლოვანია, საბუთები არ აქვს და მშობლების თანხმობაა საჭირო. ვერაფერს გახდებით, რადგან ისინი საბუთების ასაღებად არაფერს მოიმოქმედებენ...

– მაინც უნდა დავბრუნდეთ. როდის დაურეკავთ?

– რამდენიმე დღის შემდეგ. ცოტა დამაცადეთ...“

მას, პატარა სუადს, აღარ აქვს ამდენი დრო. მაგრამ ჰასანი ჩემთვის ჯადოქარი ექიმია. მას უამრავი საქმე აქვს საავადმყოფოში, ოჯახი ჰყავს და ღირსების დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეში ჩარევით შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას. სულ უფრო უკეთ მესმის მისი და მის სიფრთხილესაც პატივს ვცემ. ამგვარ ტაბუსთან შეხება, მისი გვერდის ასავლელად ყველა საშუალების გამოძებნა ჩემთვის უჩვეულოა და საქმისთვის მთელ ენერჯიას უშურველად ვიყენებ. მაგრამ სოფლებთან კონტაქტი მას აქვს, ის აფრთხილებს ჩვენი სტუმრობის შესახებ და კარგად მაქვს წარმოდგენილი, რამხელა ძალისხმევის ფასად უჯდება ასეთი მარტივი საქმე...

სუადი კვდება

„ჩემი ძმა კეთილია. ბანანი მომიტანა, ექიმმა კი უთხრა, აღარასოდეს დაბრუნებულიყო.“

– მაშ, ეს ვინ ჩაიდინა?

– ჩემმა სიძემ, ჰუსეინმა, ჩემი უფროსი დის ქმარმა. დედაჩემმა კი ჭიქით საწამლავი მოიტანა...“

ცოტა რამ უკვე ვიცი სუადის შესახებ. უკვე უკეთ ლაპარაკობს, მაგრამ ამ საავადმყოფოს პირობები მისთვის საზარელია. ერთხელ დაბანეს, მაშინაც ძლივს შერჩენილი თმით ეჭირათ. დამწვრობა დაინფიცირდა, ლპება და მუდმივად სისხლი სდის. მისი სხეულის ზედა ნაწილს ვამჩნევ: თავი მლოცველივით ისევ დახრილი და მკერდზე მიკრული აქვს, მკლავებს ვერ ამოძრავებს. თავზე ბენზინი ან ნავთი გადაასხეს. ცეცხლმა კისერი, ყურები, ზურგი, მკლავები და მკერდის ზედა ნაწილი დაუწვა. მოკუნტული წვეს და უცნაური ფორმის მუმიას ჰგავს. ალბათ, საავადმყოფოში გადმოყვანის დროს მანქანაში მწოლიარემ მიიღო ეს ფორმა და უკვე თხუთმეტ დღეზე მეტია, პოზა არ შეუცვლია. თუ არ ჩავთვლით ნახევრად უგონო მდგომარეობაში მშობიარობას და ბავშვს, რომელიც გაქრა. სოციალური აგენტი მას აუცილებლად რომელიმე თავშესაფარში წაიყვანდა, მაგრამ რომელში? ასეთი უკანონო ბავშვების ბედი კარგად ვიცი. მდგომარეობა უიმედოა.

რაც ჩავიფიქრე, ნამდვილი სიგიჟეა. პირველ რიგში, სუადი ბეთლემში უნდა გადავიყვანო. ამ ქალაქს მაშინ ისრაელი აკონტროლებდა, ორივეს შეგვეძლო ამ ტერიტორიაზე შესვლა. სხვა ქალაქში წასვლა წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ბეთლემში ასეთი რთული დამწვრობის მქონე პაციენტის მკურნალობის საშუალება არ არის. იქ გადაყვანა მხოლოდ პირველი ეტაპია. მეორე ეტაპი მინიმალური დოზით მკურნალობის დაწყებაა. ჩემი გეგმის მესამე ფაზაა ჰუმანიტარული ორგანიზაციის, „ადამიანთა მიწის“ თანხმობით მისი ევროპაში წაყვანა. მაგრამ ორგანიზაციის თანხმობა ჯერ არ მიმიღია.

ამასთან ერთად, განზრახული მაქვს ბავშვი მოვძებნო.

მშობლებთან ჩვენი მეორე სტუმრობის დღეს ახალგაზრდა ექიმი ჩემს პატარა მანქანაში ისევ შემფოთებული სახით ჩაჯდა. წინანდებურად ეზოში, ხის ქვეშ მიგვიღეს, დასაწყისში ისევ არაფრისმთქმელი დიალოგი იმართება, მაგრამ ამჯერად მე თვითონ ვეკითხები შვილების ამბავს, რომლებიც არასოდეს ჩანან.

„ბევრი შვილი გყავთ? სად არიან?“

– მინდორში მუშაობენ. ერთი გათხოვილი გოგო გყავს, უკვე ორი ბიჭის დედაა, ხოლო ვაჟი დაქორწინებულია, მასაც ორი ბიჭი ჰყავს“.

ბევრი ბიჭი კარგია. ოჯახის უფროსს უნდა მიულოცო. ასევე მისი სადარდებელიც გაიზიარო.

„ვიცი, რომ ქალიშვილი გყავთ, რომელმაც ბევრი სადარდებელი გაგიჩინათ.“

– ოჰ კარამ! საშინელება დაგვემართა! ეს უბედურებაა.

– ეს მართლაც სამწუხარო უნდა იყოს.

– დიახ, სამწუხაროა. „ღლაჰ ყარიმ! მაგრამ ღმერთი მაღალია!“

– ალბათ, სოფელში მცხოვრებისთვის ძნელი უნდა იყოს, როცა ასეთი პრობლემები აქვს.

– მართალი ხართ, ჩვენთვის ეს უმძიმესი ტვირთია.“

დედა ხმას არ იღებს. ფეხზე დგას, უცვლელ პოზაში.

„ასეა თუ ისე, ის მალე მოკვდება. ძალზე მძიმედ არის.

– დიახ. „ლლაჰ ყარიმ!“

ჩემი ექიმი პროფესიული კილოთი დასძენს: „დიახ, მისი მდგომარეობა ძალიან მძიმეა“.

ის მიხვდა, რატომ ვანიჭებ ასეთ მნიშვნელობას გოგონას მოსალოდნელ სიკვდილზე ამგვარ უცნაურ ვაჭრობას. მეხმარება, ძალზე გამომსახველი მიმიკით ადასტურებს საუდის გარდაუვალ სიკვდილს... მიხვდა, საქმე საით მიმყავს. ბოლოს და ბოლოს მამა დაუფარავად ამბობს იმას, რაც ყველაზე ძალიან აწუხებს: „იმედია, სოფლიდან აყრა არ მოგვიწევს.

– არა, რა თქმა უნდა. ის აუცილებლად მოკვდება.

– თუ ღმერთი ინებებს. ეს ჩვენი ბედისწერაა და ვერაფერს შევცვლით...“

მაგრამ არაფერს ამბობს, რა მოხდა, არც აპირებს ამ თემას შეეხოს. ამიტომ კიდევ ერთი პაიკის გადაადგილებას ვბედავ: „ჩემი აზრით, თქვენთვის მაინც პრობლემური უნდა იყოს მისი აქ სიკვდილი, ასე არ არის? როგორ დაასაფლავებთ? სად?

– აქ, ეზოში.

– სადმე სხვაგან რომ წავიყვანო და იქვე მოკვდეს, მაშინ თქვენ ამგვარი გასაჭირი აღარ გექნებათ“.

მშობლები ვერ ხვდებიან, რატომ ვთავაზობ სხვაგან წაყვანას, რომ იქ მოკვდეს. მათ ხომ არასოდეს გაუგიათ მსგავსი რამ. ჰასანი ამას ხვდება და ცოტათი დაჟინებით ამბობს: „სინამდვილეში, ეს პრობლემებს თქვენც აგარიდებთ თავიდან და სოფელსაც...“

– ჰო, მაგრამ, ჩვენ აქ, ეზოში დავმარხავთ, თუ ღმერთმა ინება; ყველას ვეტყვით, რომ დავმარხეთ და ამით ყველაფერი დასრულდება.

– არ ვიცი, კიდევ იფიქრეთ. ვფიქრობ, შემძლია მისი აქედან შორს წაყვანა, იქ მოკვდება. ეს თქვენთვის უკეთესი იქნება და მე კი ამის გაკეთება შემძლია...“

ამ მახინჯ თამაშში მხოლოდ სიკვდილზე შემძლია ფსონის დადება! სუადის გადარჩენა, მისი მკურნალობა, მათთვის საზარელი პერსპექტივაა. ერთმანეთთან მოლაპარაკება სურთ. ასე გვანიშნებენ, რომ ჩვენი წასვლის დროა. ტრადიციულად მიღებული ფრაზებით ვემშვიდობებით და ვპირდებით, რომ დავბრუნდებით. რა შეიძლება იფიქრო ჩვენს ამ მცდელობაზე? მივაღწიეთ კი რაიმე შედეგს? ერთი მხრივ, სუადი ცოცხალი დარჩება, მეორე მხრივ კი ოჯახი სოფლის თვალში დაკარგულ ღირსებას აღიდგენს.

როგორც სუადის მამა ამბობს, ღმერთი მაღალია. ამიტომ მოთმინებაა საჭირო.

ვიდრე რამე მოხდება, სუადს საავადმყოფოში ყოველდღე ვაკითხავ, იქნებ მინიმალური მკურნალობა მაინც უზრუნველვყო. ჩემი იქ ყოფნა აიძულებთ, რაღაც მაინც გააკეთონ. მაგალითად, მეტი გულდასმით დაუმუშაონ დამწვრობა. თუმცა, ტკივილგამაყუჩებლებისა და სპეციალური წამლების გარეშე სუადის კანი უზარმაზარი პირღია ჭრილობაა, მისთვის აუტანელი და სხვებისთვის საზარელი სამზერი. მახსენდება ჩემი ქვეყნის, საფრანგეთის საავადმყოფოები – თითქოს ფერიების ზღაპარია, ისე ფრთხილად ეპყრობიან მძიმე დამწვრობით დაზარებულებს, თავდაუზოგავად ცდილობენ ტკივილი მათთვის ასატანი გახდეს...

მე და ჩემი მამაცი ექიმი კვლავ ვაგრძელებთ ვაჭრობას. გამოსაჭედად ცხელი რკინა უკეთესია, ამიტომ დიპლომატიურად და ამასთანავე, სულ უფრო მეტი დაჟინებით ვმოქმედებთ.

„მისი ამ ქვეყანაში სიკვდილი ცუდია. თუნდაც საავადმყოფოში გარდაიცვალოს, ეს თქვენს პრობლემებს ვერ მოაგვარებს. მაგრამ შეიძლება აქედან შორს წავიყვანოთ, სხვა ქვეყანაში. მაშინ შეგიძლიათ მთელ სოფელს უთხრათ, რომ უკვე მკვდარია. სხვა ქვეყანაში მოკვდება და მის შესახებ ველარასოდეს ვერაფერს შეიტყობთ“.

ამჯერად საუბარი მეტისმეტად დამაბულია. თუ დოკუმენტებს ხელი არ მოაწერეს, მათი თანხმობა ვერაფერში დამეხმარება. თითქმის მიზანთან ვარ. სხვას არაფერს ვეკითხები, არც ამის ჩამდენის, არც ბავშვის მამის შესახებ. ჩემს მოლაპარაკებას ამ საკითხების ცოდნა ვერაფერში წაადგება, მათი ღირსება კი შეილახება. მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს: დავარწმუნო, რომ მათი ქალიშვილი მოკვდება, მაგრამ სხვა ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, გიჟი, ექსცენტრიკული უცხოელი ვგონივარ, თუმცა მათი დაინტერესება შევძელი, რადგან საბოლოო ჯამში, ისინი იხიერებენ.

ვატყობ, რომ ჩემი იდეა მიიღეს. თუ დამთანხმდებიან, ჩვენი წასვლისთანავე შეუძლიათ სოფელს შეატყობინონ, რომ მათი ქალიშვილი გარდაიცვალა, არც დეტალების ახსნა-განმარტება იქნება საჭირო და არც ეზოში დასაფლავება. რასაც უნდათ იმას იტყვიან, თავისებურად აღიდგენენ შელახულ ღირსებას. თუ დასავლური მენტალიტეტით ვიმსჯელებთ, ეს ყველაფერი სიგიჟედ მოგვეჩვენება... სინამდვილეში ასეც არის – ასეთ პირობებში მიზნის განხორციელება. ამ თემაზე ვაჭრობა მათთვის შეურაცხყოფელი სრულებითაც არ არის. აქ განსხვავებული მორალია, რომელიც ქალებისა და გოგონების წინააღმდეგაა მიმართული და მათ კლანის ინტერესების დამცველი მამაკაცების მიერ დაწესებულ კანონს ახვევს თავს. დედაც კი წარბშეუხრელად ეთანხმება ქალიშვილის სიკვდილს და თავადაც სურს, ასე მოხდეს. სხვაგვარად ვერც მოიქცევა და შინაგანად ვერც ვახერხებ მის გაკიცხვას. სულის მდგომარეობამ ხელი არ უნდა შემიშალოს. ყველგან, სადაც მიმუშავია, აფრიკაში, ინდოეთში, იორდანიაში, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ადგილობრივ კულტურასთან მორგებას ვცდილობ და ყოველთვის პატივისცემით ვეკიდები უძველეს ტრადიციებს. ჩემი ერთადერთი მიზანი მსხვერპლის დახმარებაა. მაგრამ პირველად მომიხდა სიცოცხლეზე ვაჭრობა ამგვარი უცნაური ფორმით. ისინი ნებდებიან.

მამა და დედა პირობას მართმევენ, რომ მას აღარ ნახავენ. მართლაც აღარასოდეს?

„დიახ! აღარასოდეს! აღარასოდეს!“

მეც ვპირდები, რომ ასე იქნება. მაგრამ ამ პირობის შესასრულებლად და სუადის უცხოეთში წასაყვანად საბუთებია საჭირო.

„მინდა რაღაც გთხოვოთ... შესაძლოა, ეს თქვენთვის რთული აღმოჩნდეს, მაგრამ თქვენ გვერდით ვიქნები და დაგეხმარებით. გასამგზავრებლად საჭირო საბუთები და პირადობის მოწმობაა ასაღები“.

ეს ახალი დაბრკოლება აშფოთებთ. ისრაელის მოსახლეობასთან, განსაკუთრებით კი ოფიციალურ პირებთან ყოველგვარი კონტაქტი მათთვის პრობლემაა.

„თქვენ და ქალბატონს იერუსალიმში მანქანით წაგიყვანთ მხოლოდ იმიტომ, რომ გამზადებულ საბუთებს ხელი მოაწეროთ.“

– მაგრამ წერა არ ვიცით!

– არა უშავს, თითის ანაბეჭდი საკმარისია...

– კარგი, წამოვალთ თქვენთან ერთად“.

მშობლების მიყვანამდე ჯერ ადმინისტრაცია უნდა მოვამზადო. საბედნიეროდ, იერუსალიმის სავიზო ბიუროს თანამშრომლებს კარგად ვიცნობ. შემძლია მოვყვე პრობლემის შესახებ და თანამშრომლებმა იციან, რასაც ვაკეთებ, ბავშვების დასახმარებლადაა საჭირო. ჩვეულებრივ, ბავშვების გადასარჩენად ვმუშაობ. სუადის თქმით, ის ჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვია. ისრაელის წარმომადგენლებს ვუხსნი, რომ მათთან მომაკვდავი პალესტინელი გოგონას მშობლები უნდა მივიყვანო, არ უნდა ალოდინონ სამი საათი, თორემ შესაძლოა ხელი არ მოაწერონ და უკან გაბრუნდნენ. რაკი მათ წერა-კითხვა არ იციან, ფორმალობის დაცვას მეც უნდა დავესწრო. მათ მოვიყვან დაბადების მოწმობით, თუ, რა თქმა უნდა, აქვთ ასეთი საბუთი, ხოლო ბიუროს თანამშრომლებმა ვიზაში მხოლოდ გოგონას ასაკი უნდა ჩაწერონ. კიდევ უფრო ვთავხედდები და ვამატებ, რომ გოგონა ბავშვთან ერთად იმგზავრებს. თუმცა, არც კი ვიცი სად არის ის და როგორ უნდა მოვძებნო. მაგრამ ახლა მთავარი ეს არ არის: ჯერ ერთი საქმე უნდა დავასრულო, შემდეგ მეორე დავიწყო. ამჯერად მშობლების დაყოლიება და სუადის ცოტა უკეთესი მკურნალობაა უმნიშვნელოვანესი.

რასაკვირველია, ბიუროს წარმომადგენელი მეკითხება: „ბავშვის მამის სახელი თუ იცი?“

– არა, არ ვიცი.

– როგორც „უკანონო“ ისე ჩავწერო?“

ოფიციალურ საბუთში ჩაწერილი ამგვარი განსაზღვრება მაშფოთებს.

„არა, ასეთი რამ არ იწერება! დედამისი საზღვარგარეთ მიდის საცხოვრებლად, იქ კი ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვის თქვენებური განსაზღვრება ძალაში არ არის!“

სუადისა და ბავშვისთვის განკუთვნილი ვიზა არ არის პასპორტი, ეს მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლის მიზნით პალესტინის დატოვების ნებართვაა. ამ ტერიტორიაზე სუადი აღარასოდეს დაბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვირტუალურად ის თავის ქვეყანაში აღარ იარსებებს, პატარა დამწვარი გოგონას სახელი გაქრება. ის ზმანებად იქცევა.

„ორი ვიზა დამჭირდება – დედისა და ბავშვისთვის.

– ეს ბავშვი სადღაა?

– ვიპოვი.

დრო გადის, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისრაელის ადმინისტრაცია ჩემს თხოვნას აკმაყოფილებს. მეორე დღესვე მივდივარ სუადის მშობლების წამოსაყვანად, მაგრამ ამჯერად უკვე საკუთარ თავში ვარ დარწმუნებული. მანქანაში მდუმარედ სხდებიან, თითქოს ორი ნიღაბია და არა ცოცხალი ადამიანი. იერუსალიმში, სავიზო განყოფილებაში ვართ. ამ ადამიანებისთვის ეს მტრის ტერიტორიაა, სადაც მათ არარაობად თვლიან.

მათ გვერდით ვზივარ და ველოდები. ისრაელის წარმომადგენლობისთვის მე იმის გარანტია ვარ, რომ ეს ორი პალესტინელი აქ ბომბით არ მოსულა. ძალიან კარგად მიცნობენ მას შემდეგ, რაც პალესტინელებთანაც ვმუშაობ და ებრაელებთანაც. უეცრად თანამშრომელი, რომელიც საბუთებს ამზადებს, მანიშნებს, მივუახლოვდე: „დაბადების მოწმობის მიხედვით გოგონა ცხრამეტი წლისაა! შენ კი მითხარი, ჩვიდმეტისააო!

– ასე თუ ისე, ახლა კამათის დრო არ არის, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ჩვიდმეტისაა თუ ცხრამეტის...

– რატომ არ მოიყვანე? მანაც უნდა მოაწეროს ხელი!

– იმიტომ, რომ საავადმყოფოში სიკვდილს ებრძვის.

– ბავშვი?

– მისმინე, ბავშვის საბუთს თავი დაანებე. ახლა, სანამ მისი მშობლები აქ არიან, გოგონას ვიზა მომეცი და მათ ხელი მოაწერინე. ბავშვის საბუთისთვის რაც არის საჭირო, ყველაფერს მოვიძიებ და მოგვიანებით მოგიტან“.

თუ ტერიტორიულ უსაფრთხოებას არაფერი ემუქრება, ისრაელის ოფიციალური პირები ყოველთვის მზად არიან თანამშრომლობისთვის. როდესაც ჰუმანიტარული ორგანიზაციის ეგიდით აქ დავიწყე მუშაობა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე პირველად მოვხვდი, დამკითხეს. დროთა განმავლობაში უკვე მოვახერხე მათთან კონტაქტის დამყარება. როცა მიხვდნენ, რომ ასევე ვეხმარებოდი ზოგიერთი თემის წარმომადგენელთა ქორწინების შედეგად დაბადებულ ინვალიდ ებრაელ ბავშვებსაც, ურთიერთობები გაუმჯობესდა. ორთოდოქსულ ებრაულ ოჯახებში მხოლოდ სისხლით ნათესავებს შორის ქორწინებაა დასაშვები და ამის შედეგად ხშირად იბადებიან დაუნის სინდრომით დაავადებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. მსგავსი რამ ხდება ზოგიერთ ორთოდოქსულ არაბულ ოჯახშიც. იმ პერიოდში ჩემი ძირითადი მოღვაწეობა სწორედ ორივე თემში მსგავსი

პრობლემების მქონე ბავშვების დახმარება იყო. ამიტომ, ისრაელის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მენდობოდნენ.

სავიზო ბიურო ძველი იერუსალიმის გალავნის გარეთ მდებარეობდა.

ფასდაუდებელი საბუთით ხელში მდუმარე მშობლებთან ერთად ფეხით გავიარე კბილებამდე შეირადებულ ისრაელელ ჯარისკაცებს შორის მანქანამდე მისასვლელი გზა. რაკი სოფლიდან მე წამოვიყვანე, უკანვე უნდა დავაბრუნო: ჩია, წითური, ცისფერთვალეა მამაკაცი თეთრი კუფიათი და განუყრელი ხელჯოხით; მისი შავებში ჩაცმული ცოლი, რომელიც თავს არ სწევს და საკუთარი სამოსის ძირს დასცქერის.

იერუსალიმიდან მათ სოფლამდე სულ მცირე, ერთი საათის სავალია. დასაწყისში, ჩემი თვითდაჯერებული იერის მიუხედავად, მათი ძალიან მეშინოდა. ახლა აღარ, აღარც განვსჯი, მხოლოდ ამას ვფიქრობ: „საწყალი ხალხი“. ყოველ ჩვენგანს საკუთარი ბედისწერა აქვს.

გზაში სიტყვაც არ დაუძრავთ. ეშინოდათ, რომ ისრაელის ტერიტორიაზე მათ პრობლემებს შეუქმნიდნენ. დავპირდი, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა და ასეც მოხდა. რამდენიმე აუცილებელი მითითების გარდა, მათთან საუბარი არც გამიბამს. არც ოჯახის დანარჩენი წევრები მინახავს და არც სახლის ინტერიერი. მათ რომ ვუყურებდი, არ მჯეროდა, რომ საკუთარი შვილის მოკვლა სურდათ. მართალია, დანაშაული სიძემ ჩაიდინა, მაგრამ გადაწყვეტილება მათ მიიღეს... ამ პირველი შემთხვევის შემდეგ კიდევ მქონდა შეხება მსგავსი პრობლემების მქონე ოჯახებთან და მაშინაც იგივე შეგრძნება მეუფლებოდა. მშობლებს მკვლელებად ვერ აღვიქვამდი. ამათ არც კი უტირიათ, სხვები კი ცრემლად იღვრებოდნენ, რადგან ამ საზარელი ადათის – ღირსების დასაცავად ჩადენილი დანაშაულის – ტყვეები იყვნენ.

სახლის წინ, რომელიც ისევ მალავდა საიდუმლოსა და უბედურებას, მანქანიდან მდუმარედ გადავიდნენ, არც მე ამომიღია ხმა. ჩვენ ერთმანეთს აღარასოდეს შევხვედრივართ.

კიდევ ბევრი რამ უნდა მოვასწრო. პირველ რიგში, ჩემს უფროსს უნდა ვესაუბრო.

ედმუნდ კაიზერი ტერრე დეს ჰომმეს-ის დამფუძნებელია. მან არაფერი იცის ჩემი გიჟური მცდელობის შესახებ. ჯერ ადმინისტრაციული საქმეები უნდა მიმეყვანა ბოლომდე. დავუკავშირდი ედმუნდ კაიზერს, რომელსაც მსგავსი ამბავი ჯერ არასოდეს გაეგონა. მდგომარეობა მოკლედ ავუხსენი: „ერთი გოგონა მყავს, რომელიც დამწვარია, მას ბავშვი შეეძინა. მათი ჩამოყვანა მინდა, მაგრამ ბავშვი ჯერ ვერ ვიპოვე, თანახმა იქნები, რომ დავეხმაროთ?“

– რა თქმა უნდა, თანახმა ვარ.

ასეთი იყო ედმუნდ კაიზერი. შესანიშნავი ადამიანი, რომელიც ინტუიციით გრძნობდა, როდის იყო საჭირო გადაუდებელი დახმარება. დასმულ კითხვაზე პასუხს დაუყოვნებლივ გაგცემდა. მასთან ადვილი იყო ყველაფერზე საუბარი.

ძალიან მინდა პატარა სუადი იმ განწირულთა პალატიდან გამოვიყვანო, სადაც უპატრონო ძაღლივით იტანჯება, მაგრამ სადაც ორივენი ექიმ ჰასანის უზარმაზარ

მხარდაჭერას ვგრძნობთ. მისი სიკეთისა და სიმამაცის გარეშე, ღმერთმა იცის, მივაღწევდი თუ არა წარმატებას.

ორივემ გადაწყვიტეთ სუადი საავადმყოფოდან საკაცით ღამით გაგვეყვანა. მთავარ ექიმს შევუთანხმდი, რომ პერსონალიდან ვერავინ დაგვინახავდა. არ მახსოვს, მაგრამ შესაძლოა ისიც კი ვთქვი, რომ გოგონა წინა ღამით მოკვდა.

დილის სამ თუ ოთხ საათზე მანქანის უკანა სავარძელზე დავაწვინე და სხვა საავადმყოფოსკენ წავედით. მაშინ გზებზე ჯერ კიდევ არ იყო უთვალავი ბარიკადი, ისინი ინტიფადის შემდეგ გაჩნდა. დაუბრკოლებლად ვიმგზავრეთ და გათენებისას იმ საავადმყოფოს მივადექით, სადაც ყველაფერი უკვე მზად იყო. მთავარ ექიმს ყველაფერს მოვუყევი და ვთხოვე, რომ სუადისთვის კითხვები არ დაესვათ ოჯახის, მშობლებისა თუ სოფლის შესახებ.

ეს საავადმყოფო უკეთ არის აღჭურვილი და რაც მთავარია, გაცილებით სუფთაა. მას მალტის ორდენი ეხმარება. სუადი ცალკე პალატაში მოათავსეს. აქ ყოველდღე მოვალ, ვიდრე ევროპის ვიზას მივიღებთ და ბავშვს მოვძებნი.

ბავშვზე არასოდეს ლაპარაკობს. თითქოს მისთვის იმის ცოდნაც საკმარისია, რომ ცოცხალია და ეს თვალში საცემი გულგრილობა ჩემთვის სავსებით გასაგებია. ტანჯვა, შეურაცხყოფა, შიში, დეპრესია ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ხელს უშლის დედობის გააზრებაში. უკანონოდ დაბადებული ბავშვისთვის, რომლის დედა ღირსების დასაცავად დაწვეს, საუკეთესო გამოსავალი საზოგადოებისგან განცალკევებაა. დარწმუნებული რომ ვიყო, თავის ქვეყანაში ნორმალურ პირობებში იცხოვრებს, უყოყმანოდ დაგტოვებდი. დედისთვის და ბავშვისთვისაც ეს საუკეთესო იქნებოდა. მაგრამ საუბედუროდ, ეს შეუძლებელია. მთელი ცხოვრება მას უნდა რცხვენოდეს დედამისის, გაიზრდება ობოლთა თავშესაფარში, სადაც ამაზრზენი პირობებია და ყველასთვის სამულველი იქნება. როგორმე სუადთან ერთად უნდა წავიყვანო.

„როდის წავალთ?“

მხოლოდ წასვლაზე ფიქრობს და ყოველი მისვლისას მეკითხება.

„როცა ვიზები გვექნება. ნუ ღელავ, მალე მივიღებთ“.

ექთანები არ მოსწონს, რადგან უხეშად აცლიან სახვევებს და როგორც კი ვინმე მიუახლოვდება, შეშინებული ყვირის; თვლის, რომ ცუდად ექცევიან. ვიცი, რომ ამ სახის პაციენტის მოვლის იდეალური პირობები აქ არ არის, თუმცა ჰიგიენის ნორმებს ბევრად უკეთესად იცავენ. ვიდრე ვიზებს არ მოგვცემენ, სხვა რა შემთხვევაში მოვიმოქმედო? ასეთი ტიპის დოკუმენტების მიღებას კი ყოველთვის დრო სჭირდება.

ვცდილობ ჩემი ნაცნობობა გამოვიყენო და პატარის კვალს მივაგნო. მეგობარი, რომელმაც სუადის შესახებ მაცნობა, მორიდებით დაუკავშირდა ერთ სოციალურ აგენტს. ის კიდევ უფრო მორიდებული აღმოჩნდა. მათი საუბრის შინაარსი ასეთი იყო: „მიპასუხა, რომ იცის, ბავშვი სად არის, ბიჭუნაა. მაგრამ მისი ასე გამოყვანა წარმოუდგენელია. მისი აზრით, არ ღირს საქმე გაართულო, ეს შენც ტვირთად დაგაწვება და დედასაც!“

მაშინ აზრს სუადს ვეკითხები: რა ჰქვია შენს შვილს?

– მისი სახელია მარუანი.

– შენ დაარქვი?

– დიახ, მე დავარქვი. ექიმმა მთხოვა სახელი დამერქმია.

მას რაღაცები დავიწყებული აქვს, რაღაც – ახსოვს, თუმცა მის ნათქვამს ყოველთვის ვერ ვიგებ. დავიწყებული აქვს მშობიარობის საშინელი პირობები, აღარ ახსოვს, რომ შეატყობინეს, ბიჭი შეგეძინაო, არც მისი სახელი უთქვამს ჩემთვის არასოდეს. მერე უეცრად მარტივ კითხვაზე სრულიად გასაგები და მკაფიო პასუხი აქვს. ისევ ვაგრძელებ: „შენ რას ფიქრობ? ჩემი აზრით, მარუანის გარეშე არ უნდა გაემგზავრო. მოვძებნი, მისი აქ დატოვება შეუძლებელია...“

ქვემოდან მიყურებს, თავის აწევა უჭირს მკერდზე მიკრული ნიკაპის გამო.

„ასე ფიქრობ?“

– ჰო, ჩემი აზრი ასეთია. შენ წახვალ და გადარჩები, მაგრამ კარგად ვიცი, რა პირობებში უნდა იცხოვროს მარუანმა. ეს ჯოჯობეთი იქნება“.

ის ყველასთვის ყოველთვის მეძავის შვილი იქნება, ნაბიჭვარი. ამას არ ვეუბნები, მაგრამ მან უთქმელადაც იცის ეს. მისი შეკითხვა „ასე ფიქრობ?“ ამას მოწმობს. ის მეთანხმება.

ბავშვის ძებნას ვაგრძელებ. ობოლ ბავშვთა თავშესაფრებში მივდივარ და ვეძებ დაახლოებით ორი თვის ბიჭუნას, სახელად მარუანი. მაგრამ ამაოდ, თანაც არ მაქვს ბავშვის მოძიების სათანადო უფლებამოსილება. სოციალურ აგენტს სუადის მსგავსი გოგონები არ მოსწონს. თავად პალესტინელია, შეძლებული ოჯახიდან, თუმცა ტრადიციებს პატივს სცემს. მაგრამ თუ ის არ დამეხმარა, მარტო ვერაფერს გავხდები. ჩემი დაჟინების წყალობით და კიდევ იმიტომ, რომ ჩემს მეგობარს ასიამოვნოს, იმ თავშესაფრის სახელს მეუბნება, სადაც იმჟამად იმყოფება ბავშვი. მაშინ ის დაწესებულება ობოლთა თავშესაფარი კი არა, უფრო ვირთხების ბუნაგი იყო. ბავშვის იქიდან გამოყვანა მეტისმეტად რთულია, ის იმ სისტემის ტყვეა, რომელმაც იქ მიუჩინა ადგილი.

უამრავი რამ განვახორციელე, მათ შორის შემოვლითი გზებითაც, და შედეგს თხუთმეტი დღის შემდეგ მივაღწიე. ყველა ჯურის შუამავალს ვხვდები. ზოგი მიიჩნევს, რომ ბავშვმაც დედის ბედი უნდა გაიზიაროს, მათი აზრით, პრობლემა მოიხსნება და ერთი მჭამელიც მოაკლდება. ობოლთა თავშესაფარში მყოფი ზოგიერთი ბავშვი აუხსნელი მიზეზით კვდება. გულმოდგინებით არიან, ვისაც ჩემი სიჯიუტის კარგად ესმის. ბოლოს და ბოლოს ხელში ორი თვის ახალშობილი მიჭირავს. პატარა, ოდნავ მსხლის ფორმის თავი აქვს, შუბლზე დღენაკლული ბავშვებისთვის დამახასიათებელი კოპი უჩანს. მაგრამ ჯანმრთელია და ვთვლი, რომ ის პატარა გმირია. ინკუბატორში არ მოუთავსებიათ, არც არავინ მოჰფერებია. ახალშობილისთვის დამახასიათებელი, კლასიკური სიყვითლის მცირე ნიშნები აქვს. მეგონა, ჯანმრთელობის მხრივ მძიმე პრობლემები ექნებოდა – ის ხომ დედის მუცელში იყო, როცა მას ჩირადდანივით ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო ქვეყანას

საზარელ პირობებში მოევლინა. გამხდარია, მაგრამ არა უშავს. მრგვალი თვალებით მშვიდად მიყურებს, არ ტირის.

ვინა ვარ, ზორო? რა სულელი ვარ, რა იცის, ვინ არის ზორო...

მშიერი ბავშვები ბევრჯერ მინახავს. მაშინ ასეთ სამოცამდე ბავშვზე ვზრუნავდით. მაგრამ მირჩევნია შინ წავიყვანო, სადაც ყველაფერი მაქვს, რაც საჭიროა. ევროპაში სასწრაფო ოპერაციაზე წაყვანამდე მძიმედ ავადმყოფი ბავშვიც არაერთხელ დამიტოვებია. საფენებგამოცვლილ, ჩაცმულ, დანაყრებულ მარუანს ღამით კალათში სძინავს. ვიზები მივიღე. ყველაფერი მზადაა. ედმუნდ კაიზერი ლოზანაში, უნივერსიტეტის საავადმყოფოს (წენტოე ჩოსპიტალიერ ზნივერსითაირე) დამწვრობის განყოფილებაში გველოდება.

ხვალ დიდი, გამგზავრების დღეა. დედა საკაცით თელ-ავივის აეროპორტში მიგყავს. სუადი პატარა გოგონასავითაა. ტკივილებისგან ძალიან იტანჯება, მაგრამ როცა ვეკითხები: „როგორ ხარ, ძალიან გტკივა?“, მხოლოდ ამას ამბობს: „ჰო, მტკივა“. სხვას არაფერს.

„გვერდულად რომ დაგაწვინო, უკეთ იქნები?“

– დიახ. უკეთესია... გმადლობთ“.

მუდამ „გმადლობთ“. მადლობას იხდის აეროპორტში ბორბლებიანი ეტლისთვის – ეს მოწყობილობა მანამდე არასოდეს ენახა. მადლობა ყავის ჭიქაში ჩადებული საწრუპავი მილისთვის. მადლობა ბილეთების შეძენამდე მისი ერთ კუთხეში მოთავსებისთვის. ბავშვი ხელში მიჭირავს და რეგისტრაციის გავლა მიჭირს, ამიტომ სუადს ვეუბნები: „ყური მიგდე, პატარას დაგიწვენ, არ გაინძრე...“

შეშინებული მიყურებს. დამწვრობების გამო მკლავებს ვერ ამოძრავებს და ბავშვის ხელში აყვანა არ შეუძლია. მხოლოდ სხეულს იქით-აქედან ოდნავ უახლოებს მათ. როცა ბავშვი დავუწვინე, შეეშინდა. ეს მისთვის მეტად რთული ამოცანაა.

„ასე იყავი, არ გაინძრე, ახლავე დავბრუნდები“.

იძულებული ვარ, დახმარება ვთხოვო, რადგან არ შემძლია ეტლიც წავიყვანო, ბავშვიც ხელში მეჭიროს და თან აეროპორტის ყველა მაგიდასთან მივიღე, სადაც უნდა წარვადგინო ჩემი პასპორტი, ვიზები, ქვეყნის დატოვების ნებართვები და ჩემს უცნაურ თანმხლებთა შესახებ ახსნა-განმარტება მივცე.

ეს ნამდვილად საშინელებაა, რადგან სუადის გვერდით ჩავლილი მგზავრები ხმამაღლა ამბობენ: „ოჰ! რა ლამაზი ბავშვია! აჰ! რა საყვარელია!“

ბავშვზე თავდახრილ, სრულიად დასახიჩრებულ დედას კი ზედაც არავინ უყურებს. მისთვის სამოსის შერჩევა გამიჭირდა – დაბინტული ჭრილობების ზემოდან საავადმყოფოს პერანგი აცვია, შემდეგ – ჩემი ერთ-ერთი შალის პიჯაკი და კიდევ პლედი მოვახურე. მას თავის აწევაც არ შეუძლია, გამვლელებს მადლობა რომ უთხრას და ვხვდები, როგორ აშინებს პატარა, რომელიც სხვებს ასე მოსწონთ.

რეგისტრაციის გასავლელად მათ ვმორდები და ამ სიურრეალისტურ სცენას ვუმზერ. ერთიანად დამწვარ სუადს მკლავებს შორის ჩვილი უწევს. ორივემ

ჯოჯობეთი გამოიარა, გამვლელები კი ღიმილით ამბობენ: „ოჰ! რა საყვარელი ბავშვია!“

ჩასხდომის დროს ახალი პრობლემა იჩენს თავს: როგორ ავიყვანო თვითმფრინავში. ბორბლიანი ეტლი თვითმფრინავის კიბეზე ამიტანია, მაგრამ ახლა ნამდვილად დაბნეული ვარ – მისთვის რყევა ახალი ტანჯვაა. ასეთ შემთხვევაში ისრაელს სათანადო ტექნიკური საშუალება აქვს. მათ უზარმაზარი ამწე მოაქვთ, სუადი ერთგვარ კაბინაშია მოთავსებული, ამწის ბოლოში. კაბინა ნელა იწევს მაღლა, თვითმფრინავის კარს უსწორდება და ორ ადამიანს კაბინიდან სუადის ეტლი ბორტზე გადააქვს.

წინა სამი ადგილი დავჯავშნე, რომ მისი დაწვენა იყოს შესაძლებელი, სტიუარდესებმა ჩვენს სკამებს ფარდა ჩამოაფარეს სხვა მგზავრების მზერის თავიდან ასაცილებლად. მარუანი ავიაკომპანიის კუთვნილ კალათში წევს. ეს პირდაპირი რეისია ლოზანამდე.

სუადი არ წუწუნებს. დროდადრო ვცდილობ, მდგომარეობა შევუცვალო, თუმცა ეს ტკივილს არ აყურებს. გამაყურებლების ეფექტი სუსტია. ცოტათი დაბნეულია, ეძინება, მაგრამ მენდობა. მოთმინებით იცდის. საჭმელი არ შემიძლია ვაჭამო, მხოლოდ საწრუპავი მილის დახმარებით სვამს. ბავშვს საფენს ვუცვლი, სუადი მას თვალს არიდებს.

ამდენი სირთულე გამოიარა და ამის გამო იტანჯება. წარმოდგენა არა აქვს, რა არის „შვეიცარია“, ქვეყანა, სადაც სამკურნალოდ მიმყავს. არასოდეს უნახავს თვითმფრინავი, ამწე, ამდენი განსხვავებული იერის ადამიანი საერთაშორისო აეროპორტში. თან პატარა, წერა-კითხვის უცოდინარი, ერთგვარი ველური მიმყავს, რომელსაც უამრავი რამ, შესაძლოა მისთვის საშიშიც კი, აღმოსაჩენი აქვს. ვიცი, რომ მისი ტანჯვა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ბევრი დრო უნდა გავიდეს, ვიდრე სიცოცხლის შენარჩუნება ასატან ცხოვრებად გადაიქცევა. არც ის ვიცი, შესაძლებელია თუ არა ოპერაციის ჩატარება, კანის გადანერგვა. შემდეგი ეტაპი იქნება დასავლურ სამყაროსთან ინტეგრირება, ენისა და ყველაფერი დანარჩენის შესწავლა, რაც ცხოვრების დასაწყებადაა საჭირო. მსხვერპლის გადარჩენისას ვიცი, რომ ედმუნდ კაიზერის სიტყვებით, მთელი ცხოვრება მის ბედზე პასუხისმგებლობა გვეკისრება.

სუადს თავი ილუმინატორის გვერდით აქვს მიდებული. ასეთ მდგომარეობაში მყოფს არ მგონია, გააზრებული ჰქონდეს რა მოელის. იმედი აქვს, თუმცა არც კი იცის, რისი.

„ხედავ? ეს ღრუბლებია“.

სძინავს. მის გარშემო ჩამოფარებული ფარდების მიუხედავად, მგზავრების ნაწილი სუნის გამო წუწუნებს. იმ დღიდან, როცა სუადი განწირულთა პალატაში პირველად ვნახე, ორი თვე გავიდა. მკლავებსა და ბიუსტზე მისი კანის ყოველი სანტიმეტრი პირდია, ჩირქოვან წყლულადაა ქცეული. მგზავრებს შეუძლიათ ცხვირზე ხელი აიფარონ, საკუთარი უკმაყოფილება სტიუარდესებს შესჩივლონ, ეს სრულებით არ მაძარდებს. ერთ დღეს ისინი გაიგებენ, რატომ მიმყავს დამწვარი ქალი და მისი შვილი. იმასაც გაიგებენ, რომ ასეთები სხვებიც არიან, ნაწილი

მოკვდა ან მოკვდება ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მამაკაცებმა ღირსების სახელით გამართლებული დანაშაული დააწესეს. ასეა არა მხოლოდ მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, არამედ იორდანიაში, თურქეთში, ირანში, ერაყში, იემენში, ინდოეთში, პაკისტანში, ისრაელსა და ევროპაშიც კი. იშვიათი ცოცხლად გადარჩენილები იძულებულნი არიან მთელი ცხოვრება დაიმალონ, რათა მკვლელმა შემთხვევით, დედამიწის რომელიმე კუთხეში არ მიაგნოს. ზოგჯერ ისინი საწადელს აღწევენ. ჰუმანიტარული ორგანიზაციების უმრავლესობა ასეთ ქალებზე არ ზრუნავს; ასეთთა პრობლემა ინდივიდუალურ სოციალურ, „კულტურულ“ შემთხვევას წარმოადგენს! ზოგ ქვეყანაში ქალების მკვლელებს კანონი იცავს. მათზე ზრუნვა რა მოსატანია შიმშილობისა და ომის წინააღმდეგ ან ლტოლვილებისა და დიდი ეპიდემიებით დაზარალებულების სასარგებლოდ წამოწყებულ დიდ კამპანიებთან. მათი მესმის და არც ვამტყუნებ. მოღვაწეობის ამ სამწუხარო სარბიელზე ყველას თავისი ადგილი აქვს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რამდენი სიძნელე უნდა გადალახო და რა ხანგრძლივი დრო უნდა გავიდეს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ფეხი მოიკიდო, მოიძიო ღირსების დანაშაულს გადარჩენილი ქალები, საკუთარი სიცოცხლისა და უსაფრთხოების ფასად მათ დაეხმარო.

ამ ტიპის „გადარჩენილთაგან“ სუადი ჩემთვის პირველია, მაგრამ სამუშაო არ დასრულებულა. ერთია სიკვდილისგან ხსნა, ხოლო ახალი ცხოვრების დაწყებაში დახმარება – სხვა საქმეა.

შვეიცარია

თვითმფრინავში დაწოლილს შემძლია მის მოგრძო, შავგვრემან სახეს შევხედო, თეთრი ქუდიდან რომ მოუჩანს. დროის სვლას ვერ ვგრძნობ, მარუანი უკვე ორი თვისაა, მე კი ჯერ სამი კვირისა მეგონა. ჟაკლინმა მითხრა, რომ შვეიცარიაში 20 დეკემბერს ჩავედით.

როცა მუხლებზე დამიწვინა, შევშინდი. მისი ხელში აყვანა არ შემეძლო, დაბნეულობა, სირცხვილი, ტანჯვა ისე მომეძალა, რომ ვერ ვაცნობიერებდი, ჩემ გარშემო რა ხდებოდა.

დიდხანს მეძინა. არც თვითმფრინავიდან ჩასვლა მახსოვს, არც სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოსკენ მგზავრობა. მხოლოდ მეორე დილით მივხვდი, სად ვიყავი.

იმ არაჩვეულებრივი დღიდან მხოლოდ მარუანის სახე და ღრუბლები დამამახსოვრდა. ვერ მივხვდი, რა იყო ის უცნაური თეთრი საგნები, ფანჯრიდან რომ მოჩანდა; ჟაკლინმა ამიხსნა: ცაში ვიყავით. კარგად ვიცოდი, შვეიცარიაში რომ მივდიოდით, მაგრამ მაშინ ეს სიტყვა ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. შვეიცარიასა და ისრაელს ერთმანეთში ვურევდი, ჩემთვის ყველაფერი, რაც ჩემი სოფლის გარეთ ანუ მის ჩრდილოეთით მდებარეობდა, მტრულ ქვეყანას წარმოადგენდა.

სამყაროს, სხვადასხვა ქვეყნისა და მათი სახელების შესახებ არაფერი ვიცოდი. საკუთარი ქვეყნის სახელიც კი არასოდეს გამიგონია. ისე გავიზარდე, რომ

მხოლოდ ეს მასწავლეს: არის ჩემი სოფელი და დანარჩენი სამყარო. იქ მტერია, და როგორც მამაჩემი ამბობდა, ღორის ხორცს ჭამენ!

ესე იგი, მე მტრის ქვეყანაში მივდიოდი, მაგრამ სრული ნდობა მქონდა, რადგან ჩემ გვერდით „ქალბატონი“ იყო.

იმ ადამიანებიდან, საავადმყოფოში გარს რომ მეხვივნენ, ჩემი ამბავი არავინ იცოდა. ჟაკლინსა და ედმუნდ კაიზერს არავისთვის გაუმხელიათ. საავადმყოფოსთვის მე მხოლოდ პაციენტი ვიყავი, მძიმე დამწვრობებით.

მეორე დღესვე პირველი გადაუდებელი ოპერაცია გამიკეთეს – მკერდს შეწებებული ნიკაპი მომაცილეს, თავის გატოკება რომ შემძლებოდა. სულ ოცდაცამეტ კილოს ვიწონიდი, ეს მხოლოდ ძვლები და ხორცი იყო – სხეული კანის გარეშე. როცა ვხედავდი, როგორ მოაგორებდა ექთანი წამლებითა და სხვა აუცილებელი საშუალებებით დატვირთულ ურიკას, ტირილს ვიწყებდი. თუმცა, დამამშვიდებლებს მიკეთებდნენ, ექთანიც ძალიან ფრთხილად მოქმედებდა. ის დამწვარ კანს პინცეტით მაცლიდა, შემდეგ ანტიბიოტიკებს მასმევდა და მალამოს მისვამდა. ჩემი ქვეყნის საავადმყოფოსგან განსხვავებით, აქ არც ცივი წყლის ჭავლის ქვეშ დგომას მაიძულებდნენ, არც დოლბანდს მახევდნენ უმოწყალოდ. შემდეგ მოახერხეს ჩემი მკლავების მორბილება ისე, რომ მათი ამოდრავება შეეძელი. მანამდე ისინი გაშეშებული, უძრავად მეკიდა სხეულის ორივე მხარეს.

ფეხზე დადგომა, დერეფანში გავლა, ხელების გამოყენება შევძელი და ამ ახალი სამყაროს გაცნობა დავიწყე, რომლის ენაც არ ვიცოდი. წერა-კითხვა არაბულადაც კი არ ვიცოდი, ამიტომ ფრთხილ სიჩუმეს ვაფარებდი თავს იქამდე, ვიდრე ერთი-ორი აუცილებელი სიტყვა არ ავითვისე.

არაბულად მხოლოდ ჟაკლინთან და ოდასთან შემემლო საუბარი. ედმუნდ კაიზერი საოცარი ადამიანი იყო. მისნაირად სხვა არც ერთი მამაკაცით არ აღფრთოვანებულვარ. ის ჩემთვის ნამდვილი მამა გახდა. ამას ახლა ვხვდები, მან გადაწყვიტა ჩემი ბედი, მან გამომიგზავნა ჟაკლინი.

როცა პალატიდან დერეფანში გავედი ინკუბატორში მყოფი მარუანის სანახავად, გოგონების თავისუფლებამ გამაოცა. ორი ექთანი მახლდა, მაკიაჟი ესვათ, ლამაზი ვარცხნილობა ჰქონდათ, მოკლე კაბები ეცვათ და მამაკაცებს ესაუბრებოდნენ. ჩემთვის ვფიქრობდი: „კაცებს ელაპარაკებიან, მათ ხომ მოკლავენ!“ ისე ვიყავი შეძრული ამ ამბით, რომ როგორც კი საშუალება მომეცა, ჟაკლინსა და ედმუნდ კაიზერს ვუთხარი ეს: „იმ გოგონას შეხედე, კაცს ელაპარაკება! მას ხომ მოკლავენ“.

მერე ხელით ვანიშნე როგორ მოაჭრიდნენ თავს.

„არა, ისინი შვეიცარიაში ცხოვრობენ, აქ ისე არ ხდება, როგორც შენს ქვეყანაში. თავს არავინ მოაჭრის, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავია.“

– კი მაგრამ, ხომ ხედავ, კაბიდან ფეხები უჩანს. ეს ცუდი საქციელია.

– არა, ეს ნორმალურია, მას სამუშაო ფორმა აცვია.

– და თვალები? თვალების შეღებვაც არ არის დანაშაული?

– რა თქმა უნდა, არა. აქ ქალები მაკიაჟს იყენებენ, როცა მოესურვებათ შინიდან გადიან, უფლება აქვთ მეგობარი მამაკაცი ჰყავდეთ. ეს ყველაფერი შენს ქვეყანაშია აკრძალული. აქ კი შვეიცარიაა“.

არ მჯეროდა, ჩემი გონება ამ ყველაფერს ვერ აანალიზებდა. ალბათ, ედმუნდ კაიზერს გულს ვუწყალებდი ერთი და იმავე შეკითხვებით. კიდევ ერთხელ გავიფიქრე: „ამ გოგოს ველარასოდეს ვნახავ, იმიტომ რომ მოკვდება“.

მაგრამ მეორე დღეს ისევ დავინახე და ძალიან გამიხარდა. ჩემ თავს ვუთხარი: „მადლობა ღმერთს, ცოცხალია. ისევ ის თეთრი სამუშაო ფორმა აცვია, საიდანაც ფეხები უჩანს. ესე იგი მართლები იყვნენ, აქ ამისთვის არ ხოცავენ“. მეგონა, რომ ყველა ქვეყანაში ისე იქცეოდნენ, როგორც ჩემს სოფელში იყო მიღებული. თუ ვინმემ დაინახა კაცთან მოსაუბრე ქალი, ის უნდა მოკვდეს.

გამაოცა ამ გოგონების სიარულის მანერამ. ყოველთვის იღიმებოდნენ, მამაკაცებივით თავისუფლად დააბიჯებდნენ... და უმრავლესობა ქერა იყო: „გოგონები რატომ არიან ქერები? ჩემსავით შავგვრემანები რატომ არ არიან? იმიტომ, რომ აქ ცოტა მზეა? როცა დაცხება, სახე გაუშავდება და თმა დაეხვევათ? ოჰ, იმას მოკლესახელოებიანი სამოსი აცვია! იმ ორ ქალს შეხედეთ, იცინიან! ჩვენში ვერასოდეს ნახავ, ორი ქალი ქუჩაში იდგეს და იცინოდეს, არც მოკლესახელოებიანი სამოსის ჩაცმა შეიძლება... ამათ ფეხსაცმელიც აცვიათ!

– ეს კიდევ არ არის ყველაფერი, ბევრ რამეს ნახავ!“

მახსოვს, ედმუნდ კაიზერთან ერთად პირველად როგორ გავედი ქალაქში. ჟაკლინი ახალი მისიით იყო წასული. ქალები რესტორანში ისხდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ, შიშველი მკლავები მოუჩანდათ ლამაზი თეთრი კანით. მხოლოდ ქერებსა და თეთრკანიანებს ვხედავდი და ისინი მხიბლავდნენ. მაინტერესებდა სად იზადებოდნენ ასეთები. ჩვენთან მამაკაცებს ძალიან მოსწონთ ქერა ქალები და მათ ნამდვილად საფრთხე ემუქრებათ. იმ დღეს ედმუნდ კაიზერმა გეოგრაფიის პირველი გაკვეთილი ჩამიტარა: „ისინი თეთრები დაიზადნენ, სხვა ქვეყნებში სხვა ფერის კანით იზადებიან. მაგრამ ევროპაში შავკანიანებსაც შეხვდები და თეთრკანიანებსაც, რომლებსაც სახეზე წვრილი ლაქები აქვთ...“

– მე რომ მაქვს, ისეთი ლაქები აქვთ?

– არა, შენსავით დამწვარზე არ ვამბობ. პაწაწინა ლაქებია, ჭორფლი, მზე აჩენს თეთრ კანზე!“

იქით-აქეთ ვიყურებოდი, ჩემს მსგავს ქალს ვეძებდი და ედმუნდ კაიზერს ვუთხარი: „ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ მინდა, ჩემსავით დამწვარ ქალს შევხვდე სადმე. ასეთი აქამდე არავინ დამინახავს. მე ერთადერთი ვარ?“

დღემდე შემომრჩა ეს გრძნობა – მთელ დედამიწაზე ერთადერთი დამწვარი ქალი ვარ. ავარიის მსხვერპლი რომ ვყოფილიყავი, მაშინ საქმე სხვაგვარად იქნებოდა, რადგან ბედისწერას ვერ გაექცევი.

ლამის კომმარებში თვალწინ ჩემი სიძის სახე მედგა. გარშემო მიტრიალებდა და ისევ ჩამესმოდა მისი ხმა: „მე ვიზრუნებ შენზე...“

მე კი ცეცხლმოკიდებული გავრბოდი... ხანდახან დღისით, უეცრად მახსენდებოდა ყველაფერი და ტანჯვა რომ შეწყვეტილიყო, ისევ სიკვდილი მინდოდა.

მთელი ცხოვრება თავს ისე ვიგრძნობ, როგორც დამწვარი. მუდამ უნდა ვიმალებოდე, მხოლოდ გრძელსახელოებიანი სამოსი ვატარო, თუმცა სხვა ქალებივით მოკლესახელოებიანი მინდა მეცვას; უნდა მეცვას მაღალყელიანი პერანგები, თუმცა სხვა ქალებივით, დეკოლტეს ტარება მსურს. ისინი თავისუფლები არიან. მე ჩემი კანის ტყვე ვარ, თუმცა იმავე თავისუფალ ქალაქში მათ გვერდით თავისუფლად დავაბიჯებ.

რაკი ძალიან მინდოდა, ვერ მოვითმინე და ედმუნდ კაიზერს ჩემი ფარული სურვილი გავანდე, ერთი ოქროს კბილი მქონოდა. მან ღიმილით მიპასუხა: „არა, ჯერ უნდა იმკურნალო, კბილებს მერე მივხედავთ“.

ოქროს კბილი ჩემს ქვეყანაში საოცრებად ითვლება. ყველაფერი, რაც ბრწყინავს, საოცრებაა. ალბათ, ამ უცნაური სურვილით გავაოცე. საკუთარი არაფერი გამაჩნდა, თითქმის სულ ვიწევი, დროდადრო, პროცედურებს შორის მასეირნებდნენ, შხაპის მიღება კვირების განმავლობაში აკრძალული მქონდა. ჩაცმამდე ჭრილობები უნდა დაემუშავებინათ, სამოსის შიგნით მთელი სხეული დოლბანდით მქონდა შეხვეული. ვერ ვკითხულობ, რადგან კითხვა არ ვიცი; ვერ ვლაპარაკობ, რადგან ექთანებს ჩემი არ ესმით. ჟაკლინმა მათ რამდენიმე ძირითადი არაბული სიტყვის გამოთქმა და მათი ფრანგული მნიშვნელობა ჩამოუწერა: ჭამა, ძილი, ტუალეტი, ცუდად, არც ისე ცუდად – ანუ ის სიტყვები, რაც ჩემი მოვლისას დასჭირდებოდათ. მას შემდეგ, რაც ადგომა შევძელი, ხშირად მივდიოდი ფანჯარასთან. ვუმზერდი ქალაქს, სინათლეებს, მის თავზე აღმართულ მთას. პირდაღებული ვუყურებდი ამ სილამაზეს. ასეთი რამ არასოდეს მენახა, გარეთ გასვლა, გასეირნება მინდოდა. ეს ყველაფერი ისეთი არაჩვეულებრივი იყო.

მარუანის მოსანახულებლად ყოველ დღით მივდიოდი. საავადმყოფოდან სამეანო განყოფილებაში უნდა გადავსულიყავი. მცოდნა. მეცვა ზურგზე შეკრული საავადმყოფოს პერანგი, ხალათი და ჩუსტები. საავადმყოფოს კბილის ჯაგრისთან ერთად ეს ტანსაცმელი იყო ჩემი ერთადერთი საკუთრება. ძალიან სწრაფად და თავდახრილი მივდიოდი, როგორც მჩვეოდა. ექთანი მთხოვდა უფრო ნელა წავსულიყავი, მაგრამ არ მინდოდა. მეამაყებოდა, ცოცხალი რომ ვიყავი, თუმცა ჯერ მაინც მეშინოდა. ექიმები და ექთანები უძლურნი იყვნენ. ასე მეგონა, სამყაროში ერთადერთი დამწვარი ქალი ვიყავი, დამცირებული და შეურაცხყოფილი და ამ გრძნობებისგან გათავისუფლებას ვერ ვახერხებდი. ზოგჯერ, მარტო რომ ვიწევი საწოლში, ვფიქრობდი, რომ სიკვდილს ვიმსახურებდი. მახსოვს, ჟაკლინმა საავადმყოფოდან აეროპორტში რომ მიმიყვანა, თავი ნაგვით სავსე ტომარად ვიგრძენი. სადმე, კუთხეში უნდა მივეგდე და იქვე გავიხრჩნებოდი. საკუთარი არსებობის გამო სირცხვილის გრძნობა არ მცილდებოდა.

ნელ-ნელა დამავიწყდა ჩემი ადრინდელი ყოფა. ამ ქვეყანაში ახალი ცხოვრების დაწყება მსურდა. მინდოდა დავმსგავსებოდი თავისუფალ ქალებს, შევგუებოდი საზოგადოებას, რაც შეიძლება სწრაფად მესწავლა იქ ცხოვრება. ყველა მოგონება წლების განმავლობაში დავასამარე. ჩემს გონებაში ჩემი სოფელი, ჩემი ოჯახი აღარ არსებობდა. მაგრამ იყვნენ მარუანი და ექთანები, რომლებიც მასწავლიდნენ, როგორ

მიმეცა საწოვარა, გამომეცვალა საფენი, ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით თუნდაც რამდენიმე წუთით დედობას მაჩვევდნენ. მინდა, ჩემმა შვილმა მაპატიოს, მაგრამ მიჭირდა იმის გაკეთება, რასაც ჩემგან ითხოვდნენ. ქვეცნობიერად თავს დამნაშავედ ვგრძნობდი მისი დედობის გამო. ვის შეეძლო ამის გაგება? ჩემთან და ჩემს დამწვრობებთან მის მომავალს ვერ ვაკავშირებდი. როგორ ავუხსნა, როცა გაიზრდება, რომ მამამისი ლაჩარი აღმოჩნდა? როგორ მომეხერხებინა, რომ ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობის გამო თავი დამნაშავედ არ ეგრძნო? მე ხომ საზარლად შესახედი, დასახიჩრებული სხეული მქონდა. აღარც კი მახსოვდა, „იქამდე“ როგორი ვიყავი. ვიყავი თუ არა ლამაზი? რბილი კანი მქონდა? ჩემი მკლავები ნაზი და მკერდი მომხიბლავი თუ იყო? სარკეებსა და სხვების მზერაში, შინ და გარეთ, საკუთარ თავს მახინჯსა და მხოლოდ ზიზღის ღირსს ვხედავდი. ახლა კი ნაგვის ტომარად ვიქეცი. ისევ ვიტანჯებოდი. ჩემს სხეულს მკურნალობდნენ, ძალების აღდგენაში მეხმარებოდნენ, მაგრამ ჩემი გონების საქმე ცუდად იყო. არ ვიცოდი ჩემი მდგომარეობა როგორ გადმომეცა, სიტყვა „დეპრესია“ არასოდეს გამეგონა. მხოლოდ წლების შემდეგ გავიგე. ერთადერთი, რაზეც ვფიქრობდი ის იყო, რომ არ უნდა მეწუწუნა და ამიტომ ჩემი ცხოვრების ოცი წელი ისე ღრმად ჩავმარხე გონებაში, დღესაც მიჭირს მოგონებების გამოღვიძება. ვფიქრობ, სხვაგვარად ჩემი ტვინი გადარჩენას ვერ შეძლებდა.

შემდეგ, მრავალი თვის განმავლობაში გრძელდებოდა კანის გადანერგვა. საერთო ჯამში ოცდაოთხი ოპერაცია გამიკეთეს. რაკი ფეხები არ დამწვია, კანს იქიდან იღებდნენ. ყოველი ოპერაციის შემდეგ კანის შეხორცებას ელოდნენ და შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ფეხებიდან კანის აღება შეუძლებელი გახდა.

გადანერგილი კანი ძალიან ნაზი იყო, მას დასარბილებლად და დასატენიანებლად ხანგრძლივი მოვლა ესაჭიროებოდა. ეს დღემდე გრძელდება.

ედმუნდ კაიზერმა გადაწყვიტა, ჩემთვის სამოსი შეემინა. უზარმაზარ სავაჭრო ცენტრში წავედით. იმდენი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იყო, არ ვიცოდი, საით გამეხედა. არ მინდოდა მოქარგული ქოშები ეყიდა, ისეთი, როგორსაც ჩემს ქვეყანაში იცვამენ. კიდევ, ძალიან მინდოდა ნამდვილი შარვალი მქონოდა და არა სარუალი. როცა ქალაქის ბაზარში მამაჩემის მანქანით ხილისა და ბოსტნეულის გასაყიდად მივდიოდი, ქუჩაში მიმავალ გოგონებს ვხედავდი. მათ მოდური, ძაღვით ტოტებგანიერი შარვლები ეცვათ – ასეთ შარვალს „ჩარლსტონი“ ეწოდება. მაგრამ ისინი ცუდი გოგონები იყვნენ, ამგვარი შარვლის ჩაცმის უფლება არ მქონდა.

ედმუნდ კაიზერმა „ჩარლსტონი“ არა, მაგრამ ერთი წყვილი დაბალქუსლიანი შავი ფეხსაცმელი, ჯინსის შარვალი და ძალიან ლამაზი პულოვერი მიყიდა. გული დამწყდა. ახალ სამოსს ცხრა თვის განმავლობაში ველოდი და მასზე ვოცნებობდი. მაგრამ გავუღიმე და მადლობა გადავუხადე. გაღიმებას მივეჩვიე, ადამიანებს სულ ვუღიმოდი და ეს მათ აკვირვებდათ, ასევე, ყველაფრისთვის მადლობას ვუხდდი. ღიმილი იყო ჩემი პასუხი სხვების თავაზიანობაზე და დიდი ხნის განმავლობაში კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება. როცა ტირილი მინდოდა, ძველი ჩვეულებებისამებრ, ვიმალებოდი. ღიმილი სხვა ცხოვრების სიმბოლო გახდა. აქ ყველა – მამაკაცებიც კი – იღიმება. მინდოდა, რაც შეიძლება ხშირად ვყოფილიყავი გაღიმებული, ღვთის წყალობით, ეს ძნელი არ არის. მანამდე ჩემთვის მადლობა

არავის უთქვამს. როცა მონასავით ვმუშაობდი, არც მამაჩემი, არც ჩემი ძმა, არავინ მიხდიდა მადლობას. მხოლოდ ცემა, მადლობა – არასოდეს.

ვთვლი, რომ „მადლობა“ ზრდილობასა და დიდ პატივისცემას გამოხატავს. მსიამოვნებდა მადლობის თქმა, რადგან პასუხად იმავეს მეუბნებოდნენ. მადლობა ჭრილობის შეხვევისთვის, ძილის წამლისთვის, კანის დამაწყნარებელი მალამოსთვის, საჭმლისთვის, განსაკუთრებით კი შოკოლადისთვის. მთელ ფილა შოკოლადს თვალის დახამხამებაში მივირთმევედი... ეს საუცხოო იყო, და არაჩვეულებრივად დამამშვიდებელი.

ასე რომ, ედმუნდ კაიზერს მადლობა გადავუხადე ფეხსაცმლის, შარვლისა და ლამაზი პულოვერისთვის.

„სუად, ამ ქვეყანაში თავისუფალი ქალი ხარ და რაც მოგესურვება, ის შეგიძლია გააკეთო. თუმცა, ჩემი რჩევაა, სადაც ჩაიხვე. ჩაიხვი ის, რაც მოგერგება, კანს არ დააზიანებს და არც ძალიან გამოგარჩევს“.

ის მართალი იყო. ამ ქვეყნისთვის, რომელიც ასე გულლიად შემხვდა, მე პატარა მწყემსი გოგონა ვიყავი მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირიდან, უსწავლელი, გაუნათლებელი, მარტოხელა, რომელიც ჯერ კიდევ ოქროს კბილზე ოცნებობდა!

შვეიცარიაში ჩასვლიდან ერთი წლის შემდეგ საავადმყოფო დავტოვე და სპეციალურ თავშესაფარში გადავედი.

კანის გადანერგვები გრძელდებოდა. საავადმყოფოში ვბრუნდებოდი და ჩემი ტანჯვა ხელახლა იწყებოდა. გონებაში ყველაფერი რიგზე ჯერ კიდევ არ მქონდა, თუმცა არსებობას განვაგრძობდი. უკეთესი რა უნდა მომეთხოვა. როგორც შემეძლო, ფრანგულსაც ვსწავლობდი. გამოთქმებს, ფრაზების ნაწყვეტებს თუთიყუშით ვიმეორებდი, თუმცა მაშინ სიტყვა „თუთიყუშიც“ არ ვიცოდი.

მოგვიანებით ჟაკლინმა ამიხსნა, რომ ევროპაში ჩასვლის შემდეგ ენის კურსებზე რეგულარულად სიარულს ვერ შევძლებდი, მე ხომ ძალიან ხშირად ვბრუნდებოდი საავადმყოფოში. სკოლაში გაგზავნაზე მეტად ჩემი გადარჩენა იყო მნიშვნელოვანი. სკოლაზე მაშინ არც კი მიფიქრია. ჩემს სოფლიდან ორი გოგონა ავტობუსით დადიოდა ქალაქის სკოლაში და მათ ყველა დასცინოდა. მეც დავცინოდი ჩემს დებთან ერთად, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რაკი სკოლაში დადიოდნენ, ვერასოდეს გათხოვდებოდნენ!

ვერავის ვუმხელდი, რომ ყველაზე მეტად ქმრის გარეშე ცხოვრების მრცხვენოდა. ჩემი სოფლის მენტალიტეტი ისევ ძლიერად იყო ჩემში გამჯდარი. ვფიქრობდი, რომ არც ერთი მამაკაცი არ მოისურვებდა ჩემს ცოლად შერთვას, ჩემს ქვეყანაში გაზრდილი ქალისთვის კი კაცის არყოლა საბედისწერო განაჩენია.

სახლში, სადაც მარუანთან ერთად ვცხოვრობდი, ყველა ფიქრობდა, რომ შევეგუებოდი ორმაგ სასჯელს – საკუთარ სიმახინჯესა და მამაკაცების გულგრილობას. ეგონათ, რომ მუშაობის დაწყებისთანავე თავადვე დავიწყებდი ჩემს შვილზე ზრუნვას. მხოლოდ ჟაკლინი მიხვდა, რომ ამას ვერაფრით შევძლებდი. პირველ რიგში იმიტომ, რომ ადამიანურ არსებად ხელახლა ჩამოყალიბებისთვის მრავალი წელი დამჭირდებოდა. ჩემი თავი ისეთი უნდა მიმელო, როგორც ვიყავი.

ამასობაში ბავშვი ცუდ პირობებში იქნებოდა. თანაც, უკვე ოცი წლის ვიყავი, მაგრამ ისევ ბავშვის აზროვნება მქონდა. ცხოვრების, პასუხისმგებლობის, დამოუკიდებლობის არაფერი გამეგებოდა.

ამასობაში შვეიცარია დავტოვე. ჩემი მკურნალობის კურსი დასრულდა და საცხოვრებლად სხვაგან წასვლა შემეძლო. ჟაკლინმა ერთი ევროპული ოჯახი იპოვა. ისინი ჩემი საყვარელი დედობილ-მამობილი გახდნენ და მათ, მარუანივით, მეც „დედასა“ და „მამას“ ვეძახდი. ამ წყვილს „ადამიანთა მიწა“ მრავალ ბავშვს უგზავნიდა. ზოგი დიდი ხნით რჩებოდა მათთან, ზოგს მალევე სხვა ოჯახებზე აშვილებდნენ. ოჯახში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. პატარებიც ბევრნი იყვნენ და მათ მოვლაში, როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი. ერთ დღეს „დედამ“ მითხრა, რომ ძალიან დიდ დროს მარუანს ვუთმობდი, სხვა ბავშვებს კი არასაკმარის ყურადღებას ვაქცევდი. ამან გამაოცა, რადგან შვილისადმი დედობრივი გრძნობა არ მქონია. ამისათვის მეტისმეტად თავგზააბნეული ვიყავი. მარტობის იშვიათ წუთებში მარუანს ეტლით მდინარის ნაპირზე ვასეირნებდი. არ ვიცი, ასე რატომ მჭირდებოდა ეულად ბუნებაში სეირნობა, ალბათ, დიდხანს ვმწყემსავდი საქონელს და ჩვევად მექცა. ისე როგორც სამწყემსურში წასვლისას, ახლაც თან მიმქონდა წყალი და ცოტა საქმელი, მივაგორებდი ეტლს და სწრაფად, წელში გამართული, ამაყად მივაბიჯებდი. გაორებული ვიყავი – ისევე სწრაფად დავდიოდი, როგორც ადრე, ჩემს სოფელში, მაგრამ ახლა ევროპელივით წელში გამართული და თავდაჯერებული.

ძალისხმევას არ ვიშურებდი, რომ ისე მოვქცეულიყავი, როგორც „დედამ“ მითხრა და მასთან ერთად სხვა ბავშვებზე მეზრუნა. ყველაზე უფროსი ვიყავი და ამიტომ. მაგრამ ამ სახლში მისვლის დღიდან გაქცევის სურვილი მკლავდა. გარეთ, სხვა ადამიანებთან შეხვედრა, მათთან საუბარი, ცეკვა მინდოდა; მსურდა მამაკაცს შეხვედროდი, რათა მერწმუნა, რომ შემძლია, ქალი ვიყო.

ამგვარი გამოცდა ჩემთვის აუცილებელი იყო. გიჟი უნდა ვყოფილიყავი, წარმატების იმედი რომ მქონოდა, მაგრამ სურვილი ჩემზე ძლიერი იყო, მე სიცოცხლე მსურდა.

მარუანი

როცა მარუანი ხუთი წლის იყო, ხელი მოვაწერე საბუთებს, რომელთა თანახმად ის ჩემმა დედობილ-მამობილმა იშვილა. ენის ცოდნაში ცოტათი წინ წავიწიე – წერა-კითხვა ჯერ არ შემეძლო, მაგრამ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. ეს შვილის მიტოვებას არ ნიშნავდა. ჩემი დედობილ-მამობილის წყალობით ის საუკეთესო პირობებში აღიზრდებოდა; სრულფასოვან განათლებას მიიღებდა და ახალი გვარი ექნებოდა, რაც ჩემი წარსულისგან დაიცავდა. მე არ შემეძლო მისთვის ჯანსაღი, გაწონასწორებული ცხოვრება, სათანადო ზრუნვა და ნორმალური განათლება შემეთავაზებინა. კიდევ მრავალი წელი თავს დამნაშავედ ვგრძნობდი ამ ნაბიჯის გამო. მაგრამ მის გარეშე განვლილმა წლებმა საშუალება მომცა საკუთარ ინსტინქტზე დაყრდნობით ისეთი ცხოვრება მომეწყო, როგორზეც ვერც კი ვიოცნებებდი. ამ ყველაფრის ახსნა მშვიდად, ცრემლების გარეშე არ ძალმიძს. მარუანის გარეშე გატარებული დროის განმავლობაში თავის დარწმუნებას

ვცდილობდი, თითქოს ეს ჩემთვის მტკივნეული არ იყო. მაგრამ შვილის, თანაც ასე გაჩენილის, დავიწყება შეუძლებელია.

ვიცოდი, რომ ბედნიერი იყო და არც ჩემს არსებობას ივიწყებდა. ხუთი წლისას კარგად ახსოვდა, რომ ნამდვილი დედა ჰყავს, ჩვენ ხომ ერთად ვცხოვრობდით დედობილ-მამობილის ოჯახში. არ ვიცი, როგორ აუხსნეს ოჯახიდან ჩემი წასვლა, მაგრამ დედობილ-მამობილი ყოველთვის ბევრ ბავშვს იღებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ისეთი პერიოდებიც მახსოვს, როცა სუფრასთან თვრამეტნი ვისხედით. უმრავლეს შემთხვევაში ობოლი ბავშვები მოდიოდნენ. დედობილ-მამობილს ყველანი „დედას“ და „მამას“ ვეძახდით. ამდენი ბავშვის შესანახად საჭირო თანხას ეს არაჩვეულებრივი ადამიანები „ადამიანთა მიწისგან“ იღებდნენ. ზოგიერთი მათ სახლში მხოლოდ დროებით უნდა დარჩენილიყო და განშორება ორივე მხარისთვის ყოველთვის მტკივნეული იყო. მათ არ სურდათ წასვლა, ისევ და ისევ „დედას“ და „მამას“ ეხვეოდნენ. მაგრამ ეს სახლი მათთვის მხოლოდ დროებითი ნავსაყუდელი იყო, რომელიც მათ გამოჯანმრთელებაში უნდა დახმარებოდა – ბავშვების უმრავლესობა „დედ-მამასთან“ ისეთი სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციის გამო ჩამოდიოდა, რომლის ჩატარება მათ ქვეყანაში შეუძლებელი იყო და ისინიც შემდეგ საკუთარ ოჯახებს უბრუნდებოდნენ. ისეთებს, ვისაც ჩემი და მარუანის მსგავსად, წასასვლელი არსად ჰქონდა, ჩემი დედობილ-მამობილი იშვილებდა ხოლმე. ჩემს ქვეყანაში მე ოფიციალურად მოვკვდი, ხოლო მარუანი საერთოდ არ არსებობდა. რეალურად ის აქ, ევროპაში, ჩემსავით **20** დეკემბერს დაიბადა. ეს ადამიანები არა მარტო მარუანის, ჩემი მშობლებიც იყვნენ. ეს ცოტათი უცნაური სიტუაცია იყო, ასე რომ, როცა ოთხი წლის შემდეგ დედობილ-მამობილის ოჯახი დავტოვე, თავს უფრო მეტად მარუანის უფროს დად ვთვლიდი. უკვე ოცდაოთხი წლის ვიყავი. მათ ხარჯზე ვეღარ ვიცხოვრებდი. უნდა მემუშავა და საკუთარი დამოუკიდებლობა მომეპოვებინა, გავზრდილიყავი.

ბავშვი კი უნდა გამეშვილებინა, დედობილ-მამობილის ოჯახში დამეტოვებინა, რადგან მას მარტო ვერ მოვუვლიდი. დეპრესიული დედა ვიქნებოდი და შვილსაც ავკიდებდი ჩემი ტანჯვის, ჩემი ნამდვილი ოჯახის სიძულვილს. მისთვის უნდა მომეყოლა ყველაფერი ის, რისი დავიწყებაც ასე ძალიან მინდოდა! ეს კი არ შემეძლო, ჩემს ძალას აღემატებოდა. ფული არ მქონდა, ავადმყოფი ვიყავი, სამუდამოდ შეცვლილი სახელითა და გვარით უნდა მეცხოვრა, რადგან ისეთ სოფელში დავიბადე, სადაც მამაკაცები ლაჩრები და სასტიკები არიან. და კიდევ, ყველაფერი უნდა მესწავლა. ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ერთადერთი გამოსავალი იყო ამ ქვეყანას შევრწყმოდი, მისი ცხოვრების წესი ამეთვისებინა და ასე გადამერჩინა თავი. ჩემი პიროვნული ბრძოლა მარტოს უნდა გადამეტანა, მარუანი მისგან დაცული უნდა ყოფილიყო. ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ამჟამად აქ ვცხოვრობ, ამ ქვეყანას უნდა შევეთვისო, სხვა არჩევანი არ მაქვს“. არ მსურდა, ქვეყანა შემთვისებოდა, თავად უნდა შევთვისებოდი მას, საკუთარი პიროვნება თავიდან უნდა შემექმნა. ჩემმა შვილმა ენა უკვე იცოდა, ჰყავდა ევროპელი მშობლები, ჰქონდა საჭირო საბუთები, ნორმალური მომავალი – ანუ ყველაფერი ის, რაც არასოდეს მქონია და ჯერ კიდევ არ მქონდა.

გადავწყვიტე, მას საკუთარი ცხოვრება ჰქონოდა, მე კი მეარსება. ოჯახს ვიცნობდი და ვიცოდი, იქ დარჩენა მისთვის კარგი იქნებოდა. როდესაც გაშვილებაზე დაიწყო საუბარი, სხვა სავარაუდო ოჯახებს მთავაზობდნენ, მაგრამ უარი ვთქვი:

„არავითარი სხვა ოჯახი! მარუანი ან აქ დარჩება, ან ჩემთან იქნება. მე თქვენთან ვიცხოვრე, ვიცი, როგორც აღზრდით, არ მინდა, სხვა ოჯახში წაიყვანონ!“

„მამამ“ მხარი დამიჭირა. ოცდაოთხი წლის ვიყავი, თუმცა თხუთმეტი წლის გოგონასავით ვაზროვნებდი. გადატანილი უბედურების გამო ბავშვობაში ჩავრჩი. ჩემი შვილი იმ ცხოვრების ნაწილი იყო, რომელიც უნდა დამევიწყებინა, რათა ახალი ცხოვრება დამეწყო. მაშინ ასე ნათლად ყველაფერი არც კი მქონდა გააზრებული, უფრო – პირიქით; წინ დღითი დღე მივიწევდი, ინსტინქტის კარნახით, თითქოს ნისლში მივაბიჯებდი. თუმცა ერთი რამ სრულიად გარკვევით ვიცოდი: ჩემს შვილს უსაფრთხოებისა და ნორმალური მშობლების ყოლის უფლება ჰქონდა. მე არ ვიყავი ნორმალური დედა. საკუთარი თავი მძულდა, დავტიროდი დამწვრობებსა და ამ საზარელ კანს, რომელიც ჩემი ცხოვრების სასჯელი იყო. მკურნალობის დასაწყისში, საავადმყოფოში ყოფნისას დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა იქ მომუშავე არაჩვეულებრივი ადამიანი წინანდელ კანს დამიბრუნებდა და ისეთივე გავხდებოდი, როგორც ადრე ვიყავი.

როდესაც მივხვდი, რომ სიცოცხლეს მიბრუნებდნენ, მაგრამ მხოლოდ ამ საზარელი გარსით და დარჩენილი ცხოვრება ასე უნდა გამეტარებინა, საკუთარ თავში ჩავიკეტე. ამიერიდან გონჯი ვიყავი და თვალს უნდა მოვფარებოდი, სხვები რომ არ შემეწუხებინა საკუთარი არსებობით.

მომდევნო წლებში ნელ-ნელა მიბრუნდებოდა სიცოცხლის ხალისი და მარუანის დავიწყება მსურდა, რომელიც ჩემზე მეტად იღბლიანი აღმოჩნდა. ის სკოლაში დადიოდა, მშობლები, ძმები და ერთი და ჰყავდა, ნამდვილად ბედნიერი იყო. მაგრამ ის მაინც აქ, ჩემი ტვინის რომელიღაც კუნჭულში იყო მიმალული.

თვალების დახუჭვისთანავე ვხედავდი. ქუჩაში მივრბოდი და ის იქ იყო, ჩემ უკან, წინ ან გვერდით, თითქოს გავურბოდი, ის კი მომდევდა. მუდამ თვალწინ მედგა, როგორ მეწვინა მუხლებზე და მე კი მისი ხელში აყვანა არ შემემძლო, რადგან ეზოში ცეცხლმოკიდებული გავრბოდი და ისიც ჩემთან ერთად იწვოდა. ამ ბავშვის დაბადება მამამისს არ სურდა, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ ამით ორივეს სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანა. წარმოგიდგენიათ, მე კი ასეთი კაცი მიყვარდა და მისი მჯეროდა!

მეშინოდა, რომ ჩემი ნაწიბურების, სახისა და იმის გამო, რადაც შინაგანად ვიქეცი, სხვა კაცს ვერასოდეს ვიპოვიდი. მუდამ იმაზე ვფიქრობდი, რომ არარაობა ვარ; სულ მეშინოდა, ადამიანებს არ მოვეწონებოდი და ისინი მზერას ამარიდებდნენ.

მუშაობა ერთ ფერმაში დავიწყე, შემდეგ „მამა“ დამეხმარა და ქარხანაში გადავედი, რომელიც ზუსტ ხელსაწყოებს ამზადებდა. სუფთა სამუშაო იყო და ხელფასიც მაღალი მქონდა. მიკროსქემებსა და მექანიზმის დეტალებს ვამოწმებდი. ამ ქარხანაში კიდევ იყო საინტერესო სექტორი – იქ ხელსაწყოების შემოწმება კომპიუტერის დახმარებით ხდებოდა. ამ თანამდებობაზე მუშაობისთვის საჭირო უნარების ათვისებაზე უარს იმ მოტივით ვამბობდი, რომ კონვეიერთან ფეხზე მდგომს მერჩივნა მუშაობა. ერთ დღეს ჯგუფის ხელმძღვანელმა დამიძახა: „სუად, ჩემთან შემოდი, გეთაყვა.“

– დიახ, ქალბატონო.

- აქ, ჩემ გვერდით დაჯექით და ხელი მაუსს მოჰკიდეთ, ყველაფერს გაჩვენებთ!
- მაგრამ ეს არასოდეს გამიკეთებია, ვერ ვისწავლი. კონვეიერთან მირჩევნია...
- ერთ დღესაც კონვეიერი რომ აღარ იყოს საჭირო და გაუქმდეს, მაშინ რა უნდა ქნათ? არაფერი? სუადი უმუშევარი იქნება?“

„არას“ თქმა ვერ გავბედე, თუმცა მეშინოდა. ყოველთვის, როცა რაღაც ახალი უნდა მესწავლა, მღელვარებისგან ხელები მიოფლიანდებოდა და ფეხები მიკანკალებდა. უსაზღვრო შიში ამიტანდა ხოლმე, მაგრამ თავი ხელში ამყავდა. ჩემი ცხოვრების ყოველ დღესა და ყოველ საათს ვალდებული ვიყავი, რაღაც ახალი მესწავლა, რადგან, სხვებისგან განსხვავებით, გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი ვიყავი. სიტყვა „წერა-კითხვის უცოდინარიც“ არ ვიცოდი, თუ არსებობდა! მაგრამ მუშაობა ძალიან მინდოდა და ამ ქალბატონს რომ მოეთხოვა, თავი წყლით სავსე ვედროში ჩამეყო და არ მესუნთქა, დავემორჩილებოდი.

ასე ავითვისე მაუსის გამოყენება და კომპიუტერის ეკრანზე გამოსახულის მნიშვნელობაც გავიგე. რამდენიმე დღეში ყველაფერი შევძელი. ყველა კმაყოფილი იყო ჩემი შედეგით. იქ მუშაობის სამი წლის განმავლობაში ერთი წუთიც არ დამიკარგავს უქმად, ჩემი ადგილი მუდამ იდეალურად მოწესრიგებული იყო – სამუშაო ადგილს საღამოს, წასვლამდე ვალაგებდი, დილით კი ყველაზე ადრე მივდიოდი. ბავშვობაში ჯოხის დაკვრით „გამწვრთნეს“ და მიმაჩვიეს თავდაუზოგავ მუშაობას, მორჩილებას, სიზუსტესა და სისუფთავს. ეს შემომრჩა ძველი ცხოვრებიდან. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „ვინ იცის, იქნებ ხვალ ვინმე ჩემზე ადრე მოვიდეს, არ მინდა, ჩემი სამუშაო ადგილი მოუწესრიგებელი ნახოს...“

წესრიგისა და სისუფთავის მანიაკიც კი გავხდი. აღებული საგანი თავის ადგილზე უნდა დაბრუნდეს, შხაპის მიღება ყოველდღეა საჭირო, კბილების გახეხვა – დღეში სამჯერ, თავის დაბანა – კვირაში ორჯერ, აუცილებელია ფრჩხილების მოვლა და საცვლების ყოველდღე გამოცვლა... მინდა ყველაფერი სუფთა იყოს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ.

სამოსის შერჩევა ძალიან მიყვარს, ალბათ, იმიტომ, რომ არასოდეს მქონია ამის შესაძლებლობა. წითელი მიყვარს, რადგან, მაგალითად, დედაჩემი მეუბნებოდა: „აჰა, შენი კაბა, ეს ჩაიცვი“. კაბა კი ნაცრისფერი და ულამაზოა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, უნდა ვატარო.

სწორედ ამიტომ მიყვარს წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი, შავი, ყავისფერი, ყველა ფერი, რომელთა ტარება ადრე აკრძალული მქონდა. ახლა მაცვია მაღალყელიანი ან გულდახურული პერანგი, შარვალი, თმა ყურებს მიფარავს. მეტს ვერაფერს გამოვაჩენ.

ზამთარ-ზაფხულ თითქმის ერთნაირად შეფუთული, ზოგჯერ რომელიმე კაფეში, ტერასაზე ვჯდებოდი და გამვლელებს ვუყურებდი. მინიკაბებსა და დეკოლტიანი სამოსში გამოწყობილი ქალები მამაკაცების მზერას არ ერიდებოდნენ. ზოგჯერ მამაკაცების მზერაში იმას ვეძებდი, ვინც მე მიყურებდა, მაგრამ როცა ასეთს ვერ ვპოულობდი, ვდგებოდი და შინ ვბრუნდებოდი. ასე გრძელდებოდა იმ დღემდე, ვიდრე ჩემი საძინებელი ოთახის ფანჯრიდან წითელი მანქანა და მასში მჯდომი მამაკაცის მუხლები და ხელები დავინახე.

შემიყვარდა. ჩემთვის ის ერთადერთი მამაკაცი იყო. ამ მანქანისა და საჭეზე დაწყობილი მისი ორი ხელის გარდა სხვას ვერაფერს ვხედავდი.

შემიყვარდა, თუმცა არა იმიტომ, რომ ლამაზი, მოსიყვარულე ან თავაზიანი იყო, არ მცემდა და თავს მის გვერდით დაცულად ვგრძნობდი. შემიყვარდა, რადგან მანქანას მართავდა. მხოლოდ იმის დანახვა, რომ მისი მანქანა შენობის წინ იდგა, გულს მიძგერებდა. ვტიროდი, როცა ვხედავდი, როგორ გადმოდიოდა მანქანიდან შინ დაბრუნებისას ან როგორ ჯდებოდა მასში სამსახურში წასვლის წინ! ყოველ დილით მეშინოდა, რომ საღამოს არ დაბრუნდებოდა.

ვერც კი გავიაზრე, რომ ყველაფერი მეორდებოდა. მხოლოდ წლების შემდეგ მიმანიშნეს და მაშინ გავაცნობიერე: მანქანა და მამაკაცი, რომელსაც ფანჯრიდან ვამჩნევ, რომელმაც ჩემი სიყვარულის შესახებ არაფერი იცის და სევდიანად ვუთვალთვალე, რადგან მგონია, რომ მისი მანქანა ერთ დღესაც შეიძლება ვეღარ დავინახო. ეს ყველაფერი ძალიან მარტივი იყო, უფრო შორს ვეღარ შევტოპავდი. ზოგჯერ გონების ამუშავებას და იმის გახსენებას ვცდილობდი, რა როგორ და რატომ მოხდა, მაგრამ მალევე ვანებებდი თავს, რადგან ჩემთვის ეს ყველაფერი მეტისმეტად რთული იყო.

ანტონიოს წითელი მანქანა ჰყავდა. ფანჯარასთან იქამდე ვიდექი, სანამ თვალს არ მიეფარებოდა... მერე ფანჯარას კვეტავდი.

ერთხელაც შევხვდი, ვისაუბრეთ, გავიგე, რომ მისი მეგობარი გოგონა ჩემი ნაცნობი იყო, ამიტომ ველოდი. ორწელიწად-ნახევარი თუ სამი წელი მეგობრები ვიყავით. მხოლოდ ამის შემდეგ გადაიზარდა ეს მეგობრობა რაღაც სხვაში. შეყვარებული ვიყავი, მაგრამ ის... არ ვიცოდი, ჩემზე რას ფიქრობდა. ვერ ვხედავდი შეკითხვას, თუმცა ყველაფერს ვცდილობდი, რომ შევყვარებოდი, ჩემ გვერდით ყოფილიყო. მისთვის არაფერი მენანებოდა; მინდოდა მომეველო, გამენებივრებინა, მის კვებაზე მეზრუნა, მის შესანარჩუნებლად ყველაფრისთვის მზად ვიყავი.

ვფიქრობდი, რომ ეს ერთადერთი საშუალება იყო. სხვა რამ ვერც კი წარმომედგინა. როგორ შემემლო მისი მოხიზვლა? ჩემი ლამაზი თვალებით? ჩემი ლამაზი ფეხებით? ჩემი ლამაზი გულმკერდით?

არ დავქორწინებულვართ, ისე დავიწყეთ ერთად ცხოვრება და დიდი ხანი დამჭირდა, რომ თავი თავისუფლად მეგრძნო. მხოლოდ სანთლების შუქზე ვიხდიდი. დილით კი სასწრაფოდ სააბაზანოს ვაფარებდი თავს, საიდანაც თავიდან ბოლომდე ხალათში გახვეული გამოვდიოდი. ასე დიდხანს გაგრძელდა. ზოგჯერ ახლაც უხერხულად ვგრძნობ თავს. კარგად ვიცი, ჭრილობათა ნაწიბურები სრულებით არ არის საცქერლად სასიამოვნო.

ერთად ცხოვრების დაწყებისთანავე ქალაქის ერთოთახიან ბინაში გადავედი. ორივენი ვმუშაობდით. ორივეს კარგი ხელფასი გვქონდა. ველოდი, როდის მთხოვდა ხელს, მაგრამ ამაზე ხმას არ იღებდა. მე კი საქორწინო ბეჭედზე, ცერემონიაზე ვოცნებობდი და ანტონიოსთვის იმასვე ვაკეთებდი, რასაც დედაჩემი მამაჩემისთვის და ჩემი სოფლის ქალები ქმრებისთვის აკეთებენ. დილით ხუთ საათზე მხოლოდ იმიტომ ვდგებოდი, რომ მისთვის ფეხები და თავი

დამეზანა, სუფთა და დაუთოებელი სამოსი მიმეწოდებინა; მეცქირა, როგორ მიდის სამსახურში, ფანჯრიდან ხელი დამექნია ან კოცნა გამეგზავნა...

სადამოს გამზადებული სადილით ველოდი შუალამემდე, ზოგჯერ, თუ საჭირო იყო, პირველ საათამდეც, რომ მასთან ერთად მევახშმა. მშიერიც რომ ვყოფილიყავი, მარტო არ ვჭამდი, მას ველოდი, როგორც ეს ჩემს სოფელში მინახავს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ეს მამაკაცი მე შევიყვარე, მასთან ცხოვრებას არავინ მაიძულებდა. ყველაფერი ეს მას, ალბათ, აოცებდა, ევროპელი მამაკაცი არ არის ასეთ მოპყრობას შეჩვეული. ერთხელ, ურთიერთობის დასაწყისში მითხრა: „ყველაფერი არაჩვეულებრივია! მაღლობელი ვარ, უამრავ დროს ვზოგავ და საზრუნავიც მომაკლდა“.

ბედნიერი იყო. სადამოს, შინ დაბრუნებული სავარძელში რომ ჩაჯდებოდა, ფეხსაცმელებსა და წინდებს ვხდიდი, საშინაო ჩუსტებს ვაცმევდი. სახლში მხოლოდ მის განკარგულებაში ვიყავი. ყოველდღიურად იმის მეშინოდა, რომ სხვა ქალს შეხვდებოდა. თუმცა შინ დაბრუნებული ჩემს მომზადებულ ვახშამს რომ შეჭამდა, ვმშვიდდებოდი და მეორე დღიამდე ბედნიერი ვიყავი.

მაგრამ ანტონიოს დაქორწინება და შვილები არ სურდა. მე კი ძალიან მინდოდა. ის ჯერ მზად არ იყო. პატივს ვცემდი მის გრძნობებს. ასე ვიცადე შვიდი წელი. ანტონიომ იცოდა ჩემი გაშვილებული ვაჟის ამბავი. ჩემი ცხოვრების შესახებ ცოტა რამეს მოვუყევი, რომ ამეხსნა, რატომ მქონდა დამწვრობებისგან დარჩენილი ამდენი ნაწიბური. მაგრამ ამ თემაზე მეტად აღარ გვისაუბრია. ის თვლიდა, რომ რაც ბავშვისთვის გავაკეთე, საუკეთესო გამოსავალი იყო. მარუანი სხვა ოჯახს ეკუთვნოდა, მის ცხოვრებაში ჩარევა არ შემეძლო. მის ამბებს რეგულარულად მატყობინებდნენ, მაგრამ სანახავად მისვლას ვერ ვბედავდი.

ამ წლების განმავლობაში მხოლოდ სამჯერ ვესტუმრე. ფეხები უკან მრჩებოდა. ბოლოს დანაშაულის ამ განცდასაც შევეჩვიე. ვცდილობდი მის დავიწყებას, თითქმის მოვახერხე კიდევ.

კიდევ სულ მცირე, ერთი შვილი მინდოდა. მაგრამ ჯერ უნდა დავექორწინებულიყავი, ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო. ჩემი ცხოვრება ამ რიგით უნდა მომეწყო: ქმარი და ოჯახი.

ასე საოცნებო ქორწინების დღეს ოცდაათი წლის ვიყავი. ანტონიო ამისთვის უკვე მზად იყო, მისი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა და ჩვენც მოზრდილ ბინაში გადავედით. შვილი მასაც სურდა. ეს ჩემი პირველი ქორწინება იყო, ჩემი პირველი კაბა, ჩემი პირველი ულამაზესი ფეხსაცმელი.

ტყავის გრძელი ქვედაკაბა, ტყავის პერანგი, ტყავის პიჯაკი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ყველაფერი თეთრი და რბილი, ძვირად ღირებული ტყავისგან იყო შეკერილი. მომწონდა მისი სასიამოვნო შეხება ჩემს კანზე. მაღაზიაში არასოდეს ამივლია გულგრილად ტყავის განყოფილებისთვის, ყოველთვის ხელით ვსინჯავდი, ვეხებოდი და ტყავის სირბილეს ვამოწმებდი. ადრე ვერ ვხვდებოდი, რატომ. ახლა უკვე ვიცი, რომ ეს თითქოს კანის გამოცვლას ჰგავდა. ეს თავდაცვაც იყო, მე სხვების თვალში არა საკუთარი, არამედ სხვა, ლამაზი „კანით“ ვჩნდებოდი. ეს იმ

ღიმილს ჰგავდა, როცა ბედნიერებას სხვებსაც სთავაზობ და მხოლოდ საკუთარზე არ ზრუნავ.

ეს ქორწინება ჩემი ცხოვრების სიხარულია. მსგავსი სიხარული მხოლოდ მარუანის მამასთან პირველმა პაემანმა მომანიჭა. მაგრამ ამაზე აღარ ვფიქრობდი. ყველაფერი დავივიწყე, შორს, თითქოს სხვის გონებაში შევინახე. როცა დავფეხმძიმდი, თავი სამოთხეში მეგონა.

ლეტიცია ნამდვილად სასურველი შვილი იყო. ჯერ კიდევ მუცელში მყოფს ველაპარაკებოდი, მეამაყებოდა მუცელი რომ მეტყობოდა და ვიწრო, ტანზე მომდგარ სამოსს ვიცვამდი. მინდოდა ყველას დაენახა, რომ ბავშვს ველოდები, ქორწინების ბეჭედი მიკეთია. ანგარიშმიუცემლად, ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი, სრულიად საპირისპირო იყო იმის, რაც ერთხელ უკვე გამოვიარე. მაშინ ვიმალებოდი, ვტყუოდი, დაქორწინებას ვევედრებოდი, ოჯახის შერცხვენის თავიდან ასაცილებლად ბავშვის დაბადება არ მსურდა. ახლა კი ცოცხალი ვიყავი, ქუჩებში ამ ახალი მუცლითა და ახალი ბავშვით დავსეირნობდი. ასე მეგონა, რომ ამ ბედნიერებით ყველაფერი წავშალე. მეგონა იმიტომ, რომ ძალიან მსურდა, ასე მომხდარიყო.

გონების ერთ პაწაწინა კუნჭულში მარუანი იმალებოდა. დადგებოდა დღე, როცა შევძლებდი მასთან შეხვედრას, ყველაფრის მოყოლას, მაგრამ იქამდე ჩემი ხელახალი დაბადება უნდა დამესრულებინა.

ლეტიცია ყვავილივით მოულოდნელად დაიბადა. ის იყო ექიმს ვუთხარი: „მე მგონი საპირფარეოში უნდა გავიდე...“

– არა, არა, ეს ბავშვია, უკვე იბადება...“

პაწაწინა ყვავილს ჰგავდა, შავთმიანი და შავგვრემანი. წარმოუდგენლად ადვილად დაიბადა. ჩემ გარშემო ყველა ამას ამბობდა: „არაჩვეულებრივია პირველი ბავშვის ასე ადვილად გაჩენა, ეს იშვიათად ხდება...“

შვიდთვე-ნახევარი ძუძუს ვაწოვებდი, უპრობლემო ბავშვი იყო. ყველაფერს ჭამდა, კარგად ეძინა, ავად არ ხდებოდა.

ორი წლის შემდეგ მეორე შვილი მომინდა. ბიჭი იქნებოდა თუ გოგო, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ძალიან მინდოდა, მაგრამ ვეღარ ვფეხმძიმდებოდი. ექიმმა მეც და ანტონიოსაც გვირჩია, დასასვენებლად წავსულიყავით და გამუდმებით ამის თაობაზე არ გვეფიქრა, მაგრამ მაინც ველოდი, თვიდან თვემდე, და როცა იმედი მიცრუვდებოდა, ცხარე ცრემლით ვტიროდი. ეს მანამ გრძელდებოდა, ვიდრე ჰორიზონტზე პატარა გოგონა გამოჩნდებოდა.

ნადიას დაბადებისას ორივენი სიხარულისგან კინალამ გავგიჟდით.

ლეტიცია სულ პატარა იყო, როცა ხელზე მოფერებისას მკითხა: „ეს რა არის, დედა? ფუფუა გაქვს? გტკივა?“

– ჰო, დედას ფუფუა აქვს, მაგრამ როცა ცოტათი გაიზრდები, მაშინ აგიხსნი ყველაფერს.“

მეტი აღარაფერი უკითხავს. ნელა-ნელა მის წინ სახელოების დაკაპიწება დავიწყე, სხეულს თანდათან ვაჩენდი, თუმცა არ მინდოდა მისი შეშინება ან მასში ზიზღის გამოწვევა, ამიტომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვმოქმედებდი.

ხუთი წლის იქნებოდა, როცა მკლავზე შემეხო: „ეს რა არის, დედა?“

– დედა დაწვეს.

– რატომ, ვინ დაგწვა?

– ერთმა კაცმა.

– ის ძალიან ბოროტია!

– ჰო, ბოროტია.

– მამას შეუძლია სამაგიერო გადაუხადოს იმისთვის, რაც შენ დაგიშავა?

– არა, მამა ვერ შეძლებს სამაგიეროს გადახდას. ეს შორს, იმ ქვეყანაში მოხდა, სადაც დავიბადე და თანაც, ძალიან დიდი ხნის წინ. როცა უფრო გაიზრდები, დედა უკეთესად აგიხსნის ყველაფერს.

– კი მაგრამ, რითი დაგწვა?

– აქაურობისგან განსხვავებით იმ ქვეყანაში სარეცხი მანქანები არ არის, ამიტომ დედა წყალს აგროვებდა და შემდეგ ცეცხლს ანთებდა...

– ცეცხლს რითი ანთებდი?

– გახსოვს, მამასთან ერთად ტყეში შეშის მოსატანად რომ ვიყავით, შემდეგ ცეცხლი ავანთეთ და სოსისები შევწვით? დედაც იმავეს აკეთებდა: სათანადო ადგილზე შემას აგროვებდა, ცეცხლს ანთებდა და წყალს აცხელებდა. როცა დედა სარეცხს რეცხავდა, ერთი კაცი მოვიდა და ძალიან საშიში სითხე აიღო, რომელიც ყველაფერს წვავს, მთელი სახლის დაწვაც კი შეუძლია. იმ კაცმა ეს სითხე დედას თმაზე დაასხა და ასანთით ცეცხლი წაუკიდა. ასე დაიწვა დედა.

– ის ბოროტია! მძულს! წავალ და მოვკლავ!

– ლეტიცია, მის მოსაკლავად წასვლას ვერ შეძლებ. ალბათ, ღმერთმა უკვე დასაჯა ის კაცი. მე კი ბედნიერი ვარ, მამა და შენ რომ მყავხართ. ძალიან მიყვარხართ.

– დედა, ეს რატომ ჩაიდინა?

– ძალიან გრძელი ამბავია და რთული ასახსნელი... შენ კი ჯერ ძალიან პატარა ხარ.

– არა, მინდა ვიცოდე!

– არა, ლეტიცია. დედამ უკვე გითხრა, რომ დანარჩენს სხვა დროს აგიხსნის. ეს ყველაფერი ძნელი ასახსნელია, ბევრს ჯერ ვერ გაიგებ. საკმარისია ის, რასაც დედა ამჯერად მოგიყვას.“

იმავე სადამოს, ნავახშმევს, სავარძელში ვიჯექი. ლეტიცია გვერდით იდგა. თმაზე მეფერებოდა, მერე კი პულოვერის აწევა სცადა. მივხვდი, რაც სურდა და სწორედ ამიტომ ვიტანჯებოდი.

„რას აკეთებ, ლეტიცია?“

– შენი ზურგი მინდა ვნახო.“

საშუალება მივეცი, ენახა.

„ოჰ, დედა, შენი კანი სულ არ არის რბილი. ნახე, ჩემი რა სრიალაა.“

– შენი კანი რბილი იმიტომ არის, რომ ნამდვილი კანია, დედის კანი კი არ არის ნაზი, რადგან ბევრი ნაწიბური აქვს. ამიტომ ასანთთან ფრთხილად უნდა იყო. ასანთი მხოლოდ მამას სჭირდება სიგარეტის მოსაკიდებლად. თუ ხელს მოჰკიდებ, შეიძლება ისე დაიწვა, როგორც ეს დედას მოუვიდა. მპირდები, რომ ფრთხილად იქნები? ცეცხლს ადამიანის მოკვლა შეუძლია.

– ცეცხლის გემინია? ხომ ასეა, დედა?“

ამ შიშის დაფარვა, რომელიც ყოველ უმნიშვნელო შემთხვევაშიც კი თავს იჩენდა, აღარ შემეძლო. ასანთი ჩემთვის სატანჯველი გახდა. ეს დღემდე ასეა.

ლეტიცია კომმარებს ხედავდა, წრიალებდა და ყვიროდა: „ვაი, ვაი!“ ვხედავდი, მთელი ძალით საბანს როგორ ებლაუჭებოდა. ერთხელ საწოლიდან გადმოვარდა. ვიმედოვნებდი, რომ ნელ-ნელა დაწყნარდებოდა, მაგრამ ერთ დღეს მოვიდა და მითხრა: „დედა, იცი, რომ ღამით მოვდივარ და გიყურებ, გძინავს თუ არა.“

– ამას რატომ აკეთებ?

– არ მინდა, მოკვდე.“

ჩემს ექიმთან წავიყვანე. მისი ქცევა მაშინებდა და თავსაც ვადანაშაულებდი, რომ ზედმეტი ვუთხარი. როგორც ექიმმა მითხრა, გამართლებული იყო მის შეკითხვებს მართალი პასუხები რომ გავეცი, მაგრამ შემდეგში ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი.

შემდეგ ნადიას ჯერი დადგა. ისიც დაახლოებით იმავე ასაკისა იყო, მაგრამ მას სრულიად განსხვავებული რეაქცია ჰქონდა. კომმარები არ ესიზმრებოდა, ჩემ გამო არ შიშობდა, მაგრამ ცუდად იყო. ვხედავდი, საკუთარ თავში ინახავდა ყველაფერს. ერთხელ, გვერდიგვერდ როცა ვისხედით, უეცრად ამოიოხრა.

„რატომ იოხრავ, საყვარელო?“

– არ ვიცი, ისე, უბრალოდ.

– როცა იოხრავ, ესე იგი, რაღაც გაწუხებს. იქნებ დედიკოსთვის რამის თქმა გინდა, და ვერ ბედავ?

– პატარა ყურები გაქვს! იმიტომ რომ კარგად არ ჰკამდი?

– არა, საყვარელო. დედას პატარა ყურები იმიტომ აქვს, რომ დაიწვა.“

ნადიასაც ყველაფერი ავუხსენი. მინდოდა, ორივე გოგონას ერთი და იგივე რამ, ერთნაირი სიტყვებით მოესმინათ. ნადიასაც იგივე მოვუყევი.

მონათხრობმა მასზე ცუდად იმოქმედა. ლეტიციასავით არ უთქვამს, რომ ამის ჩამდენს მოკლავდა, მხოლოდ შეხების უფლება მთხოვა. საყურე მეკეთა, რომელსაც ხშირად ვატარებ, რომ ყურის დარჩენილი ნაწილისგან ყურადღება გადავიტანო.

„შეგიძლია შემეხო, მხოლოდ საყურეს ნუ მოქაჩავ, მეტკინება“.

ყურებზე მსუბუქად შემეხო, შემდეგ თავის ოთახში წავიდა და კარი ჩაკეტა.

ორივესთვის ყველაზე მძიმედ ასატანი სკოლა უნდა ყოფილიყო. ისინი იზრდებოდნენ, ანტონიო ყოველთვის ვერ ახერხებდა მათ წაყვან-მოყვანას. ზოგჯერ მე მივდიოდი. წარმოდგენილი მქონდა სხვა ბავშვების შეკითხვები: რა სჭირს დედაშენს? ზაფხულშიც კი პულოვერი რატომ აცვია? ყურები რატომ არ აქვს?

უფრო რთული იყო განმარტების მომდევნო ეტაპი. გავამარტივე, მარუანის ხსენების გარეშე მოვყევი, მოვიტყუე. ვუთხარი, თითქოს ერთ კაცს შევხვდი და ერთმანეთი შეგვიყვარდა, მაგრამ მშობლებმა ერთმანეთის ნახვა აგვიკრძალეს, გადაწყვიტეს დავეწვი და ასე მოვეკალი. ჩემს ქვეყანაში ასეთი ჩვეულებაა. მაგრამ ქალბატონმა ჟაკლინმა, რომელიც ჩვენთან ხშირად მოდიოდა და გოგონებიც იცნობდნენ, ევროპაში სამკურნალოდ წამომიყვანა.

ლეტიცია ისევ დაუნდობელი იყო, ნადიას ხმა არ ამოუღია. თორმეტი წლის ლეტიციამ მითხრა, რომ ჩემს ქვეყანაში გამგზავრება და ჩემი ოჯახის ყველა წევრის დახოცვა სურდა. ეს ძალიან ჰგავდა მამამისის ნათქვამს, როცა მან ჩემი ისტორია და მარუანის დაბადების ამბავი გაიგო: „იმედი მაქვს, ყველა, ვინც ასე მოგექცა, ჩამალდება!“

ისევ კომმარებს ვხედავდი. ვიწექი, მეძინა და ვხედავდი დედაჩემს, რომელიც ხელში დანას ატრიალებდა და მეუბნებოდა: „ამ დანით მოგკლავ!“ დანა ლაპლაპებდა... დედაჩემი ნამდვილს ჰგავდა, აქ, ჩემს თავთან იდგა. შიშით დაზაფრული ვიღვიძებდი და ოფლში ვცურავდი.

ეს კომმარი ხშირად მეორდებოდა. როცა დანა ყველაზე მეტად ლაპლაპებდა, მაშინ მეღვიძებოდა. დედაჩემის დანახვა აუტანელი იყო. სიკვდილსა და ცეცხლზე მეტად მისი სახის დანახვა არ მასვენებდა. მას ჩემი მოკვლა სურდა, ხოცავდა ახალდაბადებულ შვილებს, მას ყველაფერი შეეძლო და ის დედაჩემი იყო! მან გამაჩინა!

ისე მაშინებდა მასთან ფიზიკური მსგავსება, რომ ერთ დღეს ახალი ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე, ამჯერად პლასტიკურის. ერთით მეტი, ერთით ნაკლები – არაფერს ცვლიდა... საკუთარ თავს სარკეში ვეღარ ვუყურებდი, ძალიან ვამსგავსებდი დედაჩემის სახეს. მის მსგავსად ცხვირის თავზე, წარბებს შორის პატარა წამონაზარდი მქონდა. ახლა აღარ მაქვს და მიმაჩნია, რომ უფრო ლამაზი ვარ. მაგრამ კომმარი კვლავ მეზმანებოდა. ექიმი უძლური იყო. ფსიქიატრთან შეხვედრა მჭირდებოდა, თუმცა ეს ვერც კი მოვისაზრე.

ერთ დღეს ექიმბაშთან წავედი და მტანჯველი სიზმრის შესახებ მოვუყევი. მან პაწაწინა დასაკეცი დანა მომცა და მითხრა: „ბალიშის ქვეშ დაკეცილი ამოიდეთ და ამ კოშმარს აღარასოდეს იხილავთ“.

ასეც მოვიქეცი და მას შემდეგ ძილში დანას აღარასოდეს შევუშინებიავარ.

მაგრამ, სამწუხაროდ, დედაჩემზე ისევ ვფიქრობდი.

ყველაფერი ის, რაც მაკლია

ძალიან მინდა წერა ვისწავლო. კითხვა ვიცი, თუმცა მხოლოდ ბეჭდურ ასოებს ვარჩევ. ხელნაწერის წაკითხვა არ შემიძლია, მე ხომ კითხვა გაზეთების საშუალებით ვისწავლე. ხშირად მაინც ვაწყდები სიტყვას, რომლის ამოკითხვა მიჭირს. მაშინ დახმარებას გოგონებს ვთხოვ ხოლმე.

შვეიცარიაში ჩასვლისას ედმუნდ კაიზერმა და ჟაკლინმა სცადეს აუცილებელი სიტყვები ესწავლებინათ. ყოველთვის მინდოდა მესწავლა, რომ სხვებს დავმსგავსებოდი და მათნაირი ვყოფილიყავი. ოცდაოთხი წლისამ მუშაობა დავიწყე და უკვე სამთვიანი სასწავლო კურსის გავლაც შემეძლო. ძალიან კმაყოფილი ვიყავი, თუმცა ეს მძიმე ტვირთად დამაწვა, რადგან გაცილებით მეტს ვიხდიდი, ვიდრე ხელფასი მქონდა; მაშინ ანტონიომ მითხრა: „არა უშავს, მე შემიძლია დაგეხმარო“. მე ვუპასუხე: „არა, მე თვითონ მინდა ამ კურსის საფასურის გადახდა“.

მსურდა ყველაფრისთვის დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრებით მიმეღწია. სამი თვის შემდეგ სიარული შევწყვიტე, მაგრამ ეს კურსი ძალიან დამეხმარა. იქ პირველი კლასის მოსწავლესავით ფანქრის ხელში დაჭერა და საკუთარი სახელის წერა მასწავლეს. არ ვიცოდი, როგორ უნდა დამეწერა „ა“, „ს“, ამიტომ სწავლა ანბანით დავიწყე, სალაპარაკო ენასთან ერთად. სამი თვის შემდეგ გაზეთში უკვე რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა შემეძლო.

თავიდან ჰოროსკოპებს ვკითხულობდი, რადგან ვიღაცამ მითხრა, რომ ჩემი ნიშანი სასწორია! ჩემს მომავალს ყოველ დილით ვეცნობოდი. მართალია, ყველაფერი არ მესმოდა, მაგრამ დასაწყისში მოკლე ტექსტები და წინადადებები უნდა მეკითხა. მთლიანი სტატიის წაკითხვა შემდეგი ეტაპი იყო. მოკლე ტექსტებად ითვლებოდა ნეკროლოგებიც. ჩემსავით არავინ ჩაჰკირკიტებდა მათ ასე გულდასმით! „X-ის ოჯახი ღრმა გულისტკივილით უწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი X. ღმერთმა გაანათლოს მისი სული“.

საქორწინო და ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის შესახებ განცხადებებსაც ვკითხულობდი, მაგრამ ძალიან დავეანებე თავი, ამდენი შემოკლებული სიტყვის გაშიფვრა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა! ერთი პოპულარული ყოველდღიური გამოცემის გამოწერაც მინდოდა, მაგრამ ანტონიო მას სულელურად მიიჩნევდა... ამიტომ ყოველ დილით, სამსახურში წასვლამდე, კაფეში ყავას ვსვამდი და გაზეთს ვკითხულობდი. ეს პერიოდი ძალიან მიყვარდა. ენის შესასწავლად ჩემთვის ეს საუკეთესო მეთოდი იყო. თანდათან, როცა ჩემ გარშემო რაიმე მოვლენაზე საუბრობდნენ, უკვე შემიძლო მეპასუხა, რომ ამის შესახებ მეც ვიცი, გაზეთში

წავიკითხე. ადამიანები მოგზაურობენ, მიდი-მოდიან; ზღვის, რესტორნების, პლაჟის, და საერთოდ, სამყაროს შესახებ საუბრობენ. ადრე მათთან დალაპარაკება არ შემეძლო, ახლა უკვე ვახერხებ საუბარში ჩავეერთო.

ცოტა ევროპის გეოგრაფიაც ვიცი; ვისწავლე დედაქალაქებისა და ზოგიერთი შედარებით პატარა ქალაქის სახელი. მოვინახულე რომი, ვენეცია და პორტოფინო. დედობილ-მამობილთან ერთად ხუთი დღით ბარსელონაშიც ვიყავი.

ზაფხულის არდადეგები იყო. ძალიან ცხელოდა და ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ მათაც ვაიძულებდი ჩემთან ერთად ოთახში ჩაკეტილიყვნენ. ამიტომ, ვარჩიე შინ დავბრუნებულიყავი, ისინი კი დარჩნენ. საბანაო კოსტიუმის ჩაცმა წარმოუდგენელი რამ იყო. ასეთ შემთხვევაში პლაჟზე სრულიად მარტო უნდა ყვოფილიყავი, როგორც სააბაზანოში.

მსოფლიოში ცოტა რამ მინახავს. ვიცი, რომ დედამიწა მრგვალია, მაგრამ მის შესახებ ჩემთან არავის უსაუბრია. მაგალითად, ვიცი, რომ აშშ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნიშნავს, თუმცა არ ვიცი დედამიწის რომელ ნაწილში მდებარეობს. არც ის ვიცი, რუკაზე როგორ ვიპოვო მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი.

ვცადე, ჩემი გოგონების გეოგრაფიის სახელმძღვანელოები წამეკითხა, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა მოვძებნო ქვეყნები. წარმოდგენა არ მაქვს მანძილზე. თუ ვინმე მეუბნება: „შენი სახლიდან ხუთას მეტრში შევხვდეთ“, ამ მანძილის გაზომვას ვერ ვახერხებ. ჩემთვის ვიზუალური ორიენტირი ნაცნობი ქუჩა ან მაღაზიაა. მსოფლიო როგორია, წარმოდგენა მიჭირს. ტელევიზორში ამინდის საერთაშორისო პროგნოზს ვუყურებ და ვცდილობ გავიხსენო, სად მდებარეობს ინგლისი და მადრიდი, პარიზი და ლონდონი, ბეირუთი და თელ-ავივი.

ერთხელ, ათიოდე წლისა, მამაჩემთან ერთად თელ-ავივის ახლოს წავედით ყვავილოვანი კომბოსტოს მოსავლის ასაღებად. იქ იმ მეზობლის ნაკვეთი იყო, რომელიც, თავის მხრივ, ხორბლის მკაში დაგვეხმარა. ებრაელებისგან გამყოფი ბარიერი გვიცავდა, თუმცა თითქმის მათ ტერიტორიაზე ვიყავით. მაშინ მეგონა, თუ ამ ბარიერს გავცდებოდი, მეც ებრაელი გავხდებოდი და ეს ძალიან მაშინებდა. ახლად გავაცნობიერე, რომ ჩემი ბავშვობის ყველა მოგონება შიშთანაა დაკავშირებული.

ბავშვობაში მასწავლეს, რომ ებრაელებს არ უნდა მივუახლოვდე, მათი სახელია ჰალოუუ, ანუ „ღორები“. მათი შეხედვაც კი არ შეიძლება. მაშინ, იმ მინდორში, მათთან ასე ახლოს ყოფნა ამიტომ იყო ასეთი საშინელება. ებრაელები სხვანაირად ჭამენ და სვამენ, სხვანაირი ცხოვრების წესი აქვთ. ჩვენ და ებრაელები ისე განვსხვავდებით, როგორც დღე და ღამე, შალი და აბრეშუმი. ასე მასწავლეს ეს ყველაფერი, შალი ებრაელებს შეესატყვისებოდა, აბრეშუმი – მუსლიმანებს. ვერ ვხვდები, რატომ ჩამიბეჭდეს ეს ყველაფერი, მაგრამ იქ სხვაგვარად ფიქრი არ შეიძლება. თუ ქუჩაში ებრაელი გაივლიდა – ეს კი თითქმის არასოდეს ხდებოდა – აუცილებლად ატყდებოდა შეხლა-შემოხლა ქვებისა და ჯოხების გამოყენებით. ებრაელთან მიახლოება, გამოლაპარაკება აკრძალული იყო – მაშინ შენც ებრაელი გახდებოდი! კარგად ვიცი, ეს ყველაფერი სისულელეა. ებრაელებს ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ! მაგალითად, ჩემს უბანში შესანიშნავი მაღაზიაა, რომლის

მეპატრონეც ებრაელია. იქ არაჩვეულებრივი ხორცი იყიდება, გასინჯული მაქვს და ვიცი. მაგრამ ხორცის საყიდლად ყოველთვის ტუნისელის საყასბოში მივდივარ. რატომ? არ ვიცი. ხშირად ჩემს თავს ვეუბნები: „სუად, წადი და ებრაელებთან იყიდე შესანიშნავი ხორცი, ის ჩვეულებრივი ხორცია!“

ვიცი, რომ ერთ დღეს ამასაც მოვახერხებ. მაგრამ ჯერ მეშინია. ძალიან ბევრჯერ გამიგონია, რომ ებრაელებთან ყოველგვარ ურთიერთობას უნდა მოვრიდებოდით, ისინი არად ჩაგვეგდო, თითქოს არც კი არსებობენ. ეს სიძულვილზე მეტია. და სწორედ ეს არის მუსლიმანთა ყველაზე დიდი მტერი.

დავიბადე როგორც მუსლიმანი და ღმერთი დღესაც მწამს, მუსლიმანად დავრჩი, თუმცა ჩემი სოფლის წეს-ჩვეულებებიდან ბევრი აღარაფერი შემომრჩა. არ მიყვარს ომი, მძულს ძალადობა. ზოგჯერ, ჩემი ქვეყნის მამაკაცებზე აუგს როცა ვამბობ, ისლამის უარყოფას მსაყვედურობენ. მაშინ ჩხუბის ნაცვლად ვმსჯელობ, ვეკამათები, ვცდილობ მოსაუბრე ვაიძულო მომისმინოს, რომ დავეხმარო, კარგად გაიგოს, რას და რატომ ვამბობ.

დედაჩემი მეზობლის ქალებთან ჩხუბობდა. მათ ქვებს უშენდა და თმით ათრევდა. ჩხუბის დროს მუდამ თმით ათრევდნენ ერთმანეთს. არ მსურდა ამ ყველაფრის დანახვა, ამიტომ კარის ან პურის ღუმლის უკან, სულაც თავლაში, ცხვრებთან ვიმალებოდი ხოლმე.

სიამოვნებით ვისწავლიდი ყველაფერს, რაც არ ვიცი. მინდა გავიგო სამყაროში არსებული მრავალფეროვნების შესახებ. იმედი მაქვს, ჩემი შვილები საკუთარი შესაძლებლობით ისარგებლებენ. ეს შესაძლებლობა მათ ჩემმა უბედურებამ მისცა, ბედისწერამ გაარიდა და დაიცვა ისინი ჩემს ქვეყანაში გამეფებული ძალადობის, ინტიფადისა და მამაკაცების სისასტიკისგან. არ მინდა, მათ თავში ისეთი იდეები ჩაუბეჭდონ, როგორითაც მე გამზარდეს და მათგან გათავისუფლება დღესაც ვერ მომიხერხებია. ბევრს ვფიქრობ ამაზე და ახლა გავაცნობიერე: სოფელში ყოფნისას სარკე რომ არ მოეცათ და ეთქვათ, თითქოს ცისფერი თვალები მაქვს, მთელი ცხოვრება დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ ეს ნამდვილად ასეა. სარკე კულტურა, განათლება, საკუთარი თავისა და სხვების შეცნობაა. მაგალითად, სარკეში რომ ვიხედები, ვამბობ: „რა ტანდაბალი ვარ!“

სარკე რომ არ ყოფილიყო, ამას ვერც მივხვდებოდი იქამდე, სანამ ტანმალალი ადამიანის გვერდით არ დავდგებოდი. და მე რა უნდა მეფიქრა ტანმალალ ადამიანზე, რომელიც მიაბიჯებს და თავად არც კი იცის, რომ მალალია?

ნელ-ნელა ვხვდები, რომ ებრაელების შესახებ არაფერი ვიცი, არც მათი ისტორია მისწავლია და თუ ასე გაგრძელდა, მეც ვეტყვი ჩემს შვილებს, რომ ებრაელი ღორია! მათ სისულელეს ჩავაგონებ და მოვუსპობ დამოუკიდებლად ცოდნის მიღებისა და აზროვნების საშუალებას.

ერთ დღეს ანტონიომ ლეტიციას უთხრა: „არ მინდა, ერთ დღესაც ცოლად არაბს გაჰყვე.“

– რატომ, მამა? არაბიც ისეთივე ადამიანია, როგორიც შენ, სხვა და ყველა დანარჩენი“.

მაშინ ჩემს ქმარს ვუთხარი: „არა აქვს მნიშვნელობა არაბი იქნება, ებრაელი, ესპანელი თუ იტალიელი... უმთავრესია, ვინც უყვართ, ის მამაკაცი აირჩიონ, რომ მასთან ბედნიერები იყვნენ. მე ხომ ამის უფლება არ მქონია“.

ანტონიო მიყვარს, მაგრამ არ ვიცი, მას რატომ ვუყვარვარ. გამბედაობა არ მეყო, კითხვა დამესვა და მისთვის მეთქვა: „შემომხედე, საიდან ვარ და როგორი ვარ. დავიწვი, როგორ მოხდა, რომ ჩემ გვერდით ყოფნა გინდა, როცა მსოფლიოში ამდენი სხვა ქალია?“

არ ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული. ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხები: „მართლაც სხვა ქალთან რომ წავიდეს მაშინ რა უნდა ვქნა?“

ეს ყველაფერი მაინც ძალიან უცნაურია. როცა ვურეკავ, ყოველთვის ამ კითხვას ვუსვამ: „სად ხარ, ძვირფასო?“ შვებით მაშინ ამოვისუნთქავ, როცა ამბობს, რომ შინაა. ეს პაწია შიში მუდმივად ბუდობს ჩემში. შიში მიტოვების; კაცის გამო, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდება; შიში, რომ სიმარტოვეში ისევე უნდა ველოდო, როგორც მარუანის მამას ველოდი.

სიზმარში რამდენჯერმე ვნახე, რომ ანტონიო სხვა ქალთან ერთადაა. ეს კიდევ ერთი კომმარო უმცროსი გოგონას, ნადიას დაბადების მეორე დღიდან დაიწყო. თითქოს ანტონიო სხვა ქალთან ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებს. ლეტიციას ვუბნები: „ჩქარა წადი, მამა მოძებნე!“. მათთან მისვლას ვერ ვბედავ. ჩემი გოგონა პიჯაკზე ექაჩება: „არა, მამიკო, ნუ მიდიხარ მასთან ერთად! მოდი!“ მამა ჩემთან უნდა დააბრუნოს და მთელი ძალით ექაჩება! კომმარს ბოლო არ უჩანს. ვერასოდეს გავიგე, ანტონიო ბრუნდება თუ არა. როცა ბოლოს ეს კომმარო დამესიზმრა, დილის ოთხის ნახევარზე გამეღვიძა და ანტონიო საწოლში არ დამხვდა. ავდექი, არც თავის სავარძელში იჯდა, ტელევიზორი გამორთული იყო. მაშინვე ფანჯარასთან მივედი, რომ შემემოწმებინა, მანქანა ისევ იქ იდგა თუ არა. ვერც კი შევამჩნიე სინათლე მის სამუშაო ოთახში – ანტონიო თავისი საწარმოს ანგარიშებს ამოწმებდა.

ძალიან მინდა მშვიდად ვიცხოვრო, კომმარები აღარ მაწუხებდეს! მაგრამ ჩემი გრძნობები არასოდესაა დამშვიდებული: ემოცია, სევდა, გაურკვეველობა, ეჭვიანობა, შფოთიანობა მთელი ცხოვრება თან მდევს. თითქოს ჩემში რაღაც ჩატყდა. სხვა ადამიანები ამას ვერ ამჩნევენ, რადგან სხვათა პატივისცემის გამო მუდამ ვილიძები.

მაგრამ როცა ჩავლილ ლამაზ ქალს ვხედავ, ლამაზი თმით, ლამაზი ფეხებითა და კანით... როცა ზაფხული, საცურაო აუზისა და მსუბუქი სამოსის სეზონი დგება...

ტანსაცმლის კარადას ვაღებ: სავსეა მაღალყელიანი სამოსით. თუმცა მოკლესახელოებიან პერანგებსა და გულამოღებულ კაბებსაც ვყიდულობ საკუთარი სიამოვნებისთვის. მაგრამ მათ მხოლოდ კისრამდე ღილებით შეკრული პიჯაკის ქვეშ ვატარებ. ეს პიჯაკი კანის მეორე ფენაა.

ყოველ ზაფხულს გულმოსული ვარ. ვიცი, რომ საცურაო აუზი ექვს მაისს იხსნება და ექვს სექტემბერს იხურება – ეს ფაქტი მაგიჟებს. მინდა გაწვიმდეს, ტემპერატურა არასოდეს ასცდეს ოცდახუთ გრადუსს. როცა ძალიან ცხელა, გარეთ მხოლოდ ძალიან ადრე ან საღამოს გვიან გავდივარ. ამინდის პროგნოზს თვალს ვადევნებ და ზოგჯერ ხმამაღლა წამომცდება: „მით უკეთესი, ხვალ ცუდი

ამინდია!“ და ბავშვები ყვირიან: „რა სამაგლობას ამბობ, დედა! ჩვენ ხომ აუზზე გვინდა წასვლა!“

თუ ტემპერატურა ოცდაათ გრადუსს ასცდა, ოთახში ვიკეტები, გასაღებს გადავატრიალებ და ვტირი. თუ გამბედაობა მეყო და ორი ფენა სამოსით გავედი, ერთით, რომელიც მინდა რომ მეცვას და მეორით, რომელიც მფარავს, გამვლელებს ვუფრთხი. თუ ხვდებიან, როგორი ვარ? იქნებ თავს ეკითხებიან, ზამთარსა და ზაფხულში თითქმის ერთნაირად რატომ მაცვია?

შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული მიყვარს. საბედნიეროდ, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც წელიწადში სულ სამი-ოთხი თვეა სიცხე. ცხელ და მზიან ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებ, თუმცა, სწორედ ასეთში დავიბადე. დამავიწყდა სამშობლო; საათები, როდესაც ოქროსფერი მზე მიწას წვავს, ხოლო ნაცრისფერ ცაზე, გაფერმკრთალებული, ჩასასვლელად ემზადება. არ მინდა მზე.

ამ საცურაო აუზს ზოგჯერ ფანჯრიდან ვუყურებ და მეზიზღება იგი. ჩემდა საუბედუროდ, სახლის ბინადართა სიამოვნებისთვის აშენდა.

სწორედ ეს აუზი გახდა იმ დაწყევლილი დეპრესიის მიზეზი.

ორმოცი წლის ვიყავი. ზაფხულის დამდეგი, ივნისის თვე იყო, რომელიც ჩანდა, ცხელი იქნებოდა. სახლის პირველ სართულზე მდებარე მაღაზიიდან ის-ის იყო დავბრუნდი და ფანჯრიდან ვუცქერდი საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილ თითქმის შიშველ ქალებს. ჩემი ერთ-ერთი მეზობელი, ლამაზი გოგონა, ფეხშიშველი, მხოლოდ ბიკინითა და მხრებზე პარეოთი აუზიდან ბრუნდებოდა და გვერდით წელზემოდ შიშველი შეყვარებული მოჰყვებოდა. ოთახში მარტო ვიყავი ჩაკეტილი და თავი ვერ დამეღწია იმ ფიქრისთვის, რომ სხვებივით მოქცევა არ შემეძლო. ასე რომ ცხელოდა, უსამართლობა იყო. შესაფერისი სამოსის მოსაძებნად კარადა გამოვაღე. არ ვიცი, რამდენი ხელი ტანსაცმელი გავშალე საწოლზე, ვიდრე რაიმე შესაფერისს მოვძებნიდი. მოკლესახელოებიან მაისურზე გადაცმულ გრძელსახელოებიან პერანგში ძალიან დამცხა. თუნდაც დახურული, მაგრამ ძალიან გამჭვირვალე პერანგის ჩაცმა არ შემეძლია. მინიქვედაკაბის ჩაცმა შეუძლებელია, რადგან ფეხები კანის გადანერგვისთვის გამოიყენეს. ყველაფერზე, რაც საწოლზე გავშალე, მხოლოდ ერთის თქმა შემეძლო: „ამის ჩაცმა არ შემეძლია“.

ოფლად ვიღვრებოდი და ყველაფერი კანზე მეკვროდა.

საწოლზე დაწვექი და გულამოსკვნით ავკვითინდი. აღარ შემეძლო ასეთ სიცხეში ოთახში გამოკეტილი ვმჯდარიყავი მაშინ, როცა ყველა გარეთ იყო და შილიფად ეცვა. რამდენიც მსურდა იმდენი შემეძლო მეტირა, გოგონები ჯერ სკოლაში იყვნენ, რომელიც სახლის მოპირდაპირე მხარესაა. საძინებელი ოთახის სარკეში ჩავიხედე და საკუთარ თავს ვუთხარი: „შენს თავს შეხედე! აქ რატომ ხარ? ოჯახთან ერთად პლაჟზე ვერ მიდიხარ. მათთან ერთად თუ წახვალ, ვერ იბანავებენ, მარტო ხომ არ დაგტოვებენ. გოგონები სკოლაში არიან, მაგრამ დაბრუნებულებს აუზზე გასვლა მოუწდებათ. საბედნიეროდ, შენგან განსხვავებით, მათ აუზზე გასვლა თამამად შეუძლიათ! აუზის რესტორანში ყავის ან ლიმონათის დასალევად შესვლაც კი არ შეგიძლია, რადგან გემინია, ვინმემ არ დაგინახოს. თავიდან ფეხებამდე სამოსში ისე ხარ გახვეული, თითქოს ამ აუზის სიახლოვეს ათი გრადუსია. ალბათ, გიჟად

გთვლიან! არარაობა ხარ! აქ ხარ და სინამდვილეში, აქ არ ხარ. მხოლოდ უსარგებლო ნივთი ხარ, რომელიც სახლში უნდა ჩაკეტო“.

სააბაზანოში გავედი და საძილე აბების ფლაკონი ავიღე. აფთიაქში ურეცეპტოდ ვიყიდე, რადგან დაძინება მიჭირდა. ფლაკონი დავაპირქვავე. ცხრამეტი აბი იყო და ცხრამეტივე დავლიე.

რამდენიმე წუთი გავიდა და თავი უცნაურად ვიგრძენი, გარშემო ყველაფერი დატრიალდა. ფანჯარა გამოვადე, ლეტიციასა და ნადიას სკოლის სახურავს ვუყურებდი და ვტიროდი. ჩემს თავს ველაპარაკებოდი, ბინის კარი გავადე, საკუთარი ხმა საიდანღაც, სიღრმიდან მესმოდა. მეექვსე სართულზე ასვლა და ტერასიდან გადახტომა მინდოდა. მთვარეულივით ვიყავი და თან გაუჩერებლად ვლაპარაკობდი.

„თუ მოვკვდი, გოგონებს რა მოუვათ? მათ ვუყვარვარ. რატომ გავაჩინე? რომ იტანჯონ? განა ჩემი ტანჯვა საკმარისი არ არის?! არ მინდა, იტანჯებოდნენ. ან სამივე ერთად დავტოვებთ ამ ქვეყანას, ან არც ერთი... არა, მათ ვჭირდები. ანტონიო მუშაობს. თუმცა არ ვიცი, იქნებ სინამდვილეში სადღაც პლაჟზეა... მან ხომ იცის, ძალიან ცხელა და სახლში ვარ, გარეთ გასვლა არ შემიძლია, ვერც სასურველ სამოსს ვიცვამ. რატომ დამემართა ეს ყველაფერი? რა დავუშავე გულმოწყალე ღმერთს? ასეთი რა ჩავიდინე?“

დერეფანში ვიდექი და ვტიროდი, ვერ ვხვდებოდი, სად ვიყავი. ბინაში დავბრუნდი ფანჯრის დასაკეტად, შემდეგ ჰოლში ჩავედი, საფოსტო ყუთების წინ გოგონების სკოლიდან დაბრუნებას ველოდებოდი. მეტი აღარაფერი მახსოვს, ვიდრე საავადმყოფოში არ მოვეგე გონს.

მიღებული წამლების გამო გონება დავკარგე. კუჭი გამომირეცხეს და გამოსაკვლევად დამტოვეს. მეორე დღეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოვჩნდი. პალატაში ფსიქიატრი, სანდომიანი ქალი შემოვიდა: „გამარჯობა, ქალბატონო...“

– გაგიმარჯოს, ექიმო“.

თავაზიანად გაღიმების ნაცვლად მაშინვე ცრემლებად დავიღვარე. ექიმმა დამამშვიდებელი დამალევინა და ჩემ გვერდით ჩამოჯდა: „მომიყევით, რა მოხდა, რატომ გადაწყვიტეთ ამდენი აბის მიღება, რატომ გსურდათ თავის მოკვლა“.

ავუხსენი ყველაფერი: მზის, აუზის, ცეცხლის, ნაწიბურების, სიკვდილის სურვილის შესახებ და ისევ ავტიროდი. ვერ ვმალავდი იმას, რაც ჩემს გონებაში ხდებოდა. ყველაფერი იმ სულელური აუზით დაიწყო. აუზის გამო ვიკლავდი თავს?

„იცით, რომ სიკვდილს მეორედ გადაურჩით? ჯერ თქვენი სიძე, ახლა თავად თქვენ იყავით ამის მიზეზი. ჩემი აზრით, ეს მეტისმეტია და თუ არად ჩააგდებთ, შესაძლოა ისევ გაიმეოროთ. აქ თქვენს დასახმარებლად ვარ, თუ, რასაკვირველია, თვლით, რომ დახმარება გჭირდებათ“.

ამ ქალბატონთან ერთი თვე თერაპიის კურსს გავდიოდი. ამის შემდეგ მან სხვა ფსიქიატრთან გამგზავნა, რომელთანაც ყოველ ოთხშაბათს დავდიოდი. ცეცხლის მოკიდების შემდეგ ეს ჩემს სიცოცხლეში პირველად მოხდა: ვესაუბრებოდი

ადამიანს, რომელიც აქ ჩემს მოსასმენად იყო – ჩემი მშობლების, ჩემი უბედურების, მარუანის შესახებ ყველაფერს ისმენდა... ლაპარაკი მიჭირდა. ზოგჯერ მხოლოდ ჩუმად ყოფნა მსურდა, მაგრამ თავს ლაპარაკს ვაიძულებდი, რადგან ვიცოდი, ექიმისგან გასული უკეთ ვიქნებოდი.

შემდეგ ჩავთვალე, რომ ექიმი ზედმეტად ავტორიტარული იყო, თითქოს, მისი აზრით, მართებული გზის თავს მოხვევას ცდილობდა. თითქოს მეუბნებოდა, შინ აუცილებლად მარჯვენა მხრიდან მივსულიყავი, თუმცა ვიცოდი, რომ სახლამდე მისვლა მარცხენა მხრიდანაც შემეძლო.

ჩემთვის ვთქვი: „ჯანდაბა! ისე მაიძულებს, თითქოს დედაჩემია“. არც ყოველ ოთხშაბათს მისვლის ვალდებულება მომწონდა. მსურდა მაშინ შევხვედროდი, როცა მე მინდოდა ან საჭიროებას ვიგრძნობდი. ასევე მინდოდა მასაც დაესვა კითხვები, მასაც ელაპარაკა და ჩემთვის თვალეზში ეცქირა. არ მომწონდა, ოთხკედელშუა მელაპარაკა, როცა ის თავაუღებელივ რაღაცას წერდა. გაქცევის სურვილს ერთი წელი ვეწინააღმდეგებოდი. მივხვდი, რომ როცა სიკვდილი მსურდა, არ ვაცნობიერებდი ჩემი ორი გოგონას არსებობის ფაქტს. ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი და სხვა ყველაფერს არაფრად ვაგდებდი. ადვილი სათქმელია: „სიკვდილი მინდა“. და დანარჩენები? მათ რა მოელით?..

ახლა უკეთ ვარ, თუმცა ხანდახან მაინც მიჭირს. დეპრესიამ ნებისმიერ დროს შეიძლება შემომიტიოს, განსაკუთრებით კი ზაფხულში. საცხოვრებლად სხვაგან, ამ აუზისგან შორს გადავდივართ. ჩვენი სახლი გზის პირას იქნება, მაგრამ ზაფხული იქაც მოვა. მთაში ვიქნებით თუ უდაბნოში, მაინც ზაფხული იქნება.

ზოგჯერ ჩემთვის ვამბობ: „ღმერთო, რა იქნება ხვალ საწოლიდან აღარ ავდგე, მინდა მოვკვდე, რომ აღარ ვიტანჯო.“

ოჯახი მაქვს, გარშემო მეგობრები მახვევია, ამიტომ თავს ძალას ვატან, თუმცა საკუთარი თავის ისევ ძალიან მრცხვენია. უბედური შემთხვევის გამო რომ დავმწვარიყავი ან დამბლა დამცემოდა, ჩემს ნაწიბურებს სხვაგვარად შევხედავდი. ეს ბედისწერა იქნებოდა და დამნაშავე არავინ იქნებოდა, მათ შორის არც მე.

მაგრამ ჩემმა სიძემ დედაჩემისა და მამაჩემის სურვილით დამწვა. ის, რაღაც ვიქეცი, არც ბედისწერის და არც ფატალურობის ბრალი არ ყოფილა. ყველაზე მეტად კი ის მტანჯავს, რომ მათ ჩემი კანი, ჩემი მეობა წამართვეს არა ერთი თვით ან თუნდაც ათი წლით, არამედ სამუდამოდ.

ასეთი აზრები დროდადრო თავს ისევ მახსენებს. ერთხელ ვესტერნს ვუყურებდით, ბევრი შეტაკება და ცხენი იყო. თავლაში ორნი იბრძოდნენ. ერთმა, უფრო გულღრმომ, ასანთს მოუკიდა და მეტოქის ფეხქვეშ თივაზე დააგდო. მას მაშინვე ცეცხლი მოეკიდა და ცეცხლმოკიდებული კაცი თავლიდან გარეთ გავარდა. ყვირილი დავიწყე და რასაც ვჭამდი, უკან ამოვიღე. გიჟს ვგავდი.

ანტონიომ მითხრა: „ძვირფასო, ეს მხოლოდ ფილმია“. ტელევიზორი გამორთო, ხელები მომხვია და დასამშვიდებლად მიმეორებდა: „ძვირფასო, ეს ხომ ტელეფილმია; ეს ხომ ტყუილია, მხოლოდ გამონაგონია!“

მე შორს, წარსულში ვიყავი, ცეცხლმოკიდებული გავრბოდი. იმ ღამით არ მიძინია. ცეცხლის ისე მეშინია, რომ მცირე ალის დანახვაც კი არ შემიძლია. როცა ანტონიო სიგარეტს უკიდებს, დაძაბული ველოდები, როდის ჩაქრება ასანთი ან სანთებელი. ტელევიზორს იშვითად ვუყურებ, შეიძლება დავინახო, რაღაც როგორ იწვის. გოგონები ყურადღებით არიან და როგორც კი რაიმე ისეთი გამოჩნდება, რაც შიშს მგვრის, მაშინვე სხვა არხზე რთავენ.

მათ სანთლის ანთების ნებასაც კი არ ვრთავ. ყველა ხელსაწყო ელექტრონული გვაქვს. სამზარეულოშიც კი ვერ ავიტან ცეცხლის დანახვას. ერთხელ ვიღაც ჩემი თანდასწრებით ასანთით თამაშობდა, შემდეგ ჩვენს გასამხიარულებლად თითზე სპირტი გადაისხა და ასანთით ცეცხლი წაუკიდა. კანი არ დასწვია – ეს მხოლოდ ხუმრობა იყო.

შიშისა და სიბრაზისგან შეძრული წამოვდექი: „ასე სხვაგან იხუმრე! მე დამწვეს. არც კი იცი, ეს რას ნიშნავს!“

ბუხრის ცეცხლის მხოლოდ მაშინ არ მეშინია, როცა მისგან შორს ვარ. წყალი თბილი უნდა იყოს. შიშს მგვრის ყველაფერი, რაც ცხელია: ცეცხლი, ადუღებული წყალი, ღუმელი, ქურის ელექტროფილები, ქვაბები, ყავის ჩართული მადულარა, ტელევიზორი, რომელსაც შეიძლება ცეცხლი გაუჩნდეს, მოშლილი ჩამრთველები, მტვერსასრუტი, ჩაუმქრალი სიგარეტი, ყველაფერი... ყველაფერი, რაც ცეცხლს უკავშირდება. ამ ყველაფრის ჩემს გოგონებსაც ეშინიათ. არ არის ნორმალური თოთხმეტი წლის გოგონას ელექტროქურის ანთებას უკრძალავდე. თუ შინ არ ვარ, არ მინდა ქურა გამოიყენონ, მაკარონის მოსახარშად ან ჩაისთვის წყალი აადულონ. აუცილებლად მათ გვერდით უნდა ვიდგე, ყურადღებით, დაძაბული ვადევნო თვალი და შემდეგ ელექტროქურა თავადვე გამოვრთო. სამზარეულოს ქურას ყოველდამე, ძილის წინ აუცილებლად ვამოწმებ.

ეს შიში თან მდევს დღისით და ღამით. კარგად მესმის, როგორ ვაბეზრებ თავს სხვებს. ჩემი ქმარი მომთმენია, თუმცა ზოგჯერ მასაც ჰბეზრდება ეს უსაფუძვლო ტერორი. იმ დღეს ვნატრობ, როცა ჩემი გოგონები ქვაბს ხელში აიღებენ და მე შიშით აღარ ვიკანკალებ. ერთ დღესაც მათ ეს მოუწევთ.

სხვა სახის შიში ორმოცი წლისას დამატყდა თავს. მარუანი უკვე კაცი იყო, ოცი წელია არ მენახა; იცოდა, რომ გავთხოვდი და გოგონები მყავდა. მაგრამ ლეტიციამ და ნადიამ არ იცოდნენ, თუ უფროსი ძმა ჰყავდათ.

მარუანის შესახებ თქმული ტყუილი მძიმე ტვირთი იყო. ანტონიოს ჩვენი ურთიერთობის დასაწყისში მოვუყევი მასზე და იცოდა, რომ ბავშვი სადღაც იზრდებოდა, ამ თემაზე მეტად აღარ გვილაპარაკია. ჟაკლინმა ყველაფერი იცოდა, თუმცა ჩემს ტყუილს პატივისცემით ეკიდებოდა. მან მთხოვა, მონაწილეობა მიმეღო კონფერენციაში და სხვა ქალებისთვის ღირსების დანაშაულის შესახებ მომეთხოვა. თავის საქმიანობას აგრძელებდა, სხვადასხვა ქვეყანაში მიდიოდა, ხან გამარჯვებული, ზოგჯერ კი ხელცარიელი ბრუნდებოდა. მე საკუთარი, ანუ დამწვარი ქალის ამბავი უნდა მომეყოლა, როგორც ამ დანაშაულს გადარჩენილ მოწმეს. ამ წლების განმავლობაში ერთადერთი ვიყავი, ვისაც ამის შესახებ საუბარი შეეძლო.

ისევ ვიტყუებოდი და მარუანის არსებობის შესახებ არაფერს ვამბობდი. მეგონა, ამით შვილს ამ სისამაგლისგან ვიცავდი. მაგრამ ის თითქმის სრულწლოვანი იყო. თუმცა საინტერესოა, მართლაც მარუანს ვიცავდი თუ მისი გაშვილების გამო მრცხვენოდა?

დიდი დრო დამჭირდა იმის გასაგებად, რომ ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდებოდა. ჩემს სოფელში ფსიქიატრები არ არიან, იქაური ქალები საკუთარ თავს ასეთ კითხვებს არ უსვამენ. ჩვენი ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ ქალებად დავიბადეთ.

ჩემი გოგონები წამოიზარდნენ და მათი შეკითხვა „დედა, რატომ?“ სულ უფრო დაჟინებული ხდებოდა.

„კი მაგრამ, დედა, მაინც რატომ დაგწვეს?“

– ჩემს შეყვარებულზე დაქორწინება მინდოდა და კიდევ იმიტომ, რომ მისგან ბავშვს ველოდებოდი.

– პატარას რა დავმართა? ბავშვი სად არის?“

ვუთხარი, რომ ის ჩემს ქვეყანაში, ობოლთა თავშესაფარში დარჩა. მეტის გამხელა ვერ შევძელი.

გადარჩენილი მოწმის ჩვენება

ჟაკლინს სურდა, ასოციაცია შურჯირ-ის (ეს ფრანგული სიტყვა „მოულოდნელად გამოჩენას“ ნიშნავს) სახელით ჩემი ამბავი მომეთხრო. მელოდა, როდის ვიქნებოდი ამისთვის ფსიქოლოგიურად მზად დეპრესიის შემდეგ, რომელიც ჩემს ახალ ქვეყანაში ინტეგრირების, ქმრისა და შვილების, სამუშაოსა და ნორმალური ცხოვრების მიუხედავად დაიწყო. უკეთ ვიყავი, თუმცა ევროპელი ქალების აუდიტორიის წინაშე გამოსვლისთვის ჯერ კიდევ სუსტად ვგრძნობდი თავს. მე ხომ მათთვის სრულიად განსხვავებულ სამყაროზე უნდა მესაუბრა, რომელშიც აუხსნელი სისასტიკეა გაბატონებული.

ესტრადაზე, დაბალ მაგიდასთან ვიჯექი, წინ მიკროფონი მედგა და ამ ქალბატონებს ჩემს ამბავს ვუყვებოდი. ჩემ გვერდით ჟაკლინი იყო. ყველაფერს მოვყევი, თავიდან ბოლომდე. შემდეგ კითხვები დამისვეს: „რატომ გადაწყვიტეს თქვენი დაწვა?..“ „რაიმე ცუდი ჩაიდინეთ?..“ „მამაკაცთან დალაპარაკება იყო მიზეზი?“

არასოდეს ვამბობ, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ეს არაფერს ცვლის, რადგან დამკვიდრებული ადათით, ჩემს არსებობას ვინმემ ყურიც რომ მოჰკრას, სასჯელი იგივე იქნება. ჟაკლინმა ეს უკვე კარგად იცის. მაგრამ უმთავრესი ჩემი შვილის დაცვის სურვილია, რომელმაც ჩემი და საკუთარი წარსულის შესახებ არაფერი იცის. უსაფრთხოების მიზნით ჩემს ნამდვილ სახელს არ ვამხელ. ჟაკლინი იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა ოჯახმა ათასობით კილომეტრით დაშორებული ქალიშვილი მაინც იპოვა და მოკლა.

მსმენელი ქალბატონი ადგა და მკითხა: „ლამაზი სახე გაქვთ, ნაწიბურები სადღაა?

– ქალბატონო, მესმის რატომაც სვამთ ამ შეკითხვას, ველოდი კიდეც. გაჩვენებთ ჩემს ნაწიბურებს“.

ავდექი და შეკრებილთა თვალწინ პერანგი გავიხადე. პერანგის ქვეშ მოკლესახელოებიანი, გულამოღებული მაისური მეცვა. ჯერ მკლავები ვაჩვენე, შემდეგ ზურგი. და ის ქალბატონი, რომელმაც შეკითხვა დამისვა, ატირდა. დარბაზში მყოფმა რამდენიმე მამაკაცმა თავი უხერხულად იგრძნო. მათ შევებრალე.

შეხვედრების დროს თავი ბაზრობებზე ხალხის გასართობად მიყვანილი უცნაური ცხოველი მგონია. მაგრამ კარგად მესმის, ჩემი მონათხრობი სხვა ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია. მათ უნდა გაიგონ, რომ სიკვდილს გადავურჩი. მე ხომ იმ საავადმყოფოში ჟაკლინის მოსვლის დროს მომაკვდავი ვიყავი. მან სიცოცხლე შემინარჩუნა. ახლა, იმისთვის, რომ მისმა ასოციაცია შურჯირ-მა ყველას გააგებინოს, რას ნიშნავს ღირსების დანაშაული, ცოცხლად გადარჩენილი მოწმის ჩვენებაა საჭირო. ადამიანების უმრავლესობას ამ დანაშაულთა შესახებ არაფერი გაუგია. ამის მიზეზი ის არის, რომ მთელ მსოფლიოში გადარჩენილთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია. უსაფრთხოების მიზნით მათ თავი არ უნდა გაამჟღავნონ. ასოციაციის რამდენიმე ქვეყანაში არსებული ქსელის დახმარებით ისინი სასჯელს გადაურჩნენ. ასეთ დანაშაულს სჩადიან იორდანისა და მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ასევე მთელ ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთსა და პაკისტანში.

შეხვედრის მეორე ნაწილი ჟაკლინს მიჰყავს. ის ჰყვება, რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ქალის უსაფრთხოებისთვის საჭირო ზომების მიღება.

როდესაც აუდიტორიის წინაშე პირველად გამოვედი, ევროპაში უკვე თხუთმეტი წლის ჩამოსული ვიყავი. ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა და ევროპელი ქალებისგან განსხვავებული საფრთხე შემუქრება. მათი შემდგომი კითხვები ჩემს ამჟამინდელ ცხოვრებას შეეხება, თუმცა ჩემი ქვეყნის ქალების ცხოვრების პირობებიც აინტერესებთ. ასეთი შეკითხვა ერთმა მამაკაცმა დამისვა.

როდესაც ჩემს უბედურებაზე ვსაუბრობ, ზოგჯერ მიჭირს საჭირო სიტყვების გამონახვა, მაგრამ როცა საქმე სხვებს ეხება, ჩემი გაჩერება შეუძლებელია.

„მოგახსენებთ, ბატონო, იქ მცხოვრებ ქალს ცხოვრება არ აქვს. გოგონების უმრავლესობას სცემენ, ცუდად ექცევიან, თავს აჭრიან, წვავენ, კლავენ. იქაურებისთვის ეს ნორმალური მდგომარეობაა. დედაჩემს ჩემი მოწამვლა სიძის მიერ ცუდად შესრულებული დავალების „დასასრულებლად“ სურდა და მისთვის აქ მიუღებელი არაფერია; იმ სამყაროში, სადაც ის ცხოვრობს, ითვლება, რომ ქალები ასე უნდა ცხოვრობდნენ. გირტყამენ და ასეც უნდა იყოს, გწვავენ და ასეც უნდა იყოს, თავს გაჭრიან და ასეც უნდა იყოს, ცუდად გექცევიან და ეს ნორმალურია. მამაჩემის სიტყვებით, ძროხას და ცხვრებს ქალზე მეტი ფასი აქვთ. თუ სიცოცხლე გინდა, გაჩუმდი, დაემორჩილე, თავი დაიმცირე, გათხოვდი ქალწული და ვაჟები გააჩინე. მამაკაცს რომ არ შეეხვედროდი, ჩემი ცხოვრებაც ასეთი იქნებოდა. ჩემი შვილები, შვილიშვილები იმავე ცხოვრებით იცხოვრებდნენ. თუ დედაჩემივით საკუთარ შვილებს მოვგუდავდი, ესეც ნორმალური იქნებოდა. ალბათ, ქალიშვილებს მოვკლავდი, მათი დაწვის ნებასაც მივცემდი. ახლა ეს

ყველაფერი ჩემთვის საზარელია! მაგრამ იქ რომ დავრჩენილიყავი, მეც იმავეს ჩავიდენდი! იქ, საავადმყოფოში, მომაკვდავი ვიწექი და ჯერ კიდევ მეგონა, რომ რაც დამემართა, ნორმალური მოვლენა იყო. აქ, ევროპაში ჩამოსული, ოცდახუთი წლის ასაკში, ჩემ გარშემო ადამიანების საუბრიდან მივხვდი, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც ქალებს არ წვავენ, გოგონასა და ბიჭის დაბადება ერთნაირად უხარიათ. ჩემთვის სამყარო ჩემი სოფლით შემოიფარგლებოდა. ის არაჩვეულებრივი, მთელი სამყარო იყო, რომლის საზღვრები ქალაქის ბაზრამდე გრძელდებოდა! ბაზრის იქით უკვე ყველაფერი მიუღებელი იყო, რადგან იქ გოგონები მაკიაჟს იყენებდნენ, მოკლე და გულამოდებული კაბები ეცვათ. ჩემთვის ისინი არ იყვნენ ნორმალურები. ჩემი ოჯახი კი იყო! ჩვენ ცხვრის მატყლივით შეურყენელები ვიყავით, იქ, ქალაქში მყოფნი კი – უწმინდურები!

„რატომ არ ჰქონდათ გოგონებს სკოლაში სიარულის უფლება? იმიტომ, რომ სამყაროს შესახებ არაფერი უნდა სცოდნოდათ. სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი ჩვენი მშობლებისთვის. მხოლოდ მათი ნათქვამი უნდა შეგვესრულებინა. ცოდნა, კანონი, განათლება მხოლოდ მშობლებისგან მოდის. ამიტომ იყო სკოლის კარი ჩვენთვის დაკეტილი.“

გოგონები ავტობუსში არ უნდა ავიდნენ, არ ჩაიცვან განსხვავებული სამოსი, არც წერა-კითხვა უნდა ისწავლონ – გოგონების ეს ყველაფერი ზედმეტია! გოგონებს შორის ჩემი ძმა ერთადერთი ბიჭი იყო, რომელსაც ევროპულად ეცვა. ის თმის გასაკრეჭად დალაქთან დადიოდა; მიდიოდა სკოლაში, კინოში და შინიდან გასვლაც შეუზღუდავად შეეძლო. რატომ? იმიტომ, რომ პენისი ჰქონდა! მას ბედმა გაუღიმა და ორი ბიჭი შეეძინა. სინამდვილეში ბედმა მის ქალიშვილებს გაუღიმა, რომ არ დაიბადნენ!

„ასოციაცია „შურჯირ“ ჟაკლინთან ერთად გოგონების გადარჩენას ცდილობს. ეს მეტად რთული საქმეა. ჩვენ აქ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ, მე ვსაუბრობ, თქვენ კი მისმენთ. იქ კი ქალები იტანჯებიან! ასოციაციის თხოვნით ამიტომ მოგიყვით ღირსების დანაშაულის შესახებ, ყველაფერი ხომ ისევ გრძელდება!

„ღმერთის, ედმუნდ კაიზერისა და ჟაკლინის წყალობით სიკვდილს გადავურჩი და ცოცხალი ვარ. ასოციაციის მამაცი წევრები მუხლჩაუხრელად ეხმარებიან გოგონებს. მათი გამბედაობით აღფრთოვანებული ვარ. არ ვიცი, ამ ყველაფერს როგორ ახერხებენ. ლტოლვილებისა და ავადმყოფებისთვის საკვებისა და სამოსის მიწოდება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე მათი სამუშაო. თუნდაც თავაზიანად მოსაუბრე ქალს არ უნდა ენდო, ზურგს უკან დაგაბეზღებს, რადგან შენი დახმარების მიღება არ სურს. ჟაკლინი ქვეყანაში ჩადის და იქ ცხოვრობს, იძულებულია იქაურებივით მოიქცეს, მათსავით ჭამოს, იაროს და ისაუბროს. შეუმჩნეველი უნდა დარჩეს და დანარჩენებში გაითქვიფოს!

– გმადლობთ, ქალბატონო!“

დასაწყისში, მეტისმეტად ვღელავდი, არ ვიცოდი, როგორ მელაპარაკა, ახლა კი ჟაკლინი იძულებული იყო სიტყვა ჩამოერთმია!

აუდიტორიის პირისპირ საუბარი არ მიჭირდა. მაგრამ გარემოცვის, კოლეგების, გოგონების გამო რადიოში გამოსვლის მეშინოდა – ყველამ ყველაფერი არ იცოდა.

გოგონები დაახლოებით ათი და რვა წლისანი იყვნენ, სკოლაში მეგობრები ჰყავდათ და მსურდა, მათ დასმულ შეკითხვაზე გულწრფელი პასუხი გაეცათ.

„ოჰ, მაგარია, ძალიან მინდა შენთან ერთად წამოვიდე!“ ასეთი, ერთდროულად დამამშვიდებელი და შემამფოთებელი იყო ლეტიციას რეაქცია, როცა რადიოში ჩემი მიწვევის შესახებ გაიგო. „დედა რადიოში ილაპარაკებს, შესანიშნავია...“ მივხვდი, რომ გოგონებმა ვერ გაიგეს ამგვარი გამოსვლის მნიშვნელობა, მათ ხომ ნაწიბურების გარდა ჩემს ცხოვრებაზე ბევრი არაფერი იცოდნენ. შემფოთებით ვფიქრობდი იმ დღეზე, როცა ერთხელაც, წამოზრდილებისთვის, ყველაფერი დაწვრილებით უნდა მომეთხრო.

ამდენ ადამიანს პირველად ვუყვებოდი საკუთარ ცხოვრებას.

გოგონებმა რადიოგადაცემიდან გაიგეს ჩემი წარსულის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი. გადაცემის მოსმენის შემდეგ ლეტიციას რეაქცია ძალიან მწვავე იყო: „დედა, ახლავე ჩაიცვი, ჩემოდანი ჩაალაგე, აეროპორტში მივდივართ, შენს ქვეყანაში მივემგზავრებით და ყველას ისევე მოვექცევით, როგორც შენ მოგექცნენ. ყველას დავწვავთ! ასანთს ავიღებთ და ისევე წავუკიდებთ ცეცხლს, როგორც თავად გააკეთეს! ასეთს ვერ გიყურებ.“

ფსიქოლოგთან ექვსი თვე დადიოდა, მაგრამ ერთ დღეს მითხრა: „იცი, დედა, ჩემი ფსიქოლოგი შენ ხარ. ბედი მაქვს, რადგან შენთან ყველაფერზე საუბარი შემიძლია. ჩემს დასმულ ყველა შეკითხვას პასუხობ. ამიტომ აღარ მინდა იქ მისვლა“.

დამალება არ მსურდა. ექიმს დავურეკე და ყველაფერი შევაჯამეთ. მისი აზრით, კიდევ იყო რამდენიმე დამატებითი სეანსი საჭირო, მაგრამ ახლა ძალდატანება არ იყო სასურველი. „მაგრამ თუ შენიშნავთ, რომ თავს კარგად ვერ გრძნობს, გულახდილად საუბარი უჭირს, დეპრესიულია, ვისურვებდი ისევ მოგეყვანათ“.

ვშიშობ, ჩემი ამბავი გოგონებისთვის მომავალში მძიმე ტვირთი არ გახდეს. ისინი ჩემზე დარდობენ, მე კი – მათზე. ველოდები, როდის წამოიზრდებიან, რომ ყველაფერი ავუხსნა, რაც არ იციან: ჩემი წარსული ცხოვრების დეტალები, მამაკაცის, მარუანის მამის შეყვარება, რომლის ცოლობაზეც ვოცნებობდი. ამისა და კიდევ სხვა ფაქტის აღიარების მეშინია. არც ის მინდა, შესძულდეთ ჩემი სამშობლო, რომელიც სანახევროდ მათიცაა. მათ არაფერი იციან იქ არსებულ მდგომარეობაზე. როგორ არ უნდა სძულდეთ იმ ქვეყნის კაცები? ქვეყანა ლამაზია, მხოლოდ კაცები არიან სასტიკები. მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მცხოვრები ქალები კაცების მიერ დაწესებული კანონების გასაუქმებლად იბრძვიან. მაგრამ ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მამაკაცებს აქვთ.

დღეს ზოგიერთ ქვეყანაში ქალები ციხეში არიან. ეს მათი სიცოცხლის გადარჩენისა და უსაფრთხოების ერთადერთი საშუალებაა. მაგრამ ციხეც ვერ უზრუნველყოფს სრულ უსაფრთხოებას. კაცები კი, რომლებსაც ქალების მოკვლა სურთ, თავისუფლად დადიან. კანონი მათ არ სჯის ან სჯის ისეთი უმნიშვნელო ვადით, რომ მალე კვლავ თავისუფლად შეუძლიათ თავის მოკვეთა, დაწვა, შურისძიება ვითომდა ღირსების დასაცავად.

თუ სოფელში ან უბანში ვინმე მათ შეჩერებას შეეცდება, ასეთ ერთ ადამიანს, თუნდაც შამხანით შეიარაღებულს, წინ ათი შეიარაღებული ალუდგება, ათს – ასი!

თუ რომელიმე მოსამართლე ღირსების დასაცავად ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლებულს მკვლელად გამოაცხადებს, ქუჩაში ვეღარ გაივლის, სოფელში ვეღარ იცხოვრებს, შერცხვენილის სახელით ივლის, რადგან „გმირი“ დასაჯა.

მაინტერესებს, ჩემს სიძეს რა ბედი ეწია. თუნდაც რამდენიმე დღით დააპატიმრეს თუ არა? დედაჩემი პოლიციაზე, ჩემი ძმისა და სიძის მოსალოდნელ რაღაც პრობლემებზე მელაპარაკებოდა, თუ არ მოვკვდებოდი. ჩემს სანახავად რატომ არ მოვიდა პოლიციის თანამშრომელი? მსხვერპლი ხომ მე ვიყავი, მესამე ხარისხის დამწვრობით!

წლების წინ ჩემსავით შორიდან ჩამოსულ გოგონებს შევხვდი. მათ მაღავენ. ერთს ფეხები აღარ აქვს: ორი მეზობელი თავს დაესხა; მათ გაკოჭეს, ლიანდაგზე დააბეს და მატარებელმა ფეხებზე გადაუარა. მეორე ძმამ და მამამ დანით დასერეს და ნაგვის ურნაში ჩააგდეს. მესამე დედამ და ძმებმა ფანჯრიდან გადააგდეს და ამჟამად დამბლა აქვს.

კიდევ უამრავი გოგონაა, რომელთა შესახებ აღარავინ ლაპარაკობს, ისინი გარდაცვლილი იპოვეს. მათ საზღვარგარეთ გაქცევა მოახერხეს, თუმცა იქაც მიაგნეს და სასიკვდილო განაჩენი აღასრულეს.

არიან ისეთებიც, რომლებმაც დროზე დააღწიეს განსაცდელს თავი და იმალებიან შვილებთან ერთად ან მარტო. მათგან ზოგი გათხოვილია, ზოგი – გაუთხოვარი.

ჩემსავით დამწვარ ქალს არ შევხვედრივარ, ასეთი ცოცხლად გადარჩენილი სხვა არავინ არის. მე დღესაც ვიმალები, ვერ ვამხელ სახელს, არ შემიძლია სახის გამოჩენა. ვილაპარაკო – ეს არის ერთადერთი იარაღი, რაც შემრჩა.

ქაკლინი

დღესაც და მომავალშიც ჩემი ვალია ბევრი სხვა სუადი გადავარჩინო. ეს ხანგრძლივი, რთული, ჩახლართული საქმეა და, რა თქმა უნდა, დიდძალ თანხას მოითხოვს. ჩვენს ფონდს ეწოდება „შურჯირ“. ეს ფრანგული სიტყვა „მოულოდნელად გამოჩენას“ ნიშნავს და ჩვენც მოგვეთხოვება, სწორედ საჭირო დროს გამოვჩნდეთ და ქალები სიკვდილს გადავარჩინოთ. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ვმუშაობთ, იქნება ეს ავღანეთი, მაროკო თუ ჩადი – ყველგან, სადაც გადაუდებელი ჩარევაა საჭირო, ჩარევა, რომელიც წარმატებას ასე ნელა აღწევს! ყოველწლიურად ღირსების დასაცავად ექვსი ათასზე მეტი დანაშაული ხდება, მაგრამ ამ რიცხვის უკან კიდევ განზრახ მოწყობილი „თვითმკვლელობები“ და უბედური შემთხვევებია, რომლებსაც არავინ აღრიცხავს.

ქალებს რამდენიმე ქვეყანაში, სადაც მათ ჩივილი გაბედეს, მათივე უსაფრთხოებისთვის ციხეებში ათავსებენ. ზოგიერთი იქ თხუთმეტ წელიწადზე მეტს ატარებს! მხოლოდ მათი სიკვდილის მოსურნე მამას ან ძმას შეუძლია მათი ციხიდან გაყვანა. თუმცა, თუ მამას ქალიშვილის გათავისუფლება სურს, ციხის უფროსი მის თხოვნას, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებს! ვიცი რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ციხიდან გათავისუფლებული ქალები მოკლეს.

მაგალითად, იორდანიაში, მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების მსგავსად, არსებობს კანონი, რომელიც საერთო სამართლის დანაშაულად მიჩნეული მკვლელობისთვის პატიმრობას ითვალისწინებს. მაგრამ კანონში კიდევ ორი, 97-ე და 98-ე მუხლია, რომელთა მიხედვით, მოსამართლე შემწყნარებლურად უნდა მოეპყროს მკვლელს, თუ დანაშაული ღირსების დაცვის საბაზითაა ჩადენილი. განაჩენი ასეთ შემთხვევაში 6 თვიდან 2 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თუმცა გმირებად მიჩნეული მკვლელები ამ ვადასაც კი არ იხდიან ციხეში. ადვოკატთა ადგილობრივი ასოციაციები ამ ორი მუხლის გაუქმებისთვის იბრძვიან. სხვა მუხლები გააუქმეს, მაგრამ 97-ე და 98-ე არა.

მრავალი წელია, ადგილობრივ ქალთა ასოციაციებთან ერთად ვმუშაობთ. მათ თავიანთ ქვეყნებში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარების პროგრამები აამოქმედეს. მათი სამუშაო მეტად რთული და ხშირად სახიფათოა... მაგრამ მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება. ირანში ქალებმა საკმაო წარმატებას მიაღწიეს სამოქალაქო უფლებების მიღების კუთხით. ახლო აღმოსავლეთის ქალებმა გაიგეს, რომ მათ ქვეყნებში არსებობს კანონები, რომელიც მათ უფლებებს იცავს. ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტმა რამდენიმე კანონის სხვადასხვა მუხლი გააუქმა.

თანდათან მთავრობები უკვე აღიარებენ ასეთი დანაშაულის არსებობას. პაკისტანის სტატისტიკა ოფიციალურად არის მითითებული ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მოხსენებაში. ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებები მათთან მიყვანილი, მსგავსი დანაშაულის შედეგად დაზარალებული გოგონების შესახებ პოლიციაში აცხადებენ, ხოლო ადგილობრივი ასოციაციები ძალადობის ფაქტებს იძიებენ და ამ ჩვეულების ისტორიულ ფესვებს იკვლევენ.

არ აქვს მნიშვნელობა რომელ ქვეყანაზეა საუბარი – პაკისტანზე, სადაც ოფიციალური სტატისტიკით ყველაზე მეტი გოგონა იხოცება, ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებზე თუ თურქეთზე – უმთავრესი ამ ტრადიციებისგან გათავისუფლებაა, რომლებსაც საზოგადოება დღემდე ბრმად გადასცემს მომავალ თაობებს.

მეფე ჰუსეინმა და უფლისწულმა ჰასანმა ცოტა ხნის წინ ღიად დაგმეს ასეთი დანაშაულები და მათ „არა ღირსების, არამედ ღირსების შემლახავი“ უწოდეს. მრავალი იმამი და ქრისტიანი სასულიერო პირი დაუღალავად ქადაგებს, რომ ღირსების დანაშაული სრულიად უცხოა ყურანისა და სახარებისთვის.

არც გამბედაობა გვაკლია და არც სიჯიუტე. „შურჯირ“, ჩვეულებისამებრ, ყველა კარზე აკაკუნებს. დიდია იმის რისკი, რომ კარს ცხვირწინ მოგვიჯახუნებენ, მაგრამ ზოგჯერ ჩვენი ძალისხმევა ფუჭი სრულიადაც არ არის.

ჩემი ვაჟიშვილი

მარუანი ჩემი დედობილ-მამობილის ოჯახში „დავტოვე“ და მას შემდეგ ის პირველად მაშინ მოვინახულე, როცა ლეტიცია და ნადია ჯერ ისევ პატარები იყვნენ. ვნერვიულობდი, თუ როგორ შეხვდებოდა ჩემი ვაჟიშვილი თავის ორ

პატარა დას. ის უკვე ყმაწვილი იყო, მე მის გარეშე სხვა, ახალი ცხოვრება ავაწყვე, არ ვიცოდი, კიდევ ვახსოვდი თუ არა, ჩემზე გაბრაზებული იყო თუ საერთოდ არ ვაინტერესებდი. ყოველთვის, როცა ოჯახს ჩემი ვიზიტის შესახებ ტელეფონით ვაფრთხილებდი, მათ ამ ყველაფრის შესახებ ვესაუბრებოდი, მაგრამ ისინი მპასუხოვდნენ: „არა, პრობლემა არაფერია, მარუანი საქმის კურსშია, მოდი“.

თუმცა, ჩემი მისვლის დროისთვის ხშირად შინ არ იყო. მის ამბავს ვკითხულობდი და მეუბნებოდნენ, რომ კარგად იყო. ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ ვნახე მარუანი. ყოველი შეხვედრის შემდეგ თავს ცუდად ვგრძნობდი. შინ მისული ვტიროდი. ჩემი გოგონები ძმას ხვდებოდნენ და არც იცოდნენ, ვინ იყო, მან კი იცოდა. არც რაიმეს გამოხატავდა და არც არაფერს მოითხოვდა, ამიტომ მეც ვდუმდი. ეს შეხვედრები დამთრგუნველი იყო. მასთან საუბრის ძალა არ შემწევდა, ბოლო სტუმრობის შემდეგ ანტონიომ მითხრა: „ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ მათთან აღარ მიხვალ. სულ ტირი და დეპრესია გაქვს, ეს არაფერს ცვლის. მას თავისი ცხოვრება აქვს, მშობლები, ოჯახი, მეგობრები ჰყავს... დაე, მშვიდად იცხოვროს. ოდესმე დადგება დღე და თუ გკითხა, ყველაფერს აუხსნი“.

თავს ისევ დამნაშავედ ვგრძნობდი. წარსულის გახსენება აღარ მსურდა, თანაც ჩემი ვაჟის არსებობა მხოლოდ ჟაკლინმა და ჩემმა ქმარმა იცოდნენ. იყო კი ისევ ჩემი ვაჟი? არ მინდოდა ოჯახური დრამის მოწმე ვყოფილიყავი, ამას ნამდვილად ვერ გადავიტანდი.

მარუანი დაახლოებით თხუთმეტი წლის იყო, როცა უკანასკნელად ვნახე. ცოტა ხანს თავის დებს ეთამაშა კიდევ. ჩვენი საუბარი რამდენიმე ბანალური წინადადებით შემოიფარგლა: „გამარჯობა, როგორ ხარ?“ „კარგად, შენ?“

თითქმის ათი წელი გავიდა. ვფიქრობდი, რომ დავავიწყდი და უკვე მოზრდილი მამაკაცის ცხოვრებაში ჩემი ადგილი აღარ იყო. ვიცოდი, მუშაობდა და თავისი თანატოლების მსგავსად, მეგობარ გოგონასთან ერთად ცალკე, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა.

ლეტიცია თოთხმეტი წლის იყო, ნადია – თორმეტის. მათი აღზრდით ვიყავი დაკავებული და თავს ვარწმუნებდი, რომ ჩემი ვალი მოვიხადე. დეპრესიის წუთებში ეგოისტურად ვფიქრობდი, რომ ჩემი ახალი ცხოვრების დასაწყებად მისი დავიწყება უკეთესი იქნებოდა. მშურდა იმ ბედნიერი ადამიანების, რომლებსაც ბავშვობაში უბედურება არ გადაუტანიათ, საიდუმლო და ორმაგი ცხოვრება არ ჰქონიათ. ამიტომ მათ რომ დავმსგავსებოდი, მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი პირველი ცხოვრების დასამარებას. მაგრამ საკმარისი იყო კონფერენციებზე ჩემი წარსულის მოყოლა დამეწყო, რომ ამ ბედნიერების საფუძველი ცუდად აშენებული სახლის საძირკველივით ირყეოდა. ანტონიო და ჟაკლინი ამას კარგად ხედავდნენ. სუსტი ვიყავი, თუმცა ყველას თავს ძლიერ ქალად ვაჩვენებდი.

ერთ დღეს ჟაკლინმა მითხრა: „თუ შენი ცხოვრების შესახებ წიგნს დაწერ, ამით სხვა ქალებს დიდ სამსახურს გაუწევ.“

– წიგნს? მაგრამ მე ხომ წერა თითქმის არ ვიცი...

– ლაპარაკი ხომ შეგიძლია...“

არ ვიცოდი, რომ წიგნის „მოყოლაც“ შეიძლება. წიგნი ძალიან მნიშვნელოვანი რამაა... სამწუხაროდ, მე მკითხველი არ ვარ. ჩემი გოგონები და ანტონიო წიგნებს კითხულობენ, მე კი დილის გაზეთი მირჩევენია. ჩემ შესახებ წიგნის შექმნის იდეამ დიდად მომხიბლა, რამდენიმე თვე მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი. გოგონები იზრდებოდნენ, დადგებოდა დღე და მათთვის უფრო მეტი უნდა მომეყოლა. თუ ყველაფერს წიგნში წაიკითხავდნენ, ჩემთვის მტანჯველ პირისპირ საუბარს ავიცილებდი.

მათ მხოლოდ ის მცირედი იცოდნენ, რაც ჩემი ფიზიკური იერის ასახსნელად იყო საჭირო. მაგრამ ადრე თუ გვიან ყველაფრის მოყოლას მომთხოვდნენ და მათი მოსალოდნელი კითხვები თავში ხანჯლის ჩარტყმას უდრიდა.

ჩემი მეხსიერების წიაღში ქექვა დანარჩენი ამბების გასახსენებლად აღარ შემეძლო. თუ რაიმეს დავიწყება ძალიან გინდა, აუცილებლად დაივიწყებ. ფსიქიატრმა ამიხსნა, რომ გადატანილი შოკისა და მოუვლელობით გამოწვეული ტანჯვის გამო ეს ნორმალური მოვლენა იყო. მაგრამ ყველაზე მძიმე პრობლემას მარუანი წარმოადგენდა. დამცავი ტყუილით დიდხანს ვიცხოვრე. და ცუდად ვცხოვრობდი.

წიგნის გამოცემაზე დათანხმება იმას ნიშნავდა, რომ მარუანის შესახებაც უნდა მომეყოლა. მქონდა კი ამის უფლება? უარი ვთქვი. შემეშინდა. ჩემი და მისი უსაფრთხოება რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა. წიგნი მთელ მსოფლიოში, ყველგან გავრცელდება. ოჯახმა რომ მიპოვოს? მარუანს რომ რამე დაუშავონ? მათ ეს ნამდვილად შეუძლიათ. მეორე მხრივ, ძალიან მინდოდა ეს წიგნი გამოსულიყო. ღამით არ მეძინა, თვალეგახეილილი ვიწექი და შურისძიებაზე ვფიქრობდი. ვხედავდი, თითქოს სამშობლოში დავბრუნდი, მალულად, კარგად დაცული და ჩემს ძმას შევხვდი.

სახლის წინ ვიდექი და ვეუბნებოდი: „გახსოვარ, ასად? ცოცხალი ვარ! კარგად დააკვირდი ამ ნაწიბურებს. შენმა სიძემ, ჰუსეინმა ცეცხლი წამიკიდა, მაგრამ ახლა აქ ვარ!“

„გახსოვს ჩემი და ჰანანი? რა უქენი? მისი სხეული ძაღლებს მიუგდე? შენი ცოლი კარგად არის? რატომ დამწვეს იმ დღეს, როცა მან ვაჟები გააჩინა? მე ფეხმძიმედ ვიყავი, ჩემი შვილიც უნდა დამწვარიყო? ამიხსენი, შენ, ჩემმა ერთადერთმა ღვიძლმა ძმამ, რატომ არაფერი გააკეთე ჩემს დასახმარებლად?“

„ეს ჩემი ვაჟი, მარუანია! შვიდთვიანი დაიბადა ქალაქის სამშობიაროში. მაგრამ მაღალი, ლამაზი და ცოცხალია! შეხედე!“

„ჰუსეინი როგორ არის? დაბერდა თუ მოკვდა? იმედი მაქვს, რომ ცოცხალია, მაგრამ დაბრმავებული ან დამბლადაცემულია და არ შეუძლია ცოცხალი დამინახოს! ვიმედოვნებ, ისევე იტანჯება, როგორც მე დავიტანჯე.“

„მამაჩემი და დედაჩემი სადღაა? დაიხოცნენ? თქვი, სად დაასაფლავე, რომ მათ საფლავებთან მივიდე და დავწყევლო!“

შურისძიების ამ სურათს ხშირად ვხედავ. ასეთ დროს სხვებივით მოძალადე ვხდები. მსურს, მათსავით მკვლეელი გავხდე! ყველას სჯერა, რომ მოკვდი, მე კი ისე მინდა ნახონ, რომ ცოცხალი ვარ!

ერთი წლის განმავლობაში წიგნის გამოცემაზე უარყოფითი აზრის ვიყავი, თუ ის შეიქმნებოდა, მასში მარუანის შესახებ არაფერი იქნებოდა ნათქვამი. ჟაკლინი პატივს სცემდა ჩემს გადაწყვეტილებას, თუმცა გული დასწყდა.

არ მსურდა ისეთი წიგნი, რომელშიც მხოლოდ ჩემი ამბავი იქნებოდა, მარუანისას კი არ მოყვებოდა. გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი; ჩემს ბიჭთან პირისპირ შეხვედრა და საუბარი მჭირდებოდა. ცხოვრება გრძელდებოდა, მე კი ისევ ვყოყმანობდი: „დათანხმდი! არა, არ დათანხმდე!“ მარუანს როგორ გავაგებინო? მინდოდა, ამდენი წლის შემდეგ ერთ დღესაც დამერეკა და მეთქვა: „მარუან, შეგიძლია შემხვდე? სასაუბრო გვაქვს“.

რა ვუთხრა, ვინ ვარ? დედა? შეხვედრისას ხელი ჩამოვართვა? გადავკოცნო? თუ დამივიწყა? მას უფლება ჰქონდა დავევიწყებინე, თავად ხომ „დავივიწყე“.

ერთხელ ჟაკლინმა ისეთ რამეზე დამაფიქრა, რამაც კიდევ უფრო შემაშინა: „როგორ ფიქრობ, რა მოხდება მარუანი თავის ერთ-ერთ დას რომ შეხვდეს და მან არც კი იცის, მისი ძმა თუა. რომ შეუყვარდეს და სახლში მოგიყვანოს გასაცნობად? მაშინ რას იზამ?“

ასეთი რამ თავშიც არ გამივლია. ჩვენ ოცი კილომეტრი გვაშორებდა. ლეტიცია მალე თოთხმეტი წლის გახდება და შეყვარებულობის დროც დადგება... მერე ნადიაც წამოიზრდება... ოცი კილომეტრი ძალზე ცოტაა. დედამიწა ხომ პატარაა! ამგვარი შესაძლო, თუმცა ბუნდოვანი საფრთხის მიუხედავად, გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი. ასე გავიდა ერთი წელი.

ბოლოს ყველაფერი თავისით მოგვარდა. მარუანმა შინ დამირეკა. სამსახურში ვიყავი და ყურმილი ნადიამ აიღო. მარუანმა უთხრა: „დედაშენს ვიცნობ, ჩვენ აქ ერთი ოჯახი გვზრდიდა. შეგიძლია გადასცე, დამირეკოს?“

როცა შინ დავბრუნდი, ნადიამ ვერსად იპოვა ფურცელი, რომელზედაც ნომერი ჩაიწერა. ნადია მას ყველგან ეძებდა, მე კი ვნერვიულობდი. თითქოს ასეთი ბედისწერა იყო: ჩვენ ერთმანეთს არ უნდა შევხვედროდით. არ ვიცოდი სად ცხოვრობდა ან სად მუშაობდა. მამობილთან დარეკვა და მისი ნომრის გაგება შემემძლო, მაგრამ ვერ გავბედე. ვაღიარებ, რომ მხდალივით მოვიქეცი და ამის მრცხვენია. სარკეში საკუთარი თავისთვის თვალის გასწორებაზე ადვილი ყველაფრის ბედისწერისთვის მინდობა იყო. ერთ ხუთშაბათ დღეს მარუანმა დარეკა. და მითხრა: „უნდა გელაპარაკო“. შეხვედრა მეორე დღის შუადღისთვის დავთქვით. ჩემს ვაჟს პირისპირ უნდა შევხვედროდი და არ ვიცოდი, რა მელოდა. ვფიქრობდი, რომ მკითხავდა: „რატომ მიშვილეს ხუთი წლის ასაკში? შენთან რატომ არ დავრჩი?... ამიხსენი.“

შეხვედრაზე ლამაზი მინდოდა ვყოფილიყავი. ვარცხნილობა და მაკიაჟი გავიკეთე, სადად ჩავიცვი – ჯინსი, სპორტული ფეხსაცმელი და წითელი, გრძელსახელოებიანი და მაღალყელიანი პერანგი. ზუსტად შუადღეზე, ქალაქის რესტორნის წინ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს.

ქუჩა ვიწროა. ის ქალაქის ცენტრიდან მოდის, მე – სადგურის მხრიდან. ერთმანეთს ვერ ავცდებით. მას ათასობით ადამიანში ვიცნობ. შორიდან ვხედავ, მწვანე სპორტული ჩანთა უჭირავს. მოზარდი მახსოვდა, ახლა კი მამაკაცი მიღიმის. ფეხზე

ძლივს ვდგავარ, ხელები მიკანკალებს და გული ისე მიცემს, თითქოს ჩემი ცხოვრების მამაკაცს ვხვდები. ეს სიყვარულის შეხვედრაა. მაღალია და ძალიან იხრება, რომ ისე ბუნებრივად გადამკოცნოს, თითქოს გუშინ დავშორდით. მეც ვკოცნი.

„კარგია, რომ დამირეკე.“

– თხუთმეტი დღის წინ დაგირეკე, შენ არ შემეხმინანე და მაშინ ვიფიქრე: ალბათ, ჩემი ნახვა არ უნდა-მეთქი“.

ვუყვები, როგორ დაკარგა ნადიამ მისი ნომერი.

„გუშინ რომ არ დამერეკა, შენ თუ დამირეკავდი?“

– არ ვიცი, ალბათ, არა. შენი მშობლების მერიდება... გავიგე, დედა გარდაიცვალა...

– ჰო, მამა ახლა სულ მარტო დარჩა, მაგრამ არა უშავს, კარგად არის... შენ...“

არ იცის, რა დამიძახოს. მამობილსა და დედობილს მუდამ „დედ-მამას“ ვეძახდით და ეს ნამდვილად არ აიოლებს მდგომარეობას. ვინ არის დედა?

მაშინ ვუბნები: „იცი, მარუან, შეგიძლია დედა დამიძახო, ან სუადი. პატარა ან დიდი, რაც გინდა ის დამიძახე. თუ ღმერთი ინებებს, ერთმანეთს სულ მალე გავიცნობთ.“

– კარგი, ვისაუზმობთ და ვისაუბრობთ“.

მაგიდასთან ვსხდებით და მარუანს თვალს არ ვაცილებ. მამას ჰგავს აღნაგობით, სწრაფი სიარულის მანერით, და მაინც, განსხვავებულია. თითქოს ცოტათი ჩემს ძმასაც ჰგავს... მაგრამ მშვიდია და რბილი ნაკვთები აქვს. ჩანს, რომ ცხოვრებას ისეთს იღებს, როგორც არის, არაფერს ართულებს, უბრალო და პირდაპირია.

„ამიხსენი, როგორ დაგწვეს.“

– არაფერი იცი, მარუან?

– არა, ამის შესახებ არასოდეს არავის არაფერი უთქვამს“.

ყველაფერს ვუყვები და ვატყობ, თანდათან როგორ ეცვლება მზერა. როცა სხეულზე მოკიდებული ცეცხლის შესახებ ვსაუბრობ, ასანთებად გამზადებულ სიგარეტს მაგიდაზე დებს.

„მე შენს მუცელში ვიყავი მაშინ?“

– ჰო, ჩემს მუცელში იყავი. სრულიად მარტომ ვიმშობიარე. არაფერი მიგრძნია დამწვრობების გამო. მხოლოდ შენი დანახვა შევძელი, ფეხებს შორის იწექი სულ პაწაწინა. მერე გაქრი. ჟაკლინმა გიპოვა და ჩემთან ერთად თვითმფრინავით წამოგიყვანა. ცხრა თვე საავადმყოფოში ვიცხოვრეთ. მერე დედასთან და მამასთან გადავედით.

– მაშ, ჩემ გამო დაგწვეს?

– არა, შენ გამო არა! ასე აღარასოდეს იფიქრო! საუბედუროდ, ჩემს ქვეყანაში ასეთი ჩვეულებაა. იქ კაცები ქმნიან კანონებს. დამნაშავე ჩემი ოჯახია, მშობლები, სიძე, შენ არაფერ შუაში ხარ!“

ნაწიბურებს, ყურებს, კისერს უყურებს, მერე მკლავზე ნაზად მადებს ხელს. ვხვდები, უკვე იცის, როგორია ჩემი სხეული, თუმცა ნახვას არ მთხოვს. თუ თხოვნის ერიდება?

„თუ გინდა გაჩვენებ...“

– არა, რასაც მომიყვები, ისიც გულს მტკენს, სხეულის ნახვა უფრო მეტად დამტანჯავს. როგორია მამაჩემი? მას ვგავარ?

– ჰო, განსაკუთრებით სახის ზედა ნაწილით... დიდ მანძილზე მოსიარულე არ მინახავხარ, მაგრამ მასავით გამართულად და ამაყად გიჭირავს თავი. კიდევ კეფით, პირით და ხელებით, განსაკუთრებით ხელებით ჰგავხარ. იგივე ხელები გაქვს, ფრჩხილის წვერებამდე... მაღალი, შენსავით სპორტული აღნაგობის, ლამაზი იყო. მხრებზე შეგხედე და ასე მეგონა, მამაშენს ვხედავდი.

– ასე გულთბილად იმიტომ ლაპარაკობ მასზე, რომ მაინც გიყვარდა?

– რა თქმა უნდა, მიყვარდა. ცოლად შერთვას შემპირდა... მერე კი, როცა გაიგო, ფეხმძიმედ ვიყავი, აღარ დაბრუნებულა...

– ასე შენი მიტოვება საძაგლობაა! მაინც მგონია, რომ ჩემ გამო მოხდა...

– მარუან, არა. ასე აღარასოდეს იფიქრო. ეს იქაური კაცების გამო მოხდა. მერე, როცა ამ ქვეყანას უკეთ გაიცნობ, მიხვდები.

– ძალიან მინდა ერთხელ მაინც შევხვდე. ორივენი რომ ჩავიდეთ იქ, არ შეიძლება? ვითომ ისე ჩავედით, მერე კი შევხვდეთ... მინდა თვალებში ჩავხედო. როგორ ფიქრობ, იცის, რომ ვარსებობ?

– ეს თუ იცის, ძალიან გამიკვირდება. მე ხომ მას აღარასოდეს შევხვედრივარ... თანაც, იქ ახლა ომია... არა, უმჯობესია ერთმანეთი აღარასოდეს ვნახოთ.

– მართლა შვიდი თვის ფეხმძიმემ იმშობიარე?

– ჰო, ასე იყო. სხვების დაუხმარებლად გაჩნდი, მხოლოდ მცირე ხნით გიყურე, სულ პაწაწინა იყავი...

– რომელ საათზე დავიბადე?

– საათი? არ ვიცი... შემდეგ მითხრეს, რომ პირველი ოქტომბერი იყო. მაშინ ამის შესახებ არაფერი გამეგებოდა! ვერ გეტყვი, რომელი საათი იყო... მთავარი ის იყო, რომ ჯანმრთელი დაიბადე!

– დედ-მამასთან როცა მოდიოდი, რატომ არ მელაპარაკებოდი?

– დედობილ-მამობილის გამო ვერ ვხედავდი, მათ ხომ გიშვილეს. მათთვის გულის ტკენა არ მინდოდა. მათ გაგზარდეს და შენთვის არაფერი დაუშურებიათ.

– მახსოვხარ. ერთხელ ოთახში იოგურტს მაჭმევდი, ამ დროს ერთი კბილი მომძვრა და იოგურტში სისხლი დავინახე, მისი ჭამა აღარ მინდოდა, შენ კი მაძალებდი. აი, ეს მახსოვს.

– არ მახსენდება... მაშინ ყველა ბავშვს მე ვუვლიდი და დედა მეუბნებოდა, რომ შენთვის სხვებზე მეტი დრო არ უნდა დამეთმო... გარდა ამისა, საკვები ყველას უნდა ჰყოფნოდა, მომჭირნეობით მოვიხმარდით, ის ხომ ძვირი ღირდა.

– იცი, დაახლოებით თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლისა შენზე ძალიან ვბრაზობდი... და ვეჭვიანობდი.

– ვისზე ეჭვიანობდი?

– შენზე. მინდოდა, სულ ჩემთან ყოფილიყავი.

– ახლა? დღეს?

– შენი გაცნობა მინდა, უამრავი რამ მაინტერესებს...

– სხვა შვილები რომ მყავს, არ ეჭვიანობ?

– დების ყოლა შესანიშნავია... მათი გაცნობაც მინდა“.

საათს დახედა, ჩემი სამსახურში დაბრუნების დრო იყო.

„ცუდია, რომ მიდიხარ, ცუდი. კიდევ მინდა შენ გვერდით ყოფნა.

– ვიცი, მაგრამ უნდა დავბრუნდე. ხვალ ჩემთან სახლში ხომ არ მოხვალ?

– არა, ეს ჯერ ადრეა. მირჩევნია სახლის გარეთ, სადმე სხვაგან შევხვდეთ.

– მაშინ ხვალ სადამოს, შვიდ საათზე, ამავე ადგილზე გოგონებთან ერთად მოვალ“.

ბედნიერია. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ასე იოლად ჩაივლიდა. მეგონა გაშვილების გამო ვძულდი. მაგრამ ამის შესახებ სიტყვა არ დაუძრავს. მკოცნის, მეც ვკოცნი და ერთმანეთს ვემშვიდობებით: „ნახვამდის, ხვალამდე“.

ისევ სამსახურში ვბრუნდები, თავში ათასი აზრი მიტრიალებს. უზარმაზარი ტვირთისგან გავთავისუფლდი, ის კაეშანი, ამდენი წელი რომ მჭამდა და არ ვიმჩნევდი, გაქრა. ვწუხდი, ჩემთან მისი დატოვება რომ ვერ შევძელი. ერთ დღეს აუცილებლად ვთხოვ პატიებას, რადგან ახალი ცხოვრების დასაწყებად ის დავივიწყე. მაშინ ჩემს გონებაში მკვდარი ვიყავი, ვერ ვაზროვნებდი, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. ხელმოსაჭიდი არაფერი იყო, თითქოს ვტივტივებდი. ეს ყველაფერი უნდა ავუხსნა და ისიც ვუთხრა, რომ თუმცა მამამისმა ორივე მიგვატოვა, მე ეს კაცი მაინც მიყვარდა. ჩემი ბრალი არ არის, თუ ის სხვებივით ლაჩარი აღმოჩნდა. კიდევ უნდა გავუმხილო: „მარუან, მაშინ ისე მეშინოდა, რომ მუცელს ქვას ვურტყამდი...“ ამისთვის პატიება უნდა ვთხოვო. მეგონა, რომ წამოსული სისხლი მიხსნიდა, მე ხომ უვიცი ვიყავი. ჩემს გონებაში მხოლოდ შიში ბატონობდა! გამიგებს და მაპატიებს? შევძლებ კი ამ ყველაფრის ჩემი ვაჟისთვის თქმას? გოგონებს როგორ ვუთხრა? როგორ განმსჯიან ჩემი შვილები?

აღელვებული დაძინებას ვერ ვახერხებ. ისევ მახსენდება, ცეცხლმოკიდებული გიჟივით როგორ გავრბივარ.

ანტონიოს არ სურს ჩაერიოს, ესმის, მარტო ყოფნა მინდა, მაგრამ ხვდება, ცუდად რომ ვარ.

„გოგონებს უკვე ელაპარაკე?

– ჯერ არა. ხვალ... ერთად შევხვდებით მარუანს და ვისადილებთ, შემდეგ საუბრისთვის შესაფერის დროსაც გამოვინახავ. მაგრამ, ანტონიო, მეშინია...

– ყველაფერს შეძლებ. ახლა უკან ვეღარ დაიხევ“.

დილის სამ საათსა და ორმოცდაჩვიდმეტ წუთზე მობილურზე მარუანისგან მიღებული მესიჯი ვნახე: „მინდა გითხრა, რომ კარგად ვარ. გკოცნი. ხვალამდე, დედა“.

ავტირდი.

სახლის შენება

შვილებთან მარტო რომ დავეტოვებინე, ანტონიო საღამოს მეგობართან მიდის.

2002 წლის 16 ნოემბერია, შაბათი, საღამოს შვიდი საათი.

სადილზე მხიარულებაა, ყველაფერს გემრიელად ჭამენ და ყველაფერზე იცინიან. ჭორიკანა ლეტიცია არც ახლა იშლის და ენას არ აჩერებს. მარუანი მეგობარ გოგონასთან ერთადაა მოსული. გოგონებისთვის ის მხოლოდ ერთ-ერთი ბავშვია, დედობილ-მამობილის ოჯახიდან რომ ვიცნობ. ბედნიერები არიან, შაბათ საღამოს სახლის გარეთ, დედასთან და მის მეგობრებთან ერთად ატარებენ.

მართალია, ერთად არ გაზრდილან, მაგრამ ვგრძნობ, როგორ უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის. ასე მეგონა ეს შეხვედრა საშინელება იქნებოდა. ანტონიომ წასვლის წინ მითხრა: „დამირეკე, თუ ჩემი დახმარება დაგჭირდა, მაშინვე მოვალ“.

უცნაურია, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ, თითქმის აღარაფრის მეშინია. მხოლოდ ცოტათი მაწუხებს გოგონების ამბავი. მარუანი უფროსს აქეზებს: „აქ მოდი, ლეტიცია, ჩემ გვერდით დაჯექი“.

და ხუმრობით გულში მაგრად იკრავს. ლეტიცია ჩამჩურჩულებს: „რა საყვარელია, დედა!“

– მართალი ხარ, ასეა.

– და თან ძალიან ლამაზია!“

სამივეს სახის ნაკვეთებს ვაკვირდები. მარუანი უფრო ლეტიციას ჰგავს, განსაკუთრებით შუბლით. ზოგჯერ დაზე უფრო ფიქრიანი და ჩაკეტილი ნადიას იერიც აქვს. ლეტიცია გრძნობებს დაუფარავად გამოხატავს და ზოგჯერ მისი

რეაქცია მეტისმეტად იმპულსურია. ამით იტალიელ მამას ჰგავს. ნადია მათ თავისთვის ინახავს.

გამიგებენ თუ არა ჩემი გოგონები?.. ისე ვექცევი, თითქოს ორი-სამი წლის იყვნენ და ზოგჯერ მეტისმეტად ვიცავ. ლეტიციას ასაკში დედაჩემი გათხოვილი და უკვე ორსულადაც იყო...

ეს-ესაა მითხრა: „ძალიან ლამაზია!“

შეიძლებოდა ძმა შეჰყვარებოდა! ჩემს დუმილს გამოუსწორებელი შედეგების გამოწვევა შეუძლია. ახლა აშკარად მთვრალ კაცს დასცინიან. ის შორიდან იყურება ჩვენი მაგიდისკენ და მარუანს მიმართავს: „ბრიყვო! ბედი გქონია, ქალებთან ერთად ხარ! შენ – ოთხი და მე – არც ერთი!“

მარუანი ამაყია და თან შესამჩნევად გაღიზიანებული. ბუზღუნებს: „მივალ და ყბას მოვუნგრევ.“

– არა, იჯექი, გათხოვ!

– კარგი“.

რესტორნის მეპატრონე სხვების დაუხმარებლად ახერხებს აბეზარის გაყვანას და სადილიც ხუმრობითა და სიცილით მთავრდება.

მარუანს და მის მეგობარ გოგონას სადგურამდე მივაცილებთ. ის სოფელში ცხოვრობს და იქვე მუშაობს. ჩემი ვაჟი ბაღებისა და პარკების მოვლითაა დაკავებული. როგორც ჩანს, უყვარს თავისი პროფესია, რომლის შესახებ ცოტა სუფრასთანაც ისაუბრა. ლეტიციასა და ნადიას მომავალი პროფესია ჯერ არ აურჩევიათ. ნადია მოდის სფეროში მუშაობაზე საუბრობს, ლეტიციას ჩამოყალიბებული აზრი არ აქვს. სამივენი სადგურისკენ მიმავალ ქუჩაზე ერთად მიდიან, ჩემ წინ. შუაში მარუანი დგას, გოგონებს აქეთ-იქიდან ხელი აქვთ ჩაკიდებული. ეს მათ ცხოვრებაში პირველად ხდება, ძალდაუტანებლად. ჯერ არაფერი მითქვამს მათთვის, მარუანსაც შესაბამისად უჭირავს თავი, ისე იქცევა, როგორც საჭიროა. თავის ნახევარდებთან ისეთი ბუნებრივია, თითქოს ერთმანეთს ყოველთვის იცნობდნენ. ანტონიოსთან ქორწინებამდე და ჩემი შვილების დაბადებამდე ცხოვრებაში სიხარული იშვიათად განმიცდია. მარუანი ტანჯვითა და უმამოდ დაიბადა, გოგონები კი ბედნიერებაში, მათ მამა აღმერთებს. განსხვავებულია მათი ბედი, მაგრამ სიცილით ისე ჰგვანან ერთმანეთს, წარმოდგენაც კი არ შემემძლო. უცნაური გრძნობა მეუფლება. ვამაყობ ჩემი შვილებით. ამ საღამოს აღარაფერი მაკლია. ჩემს გონებში დარდი, კაემანი სიმშვიდემ შეცვალა.

სადგურის ბაქანზე ლეტიცია მეუბნება: „არასოდეს არავისთან მიგრძნია თავი ასე კარგად, როგორც მარუანთან“.

ნადია ამატებს: „მეც ასე ვარ...“

– მარუანთან და მის მეგობართან მიინდა დარჩენა, შემდეგ დილით ერთად ვისაუზმებთ, მატარებლით უკან დავბრუნდები!

– არა, შინ ვბრუნდებით, ლეტიცია, მამა გველოდება.

– დედა, მეტისმეტად საყვარელია, მართლა ძალიან მომწონს, კეთილი და თავაზიანია... მართლა რა ლამაზია, დედა!“

ახლა ნადიას რიგია: „დედა, კიდევ როდის ვნახავთ მარუანს?“

– შესაძლოა ხვალ ან ზეგ. აი ნახავ, დედა ყველაფერს კარგად მოაგვარებს.

– რას ამბობს, ნადია?

– დედას ვკითხე, მარუანს კიდევ როდის შევხვდებოდით და მითხრა, რომ ეს ხვალ მოხდება, ასე არ არის, დედა? ხომ თანახმა ხარ?

– მენდეთ, ყველაფერს მოვაგვარებ...“

მატარებელი გადის, სადგურის საათზე ნაშუადღევის პირველი საათი და ორმოცდარვა წუთია. გოგონები ბაქანზე გარბიან და კოცნას უგზავნიან. ეს წუთი არასოდეს დამავიწყდება. საათებს ევროპაში მივეჩვიე, წამდაუწუმ მათზე დახედვა მანიადაც კი მექცა. მეხსიერება ხშირად მღალატობს, როცა წარსულის რომელიმე ამბავი მინდა გავიხსენო. ამის სანაცვლოდ, ჩემთვის მნიშვნელოვან ამჟამინდელ მოვლენას ყოველთვის ზუსტად „ვინიშნავ“ გონებაში. უცნაურია, მარუანს აინტერესებდა, რომელ საათზე დაიბადა... მასაც სჭირდება ორიენტირი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან მიჭირს. ღამით არ მეძინებოდა და სწორედ ამაზე ვფიქრობდი. მხოლოდ ის გავიხსენე, რომ ღამე იყო. იმ დაწყვეტილი საავადმყოფოს დერეფანში ელექტრონათურები ენთო, როცა ექიმი შემოვიდა და ჩემი შვილი წაიყვანა. საათის მითითება... ეს ევროპელის რეფლექსია, ჩვენს ქვეყანაში ხომ საათი მხოლოდ კაცებს აქვთ. **20** წელი მხოლოდ მზე და მთვარე იყო ჩემი დროის ორიენტირი. მარუანსაც ვეტყვი, რომ მთვარის ნათების დროს დაიბადა.

შინ დაბრუნებული მესიჯს ვუგზავნი, მაინტერესებს, როგორ იმგზავრეს. პასუხად მწერს: „კარგად, გმადლობ, ღამე მშვიდობისა, ხვალამდე...“.

გვიანია, გოგონები დასაძინებლად მიდიან, ანტონიოს ჯერ არ სძინავს.

„როგორ ჩაიარა საღამომ, ძვირფასო?“

– უნაკლოდ.

– გოგონებს უკვე ესაუბრე?

– ჯერ არა. მათთან სალაპარაკოდ მზად ხვალ ვიქნები. გადადების მიზეზი არ მაქვს, ერთმანეთი დანახვისთანავე მოეწონათ. ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია, თითქოს ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ.

– მარუანს არაფერი უთქვამს? რაიმე მიანიშნა?

– არაფერი, არაჩვეულებრივად მოიქცა. უცნაურია, ლეტიციას მაშინვე რომ მოეწონა და ნადიასაც. ღამის კისერზე ეკიდნენ. ასე ახლოს მეგობრებთანაც კი არ არიან. მათთანაც კი არასოდეს მოქცეულან ამგვარად...

– ძალიან ნერვიულობ...“

არ ვნერვიულობ, ცნობისმოყვარე ვარ. შეიძლება და-ძმამ ერთმანეთი ასე იცნოს? ქვეცნობიერად რა ხდება მათ შორის? არსებობს თუ არა ისეთი სიგნალი, რომელიც მათ გაუცნობიერებლად ერთმანეთთან აკავშირებს? ერთდროულად ყველაფერსაც ველოდი და არაფერსაც, მაგრამ ასეთ ინსტინქტურ სიყვარულს – ნამდვილად არა.

„საუბარი ერთი-ორი დღით რომ გადადო...“

– არა. ხვალ კვირაა, ოფისის კაფეში წავალთ, სადაც არავინ იქნება და ორივეს მშვიდად გავესაუბრები. ვნახოთ, ღმერთი რას ინებებს, ანტონიო“.

გოგონების შემდეგ ჩემი გარემოცვის, მეზობლების, განსაკუთრებით კი, კოლეგების რიგი მოვა. ოფისში უკვე მრავალი წელია ვმუშაობ, მიღებებს ვაწყობ, იქ თავს შინაურულად ვგრძნობ და უფროსების მეგობრობაც ბევრს ნიშნავს ჩემთვის... ათი წლის შემდეგ როგორ წარვუდგინო მათ მარუანი?

გოგონებთან აუცილებლად მარტო უნდა ვიყო. მათ უნდა განსაჯონ დედა ოცწლიანი სიცრუისთვის და აგრეთვე ქალი, რომელსაც აქამდე არ იცნობდნენ – მარუანის დედა, რომელიც მას ამდენი წელი მალავდა. ის, ვისაც ისინი უყვარს და იცავს. ქალიშვილებისთვის ხშირად მითქვამს, რომ მათი დაბადება ჩემი ცხოვრების ბედნიერება იყო. თუმცა როგორ მიიღებენ იმ ფაქტს, რომ მარუანისთვის მსგავსი რამ არასოდეს მითქვამს, რადგან მისი დაბადება ჩემთვის კომმარა იყო?

დილას ცხრა საათზე ჩვეულებისამებრ ვდგებით: „დედა, ყავა მოგიმზადო?

– სიამოვნებით“.

ეს დილის რიტუალია, ჩემი პასუხი ყოველთვის არის „სიამოვნებით“.

ურთიერთპატივისცემასა და ზრდილობას შეუვალად მოვითხოვ. ზოგიერთი აქაური ბავშვი ცუდად არის აღზრდილი. სკოლაში ერთმანეთთან ურთიერთობისას ვულგარულ ენას ითვისებენ და ანტონიოსთან ერთად ამას სასტიკად ვებრძვი. ლეტიციას მამამისმა უზრდელური პასუხისთვის შენიშვნა მისცა. მე, მონურის გარდა, სხვანაირი აღზრდა არ მაქვს მიღებული.

ლეტიციამ ყავა და ერთი ჭიქა თბილი წყალი მომიტანა. ის და მისი დაც ხშირად მკოცნიან. ყოველდღიურად მაოცებს გოგონებისა და მათი მამის სიყვარული, თითქოს არ დამიმსახურებია. ახლა რაც უნდა გავაკეთო, ისეთივე რთულია ჩემთვის, როგორც მარუანთან პირისპირ შეხვედრა იყო, მაგრამ უკვე სხვა მიზეზით.

„ძალიან მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ.

– მიდი, დედა, თქვი, გისმენთ.

– არა, აქ არა, ჩემი ოფისის კაფეში უნდა წავიდეთ.

– დღეს ხომ არ მუშაობ! იცი, კიდევ ერთხელ დავფიქრდი გუშინდელ საღამოზე. ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო. მარუანს ხომ არ დაურეკავს?

– გუშინ გვიან დავიშალეთ, ალბათ, ჯერ კიდევ სძინავს“.

მარუანი მათი ძმა რომ არ იყოს, შევშფოთდებოდი. გოგონები ერთმანეთს ესაუბრებიან და სრულიადაც არ ანაღვლებთ კვირა დღით ოფისის კაფეში წასვლის უჩვეულობა. ეს მე მომდის უცნაური აზრები. ისინი დედასთან ერთად მიდიან. დედა ოფისში რაღაც საქმის გამო მიდის, მერე... მათთვის არა აქვს მნიშვნელობა, რა მოხდება, მენდობიან.

„გუშინ არაჩვეულებრივი საღამო გავატარეთ.

– ოჰ, სულ ეს იყო, რისი თქმაც გინდოდა?

– მოითმინეთ, ჯერ ერთს ვიტყვი, შემდეგ დანარჩენს... მაშ, გუშინ მარუანთან ერთად შესანიშნავი საღამო გავატარეთ. მარუანზე რას ფიქრობთ?

– ის თავაზიანი ბიჭია, რომელიც შენს დედობილ-მამობილთან ცხოვრობდა. მან თავად თქვა...

– გარდა ამისა, ლამაზი და მიმზიდველია.

– მისი სილამაზე და თავაზიანობა გიზიდავთ?

– ყველაფერი, დედა, ძალიან საყვარელია.

– მართლაც საყვარელია... თუ გახსოვთ, ადრე გითხარით, რომ როცა დამწვეს, ფეხმძიმედ ვიყავი.

– ჰო, გვითხარი....

– თქვენი აზრით, ის ბავშვი ახლა სად უნდა იყოს?“

გაკვირვებული სახეებით თვალეში მიყურებენ.

„ის ხომ იქ, შენს ქვეყანაში დარჩა! შენს ოჯახში!

– არა. ვერ ხვდებით, სად შეიძლება იყოს? ლეტიცია, არავის შეხვედრიხარ, ვინც გგავს? ან შენ, ნადია? ან ჩემნაირი ხმა და სიარულის მანერა აქვს...

– არა, დედა, გარწმუნებ, რომ არა.

– არც მე, დედა“.

ნადია იმით კმაყოფილდება, რომ ყოველთვის უფროსი დის, ლეტიციას ნათქვამს იმეორებს – ის ხომ ორივე დის სახელით საუბრობს ხოლმე. მაგრამ წინა საღამოს მცირე ექვიანობა შევნიშნე, რადგან მარუანი ლეტიციასთან ერთად უფრო მეტს იცინოდა და ნადიას ნაკლებ დროს უთმობდა. ნადია ყურადღებით მისმენს და თვალს არ მაშორებს.

„ნადია, დარწმუნებული ხარ, რომ ასეთს არც შენ იცნობ არავის?

– ჰო, დედა, დარწმუნებული ვარ.

– ლეტიცია, უფროსი ხარ, იქნებ გაიხსენო? შენ მას ჩემს დედობილ-მამობილთან შეხვედრიხარ...

– ნამდვილად არავინ მახსენდება, დედა.

– მაშინ მე გეტყვით: ეს მარუანია!..

– ოჰ, ღმერთო ჩემო, მარუანია, ვისთან ერთადაც გუშინ საღამოს ვიყავით!“

ორივე ცრემლად იღვრება.

„დედა, ესე იგი ის ჩვენი ძმია! შენს მუცელში იყო!

– დიახ, ის თქვენი ძმია, ჩემს მუცელში იყო და სრულიად მარტომ ვიმშობიარე. მაგრამ ჩემს ქვეყანაში არ დავტოვე, თან წამოვიყვანე“.

შემდეგ ყველაზე ძნელს მივადექი. უნდა ავუხსნა, რატომ გავაშვილე. სიფრთხილით ვარჩევ და ვწონი თითოეულ სიტყვას, რომელიც ფსიქიატრისგან გამიგონია: „საკუთარი თავის ხელახლა შექმნა...“, „საკუთარი თავის ისეთად მიღება, როგორიც ხარ...“, „კვლავ ქალად ქცევა...“, „ხელახალი დედობა...“

„დედა, და ამ საიდუმლოს ოცი წელი ატარებდი! უფრო ადრე რატომ არ გაგვიმხილე?

– ჯერ ძალიან პატარები იყავით და არ ვიცოდი, როგორ მოიქცეოდით. მაშინ მინდოდა მეთქვა, როდესაც წამოიზრდებოდით... ჩემს ნაწიბურებზეც ხომ ასე მოგიყვით, ცეცხლზეც. ეს სახლის შენებას ჰგავს: ერთ აგურს მეორე უნდა დაადო. თუ პირველი აგური ცუდად დევს, მაშინ რა მოხდება? აგური გადმოვარდება. ძვირფასო, აქაც იგივე ხდება. მე ჩემი სახლის აშენება მსურდა, ვფიქრობდი, რომ დროთა განმავლობაში ის საკმარისად მყარი და დიდი იქნებოდა, მასში მარუანისთვისაც გამოინახებოდა ადგილი. თუ არა და, ჩემი სახლი დაინგრეოდა და ვედარაფერს გამოვასწორებდი. ახლა სახლი აშენებულია. თქვენ გადაწყვიტეთ, როგორ მოვიქცეთ.

– დედა, ის ჩვენი ძმია. უთხარი, საცხოვრებლად ჩვენთან გადმოვიდეს. ნადია, გესმის, უფროსი ძმა გვყავს! ყოველთვის მინდოდა უფროსი ძმა მყოლოდა, ჩემს მეგობარს ჰყავს და მეც მინდოდა, და მართლაც მყავს, ეს მარუანია! ნადია, შენ რას იტყვი?

– ჩემს კარადას გავათავისუფლებ და საწოლსაც დავუთმობ!“

და ამას ნადია ამბობს, რომელიც საღებავ რეზინსაც კი არავის აძლევს! მართალია, ძალიან კეთილია, მაგრამ უჭირს საკუთარი ნივთების დათმობა. თავისი ძმისთვის კი ყველაფრისთვის მზადაა!

მართლაც სასწაულია: ძმა, რომელიც უეცრად, არსაიდან გამოჩნდა! და ისიც მზადაა, ძმას ყველაფერი მისცეს.

ასე დაიწყო სახლში ცხოვრება უფროსმა ძმამ. ისე იოლად, რომ კარადის დაცლა და საწოლის დათმობა საკმარისი აღმოჩნდა. მალე უფრო დიდ სახლში გადავალთ და იქ მას საკუთარი ოთახი ექნება. ბედნიერი ვარ. ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრებიან, ერთმანეთს ხვდებიან და თუ საჭიროა, ელოდებიან და ასე მგონია, რომ მალე ერთმანეთში ჩხუბსაც დაიწყებენ. მაგრამ მარუანი უფროსია და ის

მაშინვე დებზე ზედამხედველობას საკუთარ თავზე იღებს: „ლეტიცია, დედას ასეთი სიტყვებით ნუ ეპასუხები! ტელევიზორისთვის ხმის დაწევა გთხოვა და შენც დაუწიე! ბედი გაქვს, მშობლები რომ გყავს, პატივი ეცი მათ!“

- კარგი, კარგი, უკაცრავად, გპირდები, ასე აღარ მოვიქცევი, გპირდები...
- აქ თქვენთან საკამათოდ არ მოვსულვარ, მაგრამ დედაც და მამაც მუშაობენ. დედას რატომ უმატებ შინ საქმეს, ეს ოთახი რატომ არის ასე არეული?
- სკოლაში ბევრ დავალებას გვაძლევენ, ჩვენამდე შენც სწავლობდი! ხომ იცი ყველაფერი!
- მართალია, ასე ხდება, მაგრამ მაინც არ არის კარგი, დედას და მამას ასე მოექცეთ“.

ერთხელ მარუანმა მკითხა: „დედა, ანტონიო რას ფიქრობს? გოგონებს როცა ვეკამათები, ეს ხომ არ აღიზიანებს?“

- ანტონიო კმაყოფილია იმით, რასაც აკეთებ.
- იმის მეშინია, რომ ერთ დღესაც მეტყვის: „შენს საქმეს მიხედუ, ესენი ჩემი ქალიშვილები არიან...“

მაგრამ ანტონიო ასე არ მოქცეულა. ეს მისი მხრიდან ჭკვიანური იყო. მეტიც, ძალიან კმაყოფილია, საკუთარი ავტორიტეტის ნაწილი სხვას რომ დაუთმო. გოგონები ძმას უფრო მეტად უჯერებენ, ვიდრე მას ან მე... ჩვენთან კამათობენ, თავს უფლებას აძლევენ კარი გაიჯახუნონ, მასთან – არასოდეს. ხშირად ვფიქრობ: „ნეტავ ასე დიდხანს გაგრძელდეს...“

თუმცა ზოგჯერ მდგომარეობა იძაბება. ლეტიცია ჩემს საწოლს აფარებს თავს: „ნერვებს მიშლის!“

- ის, მამაშენივით, მართალია. უხეშად უპასუხე...
- რატომ ამბობს, რომ თუ არ დავუჯერებთ, სახლიდან წავა? რომ აქ ჩვენთან საკამათოდ არ მოსულა?
- ეს ნორმალურია. მარუანი ხომ შენსავით იღბლიანი არ ყოფილა, მან ისეთი რთული პერიოდები გადაიტანა, რომელთა შესახებ თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ. მშობლების ყოლა მისთვის მნიშვნელოვანია. დედა, რომელიც გვერდით ყოველთვის არ გყოლია, უფრო მეტად ძვირფასი ხდება შენთვის, ხვდები?“

როგორ მინდა გავთავისუფლდე დანაშაულის ამ გრძნობისგან, რომელიც დროდადრო ისევ იჩენს თავს... როგორ მინდა კანის შეცვლა... მარუანს ვუთხარი, რომ ჩვენი ცხოვრების წიგნში აღწერა გადავწყვიტე, თუ, რა თქმა უნდა, ის თანახმაა.

„ეს ჩვენი საოჯახო ფოტოალბომივით იქნება. და კიდევ, ღირსების დანაშაულის შესახებ მოწმის ჩვენებაც.“

- ერთ დღესაც იქ აუცილებლად წავალ.

– რისთვის? შურის საძიებლად? სისხლის დასადვრელად? იქ დაიბადე, თუმცა არაფერი იცი იმ ქვეყნის მამაკაცების შესახებ. ზოგჯერ ამაზე მეც ვოცნებობ, მეც შურისძიება მწყურია, ასე მგონია, თავს უკეთ ვიგრძნობ, თუ ჩემს სოფელში შენთან ერთად ჩავალ და მთელი ხმით ვიყვირებ: ყველამ შეხედეთ! ეს მარუანია, ჩემი ვაჟიშვილი! ჩვენ დავიწვით, მაგრამ არ მოვმკვდარვართ! შეხედეთ, რა ლამაზი, ძლიერი და ჭკვიანია.

– მამაჩემის ნახვა მინდა! მინდა გავიგო, რატომ მიგატოვა, მან ხომ იცოდა, რაც გელოდა...

– შეიძლება იცოდა. მაგრამ ყველაფერს უკეთ წიგნიდან გაიგებ. იქ მრავალ ისეთ რამეს ამოიკითხავ, რაც ჯერ არც შენ იცი და არც ბევრმა სხვა ადამიანმა. იმიტომ, რომ გადარჩენილი ქალების რიცხვი ძალიან მცირეა. ისინი დღემდე იმალებიან და კიდევ დიდხანს ასე მოუწევთ ცხოვრება. მათ შიშში იცხოვრეს და ისევ შიშში ცხოვრობენ. მე უნდა მოვყვე ყველაფერს მათი სახელითაც.

– გეშინია?

– ცოტათი“.

ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ ჩემმა შვილებმა, განსაკუთრებით კი მარუანმა, შურისძიების გრძნობით არ იცხოვრონ. არ მინდა მამაკაცების თაობიდან თაობაზე გადაცემულმა ძალადობამ, თუნდაც უმცირესმა, მარუანის გონებაში დაიბუდოს. მანაც აგურ-აგურ უნდა ააშენოს საკუთარი სახლი. წიგნის წერაც სახლის აშენებას ჰგავს.

ჩემი ვაჟისგან მომრგვალებული, ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი ბარათი მივიღე. მას ამ რთული საქმის წამოწყებამდე ჩემი გამხნევება სურდა. ამ ბარათმა კიდევ ერთხელ ამატირა.

დედა

„უშენოდ მრავალი წელი გავატარე. ახლა, როცა ისევ შეგხვდი, ყველაფრის მიუხედავად, რაც მოხდა, ახალი ცხოვრების დაწყების იმედი გამიჩნდა. შენზე, შენს სიმამაცეზე ვფიქრობ. გმადლობ, რომ ჩვენ შესახებ წიგნს დაწერ. ამ ცხოვრებისთვის საჭირო გამბედაობას ეს წიგნი შემმატებს. მიყვარხარ, დედა.

შენი ვაჟიშვილი, მარუანი“

დიდი ძალისხმევა დამჭირდა, მეხსიერების კუნჭულებში ყველაზე ღრმად მიმალული ამბები რომ გამეხსენებინა და ჩემი ცხოვრება მომეყოლა. ეს ბევრად უფრო საზარელი იყო, ვიდრე საჯაროდ გამოსვლა, შვილების შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ვიმედოვნებ, წიგნი მთელ მსოფლიოში გავრცელდება, ერთ დღეს ჩემს სამშობლოშიც ჩააღწევს და იქ მამაკაცები ქალებს აღარ დაწვავენ.

ჩვენს სახლში ის ადგილს წიგნის თაროზე დაიდებს... მასში ყველა იპოვის საჭირო პასუხს. რომ არ დაზიანდეს, ლამაზი მოოქრული ასოებით შემკულ ტყავის ყდაში ჩავასმევინებ.

გმადლობთ.



4LOVE.GE © 2008-2015